

Институт языкознания им. Арн. Чикобава

Arn. Chikobava Institute of Linguistics

**Нодар А. Ардотели**

**Историко-сравнительная фонетика  
аварско-андийско-дидойских языков**

**Nodar A. Ardoteli**

**Historical-comparative phonetics of  
Avar-Andi-Dido Languages**

**Тбилиси – Tbilisi**

**2009**

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ნოდარ არდოტელი**

**ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა  
ისტორიულ-შედარებითი  
ფონეტიკა**

თბილისი

2009

მონოგრაფიაში განხილულია ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის საკვანძო საკითხები. ფაქტობრივ პირველად არის წარმოდგენილი ერთად ხმოვანთა და თანხმოვანთა ფონოლოგიური სისტემების დიაქრონიული ანალიზი და მათი რელატიური ქრონოლოგია. აღდგენილია ამოსავალ ფონემათა ლოკალური რიგები და დაძვნილია მათი რეფლექსები. დასაბუთებულია ზოგ სპეციფიკურ ფონემათა გენეზისი, დადგენილია ცალკეულ ბგერათშესატყვისობათა ისტორია და არგუმენტირებულია ზოგიერთ სპეციფიკურ ფონოლოგიურ კორელაციათა (ფარინგალიზებული, ლაბიალიზებული...) მეორეულობა. ამასთანავე, ახლებურად არის გადაჭრილი სპონტანური ფონეტიკური პროცესებისა და რელატიური ქრონოლოგიის არაერთი საკითხი. გარდა ამისა, მოცემულია სახელურ და ზმნურ ძირ-ფუძეთა ფონემატური სტრუქტურის კანონიკური მოდელების რეკონსტრუქციის ცდა.

შესავლის ერთი ქვეთავი ეთმობა ენისა და დიალექტის გამოჩენის მეტად აქტუალურ პრობლემას. აქვეა გაანალიზებული ბგერათშესატყვისობის მეთოდოლოგიის არაერთი არსებითი საკითხი.

წიგნი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევართათვის, თეორიული ენათმეცნიერების სპეციალისტთა და კავკასიურ ენათა სპეციალისტების სტუდენტთათვის. იგი გამოადგება კომპარატივისტებსა და კავკასიის ხალხთა კულტურის ისტორიით დაინტერესებულ პირთ.

რეცენზენტები: პროფ. გ. ბურჭულაძე,  
პროფ. კ. ჭრელაშვილი,  
პროფ. ტ. სიხარულიძე

რედაქტორი — პროფ. ვ. შენგელია

© ნ. არდოტელი, 2009

გამომცემლობა „UNIVERSAL“ 2009

თბილისი, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-449-5

## შინაარსი

	<b>წინასიტყვა</b> . . . . .	9
	<b>შესავალი</b> . . . . .	11
1.	პრობლემის არსი . . . . .	11
2.	საკითხის ისტორია . . . . .	13
3.	ფუნქციონირების მეთოდოლოგიის ზოგი წინამძღვრისათვის . . . . .	16
4.	ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა კლასიფიკაცია . . . . .	21
5.	ენათა და დიალექტთა გასამიჯნავი კრიტერიუმისათვის . . . . .	26

## პირველი ნაწილი

### ხმოვანთა სისტემა

#### I თავი. ვოკალური სისტემის ზოგადი დახასიათება

1.1.	ზოგადი . . . . .	34
1.2.	ხუნძური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	34
1.3.	ანდიური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	35
1.4.	ბოთლიხური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	36
1.5.	ლოდობერიული ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	36
1.6.	ჰამალური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	37
1.7.	ტინდიური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	37
1.8.	ბაგვალური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	38
1.9.	კარატაული ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	38
1.10.	ახვანური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	39
1.11.	დიდოური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	40
1.12.	ჰინუხური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	40
1.13.	ხვარშიული ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	41
1.14.	ბეჭიტური ენის ხმოვანთა სისტემა . . . . .	41

#### II თავი. ხმოვანთა შესატყვისობანი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში

2.1.	ზოგადი . . . . .	44
2.2.	*ა ხმოვნის შესატყვისობანი . . . . .	44
2.3.	*ი ხმოვნის შესატყვისობა . . . . .	53
2.4.	*ე ხმოვნის შესატყვისობა . . . . .	56
2.5.	ლაბიალური ხმოვნების (ლ, უ) გენეზისი . . . . .	59

**III თავი. ფონეტიკური პროცესები ხმოვნებსა და დიფთონგებში**

3.1.	ნაზალიზაცია და დენაზალიზაცია . . . . .	62
3.2.	პალატალიზაცია . . . . .	64
3.3.	გრძელი ხმოვნები . . . . .	69
3.4.	დიფთონგიზაცია . . . . .	71

**IV თავი. მახვილი**

4.1.	ზოგადი . . . . .	75
4.2.	მახვილის ბუნება და ადგილი . . . . .	75
4.3.	თანამახვილი . . . . .	77
4.4.	მახვილის მოქმედებით გამოწვეული ფონეტიკური ცვლილებები . . . . .	78

**მეორე ნაწილი****თანხმოვანთა სისტემა****V თავი. კონსონანტური სისტემის ზოგადი დახასიათება** 80**VI თავი. თანხმოვანთა შესატყვისობანი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში**

6.1.	ხშული (ხშულ-მსკდომი) თანხმოვნები . . . . .	85
6.1.1.	ზოგადი . . . . .	85
6.1.2.	ბილაბიალური ხშულები . . . . .	85
6.1.3.	დენტალური ხშულები . . . . .	88
6.1.4.	წინაველარული ხშულები . . . . .	90
6.1.5.	ერთი „ანომალიური“ ბგერათშესატყვისობის შესახებ . . . . .	94
6.2.	აფრიკატები . . . . .	96
6.2.1.	ზოგადი . . . . .	96
6.2.2.	წინანუნისმიერი (სისინა) აფრიკატები . . . . .	97
6.2.3.	უკანანუნისმიერი (შიშინა) აფრიკატები . . . . .	102
6.2.4.	მაგარსასისმიერი ლატერალური აფრიკატები . . . . .	107
6.2.5.	ფარინგალური აფრიკატები . . . . .	113
6.3.	სპირანტები . . . . .	118
6.3.1.	ზოგადი . . . . .	118

6.3.2.	წინანუნისმიერი სპირანტები . . . . .	119
6.3.3.	უკანანუნისმიერი სპირანტები . . . . .	125
6.3.4.	მაგარსასისმიერი ლატერალური სპირანტები . . . . .	128
6.3.5.	წინაველარული *ზ . . . . .	130
6.3.6.	უკანაველარული სპირანტები . . . . .	133
6.3.7.	ფარინგალური სპირანტების საკითხი . . . . .	137
6.3.8.	ლარინგალური სპირანტი *ჰ . . . . .	138
6.4.	<b>სონორები</b> . . . . .	140
6.4.1.	ვიბრანტი *რ . . . . .	140
6.4.2.	ლატერალი *ლ . . . . .	143
6.4.3.	ნაზალური *მ . . . . .	144
6.4.4.	ნაზალური *ნ . . . . .	144
6.5.	<b>სონანტები</b> . . . . .	145
6.5.1.	ზოგადი . . . . .	145
6.5.2.	სონანტი *ღ . . . . .	145
6.5.3.	სონანტი *წ . . . . .	146
	შესატყვისობათა ძირითადი ფორმულების სინოპტიკური ტაბულა . . . . .	148

## VII თავი. ფონეტიკური პროცესები თანხმოვნებში

7.1.	დელატერალიზაცია . . . . .	150
7.1.1.	ლატერალურ აფრიკატთა დელატერალიზაცია . . . . .	151
7.1.2.	ლატერალურ სპირანტთა დელატერალიზაცია . . . . .	153
7.2.	სპირანტთა გამჟღერება . . . . .	153
7.3.	სისინა სიბილანტთა გაშიშინება . . . . .	155
7.4.	შიშინა სიბილანტთა გასისინება . . . . .	157
7.5.	დეფარინგალიზაცია . . . . .	161
7.6.	სპირანტიზაცია . . . . .	162
7.6.1.	არაინტენსიურ აფრიკატთა სპირანტიზაცია . . . . .	162
7.6.2.	ინტენსიურ აფრიკატთა სპირანტიზაცია . . . . .	163
7.6.3.	ხშულ-შსკდომთა სპირანტიზაცია . . . . .	164
7.7.	აფრიკატიზაცია . . . . .	164
7.8.	დეზაბრუპტივიზაცია . . . . .	166
7.9.	დენტენსივიზაცია . . . . .	166
7.10.	ლაბიალიზაციის საკითხისათვის . . . . .	170
7.11.	ფარინგალიზებული თანხმოვნების შესახებ . . . . .	174
	ფონეტიკური პროცესების ქრონოლოგიური ტაბულა . . . . .	179

## მესამე ნაწილი

### სახელისა და ზმნის ფონემატური სტრუქტურა

VIII თავი. სახელურ და ზმნურ ძირ-ფუძეთა ფონემატური სტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში . . . . .	181
ძირითადი დასკვნები . . . . .	200
შემოკლებათა განმარტება . . . . .	203
პირთა საძიებელი . . . . .	206
სემანტიკური საძიებელი . . . . .	208
ლიტერატურა (ქართულ და უცხო ენებზე) . . . . .	215
რეზიუმე (რუს. ენაზე) . . . . .	236
რეზიუმე (ინგლ. ენაზე) . . . . .	265
შინაარსი (რუს. და ინგლ. ენებზე) . . . . .	291

## წინასიტყვა

ედღენება ძვირფასი მასწავლებლის,  
პროფ. ილია ცერცვაძის ნათელ ხსოვნას

წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოდგენილია იბერიულ-კავკასიურ ენათა დალესტნის ერთ-ერთი ჯგუფის — ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენების ფონოლოგიური სისტემის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. მასთან, ამ ნაშრომში გაანალიზებულია როგორც ხმოვნათა, ისე თანხმოვნათა სისტემების ისტორია. იგი გულისხმობს საკვლევ ენათა ამოსავალი ფონოლოგიური სისტემა-სტრუქტურის რეკონსტრუქციას იმ კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენის საფუძველზე, რომელთა დღევანდელი სახით ჩამოყალიბება განხორციელდა არაერთდროული და არაერთგვაროვანი სპონტანური ფონეტიკური პროცესების შედეგად.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე დღის წესრიგში აქტიურად დგას ისტორიულ-შედარებითი გრამატიკებისა და ეტიმოლოგიური ლექსიკონების დამუშავება, რაც საბოლოოდ ნათელს მოჰყენს ამ ენათა გენეზისური ურთიერთმიმართების საკითხს. ჩვენი დანტერესება აღნიშნული თემატიკით სწორედ ამ გარემოებით იყო ნაკარნახევი, რამაც გადაგვაწყვეტინა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შექმნა ფონეტიკური საკითხების განხილვით დაგვეწყო. ამგვარი მიზანდასახულობით შევეუდღეით მუშაობას 1995 წელს, თუმცა ამ ამოცანის გადაწყვეტა საკმაოდ რთული და შრომატევადი აღმოჩნდა. საქმეს განსაკუთრებით ართულებდა ის გარემოება, რომ არათუ ცალკეული ქვეჯგუფის შედარებითი ლექსიკონები, არამედ ანდიურ-დიდოურ ენათა თარგმნითი ლექსიკონებიც არ მოგვეპოვებოდა. მართალია, 1985-1998 წ.წ. ადგილზე, სავლემ მუშაობისას (მივლინებები მოწყობილი იყო არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ), შევაგროვე დიდოურ ენათა, ხუნძური და ტინდიური ენების ლექსიკური მასალა, მაგრამ ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო სხვა ენათა მონაცემები. ამგვარი სიძნელე ნაწილობრივ დაძლეულ იქნა წინამორბედი მკვლევართა მონოგრაფიებსა და ცალკეულ წერილებში დაბეჭდილი ენობრივი მასალით, თუმცა ამ სტრუქტონების ავტორი მაინც განიცდის სათანადო ლექსიკური მარაგის უქმარისობას და იმედოვნებს, რომ ეს ხარვეზი მალე გამოსწორდება.

ნაშრომი შესრულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში 1995-2000 წ.წ. და ამის შემდეგ, თუ რამდენიმე ლექსიკონის მონაცემებსა და ცალკეულ წერილებში წამოყენებულ დებულებებს არ გავითვალისწინებთ, სხვა მხრივ ნაშრომს არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

მონოგრაფიის შესავალში წარმოდგენილია ავტორისეული თვალსაზრისი შესასწავლი საკითხების შესახებ. საკვლევ ენათა იმანენტური ბუნების მაქსიმალურად გათვალისწინებით განხილულია ის მეთოდები და ხერხები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი ზდება მონათესავე უმწერ-



ლობო ენათა ამოსავალი ფონოლოგიური სისტემის გაშუქება და მისი ისტორიული ინტერპრეტაცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოსტულატად აღებული იზოგლოსების რელატიური ქრონოლოგიის დადგენას, რაც, წერილობითი დოკუმენტაციის უქონლობის პირობებში, მეტად ძნელია. ამ წინააღმდეგობის მეტ-ნაკლებად დაძლევა ხდება ენობრივ ერთეულთა მონაცემებისა და ფონეტიკური პროცესების თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც შესაძლებელს ხდის ენათა პრეისტორიული ხანის ფონოლოგიური სისტემების პოსტულირებას. ამავე ნაწილში წარმოდგენილია საკვლევ ენათა ფონეტიკის შესწავლის ისტორია და ამ ენათა კვლევის დღევანდელი მდგომარეობა. აქვეა საუბარი ენისა და დიალექტის გამიჯნავ კრიტერიუმზე.

ნაშრომი იყოფა სამ ნაწილად: პირველი ნაწილი ხმოვანთა სისტემის ანალიზს ეთმობა, მეორე ნაწილში წარმოდგენილია თანხმოვანთა ფონოლოგიური სისტემის კარდინალური საკითხები, ხოლო მესამე ნაწილში განიხილება სახელისა და ზმნის ფონემატური სტრუქტურა. ხმოვანთა სისტემა მოიცავს: ვოკალური სისტემის ზოგად დახასიათებას (I თავი), ხმოვანთა შესატყვისობებს (II თავი), ფონეტიკურ პროცესებსა (III თავი) და პროსოდიას (IV თავი).

თანხმოვანთა სისტემაში განიხილება: კონსონანტური სისტემის ზოგადი დახასიათება (V თავი), თანხმოვანთა შესატყვისობანი (VI თავი) და ფონეტიკური პროცესები თანხმოვნებში (VII თავი).

ცალკე გამოიყოფა სახელურ და ზმნურ ძირ-ფუძეთა ფონემატური სტრუქტურის რეკონსტრუქცია (VIII თავი).

ამ წიგნის მთელი ტექსტი კრიტიკულად წაიკითხეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა როსტომ ფარეულიძემ და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლევან აზმაიფარაშვილმა, რომელთაც საგულისხმო შენიშვნებისათვის მადლობა ეკუთვნით.

წინამდებარე გამოკვლევა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთობლივად ვოკალური და კონსონანტური სისტემების ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით ანალიზის ცდაა და, საკითხის სირთულიდან გამომდინარე, ვერ იქნება დაზღვეული ნაკლისაგან. ავტორი განხილულ საკითხებზე ყველა საქმიან შენიშვნას, წინადადებასა და სურვილს მადლობით მიიღებს შემდეგი მისამართით: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 0108, ინგოროყვას ქ. 8, თბილისი, საქართველო. E-mail: nardoteli@yahoo.com

\*

\* \*

გულითადი მადლიერებით ვიგონებთ ყველა კოლეგასა და მასპინძელს, ვინც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებზე მუშაობისას დახმარება გაგვიწია: ბორის ათაევი (ხუნძახი), მაჟიდ ხალილოვი (ბეჟიტა), ყაზბეგ მიქაილოვი (მაჰაჩყალა), მაჰომედ მაჰომედოვი (ჰინუხი), არსენ აბდულაევი (მოყოყი), ზაჰრათ მაჰომედოვა (ინზოყვარი), ხაიბულა ვაქილოვი (ბეჟიტა), შოთა მინდიკაური (კასპიისკი), მაჰომედ რასულოვი (სარუსო), ჰაჯი მუსაევი (ჩანტლისყური) და სხვ.

## შესავალი

ენის, როგორც დინამიკურ სიმბოლოთა სისტემის, ისტორიულ-შედარებითი შესწავლა, წესისამებრ, აუცილებელი გარდუვალობით გულისხმობს მისი ქრონოლოგიური მიმართების დადგენა-დასაბუთებას კულტურისა და აზროვნების ისტორიასთან [ჩიქობავა 1979, 9]. ეს უმთავრესი ამოცანა წარმატებით ვერ გადაწყდება, თუ საფუძვლიანად არ გაანალიზდა ენობრივი იერარქიის ყოველი საფეხური (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა).

გენეზისურად მონათესავე ერთი ჯგუფის ენათა ფონოლოგიური სისტემის ისტორიულ-შედარებით ანალიზს, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს და ფუძემდის მიახლოებით რეკონსტრუქციას ესწრაფვის, განუზომელი მნიშვნელობა აქვს ენათა წარმოშობითი ნათესაობის, ტიპოლოგიისა და ენობრივი უნივერსალიების ფასეული შედეგების მოსაპოვებლად. მეტადრე ეს ითქმის უდამწერლობო ენებზე, რომელთა კვლევაც ძალზე საშურია, მაგრამ, წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, ბუნებრივია, გაძნელებულიც.

ფონოლოგიური სისტემების რეკონსტრუქცია და რეკონსტრუირებულ არქეტიპთა სემანტიკური (resp. ეტიმოური) ნაირგვარობა ხშირად ქცეულა საფუძვლად ფუძემდის ნამდვილი ბუნებისა და მისი ევოლუციის, ცალკეულ მემკვიდრე ენებთან მისი კანონზომიერი მიმართებულოდ განსაზღვრისა.

**1. პრობლემის არსი.** აღნიშნული საკითხების კვლევა-ძიებისას და შესაფერისი ისტორიული ინტერპრეტაციის დროს თავს იჩენდა არაერთი სხვა (მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი) რიგის საკითხიც, რომლებიც, უშუალოდ თუ შუალობით, წამოყენებულ პრობლემატიკას უკავშირდებოდა. ამიტომ შესაძლებლობისამებრ ვცდილობდით ისტორიულად დადასტურებული ენობრივი ფაქტების ანალიზი უაღრესად კომპაქტური და, რაც შეიძლება, არაწინააღმდეგობრივი ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ხშირად ვერ ხერხდება ამა თუ იმ კონკრეტული ენობრივი მოვლენის გამოწვლილვითი ანალიზი, რაც ზოგჯერ სათანადო ადგილას მითითებულიც არის.

ჩვენი დაინტერესება აღნიშნული თემატიკით გამოიწვია იმ კონკრეტულმა მოთხოვნამ, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკებისა და ეტიმოლოგიური ლექსიკონების დამუშავებას ითვალისწინებს [ჩიქობავა 1942, 284; 1979, 11, 36; ბოკარევი 1981, 14]. იმ დროს, როდესაც არათუ დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა, არამედ ცალკეული ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ისტორიულ-შედარებითი გრამატიკები არ მოგვეპოვება, ბუნებრივია, ამ ენათა გენეზისური მიმართების საკითხი უშუალოდ იბერიულ-კავკასიური ენებისა ერთმანეთთან თუ სხვა წრის ენებთან, მუდამ იქნება სკეპტიკოსთა დაქვევების საგანი.

ვფიქრობთ, თავდაპირველად უნდა გაირკვეს შესადაარებელი ოდენობის (კერძო ენობრივი ფაქტის) არსი (მისი ბუნება) და შემდეგ შეუდარ-

დეს მეორე სიდიდეს, რაც ინდუქციური მეთოდის გამოყენების აუცილებლობას და შემდგომ დადასტურებულ ფორმათა დედუქციების საჭიროებას გვიკარნახებს. ნაშრომის მიზანდასახულობასაც სწორედ ეს წარმოადგენს — ამ ენათა იმანენტური ბუნების მაქსიმალურად გათვალისწინებით აღვადგინოთ ხმოვანთა თუ თანხმოვანთა ფონოლოგიური ქვესისტემები, რომლებიც ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთიანობის ხანისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოსტულატად აღებული იზოგლოსების ისტორიული ურთიერთმიმართების დინამიკის ჩვენებას, რაც წერილობითი დოკუმენტაციის უქონლობის პირობებში ძნელია, მაგრამ დაუძლეველი არ არის ენათა პრაქტიკული ხანის ფონოლოგიური სისტემის აღსადგენად.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ფონოლოგიური სისტემების კვლევისას განსაკუთრებულ ყურადღებას იხყრობს თვალსაჩინო სხვაობა ცალკეულ ქვეჯგუფებს შორის: ხუნძური ვოკალიზში სისადავით გამოირჩევა, ხოლო დიდოური ენები — კონსონანტური სისტემის სიმარტივით. ხუნძური ენის ხუთწევრიანი ხმოვანთა სისტემა (ა, ე, ი, ო, უ) მეორეულია — სამწევრიანი სისტემის (ა, ე, ი) გართულების შედეგი. სადა ლაბიალური ხმოვნები ისევე, როგორც ხმოვანთა სხვა სერიები (პალატალიზებული, ნაზალიზებული, გრძელი) ენობრივი განვითარების გვიანდელი საფეხურის მონაცემებია. რაც შეეხება დიდოურ ენათა კონსონანტიზმს, რომელიც ძალიან ჩამოშავს ქართულური ენების თანხმოვანთა სისტემას, იგი გამარტივების შედეგად არის მიღებული და მისი ევოლუციის მესამე საფეხურს ასახავს. თანხმოვანთა სახეცვლილების ძირითადი ტენდენცია ისტორიულად სხვადასხვა სერიის (ლაბიალიზებული, ფარინგალიზებული, ლატერალური, ინტენსიური...) წარმოქმნას გულისხმობს, რომლებმაც მოგვიანებით გამარტივების პროცესი განიცადეს. ამისი ექვეშეული დასტურია ინტენსივობის კორელაციის სრული ელიმინაცია დიდოურ ენებში, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ამ ენათა კონსონანტიზმის თანამედროვე სახე. ინტენსიურ და არაინტენსიურ თანხმოვანთა შორის დაპირისპირების მოშლა შეპირობებული ჩანს არაერთდროული და არაერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესების მოქმედებით [გუდავა 1974, 141-143].

ფიქრობთ, შინაგანი თუ შედარებითი რეკონსტრუქციის ხერხების გამოყენებით, საფუძვლიანად არის დასაბუთებული ფარინგალიზებული და ლაბიალიზებული თანხმოვნების გვიანდელი წარმომავლობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ე. წ. ლაბიალიზებული თანხმოვნები მონოფონემის სტატუსს მოკლებულნი არიან. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, პალატალიზებული და ლატერალური თანხმოვნებიც მეორეული წარმომავლობის ფონემებია, თუმცა, მოეპოვებათ რა კანონზომიერი ბგერათშესატყვისობანი, ფუძემდის კუთვნილებას წარმოადგენენ და მათი ფორმირებისათვის თვალის მიდევნება საერთო-დადესტურ (საერთო-კავკასიურ) ქრონოლოგიურ დონეზე უნდა მოხდეს.

მეტად პრობლემურია ფუძემდის ბილაბიალურ აბრუბტივ პს რეკონსტრუქციის საკითხი, ვინაიდან დიდოურ ენებში რეალურად თავჩენი-

ლი ამ ხშული თანხმობის შემცველი მაგალითები მეტწილად მეორეულია და ამ ენათა ძირეული ლექსიკური ფონდის კუთვნილებას არ წარმოადგენს. ამოსავალში გარკვეული აღბათობით პს დაშვება შეიძლება ოდენ ბაგისმიერობის მოშლის ტენდენციის, სისტემის ასიმეტრიულობისა და ტიპოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, ფუძეენაში მქდერ აფრიკატთა არსებობის კვალი არ ჩანს, რასაც საკვლევ ენათა ფარგლებიდან გაყვავართ და მათი პოსტულირება ლაკურ-დარგულისა და ლეზგიურ ენათა მონაცემების მოხმობით ხდება.

**2. საკითხის ისტორია.** ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ფონეტიკა-ფონოლოგიის დიაქრონიული თვალსაზრისით დამუშავება დიდხანს რჩებოდა წინამორბედ კავკასიოლოგთა თვალთახედვის ფარგლებს გარეთ. მართალია, ესა თუ ის მკვლევარი ცალკეულ ენათა (განსაკუთრებით, ხუნძურის) ფონეტიკურ საკითხებს ეხებოდა [შიფნერი 1862; უსლარი 1989; დირი 1906; ეირკოვი 1924; მეგრელიძე 1936; 1955...], მაგრამ მესაძირკვლედ ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი ასპექტით კვლევის საქმეში საესებით სამართლიანად ითვლება ნ. ტრუბეცკოი, რომელსაც ეკუთვნის განმაზოგადებელი შრომები არამართო საკვლევ ენათა კონსონანტური სისტემის შესახებ, არამედ მთლიანად ჩრდილოკავკასიურ ენათა შესახებაც [1922; 1926; 1926ა; 1930; 1987]. მიახლოებით ანალოგიური ნაშრომი მოეპოვება რ. ლაფონს [1952], თუმცა იგი უპირატესად ნ. ტრუბეცკოის ზემოხსენებულ სტატიებსა და მათში წარმოდგენილ რეკონსტრუქციებს ემყარება. ზოგი სახელის ეტიმოლოგიური კვლევის კუთხით ყურადღებას იქცევს ნ. მარის წერილი [1917].

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა კონსონანტიზმის ისტორიულ-შედარებითი კვლევაძიება აღმავლობის გზას დაადგა და ფართოდ გაიშალა მუშაობა წინა საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს თბილისელ ლინგვისტთა ერთობლივი ნაშრომით [გუდავა, იმნაიშვილი, ლომთაძე, მაჰომედბეკოვა, ცერცვაძე 1952]. კერძო სტატიებსა თუ ავტორეფერატებში განხილულია ხუნძურ-ანდიურ-დიდოური კონსონანტიზმისა და ვოკალიზმის ცალკეული საკითხები [ჩიქობავა 1937; 1974; ცერცვაძე 1948; 1952; 1953; 1953ა; 1954; 1958; 1959; 1959ა; 1960; 1961; 1972; 1974; 1980; ტ. გუდავა 1953; 1954; 1955; 1956; 1958; 1959; 1959ა; 1967; 1968; 1970; 1974; 1974ა; 1980; მაჰომედბეკოვა 1955; 1962; 1989; ლომთაძე 1955; 1956; 1956ა; 1956ბ; 1960; 1962; 1966; 1974; 1978; 1978ა; 1979; 1980; 1982; 1985; 1986; 1987; 1987ა; იმნაიშვილი 1955; 1956; ბოკარევი 1952; 1954; 1958; შ. მიქაილოვი 1948; 1957; ყ. მიქაილოვი 1964; რ. მიქაილოვა, ყ. მიქაილოვი 1992; ე. მიქაილოვი 1974; სულიემანოვი 1957; 1960; 1962; 1964; შარაფუტდინოვა და ლევი-ნა 1961; ჯაფარიძე 1957; 1957ა; 1964; 1966; 1967; კახაძე 1953; 1959; 1998; კიკნაძე 1963; საიდოვი 1949; ფენრიხი 1971; 1975; 1976; 1979; 1995; გიგინეიშვილი 1967; 1968; 1970; 1971; ჰაშაათოვი 1972; 1973; 1973ა; 1975; 1982; ბურჭულაძე 1981; 1982; 1983; 1986; 1988; 1989; 1992; გოგოლაშვილი 1980; ისაყოვი 1981; 1981ა; 1986; ი. გუდავა 1986; სტაროსტინი 1996; ზ. აბდულა-

ევი 1981; ა. აბდულაევი 1981; ხალილოვი 1981; 1992; თოფურია 1987; ხალილოვი, რამაზანოვი 1992; ნიკოლაევი 1978; საიდოვა 1981; 1983; 1985; 1992; ათაევი 1992; მაჰომედოვი 1992; რაჯაბოვი 1997; ბარნოვი 1998 და სხვ.]

ზუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა კონსონანტიზმის საკვანძო საკითხები განხილულია ტ. გუდავას სამ კაპიტალურ მონოგრაფიაში [1959; 1964; 1979], რომლებიც საეტაპო მნიშვნელობისაა და ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ამ ენათა შესწავლაში. მრავალმხრივ საყურადღებოა ა. დირისა [1928] და ი. ჯავახიშვილის [1937] ფუნდამენტური მონოგრაფიები. არნ. ჩიქობავას განმაზოგადებელი ნაშრომები, ერთობლივ იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა, ეხება ზუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ფონეტიკის ძირითად საკითხებსაც [1965; 1979].

არსებობს ისეთი მონოგრაფიებიც, რომლებშიც, ჩვენთვის საინტერესო პრობლემათიკის გარდა, ნაკვლევია მთლიანად დაღესტნურ ენათა ფონემატური სისტემა [ბოკარევი 1961; 1981; გიგინეიშვილი 1977]. ე. ბოკარევის ერთი ნაშრომი დიდოურ ენებს განიხილავს აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით [1959]. დაღესტნურ ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი წარმოდგენილია ორ ნაშრომში [დემილი<sup>1</sup> 1971; ხაიდაყოვი 1973], ხოლო ამავე ენათა ზმნისა და სახელის თესაურუსის ტიპის შეპირისპირებით ლექსიკონებში თავმოყრილია ოცდაორი დაღესტნური ენის მონაცემები [კიბრაიკი, კოძასოვი 1988; 1990]. ახლახან გამოქვეყნდა ანალოგიური ტიპის ლექსიკონი, რომელიც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალასაც მოიცავს [კლიმოვი, ხალილოვი 2003]. სამი დიდოური ენის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი მოცემულია დ. იმნაიშვილის ვრცელ მონოგრაფიაში [1963].

უნდა აღინიშნოს, რომ კომპარატივისტების მიერ კონსონანტური სისტემის კვლევას იმთავითვე მეტი ყურადღება ეთმობოდა, ვინემ ვოკალიზმის საკითხთა დამუშავებას. ამ მხრივ გამონაკლისია ე. ლომთაძის მრავალმხრივ საინტერესო მონოგრაფიები [1984; 1994], რომლებშიც ვრცლად და ამომწურავად არის გაანალიზებული დიდოური ენების ხმოვანთა სისტემის რთული საკითხები და, დიდძალი საილუსტრაციო მასალის მოხმობით, წარმოდგენილია ხანგრძლივი კვლევის ფასეული შედეგები [იხ. რეცენზია. ბურჭულაძე 2000, 236-246]. ყურადღებას იქცევს ი. ტესტელეცის წერილიც [ტესტელეცი 1993]. ბოლო ხანს გამოქვეყნდა შეპირისპირებითი [ათაევი 1996ა] და ისტორიულ-შედარებითი [ალექსეევი 1988] ხასიათის ნაშრომები, რომელთა ავტორები სხვადასხვა კუთხით ეხებიან საკვლევ ენათა განსახილველ თემატიკას.

გარდა ჩამოთვლილი ნაშრომებისა, ფონეტიკის კონკრეტული საკითხები განსწიხ საგნად არის ქცეული ძველი და ახალი თაობის არაერთი მკვლევარ-კავკასიოლოგის მონოგრაფიებში, რომლებიც ცალკე წიგნების სახით არის დასტამბული [ბოკარევი 1949; ლევი 1953; მიქაილოვი 1958; 1959; თოფურია 1995; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962; გუდავა 1962; 1971; ლომ-

<sup>1</sup> დემილი 1971 — დაღესტნურ ენათა შედარებით-ისტორიული ლექსიკა. შ., „ნაუკა“, 295 გვ. (რუს. ენაზე).

თაძე 1963; 1998; 2000; იმნაიშვილი 1963; მაჰომეტოვი 1963; 1965; ცერცვაძე 1965; მადიევა 1965; 1965ა; 1980; გაფრინდაშვილი 1966; მაჰომედბეკოვა 1967; 1971; ჭეიზანიშვილი 1971; 1984; კაზიევი 1969; საილოვა 1973; კახაძე 1979; შარაშიძე 1981; ბარნოვი 1983; მაჰომედხანოვი 1989; აბდულაევი 1993; ხალილოვი 1995; ალექსეევი, ათაევი 1997; არდოტელი 2007...].

ყველა საანალიზო ენის მიმოხილვას შეიცავს 1967 წელს მეოთხე ტომად გამოქვეყნებული კრებული „იბერიულ-კავკასიური ენები“ (სკს რზე), რომელშიც ასახვა ჰპოვა ფონოლოგიური სისტემების მოკლე სინქრონიულმა აღწერამ [1967, 255-287]. ანალოგიური ხასიათისაა წინა საუკუნის მიწურულს დასტამბული კრებულებიც: „მსოფლიოს ენები: კავკასიური ენები“ [მევე 1999], „დაღესტნის ენები“ [ღე 2000].

თეორიულ გამოკვლევათა სიუხვის მიუხედავად, თვალშისაცემია ლექსიკონების სიმცირე, რასაც ერთგვარი სინანულით აღნიშნავს ტ. გუდავა [1979, 8-9]. მართალია, გვაქვს ზუნძურის სხვადასხვა სახის ლექსიკონები [ეიკოვი 1936; საილოვი, მიქაილოვი 1951; საილოვი 1967; მიქაილოვი 1991; მაჰომედხანოვი 1992; 1993; ისაყოვი, ხაბულაევი 1992], მაგრამ ამას ვერ ვიტყვით უმწერლობო ანდიურ-დიდოურ ენათა შესახებ. ამ მხრივ გამონაკლისს ქმნის რამდენიმე ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონი [ხალილოვი 1995; 1999; მაჰომედოვა 1999; მაჰომედოვა, ხალილოვა 2001; ისაყოვი, ხალილოვი 2001]. ცალკე აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ს. ნიკოლაევისა და ს. სტაროსტინის „ჩრდილოკავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ [1994], რომელშიც ხშირად გავლებულია პარალელი ქართულურ ენათა მონაცემებთანაც. ის მწირი სალექსიკონო მასალა, რომელიც ცალკეულ ენათა შესახებ არსებობს [სტარჩევსკი 1891; ერკერტი 1895; დირი 1909; ა. ბოკარევი 1938; ე. ბოკარევი 1961; ჯაფარიძე 1966], ანდა ამ ენათა აღწერით გრამატიკებს ერთვის [ბოკარევი 1949; გუდავა 1962; მადიევა 1965; მაჰომედბეკოვა 1967; 1971; საილოვა 1973; ვან დენ ბერგი 1995...], არ არის საკმარისი.

აღსანიშნავია, რომ წინა საუკუნის 80-იან წლებში სერიულად ქვეყნდებოდა თემატური კრებულები: „დაღესტნურ ენათა დარგობრივი ლექსიკა“ [1984; 1988], „დაღესტნურ ენათა დარგობრივი ლექსიკის პრობლემები“ [1985; 1986; 1989], რომლებში დაბეჭდილი სალექსიკონო მასალა გარკვეულწილად გვიმსებუქებდა ულექსიკონობით გამოწვეულ სიძნელეს.

და მაინც, ერთ-ერთ საშურ და სამომავლოდ პრიორიტეტულ საქმედ უნდა იქცეს ცალკეულ ენათა თარგმნითი თუ სხვა სახის ლექსიკონების შედგენა, რაც, ექვს გარეშეა, დიდად შეუწყობს ხელს ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის დამუშავებას.

წინამდებარე გამოკვლევაში გამოყენებული დიდოური ენებისა და ბაგვალური ენის ტინდიური კილოს (ნაწილი, ზუნძურისა) ლექსიკური მასალა მოპოვებულია თავად ავტორის მიერ ადგილობრივ 1985-1998 წ.წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მოწყობილი მივლინებების დროს. ნაშრომი ემყარება როგორც საკუთარსა და ცალკეულ ნაშრომებს დართულ

ტექსტებს, ისე ზემომოყვანილი წერილებიდან, მონოგრაფიებიდან და ლექსიკონებიდან ამოკრებილ საანალიზო მასალას.

**3. ფონემათშესატყვისობის მეთოდოლოგიის ზოგი წანამძღვრისათვის.** თანამედროვე კომპარატივისტიკაში გაზიარებულია საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მონათესავე ენათა ოჯახი წარმოქმნილია ფუძეენის დიალექტობრივი დიფერენციაციის საფუძველზე [მაქავარიანი 1965, 9]. ამის თაობაზე არნ. ჩიქობავა ხაზგასმით წერს: „...მონათესავე ენები წარმოშობით ერთი ენის კილოებია“ [ჩიქობავა 1945; 1983, 249].

რადიკალურად განსხვავებულ აზრს ადგა ნ. ტრუბეცკოი, რომელმაც შედარებით ენათმეცნიერებაში კავკასიურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხების კვლევისას „ენათა კავშირის“ ცნება შემოიტანა, რაც ერთ ოჯახში გავრთიანებული ენების საერთო გენეზისურ წარმომავლობას არ გულისხმობს [ტრუბეცკოი 1987, 47-48]. მართალია, ინტეგრაციის პროცესში ხდება სხვადასხვა წარმომავლობის ენებს შორის მთელ რიგ ფონეტიკურ თუ მორფოსინტაქსურ მოვლენათა ურთიერთშემოქმედება, რაც თვალსაზრისით ცვლის ენის, როგორც დინამიკური სისტემის, იერსახეს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, დიფერენციაციული პროცესები რელიეფურად განსხვავდება ინტეგრაციული პროცესებისაგან [ფენრიხი 1978, 24-25], რის გამოც „ენათა კავშირის“ ცნება სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული [შარაძენიძე 1958, 454].

შედარებით ლინგვისტიკაში ენათა გენეზისური ნათესაობის დასასაბუთებლად ფასეულია ძირეული ლექსიკის ეკვივალენტურ ერთეულებში თუ გრამატიკულ ინვენტარში კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენა. სპონტანური ბგერათცვლილებით შეპირობებული ამოსავალი არქეტიპების რეკონსტრუქციისათვის ჩვეულებრივ შედარებას მიმართავენ: „...შედარებას სხვა მიზანი არა აქვს, გარდა რეკონსტრუქციისა“ [სოსიური 1977, 255]. ანდა: „ბგერათშესატყვისობა შედარების კომპასია. შედარება ისტორიის ბერკეტი“ [ჩიქობავა 1983, 279].

ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში ფართოდ გამოიყენება შინაგანი და გარეგანი რეკონსტრუქციის ხერხები, რომელთა საშუალებითაც უნდა დადგინდეს ენობრივ ცვლილებათა რელატიური ქრონოლოგია. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გარდა, ვიყენებთ აგრეთვე ტიპოლოგიურსა და დიასისტემურ მეთოდებსაც, რომელთა შესაძლებლობები, მართალია, შედარებით შეზღუდულია, მაგრამ ისინი ერთგვარად ავსებენ და ამოწმებენ ისტორიულ-შედარებითი კვლევის შედეგებს.

ენათა გენეზისური ნათესაობის დასასაბუთებლად აუცილებელია არსებობდეს შემდეგი ფაქტორები:

ა) არსებულ მოსაზრებათა კვალდაკვალ, ჩვენი შეხედულებითაც გენეზისურად მონათესავე ენათა შორის ბგერათშესატყვისობანი კანონზომიერი და რეგულარული უნდა იყოს როგორც ფონოლოგიურ იზოგლო-

სებში, ისე მორფოლოგიურ ინვენტარს<sup>2</sup> და ძირეულ ლექსიკურ მასალაში [ფოქოს-ფუქსი 1962, 13; გამყარლიძე, მაჭავარიანი 1965, 4].

იმის ნათელსაყოფად, რომ ბგერითი შესატყვისობები ფორმანტებშიც რელევანტურია, შეიძლება მოვიხმოთ ზოგი მაგალითი: ხუნდ. -სა-ებ ~ ანდ. -სა-ი: აზვ. -სა-ე ~ საკ. დიდ. -ს-ი: ხვარ. -სა „მაატრიბუტივებელი ფორმანტი“; ხუნდ. -ტა (<\*ტა) ~ ანდ. -ტა : აზვ. -ტა ~ საკ. დიდ. -ტო : ხვარ. -ტო : ბეე. -ტა „ზე“.

ღირსსაცნობია, რომ მეორე შემთხვევაში კანონზომიერ შესატყვისობას ვეჩვენებს თანხმოვანიც (ხუნდ. ტ ~ ანდ. ტ ~ დიდ. ტა) და ხმოვანიც (ხუნდ.-ანდ. ა ~ დიდ. ო) [ლომთაძე 1962, 297-298; გულავე 1964, 135].

ბ) ფონემათშესატყვისობათა სიიდან გამოირიცხება უნებლიე ლექსიკური და გრამატიკული დამხვევები, რომლებიც არცთუ იშვიათია ენათა შორის, მაგ.: ქართ. ღარ-, შღრ. ღრაიდ. \*თარ- „ღარი“; ძვ. ქართ. დასლობა, შღრ. რუს. о-лаз „დასუსტა“; გერ. -s (der Lager-s „ბანაკის“), შღრ. საკ. დიდ. -ს (ფეკუ-ს „კაცის“); ლათ. tibi (მიც.), შღრ. საკ. დიდ. დებე-რ (მიც.) „შენ“ და მრ. სხვ.

გ) ფონემათშესატყვისობების ძიებისას მეტად მნიშვნელოვანია, რომ მკაცრად გაიმიჯნოს ძირეული ლექსიკური მასალა შეთვისებული მასალისაგან. ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც შესატყვისობანი შესაძლოა ფუძეების დროინდელ ნასესხებ მასალაშიც იჩინდეს თავს [ტრუბეტკოვი 1987, 45]. მასთან, საშურია ნასესხობებში არქაიზმისა და ინოვაციის ჭე-როვანი გამოჩენა, რასაც ბგერათიგივეობის დროს დიდი წინააღმდეგობები აწყდება [ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 26].

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ნასესხობა შედარებით იოლი გამოსაცნობია, მას მეტწილად კანონზომიერი შესატყვისობანი არ მოეპოვება, ხოლო ძველი ნასესხობანი, მით უფრო ფუძეების დროინდელი, ძალიან ძნელი გასარჩევია საკუთარი მასალისაგან. არქაული ნასესხობანი ძირეული ლექსიკის ანალოგიურ ფონემათშესატყვისობებს იყალიბებენ<sup>3</sup> და, აქედან გამომდინარე, ძირეულ შესატყვისობათა ტოლფასოვანნი ხდებიან [ჩიქობავა 1938, 18; შარაძენიძე 1958, 456-457; ალექსევი 1986, 125...].

მართალია, დიდი ძალისხმევაა საჭირო ამგვარი ნარევი მასალის გამოცალკეებისთვის, მაგრამ იგი მაინც შესაძლებელია [ლომთათიძე 2000, 126].<sup>4</sup> ამის ნათელი დასტურია აფხ. აწლა და ქართ. ძელ-ის მიჩნევა ძირეულ ქართულ-აფხაზურ სახელად [ქარაია 1912, 45]. სინამდვილეში, როგორც გამოირკვა, ქართ. ძელი თავისებური ტრანსფორმაციით არის

<sup>2</sup> ე. სეპირი გრამატიკული მასალის რელევანტურობას უარყოფს [1961, 135].

<sup>3</sup> გ. მაჭავარიანი ამგვარ შესაძლებლობას უგულუბელყოფს: „ნესხებისა და ადაბტაციის... შედეგად რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობებს... ვერ მივიღებთ“ [მაჭავარიანი 1965, 48-49].

<sup>4</sup> ქ. ლომთათიძის მართებული შენიშვნით, ამ მხრივ სათანადო მეთოდოლოგიური წინამძღვრები საფუძვლიანად დამუშავებული არ არის (იკვე).



ნასესხები აფხაზურში [ლომთათიძე 2000, 128].

ყურადღებას იქცევს „ასის“ გამომხატველი ტერმინი, რომელიც ხუნ-ტურ-ანდიურ ენებში კანონზომიერად (ხუნდ. ს ~ ანდ. შ) არის წარმოდგენილი: ხუნდ. ნუს-გო ~ ანდ. ბეშონუ-გუ... დიდოურ ენებში წესით უნდა გვეჩინოდა ეს შემცველი ეკვივალენტური ფორმა, მაგრამ გვაქვს შ (საქ. დიდ. ბიშონ: ხვარ. ბეშონუ „id“). ბგერათშესატყვისობის დარღვევისათვის სხვა საფუძველი არ ჩანს, გარდა იმისა, რომ საქ. დიდ. ბიშონ ანდიური ენათაგან ნასესხობად იქნეს ცნობილი [გუდავა 1980, 212]. საინტერესოა აგრეთვე ა:ო ხმოვანთშესატყვისობის დამადასტურებელი ზოგი ნასესხები სახელი: ხუნდ. აზარ-გო (< სპარს. ჰაზარ) ~ ანდ. ოზირუ-გუ „1000“; ხუნდ. ჩარან — ანდ. ჩირან „ფოლადი“ და მისთ.

ღ) ღირსსაცნობი ფაქტია, რომ ბგერათშესატყვისობა, როგორც კანონზომიერი ფონემური ფარდობა, ფუძენაში იღებს სათავეს და შემდგომში ევოლუციის საფუძველი ხდება. თავდაპირველად ფუძეენის დიფერენცირებად დიალექტებში (ზოგჯერ შეიძლება თქმებშიც!) ხელშესახებია ოდენ ბგერათიგივეობანი (resp. იდენტური ბგერათშესატყვისობანი), თუმცა მოგვიანებით ფუძეენის ენობრივი ერთეული დიალექტურ ვარიაციათა ფარგლებს სცილდება და ახალი ენობრივი მონაცემი ხდება. სავსებით ლოგიკურია, როცა ამა თუ იმ ენის მიკროვარიანტში — დიალექტში საფუძველი ვერება ფონემათა კანონზომიერ დიფერენციაციას, შეპირობებულს კომბინაციური თუ სპონტანური ფონეტიკური ცვლილებებით. საგულისხმოა, რომ ფონემათა კანონზომიერი მიმართება დაჩნდება ისეთ პერიფერიულ ლექსიკაშიც, როგორცაა ხმაბაძეთი (resp. ბგერწერთი) სახელები [გუდავა 1964, 143-145; ბურჭულაძე 1989, 9-10].

სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ ცალკეულ მონათესავე ენებსა და მათ დიალექტებში ხდება ერგვაროვანი ფონეტიკური პროცესები, რის შედეგადაც ვიღებთ რეგულარული ხასიათის კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს [არლოტელი 1999, 14].

იშვიათად დასტურდება ისეთი ბგერათშესატყვისობა, რომელშიც ყველა ფონემა განსხვავებულ რეფლექსს იძლეოდეს და შესატყვისობის წვერი ფონემები მონათესავე ენებში ადეკვატური იყოს [ენობრივი ერთეულის იდენტიფიკაციისათვის იხ. მაჭავარიანი 1967, 51-52]. ამ სახეობისაგან განსხვავებით, დასტურდება ბგერათიგივეობა, რომელიც ხშირად პაექრობის საგნად არის ქცეული.

ჩვენ აღწერთად ნაწარმოებ ტერმინს „იდენტური ბგერათშესატყვისობანი“ ვაძრობინეთ ტერმინი „ბგერათიგივეობანი“, რომელიც უფრო მარჯვეა და სრულად ასახავს ცნების ძირითად არსს. გარდა ამისა, თავიდან გვაცილებს უხერხულობას იმ თვალსაზრისით, რომ ორი იდენტური ფონემა (resp. ბგერა) არათუ სხვადასხვა შესაღარებელ ენებში, ერთი ენის ფონემის ფარგლებშიც (მის ვარიანტებს შორისაც) კი შეუძლებელია. მასთან, ტერმინი „ბგერათშესატყვისობა“ (resp. „ფონემათშესატყვისობა“) ამოსავალი ფონემის რეფლექსაციას გულისხმობს (შესატყვისობაში

განსხვავებული სიდიდეები მოიაზრება), ხოლო „ბგერათიგივეობა“ კი ნიშნავს შესადარებელ ოდენობათა კანონზომიერ ფარდობას, რომელშიც არქეტიპები წესისამებრ დაცულია.

აქედან გამომდინარე, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში დასტურდება როგორც საკუთრივ ბგერათშესატყვისობანი (resp. არაიდენტური ბგერათშესატყვისობანი), ისე ბგერათიგივეობანი (resp. იდენტური ბგერათშესატყვისობანი), რომლებიც შეპირობებულია სათანადო ფონემათა ორგვარი ტრანსფორმაციით: ა) საარტიკულაციო ადგილის გადაწევით და ბ) რაგვარობის ცვლით. ე. ლომთაძის მოსაზრებით, ცვლილების ამ ორ სახეობას შორის დომინანტობს მეორე [ლომთაძე 1962, 309].

სიმპტომატურია ისიც, რომ კანონზომიერ რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა განხილვისას თავს იჩენს სტრუქტურულ-სემანტიკური გადახრები, რასაც მრავალგვარი კომბინაციური თუ შინაარსობრივი ცვლილება იწვევს. ეს კი, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად ართულებს სპონტანური ბგერათცვლილებებით მიღებულ სურათს.

ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: რა ტენდენციები იწვევენ (აკავებენ) ფონემათა კანონზომიერ ცვლილებას?

გ. ჰონიგსვალდი პირდაპირ წერს: „...ბგერითი ცვლილებანი ნამდვილად რეგულარულია ყველა ენაში“ [ჰონიგსვალდი 1971, 19-21].

მართალია, ბგერითი ცვლილება ძირითადად რეგულარულია ყველა ენაში, თუმცა აბსოლუტური არ არის — იგი ყველა ბგერას ერთნაირად არ მოუდის, არამედ ფონოლოგიური სისტემის მხოლოდ ერთ ნაწილს მოიცავს. მასთან, ბგერათცვლილების ტენდენცია არის არა აუცილებლობა, არამედ შესაძლებლობა, რომელიც სათანადო ფონოლოგიურ პოზიციასა და ტრანსფორმაციისათვის ხელსაყრელ პირობებში შეიძლება რეალიზებულ იქნეს. ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორები (ფონემათა ვარიაციულობა, მათი არაადეკვატური პერცეფცია, უცხო ენათა ზეგავლენა, იდეოლექტის მეტყველება...) გარკვეულწილად აპირობებენ და ხელს უწყობენ ბგერათა ნაირსახეობების ჩამოყალიბებას. თავად ბგერათცვლილებას, საფიქრებელია, იწვევდეს ფონემის არამდგრადი ბუნება, მის წიაღში იმთავითვე დაუნჯებული პოტენცია — გარდაიქმნას სხვა, მასთან უფრო ახლომდგომ, ბგერად, რაც მისი ალოფონური თვისებით აიხსნება. თავდაპირველად ეს, როგორც მიუთითებენ [ტრუბეცკოი 1987, 268], დაჩნდება ფონეტიკური ვარიანტის (resp. ალოფონის) სახით, შემდეგ კი ერთი ფონემის ალოფონიდან მეორე ფონემის ალოფონისაკენ თანდათანობითი გადაწევის საფუძველზე (რაც ამ ენის მფლობელის სუბიექტურ ცნობიერებაში აირეკლება) ხდება სხვა ბგერად ქცევა. თანდათანობითი გადახრის შედეგად, A ფონემის ალოფონი B ფონემის ალოფონს დაუახლოვდება. A:B ფონემათა ოპოზიციის თანდათანობითი ნეიტრალიზაციის საფუძველზე, როცა მეტყველის ცნობიერებასა და პერცეფციაში A-ს ალოფონი B-ს ალოფონად ტრანსფორმირდება, ბგერათცვლილებაც მაშინ მთავრდება [არდოტელი 2000, 43].

გავრცელებულია ბგერათშესატყვისობის ისეთი სახეობა, რომელშიც ერთმანეთის გვერდით გვხვდება კანონზომიერად ცვლილი და უცვლელი ფონემები, მაგ.: ხუნდ. წჷ (<\*წან-) ~ ბოთლ. წინალ'ი ~ ბეჟ. ცან : საკ. დიდ. ჩანიდა (<\*ცანიდა) „თხა“.

ზემომოყვანილ მაგალითში წა:ც ბგერათმიმართება კანონზომიერად მიიჩნევა, ნ:ნ ფონემათფარდობაც კანონზომიერია.

მართლაც, თუკი ჩვენ შერეულ ბგერათშესატყვისობაში (ლათ. *bc-nus*: გერ. *kinnus*) კანონზომიერად ცვლილი ფონემების მიმართებას (g:k) უცვლელ ფონემებთან (n:n, s:s) ერთად კანონზომიერად მივიჩნევთ, მაშინ „იდენტური“ ფონემებიც (ბეჟ. ცან: ჰინ. ცან „თხა“) ლოგიკის ძალით შესატყვისობად უნდა მივიჩნიოთ.

ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: ბგერათიგივეობისას როგორ უნდა გამოიჩნოს ნასესხები მასალა ძირეულისაგან?

შეიძლება ორი წესი ჩამოყალიბდეს:

1. თუ სიტყვაში კანონზომიერად ცვლილ ფონემათა გვერდით გვაქვს უცვლელი ფონემები, მაშინ „იდენტური“ ფონემებიც შესატყვისობად უნდა ჩითვალოს, მაგ.: ქართ. კაც-ი ~ ზან. კოჩ-ი...

2. თუ აბსოლუტურად გაუდიფერენცირებელ მასალაში გვხვდება მხოლოდ ისეთი ფონემები, რომლებიც შესადარებელ ენათა ფონოლოგიურ სისტემებში სპონტანურ ფონეტიკურ ცვლილებებს საერთოდ არ განიცდიან, მაშინ ისინი შესატყვისობის ძალას იძენენ, მაგ.: ხუნდ. ქან (<\*ქან) ~ ჰამ. ქან<sup>5</sup> (< ქან) ~ ბეჟ. ქან (< ქან) „ყვარი“; ბავ. დე (ტინდ.) ~ ჰინ. დე „მე“ და სხვ.

ენათა მიხედვით, საყოველთაოდ დიფერენცირებულ ფონემებში თუ აღმოჩნდა ბგერათიგივეობა, მაშინ ნასესხობასთან გვექნება საქმე: ანდ. ბეშონუ-გუ ~ ხვარ. ბეშონუ „ასი“<sup>5</sup> და მისთ.


ამრიგად, შეიძლება არაიდენტური ბგერათშესატყვისობის ორი ქვეტიპი გამოიყოს [ჩიქობავა 1983, 268-271]: 1) რელიქტური და 2) ბიფურკაციული.

1) რელიქტური ბგერათშესატყვისობის დროს ამოსავალი ვითარება შესადარებელი ენებიდან დაცულია ერთ-ერთ ან რამდენიმე მათგანში, მაგ.: ხუნდ. მეჩ ~ ანდ. ინჩი: ჰამ. ეშ ~ საკ. დიდ. ჰენშე: ჰინ. იში „ვაშლი“.

2) ბიფურკაციული ბგერათშესატყვისობისას შესადარებელ ენათაგან არქაულ ჩვენებას არც ერთი არ იძლევა. ამოსავალი ოდენობის დასადგენად საჭიროა დიფუზური ფონემის რეკონსტრუქცია, რაც დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. კერძოდ, საერთო-ხუნდურ-ანდიურ-დიდოური ლატერალური სპირანტი \*ლ<sup>3</sup> გაიხლიჩა და ლ<sup>3</sup> თანხმოვანთკომპლექსი წარმოქმნა. ისტორიული ლ<sup>3</sup>-ს ევოლუციამ შედეგად ბოთლიხურში ჰ მოგვცა, ხვარშიულში კი — ლ. ეს სქემატურად ასე გამოისახება:

<sup>5</sup> ამ ნასესხობის შესახებ [იხ. გულავა 1980, 212].

საერთო  
ამოსავალი



ბიფურკაციული შესატყვისობის კარგი მაგალითია ქ. ლომთათიძის მიერ აფხაზურის დიალექტებში დადგენილი ფონემათშესატყვისობა: აბჟ., ბზიფ., აშხ. ვ, ჟ, ჭ სპირანტები: ტაპ. ძ, ც, წ აფრიკატები [ლომთათიძე 1976, 179-180].

ე) ცალკეული კორექსონდენციების ანალიზისას ყურადღებას იქცევს სემანტიკური რეკონსტრუქციის პრობლემა, რომელიც შშირად ჩამორჩება ფორმალურ რეკონსტრუქციას. ამოსავალ სემანტემათა „მოუხელოებლობა“ გამოწვეულია არა ოდენ სემანტიკური გადახრების (ტეხილების) გამო, არამედ მისი აბსტრაქტულობითა და სათანადო მეთოდოლოგიის უქონლობითაც.

ცნობილია, რომ გადახრილი სემანტიკა, თუკი შინაარსობრივი გადაწვევის დასაბუთება ხერხდება, საწყისი სემანტემის დასადგენად ისეთივე რელევანტურია, როგორც უცვლელი სემანტიკა. პარადოქსულ მოვლენას არ წარმოადგენს დიალექტებსა და თქმებში თავჩენილი სემანტიკური ცვლილებები, რომლებიც დიალექტურ ინოვაციას უფრო წარმოადგენენ, ვიდრე ენის შინაგანი ბუნების (პოტენციის) გამოვლენას.

**4. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა შინაგანი კლასიფიკაციისა და მათი დათარიღებისათვის.** ნ. ტრუბეცკოს, რომელიც ძირითადად ა. დირისა [დირი 1909] და ლ. ჟირკოვის [ჟირკოვი 1924] გამოკვლევებს ეყარება, ფაქტობრივ მართებულად აქვს წარმოდგენილი საკვლევ ენათა კლასიფიკაცია [ტრუბეცკო 1987, 247].<sup>6</sup>

მაშასადამე, ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები ქმნიან დაღესტნურ ენათა ერთ ქვეჯგუფს, რომელშიც 11 ენობრივი ერთეული ერთიანდება.<sup>7</sup> ამ ენებზე მეტყველთა რაოდენობა, 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით, საბჭოთა კავშირში 604292 პირს შეადგენდა [ათაევი 1996, 7]. მათ შორის დაღესტნის რესპუბლიკაში ცხოვრობდა 496,1 ათასი, ხოლო რუსეთის ფედერაციაში — 544,0 ათასი [დგ 2000, 547]. საკვლევ ენათა ევოლუციის პერიოდში პირველადი დივერგენცია გულისხმობს ფუძენის დაშლას საერთო-ხუნძურ-ანდიურ და საერთო-დიდოურ ენებად [ბოკარევი 1961, 40]. ლექსიკური და მორფონოლოგიური მონაცემები იმაზე მეტყვე-

<sup>6</sup> ჰინუხური ენა, რომელიც მაშინ შეუსწავლელი იყო, ყურადღების გარეშე რჩება.

<sup>7</sup> ტრადიციულად უფრო გაერცვლებულია 14 ენის გამოყოფა, მაგრამ ანდიურ-დიდოურ ენათა სინამდვილეში გვხვდება ისეთი ენობრივი ერთეულები (რსფ. ენა-დიალექტები), რომელთა ყველა იერარქიული დონის მონაცემთა შედარების საფუძველზე ზოგი მათგანის დიალექტად მიჩნევა საესებით შესაძლებელია. ასეთებია: 1. ბოთლიხური ენა [დიალექტებით: ა) საკ. ბოთლიხური, ბ) დოდობერიული]; 2. ბაგვალური ენა [დიალექტებით: ა) ტინლოური, ბ) კვანაღური]; 3. ბეჟიტური ენა [დიალექტებით: ა) საკ. ბეჟიტური, ბ) ჰუნზიბური] [იხ. ჩიქობავა 1965, 9-10; გუდავა 1971, 4; ლომთაძე 1994, 8-9] (ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ).

ლებენ, რომ დიფერენციაციის საწყის ეტაპზე, როცა საერთო-დიდოური ცალკე ენად ჩამოყალიბდა, ხუნძური და საერთო-ანდიური დიალექტურ ვარიანტათა ფარგლებს ვერ სცილდებოდა. მასალობრივი და სტრუქტურული სიახლოვე, რასაც ხუნძური და ანდიური ენები (განსაკუთრებით, საკუთრივ ანდიური) სინქრონულადაც ავლენენ, ამის თქმის საფუძველს იძლევა. ის ინოვაციები და არქაიზმები, რომელსაც წინარეხუნძურის მიმართ საერთო-ანდიური გამოამჟღავნებდა კილოკავებსა და თქმებში, წმინდა კომპარატივისტული თვალსაზრისით, ირელევანტურად უნდა მივიჩნიოთ.<sup>8</sup>

საფიქრებელია, რომ ხუნძურ-ანდიურ ენათა დიფერენციაციის წინა პერიოდში საერთო-დიდოური მეტ სიახლოვეს საერთო-ანდიურის დიალექტებთან უფრო ინარჩუნებდა, ვიდრე წინარეხუნძურთან.

დიფერენციაციის მეორე საფეხურზე, როდესაც საერთო-ანდიური ენობრივი ოდენობა გამოეყო წინარეხუნძურს, ფაქტობრივ დასრულდა ისტორიულად დადასტურებული ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ფუძემენის სამ დამოუკიდებელ წყებად დაშლის პროცესი. შემდგომ არქაული ხუნძური, რომელიც, ჩანს, მონოლითურობით გამოირჩეოდა და დივერგენციის შედარებით ნაკლებ თვისებებს ამჟღავნებდა, დაიყო შემდეგ დიალექტებად: ა) ხუნძახური; ბ) ანწუხური; გ) ჰიდურ-ანდალალურ-ყარახული; დ) ქარული [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 6-7].<sup>10</sup>

ანდიური ენებიდან, როგორც აღინიშნა, იმთავითვე განყენებულად უნდა მდგარიყო ახვახური ენა, განსაკუთრებით მისი ჩრდილოური დიალექტი [მაჰომედბეგოვა 1967, 6], რასაც ადასტურებს, ბგერათშესატყვისობათა განსხვავებული სურათის გარდა, ისეთი ინოვაციური და არქაული მოვლენები, რომლებიც ერთმანეთის გვერდით იჩენენ თავს. ამიტომ ყველაზე მეტად დაშორებულია ახვახური ანდიურისაგან [გულდავა 1967, 272]. დროთა ვითარებაში საერთო-ანდიური, ახვახურის გამოკლებით, უნდა დაშლილიყო ასე: ა) ანდიურ-ბოთლიხურ-კარატაული;<sup>11</sup> ბ) ბაგვალურ-ჰამალური [შდრ. გულდავა 1967, 272; 1971, 4; ალექსეევი 1988, 3; შდრ. დიაკონოვი, სტაროსტინი 1988, 165]. თავის მხრივ, ზოგი ანდიური ენა იყოფა დიალექტებად [იხ. ჩიქობავა 1965, 9-10; ალექსეევი 1995, 8; ათაევი 1996, 13].

რაც შეეხება საერთო-დიდოური ენის დიფერენციაციას ცალკეულ ენებად, შეიძლება იგი ასე დაჯგუფდეს: ა) დიდოურ-ჰინუხური; ბ) ზეარ-შიული; გ) ბეჟიტური. თითოეულ ენას, ჰინუხურის გარდა, მოეპოვება

<sup>8</sup> ბუნებრივია, თავდაპირველად საერთო-ანდიურშიც უნდა გვეპოვნოდა მეტ-ნაკლებად განსხვავებული დიალექტები, რომელთაგან ახვახურს, როგორც იმთავითვე განცალკევებით მდგომ ერთეულს, პირველს უნდა მიეღო დამოუკიდებელი ენის სახე.


ენათა დივერგენციის პროცესი ხანგრძლივი და ურთიერთშექცევადია. სამ ენობრივ ერთეულად გაყოფის მიმდინარეობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მას შემდეგ ეს ენები (განსაკუთრებით მათი უშუალოდ მოსაზღვრე წევრები) ერთიანობის ნიშნებს აღარ ამჟღავნებდნენ.

<sup>10</sup> შ. მიქაილოვი ცხრა დიალექტს გამოყოფს: ექვს — სამხრულ მეტყველებაში, სამს — ჩრდილოურში [მიქაილოვი 1959, 5; შდრ. ათაევი 1996, 12].


<sup>11</sup> კარატული, ანჩიხური თქმის მიხედვით, ახლოს დგას ბოთლიხურთან [მაჰომედბეგოვა 1971, 9]. ამის გამო, მას პირობითად პირველ წყებაში ვეერთიანებთ.

დიალექტები [იხ. ბოკარევი 1967, 418, 433, 469; იმნაიშვილი 1963, 9-10; ლომთაძე 1994, 9-10].<sup>12</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეების ლიფერენციაცია სქემატურად, დიაგრამის სახით, ასე გამოიხატება:



მოგვიანებით საერთო-ანდიური და საერთო-დილოური ენების დაშლა შემადგენელ ენობრივ ერთეულებად სქემების სახით ასე წარმოიდგინება:



<sup>12</sup> დილოურ ენათა ქვეჯგუფში ზოგი მკვლევარი სამ ენას გამოყოფს [ლომთაძე 1994, 9], ზოგი — ხუთს [ბოკარევი 1959, 5], ზოგი კი — ექვსს [ციბრიცი, კობასოვი 1990, 27].

ზემომოყვანილ დიაგრამასა და სქემებში არ აისახება ცალკეულ ენათა დაყოფა დიალექტებად, რაც ისედაც კარგად არის ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან. გარდა ამისა, საკვლევ ენათა დიფერენციაციის პროცესის რელატიური ქრონოლოგია ასე თუ ისე დაცულია, თუმცა ფუძენის ქვეფუძენებად დაშლის დათარიღება და მათი შემდგომი ევოლუციის მიმდინარეობის გათვალისწინება საგანგებო მსჯელობის საგანია.

უნდა ითქვას, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ეთნოგენეზის საკითხები სათანადოდ არ არის შესწავლილი, თუმცა მათი წარმომავლობითი ნათესაობა სხვა დაღესტნელ ხალხებთან სადაო არ არის. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია ისიც, რომ მათი გამოყოფა მონათესავე დაღესტნელი ხალხებისაგან და, შესაბამისად, დაღესტნურ ენათა დივერგენცია უნდა განხორციელებულიყო დაახლოებით ძვ. წ. 2300 წლისთვის [გიგინეიშვილი 1977, 25; ალექსეევი 1986, 139; შდრ. ბოკარევი 1961, 17].

ისმის კითხვა: როგორ უნდა დათარიღდეს ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ფუძენის ისტორიული დივერგენცია?

თანამედროვე კომპარატივისტიკას ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერჯერობით სხვა ალტერნატიული საშუალება არ მოეპოვება, გარდა მ. სვოდეშისა და რ. ლისის გლოტოქრონოლოგიური (resp. ლექსიკოსტატიისტიკური) მეთოდისა [სვოდეში 1960, 23-87], რომლის გამოყენებით მიღებული შედეგები, საყოველთაოდ ცნობილი ნაკლოვანების გამო [ბოკარევი 1961, 18; გიგინეიშვილი 1977, 26], უნდა დაზუსტდეს არქეოლოგიის, ნასესხები ლექსიკის გეოგრაფიის, ლითონთა სახელების, ეთნოლოგიური რეალიებისა და ლინგვისტური პალეონტოლოგიის მონაცემების გათვალისწინებით [სვოდეში 1960, 54].

ჩვენ შევადგინეთ საბაზისო ლექსიკის სია, რომელშიც გავაერთიანეთ სომატური ტერმინები, მიწათმოქმედებისა და მცენარეთა სახელწოდებანი. საცდელ სახელთა რიცხვმა 200 სალექსიკონო ერთეულს ცოტათი გადააქარბა. ამ სახელთა ლექსიკოსტატიკური მეთოდით გამოთვლის შედეგად 81 პროცენტია კონსტანტის პირობებში თანხვედნათა ინდექსმა 31% შეადგინა, რაც მ. სვოდეშის ფორმულების მიხედვით [1960, 46-47, 56], ათასწლეულთა ჯამი 2,900 წელიწადს უდრის. ეს ნიშნავს, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა დაშლა უნდა დაწყებულიყო ჩვენს ერამდე II-I ათასწლეულთა მიჯნაზე [შდრ. ათაევი 1996, 24; 1998, 136-138]. აქედან გამომდინარეობს, რომ საერთო-დაღესტნური ენის (XXIII ასწლეულის ბოლო ქრისტეშობამდე) დივერგენციის შემდეგ საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენას უნდა ეარსება 1000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

დიფერენციაციის მეორე ეტაპი, რაც წინარეხუნძურისაგან საერთო-ანდიურის გამოყოფას გულისხმობს, პირობითად იგი შეიძლება დათარიღდეს V-IV საუკუნეებით ახ. წელთარიცხვამდე [შდრ. ალექსეევი 1995, 8].

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, არაა სათანადოდ არგუმენტირებული ასურეთის მეფე სარგონ II-ის საზეიმო წარწერაში ნახსენები „ანდიელისა“ და ირანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა

„ანდიუ“ სახელთა იდენტიფიკაცია [აგლაროვი 1994, 40-41],<sup>13</sup> რადგან ამ დროისათვის ცალკე ეთნონიმად „ანდიელი“ (resp. ანდი) არ უნდა არსებულებოდა.

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მეფე საურმაგმა ქრისტესობამდე III ს.-ში „დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე“ ჩამოსახლა ჩრდილო-კავკასიელი ტომები. ვფიქრობთ, დიდოეთი, როგორც ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ამ დროისათვის რეალური ჩანს.

საერთო-ხუნძურ-ანდიური ენობრივი ერთობისაგან დიდოური ფუძეენის გამოყოფა ადრეულ რკინის ხანაში უნდა მომხდარიყო, როდესაც ბრინჯაოს ნახელავის გვერდით ფეხს იკიდებდა რკინის იარაღები. ამ ხანისათვის ფართოდ გამოიყენებოდა ვერცხლისა და ოქროს ნაწარმი, რაც ფაქტობრივ საერთო-დაღესტნური ფუძეენის დაშლის დროინდელია და საკვლევ ენებშიც კანონზომიერი შესატყვისობებით არის წარმოდგენილი [გიგინეიშვილი 1977, 28].

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს ამ ენათა დივერგენციის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რკინისა და მისი ნაწარმის სახელებს,<sup>14</sup> რომელთა პოვნიერება ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ნაკლებსავარაუდოა:

„რკინა“: ანდ. ჭუბ: ბოთლ. ჭობი: კარ. ჭუბა: ჭამ.: ჭობა: ბაგვ. ჭუბი „რკინა“ ~საკ. დიდ.: ჰინ. ჭებუ: ხვარ. ჭუბუ: ბეე. ჭობო „ტყვი“ > „ჰალა“.<sup>15</sup>

„სახნისი“: ბოთლ. ყუბუ: ჭამ.: ბაგვ. ყობ: კარ. ყობო: ახვ. ყობე ~საკ. დიდ. ვ'უ: ჰინ. ვუ: ხვარ. ვ'უნ: ბეე. ვ'ონ (ჰუნზ. ვე).

„ნამგალი“: ანდ. ნიჩო. ბოთლ. ტინდ.: კარ.: ახვ. ნიჩა: ბაგვ. მიჩა (<\*ნიჩა): ჭამ. ნიშა ~საკ. დიდ.: ჰინ. ნეშუ: ხვარ. ნიშუ: ბეე. მი'შუ (<\*ნიშუ) „ნამგალი“, „ხანჯალი“...

გარდა რკინეულის ლექსიკისა, ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანაში გარდამავალ პერიოდს მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ ხდება ქვის-კედლიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა,<sup>16</sup> რაც თავს იჩენს ეთნოლოგიურ რეალიებში [ალექსიევი 1986, 139-140]. სწორედ სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული ლექსიკა ამჟღავნებს დიდ სიძველეს და ბგერათშესატყვისობით გვიდასტურებს სავარაუდო ხანისათვის საკვლევ ენათა დიფერენციაციას:

„სახლი“: ხუნძ. რუყ ~ ანდ. ჰაყუ: ბოთლ.: ჰანყუ: ჭამ. ჰა'ყუ: ~ ხვარ. ა'ჭ (ინზ. აჯ): ბეე. ჯო (ჰუნზ. ჯოჯო).<sup>17</sup>

<sup>13</sup> მ.ხ. აგლაროვი მეფე სარგონის ცნობებს ძვ. წ. IX საუკუნეს განაკუთვნებს, სინამდვილეში სარგონმა ურარტუ დალაშქრა ძვ. წ. 714 წელს [ჩანაშაი 1987, 31].

<sup>14</sup> რკინის ხანის დასაწყისს ჩვეულებრივ I ათასწლეულის დადგომას უკავშირებენ [ჩანაშაი 1987, 30].

<sup>15</sup> ამავე ძირის შემცველი ჩანს საკ. დიდ. გერ (<\*ქერ): ჰინ. ქერ: ხვარ. ქელ: ბეე. ქელ „რკინა“ [შდრ. გუდავა 1979, 72; ლომთაძე 1962, 290].

<sup>16</sup> ცნობილია, რომ დაღესტანში თანამედროვე საცხოვრებელი სახლის პროტოტიპი გამოქვაბული იყო [ნიკოლსკაია 1947, 155; მუსაევა 1995, 40].

<sup>17</sup> ჰუნზ. კოჯო რედუბლიცირებულია [ლომთაძე 1962, 293; გუდავა 1979, 170]. მისი ცალკეული კომპონენტი (ჯო) „ჰომლს“ ნიშნავს ისევე, როგორც ბეეიტურში (შდრ. ჯაშარ+ჯო „ხაშარხობა“, ზედმიწ. „პირს+ბოლი“). ამ შემთხვევაში „ჰომლი“ „სახლის“ გადააზრანებით ჩანს მიღებული (შდრ. გოტ აკვამლი“).



ქვის „ქედელი“: ხუნძ. ყედ ~ ანდ. ყე<sup>ნ</sup>: ბოთლ. ყინდა.: ღოდ. ყუ<sup>ნ</sup>: ქამ. ყუნა: ბაგვ. ყინ (ტინდ. ყენა): კარ. ყენი: ახვ. ყენდა ~ საკ. დიდ. ჰილო: შინ. ჰეშუ: ხეარ. ჰად (ინხ. ჰუოლ).

„ჰარი“: ხუნძ. ნუწა ~ ანდ.: ბოთლ.: კარ. შინწუ: ღოდ. შინცუ: ქამ. შინწა: ბაგვ. შუწა (ტინდ. შინ<sup>ნ</sup>ცუ): ახვ. იწა ~ საკ. დიდ.: შინ. ცაც: ხეარ.: ბეე. ცა<sup>ნ</sup>ც: შუნზ. ჰე<sup>ნ</sup>ცუ...

ამ რიგის (გვიან ბრინჯაოს ხანიდან რკინის ადრეულ ხანაში გარდა-მავალი პერიოდის საცხოვრებელი სახლის ნაწილების გამომხატველ) ლექ-სიკაშიც თვალნათლივ ჩანს ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძეების დაშლის პირველი ეტაპის დასაწყისი.

**5. ენათა და დიალექტთა გამიჯვნის კრიტერიუმისათვის.** ცნობილია, რომ ენობრივი სისტემის ყოველი რგოლი დროსა და სივრცეში მუდმივად იცვლება. ენის ევოლუცია სტრუქტურულ ცვლილებასთან ერთად თვისებრივ ცვლილებასაც არ გამორიცხავს. მართალია, ენის ქვესისტემების სახეცვლილება არათანაბარია, მაგრამ მთლიანად მისი ევოლუცია გარდაუვალია, რაც ენობრივ უნივერსალიათა რიცხვს განეკუთვნება.

ენის თანასისტემათა — დიალექტთა ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება ხდება ამა თუ იმ ტერიტორიაზე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. აქედან გამომდინარე, დიალექტი განიმარტება, როგორც მოცემული ენის ისეთი თვისობრივი უწყვეტობა (კონტინუუმი), ისეთი მიკროსისტემა, რომელიც ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ თავისებურებათა (ცვლილებათა) ერთობლიობას წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით, ენისა და დიალექტის გასამიჯნავად ყოველგვარი მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება დამოკიდებულია საკვლევ ენათა იმანენტურ ბუნებაზე.

ცნობილია, რომ ენობრივ ერთეულთა უფლებრივი სტატუსის დასადგენად თანამედროვე ლინგვისტიკას არ მოეპოვება ერთიანი, ზუსტი და შემოწმებადი კრიტერიუმი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოში დაახლოებით 5000 ენობრივი ერთეულის სტატუსი განსაზღვრული არ არის. 1990 წელს გამოცემულ ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში კვითხულობთ: „(ენათა — ნ. ა.) ზუსტი ციფრის დადგენა შეუძლებელია იმიტომ, რომ ერთი ენის სხვადასხვა ენათა და დიალექტთა შორის განსხვავება პირობითია“ [ლელ 1990, 609].

ვინიადან თანამედროვე ენათმეცნიერებას არ მოეპოვება ენათა და დიალექტთა სტატუსის განსასაზღვრად სათანადო მეთოდი, შემოგვავს ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე რეალიზებულ ცვლილებათა ხარისხისა და პროცენტული მაჩვენებლის კომპლექსური კრიტერიუმი. ეს კრიტერიუმი ითვალისწინებს აგრეთვე კანონზომიერი, რეგულარული სახის ბგერათმესატყვისობებსაც და სუბრასემენტულ მოვლენათა (პროსოდია, ინტონაცია, მეტყველების ტემპი, რიტმი და ა. შ.) თავისებურებებსაც.

ენისა და დიალექტის გასამიჯნი კრიტერიუმის შესახებ სპეციალურ

ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.<sup>18</sup> განსხვავებული თვალსაზრისები, რომლებიც წამოყენებულია სხვადასხვა თაობის ენათმეცნიერთაგან, ემყარება ენობრივ ერთეულთა სხვადასხვა კუთხით ანალიზსა და ამ ანალიზით მიღებული დასკვნა-განზოგადებების ნაირგვარ ინტერპრეტაციებს, რომელთაგან ზოგი მათგანი ნაკარნახევია სუბიექტური მოსაზრებითაც.

სპეციალური ლიტერატურის გაცნობისას ძირითადად სამი თვალსაზრისი გამოიკვეთება: ა) ენათმეცნიერთა ერთი ნაწილისთვის კონკრეტული ენისა და დიალექტის (დიალექტების) გასამიჯნად საკმარისია გაგებინების ფაქტორი;<sup>19</sup> ბ) მეორენი საკმარისად თვლიან ბგერათშესატყვისობათა არსებობას; გ) მესამენი კი წინა ორ ნიშანს (გაგებინებასა და ბგერათშესატყვისობას) უმატებენ სისტემურობას და შერეულ კრიტერიუმს გვთავაზობენ [დაწვრილებით იხ. გვანცელაძე 2006, 40-103].

კანონზომიერი და რეგულარული არაიდენტური ბგერათშესატყვისობა, რომელიც წარმოადგენს ორ ენობრივ ერთეულს შორის კანონზომიერ ფონემურ ფარდობას, თავდაპირველად ამა თუ იმ ენის (resp. ფუძემენის) ტერიტორიულ მიკროსისტემაში ჩნდება. ამგვარ ენობრივ ერთეულში განხორციელებული სხვადასხვა სახის (ფონეტიკური, მორფონოლოგიური, სინტაქსური...) ცვლილებანი თანდათან სცილდება დიალექტის საზღვრებს,<sup>20</sup> თვისობრივ ცვლილებათა ზრდისა და მეტი სისტემურობის შექმნის შედეგად მოცემული დიალექტი დამოუკიდებელ ენად ყალიბდება.

მაშასადამე, ენათა საკლასიფიკაცია ნიშნად ბგერათშესატყვისობის კრიტერიუმის გამოყოფა ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა, სხვაგვარ ცვლილებათა უქონლობის პირობებში, უკმარი. როგორც ჩანს, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შესატყვისობის რეგულარულობისა და სიმრავლის კოეფიციენტსაც, ვინაიდან კანონზომიერი ფონემური ფარდობანი ხელშესახებია არა ოდენ დიალექტებში, არამედ თქმებშიც კი (sic!). სხვა სახის ცვლილებათა ერთგვარობის (resp. უქონლობის) პირობებში დიალექტებში (resp. თქმებში) პოვნიერ შესატყვისობათა რეგულარულობისა და რაოდენობის კოეფიციენტი ჩვეულებრივ ნაკლებია ენებში დადასტურებულ შესატყვისობათა შესაბამის სიდიდეებთან შედარებით. ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს ახვახური ენის ორ (ჩრდილოურ და სამხრულ) დიალექტს შორის გამოვლენილი ბგერათშესატყვისობანი [მაჰომედბეკოვა 1967, 17-27]. ჩვენი დაკვირვებით, შესატყვისობა, რომელიც ამ ენაში გვხვდება და არა-

<sup>18</sup> ბოლო ხანებში ამ საკითხის თაობაზე მწვავე დისკუსია გაიმართა ქართველოლოგიაში [იხ. ონიანი 2003; ფუტყარაძე 2005; გაბუნია 2004; ბოლდერი 2005; გვანცელაძე 2006; ქედ 2007 და სხვ.].

<sup>19</sup> გაგებინების კრიტერიუმს ვერ მივიხვეთ რელევანტურად თუნდაც იმის გამო, რომ იგი ენაში რეალიზებული სხვადასხვადროული და სხვადასხვაგვარი ცვლილებების შედეგია. ამიტომ ენობრივი ცვლილებანი და გაგებინება დიფერენციაციის ორი ნიშანი კი არ არის, არამედ მეორე პირველისაგან გამომდინარეობს.

<sup>20</sup> დიალექტურ ვარიაციათა ჩამოყალიბებას მრავალგვარი პროცესი განაპირობებს: ა) ფონეტიკურ-ფონოლოგიური, ბ) მორფონოლოგიური, გ) მორფოლოგიური, დ) სინტაქსური, ე) ლექსიკური, ვ) სემანტიკური, ზ) არეალური და ინტერფერენციული (სხვა წრის ენებთან მეზობლობა) და ა. შ.

რეგულარული ბუნებისაა, დასტურდება არა იმდენად ზემოხსენებულ დიალექტებს შორის, რამდენადაც სამხრული დიალექტის თქმებს შორის. კერძოდ, სამხრული დიალექტის რატლუბური თქმა, რომელიც, ცალკეული მოვლენების გამო, ჩრდილოური დიალექტისაქენ იხრება, უპირისპირდება იმავე დიალექტის ჰლანუბურსა და წეგობურ თქმებს. საილუსტრაციო მაგალითები:

საერთო ამოსავალი	რატლ.	წეგ.	მნიშვნელობა
*ტ'	ტ'	ტ	
	ტ'არა	ტარა	„თავთავი“
	ტ'ა	ტა	„ზედ“
	რეტ'ა	რეტა	„ხელი“
	ტ'ალი	ტალი	„ფურცელი“
*ლ <sup>ვ</sup>	ლ <sup>ვ</sup>	ლ'	
	ლ <sup>ვ</sup> ესა	ლ'ესა	„მდინარე“
	ლ <sup>ვ</sup> ადუა	ლ'აბდა	„სამი“
	რალ <sup>ვ</sup> ა	რალ'ა	„ღამე“
	დილ <sup>ვ</sup> ა	დილ'ა	„მე (მიც.)“
*ჯ'	ჯ'	ხ	
	ჯ'ა	ხა	„თხოვნა“
	ჯ'ანუ	ხანუ	„კვერცხი“
	უნ <sup>ვ</sup> ჯ'ა (<*ნუჯ'ა)	ნიხა	„შვრია“
	ჯ'ური	ხური	„ყანა“
*ყ'	ყ'	ყ'    ც	
	ყ'ელი	ყელ	„პირი“
	ყ'ორი	ყორ	„დაფა“, „ფიცარი“
	ყ'ობიკა	ყობკა	„ხმალი“
	ბეყ'ი	ბაყი	„ცოდნა“

არაინტენსიურ აბრუბტივ ყ'-ს მაგალითზე თვალნათლივ ჩანს შესატყვისობის ფორმირების დინამიკა: ჩრდილოურ დიალექტში დაცული ყ', არქიფონემის სახით, წესისამებრ შემონახულია რატლუბურ თქმაში, ხოლო ჰლანუბის თქმაში უნდა შეცვლილიყო, მაგრამ პარალელურ ფორმებში შემორჩენილა. აქ შესატყვისობა ჩამოყალიბების პროცესშია, ხოლო

წეგობურ თქმაში ეს პროცესი ( $\psi' > \psi$ ) დასრულებულია.

სპონტანურად ცვლილ ფონემათა კანონზომიერი შეფარდებანი, რაც კომპარატივისტიკაში ბგერათშესატყვისობის სახელით არის ცნობილი, არასისტემური სახით გვხვდება ხუნძური ენის ანწუხური დიალექტის ორ თქმაში — ტოხურსა და ჭადაქოლოურში [ცერცვაძე 1948, 136-142].

ტოხურ და ჭადაქოლოურ თქმათა სათანადო მონაცემების შედარება ცხადყოფს, რომ ამ ენობრივ ერთეულებში ხმოვანთა შესატყვისობა მწყობრი სისტემის სახით კი არ დასტურდება, არამედ იგი არარეგულარული ხასიათისაა. კერძოდ, თუ მკაცრი კომპარატივისტული პრინციპით მივუღებთ, ხმოვანთა სისტემაში შესატყვისობანი უნდა გამოერიცხოთ, რადგან გვხვდება ან ოდენ ხმოვანთა პოზიციური ცვლა (ხერაბ < \*ხერიდაბ < \*ხირიდაბ < ხირიდაბ „ძვირფასი“, ჭუაჟი < ჭუაზი < ჭუაზე „წერა“, კიგუ < კიგო „ორი“...), ანდა სუბსტიტუცია ხდება ცალკეულ შემთხვევებში (ანწ. ზორ: ხუნძახ. ზარ „მუშტი“...). და არა ამა თუ იმ ხმოვნის დასაშვებ ყველა ფონოლოგიურ პოზიციაში. ამით ჩანს შეპირობებული ის გარემოება, რომ ილ. ცერცვაძე ტერმინად იყენებს ხმოვანთამონაცვლეობას და არა ხმოვანთა შესატყვისობას [ცერცვაძე 1948, 145-147; შდრ. მიქაილოვი 1958, 126-130].

რაც შეეხება საანალიზო თქმების თანხმოვანთა ფონოლოგიურ სისტემას, შესატყვისობანი დასტურდება ზოგ აფრიკატსა (ძ, წ, ჯ, ჩ, ჭ) და სპირანტებში (ზ, ხ, შ, ლ) [ცერცვაძე 1948, 135-142; მიქაილოვი 1958, 76, 97-102; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 59, 69-75]. შეიძლება ბგერათფარდობა სხვაგანაც გამოვლინდეს (ხუნძახ. ხ: ანწ. ჭ), მაგრამ მას სისტემატური ხასიათი არ აქვს — შესატყვისობის ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული არ არის.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხანდახან სხვადასხვა არფიქონემათა რეფლექსების დამთხვევა ხდება: ს > შ, ს (< ც) > შ.

საერთო ამოსავალი	ტოხ.	ჭადაქ.	მნიშვნელობა
*ს	ს	შ	
	სორდო	შორდო	„ღამე“
	ნუს	ნუშ	„დანა“
	ნუსგუ	ნუშგუ	„ასი“
	სონ	შონ	„წელიწადი“
*ც	ს	შ	
	სი	ში	„დათვი“
	ოს	ოშ	„ხარი“
	სერ	შერ	„მელა“
	ბერსინ-	ბერშინ-	„ლამაზი“

მაშასადამე, ანწუხური დიალექტის ორ (ტოხურსა და ჭოდაქოლოურ) თქმას შორის ბგერათშესატყვისობას მხოლოდ 10 თანხმოვანი გვიჩვენებს, ხოლო 30-ზე მეტი თანხმოვანი მოკლებულია ამგვარ კანონზომიერ ფონემურ ფარდობას.<sup>21</sup> ბუნებრივია, ისეთ პირობებში, როცა ორ ენობრივ ოდენობას შორის ფონემათა კანონზომიერი მიმართებანი მოიცავენ ფონოლოგიური სისტემის მარტოოდენ 25%-ს და სხვა მხრივ მათ შორის არსებითი სხვაობა არ შელავნდება, მართებული არ იქნება მათი ორ დამოუკიდებელ ენად მიჩნევა [შღრ. ჭურდიანი 1996, 26].

რაც შეეხება ხუნძახურისა და ანწუხურის ურთიერთმიმართების საკითხს, მათ შორის დივერგენციის ხარისხი, ტოხურისა და ჭადაქოლოურისაგან განსხვავებით, ოთხი ფონემის კანონზომიერი შესატყვისობით არის გაზრდილი (ხუნძახ. ჟ, ლ', ზ, ქ; ანწ. ჯ, თ, ჰ, წ). მიუხედავად ამისა, სხვა რიგის განსხვავებების უქონლობის პირობებში, ანწუხურის გამოყოფა ცალკე ენობრივ ერთეულად დიდ დაბრკოლებას წააწყდება, რადგან არან. ჩიკობავას მახვილგონიერული შენიშვნით კანონზომიერი შესატყვისობა ბგერათგადაწვევის ფაქტებზე ყოველთვის ახალ ენას როდი ნიშნავს“ [იხ. ცერცვაძე 1948, 142].<sup>22</sup>

ამრიგად, ბგერათშესატყვისობის კრიტერიუმში საკმარისი საფუძველი არ არის ენისა და დიალექტის გასამიჯნავად მით უფრო მაშინ, როცა ეს შესატყვისობა სულ რამდენიმე ფონემას ეხება და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს.

ენათა და დიალექტთა არაადეკვატური კვალიფიკაციის გათვალისწინებით, შემოგვაქვს ენობრივ ცვლილებათა (თავისებურებათა) ხარისხისა და პროცენტული მაჩვენებლის კომპლექსური კრიტერიუმი. იგი გულისხმობს: იმ შემთხვევაში, თუ ორ მონათესავე ენობრივ ერთეულს შორის ენობრივი იერარქიის რომელიმე ერთ დონეზე ცვლილებებს სისტემური ხასიათი აქვთ და ისინი 50%-ს აჭარბებენ, მაშინ ეს ოდენობანი დამოუკიდებელი ენებია.<sup>23</sup>

ზემოჩამოყალიბებული წესის მიხედვით, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა კლასიფიკაცია მცირედენ ცვლილებას განიცდის, თუმცა საკვლევ ენათა საფუძვლიანი და საბოლოო დაჯგუფება მომავალი სპეციალური კვლევა-ძიების საქმეა. ამჟამად, ჩვენ შემოვიფარგლებით ორი ახლომონათესავე ენის (ერთი მხრივ, ბოთლიხურისა და დოდობერიულის, ხოლო,

<sup>21</sup> ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივ ერთეულთა გასამიჯნად და საკლასიფიკაციოდ ბგერათიფიკაციის (resp. იდენტური ბგერათშესატყვისობანი) არ გამოგადგება.

<sup>22</sup> ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ საანალიზო ენობრივ ერთეულს შორის არსებული ბგერათშესატყვისობანი რეგულარობის ხარისხითა და ფონოლოგიური სისტემის მომცველობით უფრო ხელშესახებია, ვიდრე ანდიურ (მაგალითად, ბოთლიხურ-დოდობერიულ, ბავალურ-ტინდიურ), ან დიდოურ (მაგალითად, საქ. დიდოურ-ჭინუხურ) ენებში დადასტურებული ბგერათშესატყვისობანი. ჩანს, წინამორბედი მკვლევრები მათი კვალიფიკაციისას, ბგერათშესატყვისობათა გარდა, სხვა განსხვავებებსაც ითვალისწინებდნენ.

<sup>23</sup> თუ ენობრივი იერარქიის ყველა ან მეტწილ დონეებზე რეალიზებულ ცვლილებათა 30%-ს სცილდება, მაშინაც კომპარატივისტიკის პოზიციებიდან ორი მონათესავე ენობრივი ერთეული დამოუკიდებელი ენების სტატუსს იძენს.

მეორე მხრივ, ბავალურისა და ტინდიურის) შედარებით.

ბოთლიხური და ლოდობერიული ენების (resp. კილოების) ლინგვისტურ მონაცემთა შედარების საფუძველზე მიღებული მსგავსება-განსხვავებანი ასეთ სახეს მიიღებს:<sup>24</sup>

1. ვოკალური სისტემები ერთგვარია: გვხვდება ხუთი ორალური (ა, ე, ი, ო, უ) და ხუთი ნაზალიზებული (ან, ენ, ინ, ონ, უნ) ხმოვანი.

2. კონსონანტურ სისტემაში მცირეოდენი სხვაობაა: ბოთლიხურისაგან განსხვავებით, ლოდობერიულში გვაკლია მქლერი აფრიკატი ჯ, ორი აბრუპტიული ინტენსიური აფრიკატი წა, ჭა (\*წა > წ, \*ჭა > ჭ) და ხშულ-მსკდომი ინტენსიური აბრუპტივი კა (\*კა > კ). ლოდობერიული ენის ზიბირხალურ კილოკავში დასტურდება პალატალიზებული წინაველარული ბგერები გ', ქ', ჭნ', კ' [საიდოვა 1973, 13], მაგრამ ისინი ფონემურ სტატუსს მოკლებულნი უნდა იყვნენ [შდრ. გუდავა 1967, 308].

3. დადგენილ ბგერათშესატყვისობათა თანხვედრის კოეფიციენტი 86%-ს შეადგენს: ბოთლიხურსა და ლოდობერიულს შორის (ფორმულაში: ს.აშოს. > ბოთლ.: ლოდ.) სხვაობას გვიჩვენებს შესატყვისობის შეიდი წვერი, რომელთაც ნაირგვარი ცვლილებები განუცლიათ: ინტენსიური აბრუპტივები (\*წა > წა : ცა, \*ჭა > ჭა : ჩა, \*კა > კა : ქა, \*ყ' > ლ : ც), ლატერალები (\*ლ' > ლ : ლ', \*ტ' > ტ : ლ, \*ლ' > ლ : ლ').

4. ორივე შესადარებელ ენაში მახვილი სუსტი, დინამიკური და მოძრავია. მასთან, აქვს დისტინქციური ფუნქცია: ბოთლ. მასა! თქვი! მაა „უთხრა“, ბეტან „ხენა“ — ბეტთ „გომური“...; ლოდ. ბასა! „თქვი!“ — ბაა „თქვა“, ბეტან „ხენა“ — ბეტთ „გომური“, ბანა! „აიღე!“ — ბანა „დაინგრა“ და მრ. სხვ.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიც გვიდასტურებენ, მახვილი ძალიან ხშირად ორსავე ენაში ერთსა და იმავე ხმოვანს მოუღის. მსგავსია აგრეთვე მეტყველების ტემპი და ინტონაცია.

5. არც კომბინატორული ფონეტიკური პროცესები იძლევა თვალსაჩინო ცვლილებებს. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ასიმილაცია, დისიმილაცია, რედუქცია, პალატალიზაცია, ნაზალიზაცია, დელაბიალიზაცია, სუბსტიტუცია და მისთ. განსაკუთრებით დიდ სიახლოვეს ლოდობერიულ ენასთან ბოთლიხური ენის მთავარი კილოკავი ამჟღავნებს. როგორც ტ. გუდავა წერს: „ის, რაც მთავრულს ბოთლიხურისაგან განასხვავებს, უმეტეს შემთხვევაში ლოდობერიულთან პოულობს საერთოს (ეს ასეა ფონეტიკაშიც, მორფოლოგიაშიც, ლექსიკაშიც)“ [გუდავა 1963, 25].

6. მხ. რ.-ში კლასთა სისტემა ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებს: I კლ. უ, II კლ. ხ, III კლ. ბ. მრ. რ.-ში ხდება სახელთა მეტნაკლებად განსხვავებული დაჭფუფება და კლასის ექსპონენტების შენაცვლება: ბოთლ. „ცოცხალი“ (ჩ-ლ-ლ) — „არაცოცხალი“ (ბ): ლოდ. „ადამიანის კლა-

<sup>24</sup> ეს თემა ცალკე გამოკვლევის საგანია, ამიტომ აქ მას დაწერილებით ვერ შევხებით.

სი“ (ბ) — „ნივთთა კლასი“ (რ).

7. მართალია, არსებით სახელთა მრავლობითის ყველაზე საწარმოებელი ფორმანტი (ბოთლ.-ბღაღ'ი, -დიღ'ი... : ლოდ. -აღღი, -ბეღი, -ზაბე...) ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ გვაქვს როგორც საანალიზო ფორმანტთა (ბოთლ. -ე, -ღე : ლოდ. -ე, -ღი), ისე ა, ი ხმოვნებით ნაწარმოებ ფუძეთა და სადა ფუძეთა თანხვედნის ფაქტები.

8. სახელთა ბრუნებაში არაიშვიათად გვხვდება ერთგვარი მოვლენები. კერძოდ, ორსავე საანალიზო ენაში გვაქვს: ა) ერთფუძიანი ბრუნება, როდესაც საბრუნებელი სახელის ფუძედ ნომინატივის მზამზარეული ფორმაა გამოყენებული. ბ) ორფუძიანი ბრუნება, რომლის დროსაც საბრუნებელი სახელის ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფუძე ნაწარმოებია ან ა, ი, უ ხმოვნების მეშვეობით (I ტიპი), ანდა საბრუნებელი სახელის ფუძედ გამოყენებულ სახელობითი ბრუნვის ფორმაზე შაუ, ლ'ი ელემენტების დართვით. ბრუნვის ნიშანთა ერთიანობაც ხშირად ნათელია (მაგალითად, ერგ.: ბოთლ. -ღი : ლოდ. -ღი). ლოდობერიულში დამატებით გამოიყოფა -რ<sup>25</sup> ნიშნიანი აფექტური ბრუნვა.

9. თანხვედნები ხშირია ლოკატიურ ბრუნვათა სისტემაში, თუმცა განსხვავებებიც შეიმჩნევა. კერძოდ, ბოთლიზურში ლოკატიურ ბრუნვათა ექვსი სერია გვაქვს, ხოლო ლოდობერიულში მათი რიცხვი შვიდს აღწევს. თანხვედნასთან ერთად გვაქვს სხვაობები ბრუნვათა ფორმანტების სტრუქტურის მხრივაც.

10. ორივე ენისთვის დამახასიათებელია კლასოვანი უღვლილება. ერთგვაროვანია როგორც ზმნის მორფოლოგიური, ისე უღვლილებისა და წარმოქმნის კატეგორიები. კერძოდ, ორსავე ენაში: ინფინიტივის მარკერია -ი, ინფინიტივის ფორმისაგან -რ ნიშნით იწარმოება მასდარი, ნამყო დროის ფორმანტია -ა, ბრძანებით კილოს -ი და -ა სუფიქსები აწარმოებენ, უარყოფითობის სუფიქსად -ჰი გვხვდება და ა. შ.

სიახლოვესთან ერთად, განსხვავებაც ვლინდება კაუზატივის წარმოებაში (ბოთლ. -ა : ლოდ. -აღ), მყოფადი დროის წარმოებაში (ბოთლ. -იკაბ: ლოდ. -საუ).

11. თანხვედნები შეინიშნება მიმღეობათა წარმოებაში, მაგალითად: ბოთლ. ვჟარდ-ა-ბ: ლოდ. ვჟარდ-ი-ბუ „დაწერილი“...

ანალოგიური ვითარება გვაქვს სიტყვაწარმოებაში [იხ. გულავე 1963, 138-151; 1967, 319].

12. საანალიზო ენათა უღვტრები გვიჩვენებენ როგორც მსგავსებას, ისე თანხვედნას. კერძოდ, თანხვედნა გვაქვს: ლა „ცა“, „და“ (კავშ.), -ზა „რალა“, „აკი“, -და „ვე“ (ბოთლ. არუ-და „აქ-ვე“...), -ღ'ი „თან“, „იანი“. მსგავსება ვლინდება: ბოთლ. -ცაუ-ბ: ლოდ. -ცაი-მ-ა „ვით“, ბოთლ. -კა-ბუ: ლოდ. -გუბუ „რადგან“, „ი“...

13. მეტად მწირი მონაცემების გამო, რამდენადაც სინტაქსურ საკითხებზე შეგვიძლია მსჯელობა, სიახლოვე ამ ენობრივ ერთეულებს შორის

<sup>25</sup> ამ ფორმანტში რ კლასის გაქვავებულ ნიშნად მიიჩნევა [გულავე 1967, 312].

თვალსაჩინოა. ატრიბუტულ სინტაგმაში გაბატონებულია პრეპოზიციური წყობა, თუმცა პოსტპოზიციური წყობაც დაჩნდება კომპოზიტებსა და ტოპონიმიაში.

რაც შეეხება პრედიკატულ სინტაგმას, ყველგან სხვა ახლომონათესავე ენათა ანალოგიური ვითარება გვაქვს. Verba sentiendi-ს ტიპის ზმნე-ბიც თავისებურებებს (რეალური სუბიექტის მართვა მიცემითში) ერთნაირად წარმოგვიდგენენ.

14. ორსავე საანალიზო ენას თანაბრად ახასიათებს შემდეგი კონსტრუქციები: ა) ნომინატიური, ბ) ერგატიული, გ) დატიური, დ) პოსესიური, ე) ლოკატიური.

ზემოჩამოვლილ სინტაქსურ კონსტრუქციებში სახელისა და ზმნის ურთიერთობა ერთმანეთის ანალოგიურია.

15. ლექსიკური ფონდი (როგორც ძირეული, ისე ნასესხები ლექსიკური მარაგი) ორივე ენობრივი ერთეულისთვის ერთი და იგივეა. თანხედენა ხდება სემანტიკურ ღონეზეც.

ის მცირეოდენი სხვაობანი ლექსიკასა და სემანტიკაში, რაც აქა-იქ იჩენს თავს, კომპარატივისტიკის თვალსაზრისით ირელევანტურია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს დასკვნა: ბოთლიხური და ლოდობერიული, როგორც ენის სტატუსის მქონე ორი ერთეული ენობრივ ნიშანთა ტოლობის ისეთ ხარისხს ავლენს, რომ სავესებით შესაძლებელია მათი გაერთმინებელიანება და ერთ (ბოთლიხურ) ენად მიჩნევა სათანადო დიალექტებით: ა) საკუთრივ ბოთლიხური და ბ) ლოდობერიული.

ანალოგიურად აიხსნება, ერთი მხრივ, ბაგვალურისა და ტინდიურის, ხოლო, მეორე მხრივ, ბეჟიტურისა და ჰუნზიბურის ურთიერთმიმართების საკითხი, რის შედეგადაც გამოიყოფა თითო-თითო ენა: 1. ბაგვალური ენა (დიალექტებით: ა) კვანადური, ბ) ტინდიური);<sup>26</sup> 2. ბეჟიტური ენა (დიალექტებით: ა) საკ. ბეჟიტური, ბ) ჰუნზიბური).

გადასაწყვეტია ჰინუხური ენის საკითხი, რომელსაც ე. ლომთაძე [ლომთაძე 1963, 8] დიდოური ენის დიალექტად მიიჩნევს.

საკვლევ ენათა წამყვანი სპეციალისტები, ჩანს, ამჩნევდნენ ამ ენობრივ ერთეულთა შორის არსებულ თვალსაჩინო სიახლოვეს და ამიტომაც უწოდებდნენ მათ ენა-დიალექტებს (resp. ენა-კილოებს) თუ მცირე ენებს (resp. მიკრო-ენებს) [ჩიქობავა 1965, 9-10; ბოკარევი 1930, 25; გულაფა 1967, 272; 1971, 3-4...].

<sup>26</sup> წინამდებარე ნაშრომში საილუსტრაციო მაგალითები დამოწმებულია ძველი კლასიფიკაციით, რომელშიც ტინდიურსა და ლოდობერიულს ენების სტატუსი აქვთ. რაც შეეხება ბეჟიტურ და ჰუნზიბურ ენობრივ ერთეულთა ურთიერთმიმართების საკითხს, ამ მონოგრაფიის ავტორი სავესებით იზიარებს ე. ლომთაძის დასაბუთებულ თვალსაზრისს მათი ერთიანობის შესახებ და მათ ერთ ენად (ბეჟიტური) განიხილავს.



# პირველი ნაწილი

## ხმოვანთა სისტემა

### I თავი

#### ვოკალური სისტემის ზოგადი დახასიათება

**1.1. ზოგადი.** ხუნძური ენა კონსონანტიზმის უაღრესი სირთულის პირობებში ვოკალური სისტემის უჩვეულო სიმარტივეს ამჟღავნებს. ანდიურ ენებს მეტწილად ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემებს სირთულე თანაბრად ახასიათებს. რაც შეეხება დიდოურ ენებს, კონსონანტიზმი, გამარტივების გამო, დიდად სხვაობს ვოკალიზმისაგან, რომლის სირთულე უკიდურეს ზღვარს აღწევს — ბეჟიტური ენა 30 ხმოვან-ფონემას ითვლის. მიუხედავად ამგვარი სიჭრელისა, ამოსავალი მარტივი ვოკალური სისტემა გართულებულია ნაზალიზებული, პალატალიზებული (resp. უმლაუტიანი) და გრძელი სახესხვაობებით, რომელთა მეორეულობა ეჭვს არ იწვევს, ხოლო ზოგი მარტივი ხმოვნის ფუძემდებულობაც სათუთაა [ჩიქობავა 1979, 49].

ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენების ვოკალიზმის პარადიგმატული ანალიზისას<sup>27</sup> ხმოვანთა ყოველგვარი (კვალიტატიური, კვანტიტატიური) ოპოზიცია შეიძლება დახასიათდეს ეჭვის ნიშნის მიხედვით: 1) **ლოკალური რიგი**; 2) **ენის აწეულობა**; 3) **ბაგისმიერი-არაბაგისმიერი**;<sup>28</sup> 4) **გრძელი-არაგრძელი**; 5) **ნაზალიზებული-არანაზალიზებული**; 6) **პალატალიზებული-არაპალატალიზებული**.

**1.2. ხუნძური ენის ხმოვანთა სისტემა.** ხმოვანთა სისტემის სიმარტივით გამოირჩევა ხუნძური ენა, რომელშიც მხოლოდ ხუთი სადა ხმოვანი დასტურდება: **ა, ე, ი, ო, უ.** ამ ორალურ ხმოვანთა გვერდით, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, შეიმჩნევა შეზღუდული დისტრიბუციის მაგარშემართვიანი, ფარინგალიზებული, ლარინგალიზებული, პალატალიზებული, ნაზალიზებული ნაირსახეობანი, მაგრამ მათ ფონემური სტატუსი არ აქვთ [უსლარი 1989, 7; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 22-23; მიქაილოვი 1958, 146-147; მადიევა 1967, 256; ჭაფარიძე 1967, 113...]. ჰიდურის ერთ-ერთ თქმაში გამოყოფენ ნაზალიზებულ ა-ს [მიქაილოვი 1958, 146], მაგრამ იგი სინამდვილეში ალოფონის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს. ზაქათალურ დიალექტში ადასტურებენ თერთმეტ ხმოვანს [საიდოვა 1981, 130-133]. დამატებით გამოყოფენ გრძელ (**ა, ე, ი,**

<sup>27</sup> პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზი ენის აღწერითი თვალსაზრისით კვლევისას გამოიყენება, თუმცა ფასდაუდებელ სამსახურს უწევს დიაქრონიულ კვლევასაც. აქ მოკლედ განვიხილავთ ხმოვანთა სისტემებს პარადიგმატული ასპექტით.

<sup>28</sup> ნიშანი „ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობა“ გათვალისწინებულია მაშინ, როდესაც ა და მისი კორელატები უკანა რიგშია წარმოდგენილი.

უ), ე. წ. ირაციონალურ გ და ჰუნზიბურ დიალექტში თავიჩენილი პ(-ჰ) ტიპის ხმოვნებს, რომლებიც აგრეთვე ძირითადი ხმოვნების ალოფონებს ეტოლებიან. მასთან, გ<ი და პ<ა, მაგ.: წალკ||წალი „სუფთა“, ბინა||ბინა „ბინა“... გარდა ამისა, ანატოლიის ხუნძთა მეტყველებაში შენიშნულია ნაზალიზებული ი<sup>ნ</sup> და პალატალიზებულ ო, უ ხმოვანთა არსებობა [შარაშიძე 1981, 17-18]. თურქეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ხუნძური ენის ფონოლოგიურ სისტემაში შემჩნეული პალატალიზებული ბგერები, ჩანს, სათანადო ხმოვანთა (ო, უ) ალოფონებია, რომლებიც თურქული ენის ანალოგიური ხმოვნების ზეგავლენით ჩანს წარმოქმნილი.

ხუნძურში მარტივ ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალია და ვოკალური სისტემა ტაბულის სახით ასე გამოიხატება:

ლოკალური რიგი	წინა	უკანა	
		არაბაგისმიერი	ბაგისმიერი
ენის აწეულობა			
მაღალი	ი		უ
საშუალო	ე		ო
დაბალი		ა	

**1.3. ანდიური ენის ხმოვანთა სისტემა.** ანდიურ ენაში გაირჩევა ხუთი მარტივი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ. გარდა ამისა, ზოგ თქმაში დასტურდება გრძელი სახეობები, რომლებიც შეიცავენ სადა ხმოვანთა საართიკულაციო თვისებებს დაყოვნების მიმატებით: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>. თქმათა მიხედვით, არათანაბრად არის გავრცელებული ნაზალიზებული კორელატებიც: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>. გრძელი და ნაზალიზებული ხმოვნები უპირატესად რიკვანის თქმაში გვხვდება [ცერცვაძე 1965, 10-15].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხმოვანთა კლასიფიკაციის ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

ლოკალური რიგი	წინა			შუა			უკანა		
	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.
ენის აწეულობა									
მაღალი	ი	ი <sup>ნ</sup>	ი <sup>ნ</sup>				უ	უ <sup>ნ</sup>	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>	ე <sup>ნ</sup>				ო	ო <sup>ნ</sup>	ო <sup>ნ</sup>
დაბალი				ა	ა <sup>ნ</sup>	ა <sup>ნ</sup>			

**შენიშვნა:** წინა და შუა რიგის ხმოვნები ბაგისმიერობის უქონლობით უპირისპირდებიან უკანა რიგის ხმოვნებს. მასთან, შუა რიგისად მიჩნეული ხმოვნები და მათი კორელატები, შესაძლოა სინამდვილეში, ხუნძურის ანალოგიურად, უკანა რიგისა იყოს, რასაც ექსპერიმენტული კვლევა სჭირდება [იხ. ჯათარიძე 1967, 119; დე 2000, 276].

**1.4. ბოთლიხური ენის ხმოვანთა სისტემა.** ბოთლიხურს მოეპოვება ხუთი სადა ორალური (ა, ე, ი, ო, უ) და ხუთი ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) ხმოვანი, რომელთა დაპირისპირება ფონოლოგიურად რელევანტურია. მასთან, ა შედარებით უკანა წარმოებისაა [გუდავა 1962, 11]. ნაზალიზებულ ხმოვანთაგან ო<sup>ნ</sup> სპორადულად გვხვდება. ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალია, თუმცა ნაზალიზებული ხმოვნები აბსოლუტურ ბოლოში წესისამებრ არ შეიმჩნევა [გუდავა 1967, 293]. ხ. აზავეი დამატებით ხუთ ხმოვანს (ა, ე, ი, ო, უ) გამოყოფს, თუმცა მათ კვალიფიკაციას არ იძლევა [დე 2000, 347-348. სქემატურად:

ლოკალური რიგი	წინა		უკანა			
			არალაბიალური		ლაბიალური	
	არანაზალზ.	ნაზალზ.	არანაზალზ.	ნაზალზ.	არანაზალზ.	ნაზალზ.
ენის აწვეულება						
მაღალი	ი	ი <sup>ნ</sup>			უ	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>			ო	ო <sup>ნ</sup>
დაბალი			ა	ა <sup>ნ</sup>		

**1.5. ღოდობერიული ენის ხმოვანთა სისტემა.** ღოდობერიულ ენაში დასტურდება ხუთი სადა ორალური ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ), რომელთაც მოეპოვებათ შესაბამისი ნაზალიზებული კორელატები: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>. ო<sup>ნ</sup> და უ<sup>ნ</sup> ხმოვანთა გამოყენების ხვედრითი წილი მცირეა, ხოლო გრძელი სახეობები ფონოლოგიურად ირელევანტურია [გუდავა 1967, 307; საიდოვა 1973, 9; შდრ. დე 2000, 378-379]. ხმოვანთა განაწილება თავისუფალია, თუმცა ამა თუ იმ ხმოვნის ფუნქციური დატვირთვა — განსხვავებული.

საბოლოოდ ხმოვანთა ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა	
	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.
ენის აწეულობა						
მაღალი	ი	ი <sup>ნ</sup>			უ	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>			უ	უ <sup>ნ</sup>
დაბალი			ა	ა <sup>ნ</sup>		

1.6. ჰამალური ენის ხმოვანთა სისტემა. გვხვდება როგორც სა- და ორალური (ა, ე, ი, ო, უ), ისე ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) და გრძელი (ა, ე, ი, ო, უ) ხმოვნები. გარდა ამისა, გამოიყოფა გრძელი ნაზალიზებული სახეობები: ა<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup> [ბოკარევი 1949, 15; მაჰომედბეკოვა 1967, 383-385; მაჰომედოვა 1999, 412].

ხმოვანთა სისტემა ტაბულის სახით ასე წარმოგვიდგება:

ლოკალური რიგი	წინა				შუა				უკანა				
	არანა-ზალიზ.		ნაზა-ლიზ.		არანა-ზალიზ.		ნაზა-ლიზ.		არანა-ზალიზ.		ნაზა-ლიზ.		
	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	
ენის აწეულობა													
მაღალი	ი	ი	ი <sup>ნ</sup>	ი <sup>ნ</sup>					უ	უ	უ <sup>ნ</sup>	უ <sup>ნ</sup>	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე	ე <sup>ნ</sup>						უ	უ	უ <sup>ნ</sup>		
დაბალი					ა	ა	ა <sup>ნ</sup>	ა <sup>ნ</sup>					

1.7. ტინდიური ენის ხმოვანთა სისტემა. ხმოვანთა სისტემა ტინდიურში რთულია: მარტივი ორალური ხმოვნების (ა, ე, ი, ო, უ) გარდა, გაირჩევა გრძელი (ა, ე, ი, ო, უ), ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) და გრძელი ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) კორელატები. გავრცელებულია გრძელი ხმოვნების ფაკულტატური გამოყენება. ე<sup>ნ</sup> და ო<sup>ნ</sup> ხმოვნები სპორადულად გვხვდება [გუდავა 1953, 329-333; 1967, 368; დე 2000, 423]. სქემატურად:

ლოკალური რიგი	წინა				შუა				შუკანა				
	არანა-ზალიზ.		ნაზალიზ.		არანა-ზალიზ.		ნაზალიზ.		არანა-ზალიზ.		ნაზალიზ.		
	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	
ენის აწეულობა													
მაღალი	ი	ი <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup>	ი <sup>ა</sup>					ც	ც <sup>ა</sup>	ც <sup>ა</sup>	ც <sup>ა</sup>	
საშუალო	ე	ე <sup>ა</sup>	ე <sup>ა</sup>	ე <sup>ა</sup>					უ	უ <sup>ა</sup>	უ <sup>ა</sup>	უ <sup>ა</sup>	
დაბალი					ა	ა <sup>ა</sup>	ა <sup>ა</sup>	ა <sup>ა</sup>					

შენიშვნა: ტ. გუდავა ტინდიურ ა-ს უფრო წინა წარმოებისად მიიჩნევს [გუდავა 1953, 330; შდრ. დე 2000, 424]. ამ მოსაზრების ექსპერიმენტულად დადასტურებამდე ჩვენ მას შუა რიგში ვათავსებთ.

1.8. ბაგვალური ენის ხმოვანთა სისტემა. ბაგვალურში გამოიყოფა მარტივი არაგრძელი (ა, ე, ი, ო, უ), მარტივი გრძელი (ა<sup>ა</sup>, ე<sup>ა</sup>, ი<sup>ა</sup>, ო<sup>ა</sup>, უ<sup>ა</sup>) და ნაზალიზებული გრძელი (ა<sup>ა</sup>, ე<sup>ა</sup>, ი<sup>ა</sup>, ო<sup>ა</sup>, უ<sup>ა</sup>) ხმოვნები. გრძელი და გრძელი ნაზალიზებული ხმოვნების ფონემურობის საკითხი სარკვევია.

ხმოვანთა განაწილება თავისუფალია, თუმცა აუსლაუტში ი და უ იკვეცება [გუდავა 1967, 351-352; 1971, 7]. ყოველივე ზემოთქმული, სქემის სახით, ასე გამოიყურება:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		შუკანა	
	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.	არანაზალიზ.	ნაზალიზ.
ენის აწეულობა						
მაღალი	ი	ე <sup>ა</sup>			ც	ც <sup>ა</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ა</sup>			უ	უ <sup>ა</sup>
დაბალი			ა	ა <sup>ა</sup>		

1.9. კარატაული ენის ხმოვანთა სისტემა. კარატაული ენის ვოკალური სისტემა შეიცავს ხუთ სადა ხმოვანსა (ა, ე, ი, ო, უ) და მათ ნაზალიზებულ კორელატებს: ა<sup>ა</sup>, ე<sup>ა</sup>, ი<sup>ა</sup>, ო<sup>ა</sup>, უ<sup>ა</sup>. პალატალიზებულ თანხმოვანთა მომდევნოდ ფაკულტატურად გვხვდება პ, რომელიც ფონოლო-

გიურ ღირებულებას მოკლებულია [მაჰომედბეკოვა 1967, 322; 1971, 12-13].  
ამგვარად, კარატული ენის ხმოვან-ფონემათა კლასიფიკაციის ცხრი-  
ლი ასე წარმოგიდგება:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა	
	არანაზალბ.	ნაზალბ.	არანაზალბ.	ნაზალბ.	არანაზალბ.	ნაზალბ.
ენის აწეულობა						
მაღალი	ი	ი <sup>ნ</sup>			უ	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე <sup>ნ</sup>			ო	ო <sup>ნ</sup>
დაბალი			ა	ა <sup>ნ</sup>		

**1.10. ახვახური ენის ხმოვანთა სისტემა.** ახვახურ ენაში გამოი-  
ყოფა მარტივი ორალური (ა, ე, ი, ო, უ), გრძელი (ა, ე, ი, ო, უ)  
და ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>) ხმოვნები. ჩამოთვლილ ხმოვანთა  
გარდა, ადასტურებენ იშვიათი ხმარების გრძელ ნაზალიზებულ კორელა-  
ტებს, რომელთა ფონემურობის დასაბუთებას ვერსად ვხვდებით [მაჰომედ-  
ბეკოვა 1967, 336; 1971, 11-12]. ჩნდება ექვი, რომ ზშირად გრძელი ნაზა-  
ლიზებული ხმოვნები ალოფონთა ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს.  
ეგვე ითქმის ზოგი დიდოური ენის ხმოვანთა მიმართაც.

ახვახური ენის ვოკალური სისტემის ტაბულა ასე გამოისახება:

ლოკალური რიგი	წინა				შუა				უკანა			
	არანაზა- ლიზ.		ნაზა- ლიზ.		არანაზა- ლიზ.		ნაზა- ლიზ.		არანაზა- ლიზ.		ნაზა- ლიზ.	
	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი
ენის აწეულობა												
მაღალი	ი	ი	ი <sup>ნ</sup>	ი <sup>ნ</sup>					უ	უ	უ <sup>ნ</sup>	უ <sup>ნ</sup>
საშუალო	ე	ე	ე <sup>ნ</sup>	ე <sup>ნ</sup>					ო	ო	ო <sup>ნ</sup>	ო <sup>ნ</sup>
დაბალი					ა	ა	ა <sup>ნ</sup>	ა <sup>ნ</sup>				

მაშასადამე, ანდიურ ენათა სინამდვილეში ხმოვანთა რიცხვი მერყე-  
ობს ათიდან ოცამდე. ჰამალურში, ტანდიურსა და ახვახურში ხმოვანთა  
სისტემა საგრძნობლად გართულებულია, თუმცა სპეციალურ ლიტერატუ-

რაში არსებული კვალიფიკაცია ასახავს თუ არა სინამდვილეს, ამას დამატებითი კვლევა-ძიება სჭირდება.

**1.11. დიდოური ენის ხმოვანთა სისტემა.** დიდოურ ენაში დასტურდება ხუთი სადა ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ. ამ ხმოვანთა გვერდით მოგვეპოვება მათი გრძელი ვარიანტები, რომლებიც სათანადო მარტივი ხმოვნების საარტიკულაციო თვისებებს შეიცავენ დაყოვნების მიმატებით: ა̄, ე̄, ი̄, ო̄, უ̄. ქიდიროულსა და შაფიხურ თქმებში თავს იჩენს პალატალიზებული ა̄ (ა̄), რომელიც შეიძლება ფონემად ჩაითვალოს. რაც შეეხება საპადურ დიალექტსა და ზოგი სხვა აულის (ხეთობი, შაური...) მეტყველებაში დადასტურებულ ვიწრო სახეობებს, ისინი კონტრასტული დისტრიბუციის დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან ძირითად ხმოვნებთან და ფაქტობრივად ალოფონის დონეზე დგანან [იმნაიშვილი 1963, 14; ლომთაძე 1994, 14-15; შდრ. მეგრელიძე 1936, 234].

დიდოური ენის ხმოვანთა კლასიფიკაცია სქემატურად ასე გამოიხატება:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა			
	არაგრძელი	გრძელი	პალატალიზებული		არალაბიალური		ლაბიალური	
			არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი
ენის აწეულობა								
მალალი	ი	ი̄					უ	უ̄
საშუალო	ე	ე̄					ო	ო̄
დაბალი			ა	ა̄	ა	ა̄		

**1.12. ჰინუხური ენის ხმოვანთა სისტემა.** ჰინუხური ენა იმეორებს საკუთრივ დიდოური ენის ხმოვნურ შედგენილობას პალატალიზებული ა̄(ა̄) ხმოვნის გამოკლებით და ლაბიოველარიზებული (resp. უმლაუტიანი) უ̄ (უ̄)<sup>29</sup> ხმოვნის მიმატებით [ლომთაძე 1963, 11; შდრ. ბოკარევი 1959, 112].

<sup>29</sup> უ̄ს ჩვეულებრივ უწოდებენ „ლაბიალიზებულს“ და გამოხატავენ ო° [ლომთაძე 1963, 11] და ო̄ [ბოკარევი 1959, 112] გრაფიკებით.

ჰინუზური ენის ვოკალური სისტემა ტაბულის სახით ასე წარმოგვიდგება:

ლოკალური რიგი	წინა		შუა		უკანა			
	არაგრძელი	გრძელი	ველარიზებული		არალაბიალური		ლაბიალური	
			არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი	არაგრძელი	გრძელი
ენის აწეულობა								
მაღალი	ი	ი:	ჟი	ჟი:			უ	უ:
საშუალო	ე	ე:					უ	უ:
დაბალი					ა	ა:		

1.13. ხვარშიული ენის ხმოვანთა სისტემა. ხვარშიულ ენას მარტივი (ა, ე, ი, ო, უ) და გრძელი (ა:, ე:, ი:, ო:, უ:) ხმოვნების გარდა, მოეპოვება ნაზალიზებული სახეობები: ა:, ე:, ი:, ო:, უ:. ინზოყვარულ დიალექტში დამატებით დასტურდება ე.წ. ირაკიონალური ზ ხმოვანი, რომელსაც საოპოზიციო ერთეულად გრძელი და ნაზალიზებული კორელატები აქვს<sup>30</sup> [ბოკარევი 1959, 146; იმნაიშვილი 1963, 15; ლომთაძე 1994, 13-14].

ხვარშიული ენის ვოკალური სისტემის ტაბულა შემდეგი სახისა იქნება:

ლოკალური რიგი	წინა			შუა			უკანა						
	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არალაბიალური			ლაბიალური			
							არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	
ენის აწეულობა													
მაღალი	ი	ი:	ი <sup>ნ</sup>	ე	ე:	ე <sup>ნ</sup>				უ	უ:	უ <sup>ნ</sup>	
საშუალო	ე	ე:	ე <sup>ნ</sup>							უ	უ:	უ <sup>ნ</sup>	
დაბალი							ა	ა:	ა <sup>ნ</sup>				

1.14. ბეეიტური ენის ხმოვანთა სისტემა. ბეეიტური ენა განარჩევს ექვს სადა ხმოვანს (ა, ე, ი, ო, უ, გ) და მათგან დაყოვნებით განსხვავებულ გრძელ სახეობებს: ა:, ე:, ი:, ო:, უ:, გ:. დასტურდება აგრეთვე ორალურ სახეობებს დაპირისპირებული, ნაზალიზებული ფონე-

<sup>30</sup> ე. ბოკარევი გამოყოფს ხმოვანთა ფარინგალიზებულ სერიას [ბოკარევი 1959, 112], თუმცა ამ სერიაში გაერთიანებული ხმოვნები ფონემებს არ ქმნიან [ლომთაძე 1994, 17; რაჭაბოვი 1997, 105].



მური ერთეულები: ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>, ი<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup>, გ<sup>ნ</sup>. საკუთრივ ბეეტურ დიალექტში დამატებით გვხვდება პალატალიზებული (resp. უმლაუტიანი) ხმოვნები: ა, ო, უ. მათ, თავის მხრივ, გააჩნიათ პალატალიზებულ-ნაზალიზებული სახეობები ა<sup>ნ</sup>, ო<sup>ნ</sup>, უ<sup>ნ</sup> [ხალილოვი 1995, 388].<sup>31</sup> ჰუნზიბურ დიალექტს, რომელიც, საკვლევ ენათაგან განსხვავებით, ეოკალიზმის ყველაზე მეტი სირთულით გამოირჩევა, საკ. ბეეტური დიალექტისაგან განსხვავებით, მოეპოვება ე. წ. ირაციონალური გ (გ, გ<sup>ნ</sup>), ა-სკენ გადახრილი ფართო, არალაბიალური ო და არალაბიალიზებული, სუსტი, ვიწრო ა(-ა). მათ აქვთ გრძელი და ნაზალიზებული კორელატები [ზოკარევი 1959, 16, 68; ჰამზათოვი 1972, 155-160; 1975, 9; ლომთაძე 1994, 11-13; ვან დენ ბერგი 1995, 21-22; დე 2000, 333, 392-393; ისაკოვი, ხალილოვი 2001, 259].

ბეეტური ენის ორივე დიალექტის მონაცემთა მიხედვით, ხმოვანთა კრებსითი ცხრილი ოცდაათ ხმოვან-ფონემას ითვლის და სქემატურად ასეთ სახეს იღებს:

ლოკალური რიგი	წინა		შუა						უკანა								
			არაბაგისმიერი			ბაგისმიერი			არაბაგისმიერი		ბაგისმიერი						
	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	პალატალიზ.	პალატალიზ.-ნაზალიზ.	პალატალიზ.	პალატალიზ.-ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	არაგრძელი	გრძელი	ნაზალიზ.	
ენის აწვეულობა																	
მალალი	ა	ა	ა <sup>ნ</sup>	ა	ა	ა <sup>ნ</sup>			ა	ა <sup>ნ</sup>				ა	ა	ა <sup>ნ</sup>	
საშუალო	ა	ა	ა <sup>ნ</sup>	ა	ა	ა <sup>ნ</sup>			ა	ა <sup>ნ</sup>	ა	ა	ა <sup>ნ</sup>	ა	ა	ა <sup>ნ</sup>	ა
დაბალი							ა	ა <sup>ნ</sup>			ა	ა	ა <sup>ნ</sup>				

ამრიგად, ყველა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენაში დასტურდება ხუთი სადა ხმოვანი, რომლებიც ასე დაბასიათდება: 1: ა) წინა რიგის პალატალური ა, ე; ბ) შუა რიგის ველარული ა; გ) უკანა რიგის ო, უ; 2: ა) დაბალი აწვეულობის (დია) ა; ბ) საშუალო აწვეულობის (resp. ლიაობის) ე, ო; გ) მალალი აწვეულობის ვიწრო ველარული, ი, უ; 3: ა) არალაბიალური ა,

<sup>31</sup> პალატალიზებულ-ნაზალიზებულთა გვერდით, კანონზომიერებიდან გამომდინარე, უნდა გვექნდეს გრძელი ნაზალიზებული (ა<sup>ნ</sup>, ე<sup>ნ</sup>...) ხმოვნები, რომლებიც ენაში რეალურად არსებობენ, თუმცა მათი ფონოლოგიური ღირებულება დამატებით ძიებას მოითხოვს.

ე, თ; ბ) ლაბიალური თ, უ.<sup>32</sup>

გარდა ჩამოთვლილი საცვლევ ენათათვის ნიშანდობლივი ხმოვნებისა, ჰუნზიბურ და ინზოყეარულ დიალექტებში გვხვდება შუა რიგის, მაღალი აწეულობის ნეიტრალური გ. ჰუნზიბურშივე თავს იჩენს ა-სკენ გადახრილი ო<sup>33</sup> და ვიწრო ჰ. სამივე ხმოვანი (გ, ო, ჰ) ისევე, როგორც ისტორიულად დადასტურებულ ენებში ხელშესახებად თავჩენილ რთულ ხმოვანთა სერიები (გრძელი, ნაზალიზებული, უმლაუტიანი, პალატალიზებულ-ნაზალიზებული და ა. შ.), უცილოდ მეორეული წარმომავლობის ფონემებია, მიღებული კოარტიკულაციისას კომბინაციური ფონეტიკური პროცესების შედეგად (ამის შესახებ ფონეტიკურ პროცესებში გვექნება მსჯელობა). ხმოვანთა კომბინატორიკის საკითხებს, უადგილობის გამო, აქ ვერ განვიხილავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხმოვანთა დისტრიბუცია ძირეულ მორფემებში მეტწილად თავისუფალია, მაგრამ ამა თუ იმ პოზიციის სინშირე ხელშესახებია. ხმოვანთა თავყრა არაბუნებრივია და ჰიატუსის დასაძლევად სხვადასხვა საშუალება (უბირატესად, ლ, ჟ ჩართვა) გამოიყენება. ყოველი თავკიდური ხმოვანი მაგარშემართვიანია.

თავდაპირველად განვიხილავთ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა მარტივ ხმოვანთა კანონზომიერ ბგერათშესატყვისობებს, რომელთა ისტორიული ინტერპრეტაციის საფუძველზე უნდა დადგინდეს ამოსავალი, სადა ხმოვან-ფონემების ფუძემდისეული მოდელი. მარტივი ხმოვნების ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით განხილვისას ჭეროვანი ყურადღება მიექცევა ძირითად ხმოვნებთან მეორეული წარმომავლობის ეოკალთა მიმართება-ურთიერთობის საკითხებს. გარდა ამისა, სასურველია, შესაძლებლობის ფარგლებში, ხმოვანთა სისტემაში ისტორიულად განხორციელებული სპონტანური ფონეტიკური პროცესების რელატიური ქრონოლოგიის დადგენა. მართალია, უმწერლობო (resp. ახალდამწერლობიანი) ენების პირობებში ამგვარი ანალიზის ჩატარება მეტად რთულია, მაგრამ ენობრივ ერთეულთა დიფერენციაციითა და, შესაბამისად, დიალექტთა (კილოკავთა) მონაცემების სიუხვით გამორჩეულ ამ ქვეჯგუფში ეს მეტ-ნაკლებად შესაძლებელია.

<sup>32</sup> ო და უ ხმოვნების უმარცხო ალოფონებზე თანხმოვანთა სისტემაში გვექნება მსჯელობა. ა ხშირად შეიძლება იყოს უკანა რიგისაც.

<sup>33</sup> სასურველი იყო გვეთქვა: ო-სკენ გადახრილი ა, რადგან ეს ო მოკლებულია ლაბიალობას [იხ. შამზათოვი 1972, 154; ბოკარევი 1959, 234; ლომთაძე 1994, 11].

## II თავი

### ხმოვანთა შესატყვისობანი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში

**2.1. ზოგადი.** კანონზომიერი და რეგულარული ხასიათის ხმოვანთა შესატყვისობანი დასტურდება როგორც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა შორის, ისე ცალკეულ ენათა დიალექტებში (ზოგჯერ კილოკავებს შორისაც — sic!). ეს ფაქტი მეტად ფასეულია, ზოგადად, ენათმეცნიერების თეორიის თვალსაზრისითაც და ხმოვანთა ხაზით მომხდარი თვალსაჩინო ცვლილებების გასათვალისწინებლადაც. ხმოვანთა სისტემის ჩამოყალიბებისა და შემდგომი ევოლუციის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტურ მონაცემებს, რომლებიც, დოკუმენტური წყაროს უქონლობის პირობებში (ყველა საკვლევი ენა, ახალდამწერლობიანი ხუნძურის გარდა, უმწერლობა!), ერთადერთი საშუალებაა ვოკალიზმის (resp. კონსონანტიზმის) ისტორიული მოდელის აღსადგენად.

სპეციალურ ლიტერატურაში ხმოვანთა შესატყვისობის ფორმულები ცალკეულ ენებს შორის ძირითადად დადგენილია [გულავეა და სხვ. 1952, 34; ცერცვაძე 1958, 251; 1965, 27-32; ლომთაძე 1994; 1998, 279-323; ბოკარევი 1981, 34-37 და სხვ.], მაგრამ ხმოვანთა რეფლექსაციის მწყობრი სისტემის შესახებ ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული.

მეტადრე ეს ითქმის ხუნძურ-ანდიურ ენათა შესახებ, რომლებშიც ვოკალიზმის ისტორიის საკითხები ნაკლებად არის შესწავლილი.

**2.2. \*ა ხმოვნის შესატყვისობანი.** ხუნძურისა და სხვა ანდიურ ენათა ა-ს ანდიურ ენაში ო შესატყვისება, ხოლო დიდოურ ენებში — ა/ო (ბევ.), ო (სხვა დიდ. ენები). საერთო ამოსავლად მიჩნეულია \*ა, რომლის უკან გაღაწევა (ველარიზაცია) პოზიციურად შეუზღუდავია და რეგულარული ბუნებისაა [გულავეა და სხვ. 1952, 34; ლომთაძე 1955, 26; 1994, 235-236; ცერცვაძე 1958, 253; 1965, 31; შდრ. ბოკარევი 1959, 252].<sup>34</sup>

ამოსავალი \*ა-ს შესატყვისობის ფორმულა, ყველა ენის მონაცემთა გათვალისწინებით, ასე გამოიხატება:

•	ხუნძ.	ანდ.	ბოდ.	ლდ.	კმ.	ტანდ.	ბაგვ.	კარ.	აბე.	სა-ლდ.	ჰონ.	ხერ.	ბევ.
•	•	•	•	•	•	•	•	•	•	•	•	•	•

<sup>34</sup> ა-ს პირველადობას სხვა დადგენილი ენებიც ადასტურებენ [ცერცვაძე 1980, 228-230; ლომთაძე 1994, 238-244].

1. ხუნძ. ბაწ (<\*ბაწა) ~ ანდ. ბოწო : ბოთლ.: ღოდ.: ჭამ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. ბაწა : ახვ. ბაჭა ~ საკ. დიდ. ბოწი : შინ. ბოწე : ხვარ. ბოწა (ინხ. ბოწო): ბეე. ბაწო (ჭუნზ. ბოწა) „მგელი“.

2. რაკ (<\*რაკუა) ~ ანდ. რაკუო : ბოთლ.: ღოდ.: ჭამ.: ტინდ.: ბაგვ.: ახვ.: რაკუა : ჭამ. დაკუა ~ საკ. დიდ. რაკუ: შინ. რაკ(უ)ე : ხვარ. ლაკუა (ინხ. ლაკუო): ბეე. რაკო (ჭუნზ. რაკუ) „გული“.

3. ხუნძ. ლ'აბ-გო (ანწ. თაბ-გუ, ანდალ. ჰაბ-გუ, ჭარ. ჰაბ-გუ) ~ ანდ. ლ'ობ-გუ: ბოთლ. ჰაბუ-და: ღოდ. ლ'აბუ-და: ჭამ. ლ'ალ'-და (ჭიჭ. ლ'აბუ-და) : ბაგვ.: ტინდ.: კარ. ლ'აბ-და : ახვ. ლ'აბ-და-ბე ~ საკ. დიდ.: შინ. ლ'ო-ნო: ხვარ. ლ'ო-ნა (ინხ. ჰაო-ნო) : ბეე. ლ'ანა (ჭუნზ. ლ'ო-ნა) „სამი“.

4. ხუნძ. ანტო-გო (<\*ატო-გო)<sup>35</sup> ~ ანდ. ჰოტუ-გუ : ბოთლ.: ღოდ.: ჭამ.: კარ. ჰატუ-და : ბაგვ. ჰატუ-რა : ტინდ. ჰატუ-მა : ახვ. ატუ-და-ბე ~ საკ. დიდ.: შინ. ყოლ'-ნო: ხვარ. ყოლ'-ა (ინხ. ყოლ') : ბეე. ყალ'-ნა (ჭუნზ. ოლ'-ნუ) „შვიდი“.

5. ხუნძ. ნაწი ~ ანდ. ნოწი : ბოთლ.: ახვ. ნაწი : ღოდ.: ტინდ. ნაცი : ბაგვ.: ჭამ. ნაწი : კარ. ნაწი ~ საკ. დიდ. ნოცი : შინ. ნოცი : ხვარ. ნუცა (<\*ნოცა, შდრ. ინხ. ნოცო) : ბეე. ნაცო (ჭუნზ. ნოცა) „ტილი“.

6. ხუნძ. მამო ~ ანდ. მოყ'ო : ბოთლ. მალა : ღოდ.: ბაგვ.: კარ. მამა : ჭამ. მამ : ტინდ. მამ'ი: ახვ. მაყ'ა ~ საკ. დიდ.: შინ. მოყ'უ : ხვარ. მუყუ (<\*მოყუ, შდრ. ინხ. მოყუ<sup>36</sup>): ბეე. მაყო (ჭუნზ. მოყუ) „ერემლი“.

7. ხუნძ. -ა ~ ანდ. -ო : ბოთლ.: ღოდ.: ტინდ.: ბაგვ.: ახვ. -ა ~ საკ. დიდ.: შინ.: ხვარ. -ო : ბეე. -ა (ჭუნზ. -ო) „ბრძანებითი კილოს საწარმოებელი სუფიქსი“.<sup>37</sup>

ამ რიგის შესატყვისობაში, როგორც ცნობილია, საერთო ამოსავალს აწარმოადგენს, რომელიც ანდიურსა და დიდოურ ენათა მეტ წილში, ქართველურ ენათა ანალოგიურად, ბაგისმიერ ო ხმოვანში გადასულა: ა>ო [ერკერტი 1895, 200; ლომთაძე 1955, 26-27; 1994, 238; ცერცვაძე 1958, 253; შდრ. დეშილ 1971, 25-26].

<sup>35</sup> სონორი ნ, ხუნძურის გარდა, სხვა დაღესტურ ენებში არ შეიმჩნევა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ფონეტიკური დანართია, შესაძლოა, ანლ'გო („ექსი“) ფორმის ანალოგიით განვითარებული [შდრ. გულაძე 1980, 208; ლომთაძე 1998, 282]. თავიკიდური თანხმოვანი დაკარგული ჩანს.

<sup>36</sup> ინ. ბოკარევი 1959, 253; ლომთაძე 1994, 241.

<sup>37</sup> ეს მავალითი იმის მაუწყებელია, რომ ა:ო შესატყვისობა ბრძ. კილოს ფორმათქმნალობის შემდეგროინდელია [ცერცვაძე 1965, 31; შდრ. ალექსევი 1988, 133, 166; ინ. ლომთაძე 1961, 18].

აო გარდაქმნა, რაც სპორადულად ხუნძურშიც შეიმჩნევა [ცერკვაძე 1958, 255], საფიქრებელია, შეპირობებული იყოს ა-ს ო ხმოვანთან აწეულობის ხარისხის სიახლოვეთა და რიგის მიახლოებითი ერთგვარობით.<sup>36</sup>

ერთი წყების მაგალითებში ა:ო შესატყვისობის დარღვევა შეპირობებულია კომბინაციურად, მაგ.: ხუნძ. უჰს ~ ანდ. უოშო : ღოდ. უაშა... ~ საკ. დიდ.: შინ. უეი (<\*ოეი) : ხვარ. უეა (<\*ოეა):<sup>39</sup> ბეე. რეო (<\*აეე, შდრ. ტლად. ოეე) „ვაეი“; ხუნძ. იჰ- (<\*იჰი- <\*იჰტი- <\*იჰტი-) ~ ანდ. შოჰო-: ბოთლ.: ღოდ. შაჰა-: ბაგვ.: ტინდ.: კარ. შაჰუა-: ახვ. ობჰა- (<\*აბჰა- , შდრ. რატლ. აბჰა) ~ საკ. დიდ.: შინ. ოჰი-: ხვარ. უჰი- (<\*ოჰი-<sup>40</sup> შდრ. ინხ. ოჰე): ბეე. აჰე- (ჰუნზ. უჰი- <\*ოჰე-) „ცხრა“; ხუნძ. მატო ~ ანდ. მოტო : ბოთლ.: კარ. მატოუ : ჰამ. მატო : ახვ. მიტე (<\*მატე) ~ საკ. დიდ.: შინ. მოლ'უ : ხვარ. მულ'უ (<\*მოლ'უ, შდრ. ინხ. მოლ'უ) : ბეე.: მალ'ო (ჰუნზ. მოლ'უ<\*მოლ'ო) „ძილი“, „სიზმარი“<sup>41</sup> და სხვ. მისთ.<sup>42</sup>

დასტურდება ხმოვანთა ისეთი შესატყვისობაც, რომელიც ხუნძურ-ანდიურ ენებში უცვლელად იმეორებს ზემოვანხილულ ა:ო შესატყვისობის რეფლექსებს, ხოლო დიდოურ ენებში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციით არის წარმოდგენილი.

შესატყვისობის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ღოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკლდ.	შინ.	ხვარ.	ბეე.
ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ო	ე	ა/ო	ოა

1. ხუნძ. ბაწ (<\*ბაწა) ~ ანდ. ბოწო : ბოთლ.: ღოდ.: ჰამ. ბაწა : ახვ. ბაჰა ~ საკ. დიდ. ბოწი : შინ. ბოწე : ხვარ. ბოწა (ინხ. ბოწო) : ბეე. ბაწო (ჰუნზ. ბოწა) „მგელი“.

2. ხუნძ. ანწ- (<\*ნაწა-)<sup>43</sup> ~ ანდ. შოწო-: ბოთლ.: ღოდ.: ბაგვ.: ტინდ.: კარ. შაწა-: ჰამ. აწა-: ახვ. აჰა ~ საკ. დიდ. ოწი-: შინ. ოწე-:

<sup>36</sup> თუ ეს ვარაუდი სინამდვილეს შეეფერება, მაშინ ანდიური ენის შუა რიგისად მიჩნეული ა უკანა რიგს უნდა მივაკუთვნოთ.

<sup>39</sup> იხ. ჩიქობავა 1987, 9; ლომთაძე 1998, 249.

<sup>40</sup> ტ. გულდავას მიაჩნია, რომ ბეე. და ჰუნზ. \*იჰტი- > უჰი-, რისი გაზიარებაც ჰირს. ხვარ. -ში ო > უ გაერცელებული პროცესია [ლომთაძე 1998, 86], ხოლო ჰუნზ. -ში უჰი- წარმოქმნილი ჩანს ასე: \*ოჰტი->\*უჰტი->უჰი-.

<sup>41</sup> ამავე წარმოშობის ლექსები იძებნება ნახურ ენებში [ბურკულაძე, 1988, 350-355].

<sup>42</sup> დამატებით იხ. ლომთაძე 1994, 237-238.

<sup>43</sup> შდრ. გულდავა 1980, 209.

ხვარ. უწა- (ინხ. ოწო) : ბეე. აწო- (ჰუნზ. ოწა) „ათი“.

3. ხუნძ. სანი, შანი, სონო,<sup>44</sup> სინი (დიალ. ვარ.) ~ ანდ. სონ : ბოთლ. : ღოდ. : ტინდ. : კარ. სანი : ჯამ. სან : ახვ. შანი ~ საკ. დიდ. ზინ : ჰინ. ზენუ : ხვარ. ზან (ინხ. ზონ) : ბეე. სინო (<\*სონი) „ყოწახური“.

4. ხუნძ. რაკ (<\*რაკუა)<sup>45</sup> ~ ანდ. როკუო : ბოთლ. : ღოდ... რაკუა ~ საკ. დიდ. როკუ (<\*როკუი)<sup>46</sup> ჰინ. როკ(უ)ე : ხვარ. ლოკუა (ინხ. ლოკუო) : ბეე. რაკო (ჰუნზ. როკუ<\*როკო<\*როკა)<sup>47</sup> „გული“.

5. ხუნძ. ბატხ ~ ანდ. ბოტხ : ბოთლ. : ღოდ... ბატხი ~ საკ. დიდ. : ჰინ. ბილ'<sup>48</sup> ხვარ. ბილ' (<\*ბალ') : ბეე. ბალ'ა (<\*ბოლ'ა) „მაჰიკი“, „ნა-წლაჰი“...

არცთუ იშვიათად ეს შესატყვისობა დარღვეულია ერთი რიგის მაგალითებში, რომლებიც ანდ. ოს შესატყვისად ხუნძურში ე/ო ხმოვნებს გვიჩვენებენ. გარკვეულია, რომ ამგვარ შემთხვევებში ისტორიული ა მეტრიქონად დაცულია „ირიბ ბრუნვებსა“ და მრ. რიცხვში [ცერცვაძე 1965, 30]. აუ/ო ბგერათცვლილების მიზეზი ხშირად დაჩრდილულია და სპონტანური ფონეტიკური პროცესის სახით არის წარმოდგენილი, მაგ.:

1. ხუნძ. ქექე (<\*ქაქა, შდრ. ნათ. ქოქ-ოლ<\*ქაქ-ოლ) ~ ანდ. ქოქა.<sup>49</sup> ბოთლ. : კარ. : ახვ. ქაქა : ღოდ. : ბაგვ. : ქაქა : ჯამ. ჩაჩა ~ საკ. დიდ. ქიქი : ხვარ. ქაქა (ინხ. ქოქო) „ძუძუ“.

2. ხუნძ. ცერ<\*ცარ (შდრ. ზაქ. შან „id“. ნათ. ცარ-ა-ლ) ~ ანდ. სორ : ბოთლ. : ღოდ. : ტინდ. სარი : ჯამ. სა : ბაგვ. სარ : კარ. სარე : ახვ. შარი ~ საკ. დიდ. ზირუ : ჰინ. ზერუ : ხვარ. ზარუ (ინხ. ზორ) : ბეე. სორა (ჰუნზ. სა) „მელა“.

3. ხუნძ. ჰეტ<\*ჰატ (ნათ. ქოტ-ოლ<ჰატ-ო-ლ) ~ ანდ. ქონნი : ბოთლ. : ბაგვ. ჰანტ : ღოდ. : ახვ. ჰანტი : ტინდ. ჰანდი ~ საკ. დიდ. ჰიქი : ჰინ. ჰიქი (<\*ჰექი) : ხვარ. ჰიქი<\*ჰაქი (ინხ. ჰიქე<\*ჰოქე) : ბეე. : წიქე (<\*წოქე)<sup>50</sup> „რწყილი“.

<sup>44</sup> ხუნძ. ა > ო პროცესი რეალიზებულია ინტერკონსონანტურ პოზიციაში, თუმცა უმახვილო ხმოვანს მოუღის. შემდეგ კი აუსლაუტში ასიმილაციით მახვილიანი *o* > ო [შდრ. გულაია 1980, 202]. რაც შეეხება ხინი ფორმას, იგი აუსლაუტის მახვილიანი ხმოვნით გამოწვეული ასიმილაციის შედეგია: ხან > ხინი.

<sup>45</sup> ა ხმოვნის მოკეცვის შემდეგ ბოლოკიდური ჰ სონანტი დაკარგულია.

<sup>46</sup> იხ. იმნაიშვილი 1956, 245.

<sup>47</sup> ასიმილაციით არის მიღებული [შდრ. ლომთაძე 1994, 247].

<sup>48</sup> ჰინუბურში საკ. დიდოურისგან ჩანს შეთვისებული.

<sup>49</sup> რედუბლიციკრებული ანდ. ქოქა სიტყვის აუსლაუტში გაუგებარია, რატომ არ მოხდა ა>ო? სავარაუდოა, უმახვილო ა > ო, ხოლო მახვილიანი ა შენარჩუნდა.

<sup>50</sup> წინა მარცვლისეული ხმოვნის ტრანსფორმაცია უკანამავალი ხმოვნის ასიმილაციით ჩანს გამოწვეული [შდრ. ლომთაძე 1998, 226; 1956, 87]. საკ. ხვარშიულისათვის რეკონსტრუირებული ფორმა (\*ჰაქი) უნდა იყოს შეთვისებული ქართული ენის შთის დიალექტებში [შდრ. ხევს. ჰაქი] იმ დროს, როცა ა > o ჯერ კიდევ არ იყო რეალიზებული [არლოტელი 1997, 102].

4. ხუნდ. ჰობო<sup>51</sup> (<\*ჰაბო, შდრ. ჰაბი-ჰან „მეწისქვილე“) ~ ანდ. იხობ : ბოთლ.: ჰამ. ხუაბუ : ლოდ.: ტინდ.: ახვ. ხუაბა ~ საკ. დიდ. აღურ (<\*აღურ, შდრ. ასახ. ამურ „id.“): შინ. ლემერ : ხვარ. ლობოლ (ინხ. ღაბალ): ბეჟ. ჰაბოჟ (ჰუნზ. ჰობურ)<sup>52</sup> „წისქვილი“.

ამ რიგის ბგერათშესატყვისობის დარღვევები ხანდახან ანდიურ ენათა სათანადო ლექსიკურ ერთეულებშიც დასტურდება, მაგ.: ხუნდ. ცო (<\*ცა, შდრ. ცა-და-ჯ „ერთად“) ~ ანდ. ცებ (<\*ცაბ), სები (<\*საბი): ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: კარ. ცებ (<\*ცაბ): ახვ. ჩებე (<\*ჩაბე) ~ საკ. დიდ. სს : შინ. ჰეს : ხვარ. ჰას (ინხ. ჰოს): ჰეჟ. ჰონს (ჰუნზ. ჰანს) „ერთი“; ხუნდ. ნსო < ნსა (შდრ. მრ. ნსა-ბი) ~ ანდ. ისო : ბოთლ.: ჰამ. ისა : ლოდ.: ტინდ. ინსა : ბაგვ. მესა : ახვ. იშა ~ საკ. დიდ. იზუ : შინ. იჟუ : ბეჟ. ოზო < \*ნოზო (ჰუნზ. ჰუჟ)<sup>53</sup> „მოუხდელი ყველი“; ხუნდ. წარ ~ ანდ. წერ (<\*წარი): ბოთლ.: ჰამ.: კარ.: ახვ. წერი (<\*წარი): ბაგვ. წერ (<\*წარი)<sup>54</sup> ~ საკ. დიდ. ცი : შინ. ცე : ხვარ. ცა<sup>5</sup> (ინხ. ცო): ბეჟ. ცა<sup>5</sup> (ხაშ. ცარო, ჰუნზ. ცორუ)<sup>55</sup> „სახელი“...

თუ შევედარებთ პირველად განხილულ შესატყვისობის ფორმულას მეორისას, პოზიციურად შეპირობებული ბგერათცვლილებების გაუთვალისწინებლად, აღმოჩნდება, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში ორივე შესატყვისობა ერთგვაროვანია: ანდ. ო: ხუნდ., ბოთლ., ლოდ... ა. რაც შეეხება დიდოურ ენებს, ამ ენათა სინამდვილეში მეორე შესატყვისობა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველისაგან.

ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ამ ორი შესატყვისობის გაერთმინებელიანება და ერთ საერთო არქეტიპზე დაყვანა?

სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი ვარაუდობენ, რომ პირველი რიგის (ა:ო) შესატყვისობაში საერთო ამოსავალი ო ხმოვანია, ხოლო მეორე რიგის შესატყვისობაში

<sup>51</sup> ჰობო მიღებული უნდა იყოს ასიმილაციით [ცერცვაძე 1958, 255]. ტინდიური ენის აქნადურ კილოაეში აუსლაუტის ო > უ, მაგრამ წინამდებელი ა არ იცვალა [გუდავა 1953, 366]. შენიშნულია, რომ ხუნძურში ბაგისმიერ ხმოვანთა მუზობლად ა > ო [ზოკარევი 1981, 35].

<sup>52</sup> უცნაურობას ამჟღავნებენ ბეჟიტურში თავიჩენილი ფორმები, რომლებიც ა:ო შესატყვისობის წევრებს ეტოლებიან [ლომთაძე 1994, 253].

<sup>53</sup> ეს მაგალითი გამორჩეულია იმით, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში აუსლაუტის ხმოვანი გვიჩვენებს კანონზომიერ შესატყვისობას, ხოლო დიდოურში — ისტორიული ინტერკონსანტური ხმოვანი. უნდა ვიფიქროთ, რომ საწყის საფეხურზე კანონზომიერი მიმართება ორივე ხმოვანს ახასიათებდა — ას გადასვლა ე/ო ხმოვნებში კომპინაციური ფონეტიკური პროცესების ჩარევით ჩანს შეპირობებული.

<sup>54</sup> ილ. ცერცვაძე ა > ო გარდაქმნას ოს რელექციით ხსნის [1959, 221], რაც, ჩანს, მასიმილირებელ გავლენასაც გულისხმობს.

<sup>55</sup> ბეჟიტური ენა თავისებურებას აკლეს [ლომთაძე 1994, 256], ხოლო საკ. დიდოურში ო < ე, შესატყვისობის ფორმულიდან გამომდინარე, მართებული არ უნდა იყოს [შდრ. იმნაიშვილი 1963, 41].

კი — ირაციონალური (მუნზიბური 3 ტიპის) ხმოვანი [ბოკარევი 1959, 253, 256; დეშილ 1971, 26; ნიკოლაევი 1978...];<sup>56</sup> სხვანი ფიქრობენ, რომ ორივე ზემოგანხილული შესატყვისობა წარმოქმნილია თავდაპირველადი ა ხმოვნისაგან [ლომთაძე 1955, 26-27; 1994, 257; ბურკულაძე 2000, 243]. ხუნძურ-ანდიურ ენათა მასალაზე დაყრდნობით, არსებითად ამავე აზრს ადგას ილ. ცერცვაძე [1958, 253; 1965, 31], თუმცა იგი უპასუხოდ ტოვებს ისეთ გამონაკლის მაგალითებს, როგორცაა „ცეცხლი“, „ყვავი“, „ვარსკვლავი“..., რომლებიც ბგერათიგივეობით (ა:ა) ხასიათდებიან [1965, 32].

როგორც უკვე ვთქვით, სავსებით გასაზიარებელია ა:ო შესატყვისობის გენეზისი: \*ა>ო. ამოსავალი ა დაცულია ხუნძურ-ანდიურსა (საკ. ანდიურის გამოკლებით) და ბეჟიტური ენის საკ. ბეჟიტურ დიალექტში. ამ რიგის შესატყვისობა ყველა პოზიციაში დასტურდება: ანლაუტში, ინლაუტსა და აუსლაუტში. იგი გამსკველავს როგორც ძირეულ ლექსიკურ ფონდს, ისე გრამატიკულ ინვენტარს და მახვილის მქონებლობა-უქონლობით არ ჩანს შეპირობებული. მასთან, ა:ო შესატყვისობას მეტი ხვედრითი წონა აქვს და სხვა დაღესტნურ (ლაკურ-დარგულ, ლეზგიურ) ენათა ჩვენებაც ა-ს პირველადობას უპერს მხარს. ზოგიერთ ენაში ისტორიული ა სახეცვლილია, მაგრამ ხერხდება მისი რეკონსტრუირება [ლომთაძე 1994, 238-245].

ე. ლომთაძე კითხვას სვამს: „ჩვენთვის ჭერჭერობით გაურკვეველია მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გადავიდა ა:ო შესატყვისობის ბეჟ. ა კომპონენტიც ო-ში... ისევე, როგორც ა:ვ შესატყვისობის ამოსავალი \*ა გადავიდა ბეჟიტურში?“ [1978, 262].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა:ო შესატყვისობის გენეზისის გარკვევა შინაგანი რეკონსტრუქციის გზითაც შეიძლება, ვინაიდან დილოურ ენებში შემონახულია ამოსავალი ა. იგულისხმება, რომ საერთო-დილოურში ხუნძ. ~ ბოთლ.: ლოდ... ა ~ ანდ. ო შესატყვისობის ეკვივალენტად ა გვქონდა, რომელიც, ფუძეენის შიგანი დიფერენციაციის შედეგად, ყველგან გადავიდა ო-ში, გარდა საკ. ბეჟ. დიალექტისა. ა>ო სპონტანური ცვლილება უნდა დაწყებულიყო დილოურ ენათათვის ამოსავალ დიალექტთა ერთიანობის ხანაში ა-ს დავიწროებისა და, შესაბამისად, უკან გადაწევის ტენდენციის მოქმედებით, რომელსაც დასაბამი უნდა დასდებოდა ენობრივი ქმედების ქვეცნობიერ სფეროში [სოსიური 1977, 392, 379-399]. ეს პროცესი საბოლოოდ ო-ს რეალიზაციით დამთავრებულა.<sup>57</sup>

მაშასადამე, არსებითად სწორად ინტერპრეტირებული შესატყვისობა (შესაბამისად, ა>ო პროცესი) დილოური ფუძეენის დიფერენციაციის დროინდელი მოვლენაა და არა ხუნძურ-ანდიურისაგან დილოური ქვეჯგუფის

<sup>56</sup> ს. ნიკოლაევის მოსაზრებას ვეცნობით მ. ალექსეევის ნაშრომის მიხედვით [ალექსეევი 1988, 11].

<sup>57</sup> დილოურ ენებში ა უკანა წარმოებისა ჩანს, რასაც გარკვეულწილად ა > ო პროცესი უნდა გაეიოლებინა [ლომთაძე 1994, 144-146].



ენათა გამოყოფასთან დაკავშირებული ფაქტი [შდრ. ლომთაძე 1994, 257].<sup>58</sup>

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზემოხსენებული ორი შესატყვისობის ურთიერთმიმართების კონცეფცია. ერთი და იმავე წინარეფონემიდან იდენტურ ფონოლოგიურ გარემოცვაში ორი განსხვავებული შესატყვისობის ჩამოყალიბების თვალსაზრისის წამოყენება მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. ერთი შესატყვისობიდან, ტრანსფორმაციის გზით, მეორე შესატყვისობის წარმოქმნა ახსნადი უნდა იყოს [შდრ. ლომთაძე 1994, 257].<sup>59</sup>

ისეთ ვითარებაში, როცა ორივე სახის შესატყვისობისათვის ხუნძურ-ანდიურ ენათა (და არა მარტო მათი) მონაცემები უფრო მეტად ა-ს პოსტულირებას უჭერს მხარს, დიდოურ ენათა დიფერენცირებული შესატყვისობის გენეზისის გასარკვევად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორი გარემოება: ა) ფონოლოგიური პოზიცია და ბ) პროსოდის (resp. მახვილის) თავისებურება.

მართალია, პირველი (ა:ო) შესატყვისობა პოზიციურად თავისუფალია, მაგრამ იგი მეტწილად ანლაუტსა (ისტორიულ ინლაუტსა) და ინლაუტში გვხვდება, ხოლო მეორე რიგის შესატყვისობისათვის უფრო ბუნებრივია აუსლაუტი, თუმცა იგი სპორადულად ინლაუტშიც შეინიშნება. ამ კუთხით ბერის მტკმელია ის ფაქტი, რომ ორივე შესატყვისობის შემცველი ფუძეები მეორე შესატყვისობას ჩვეულებრივ აუსლაუტში გვიჩვენებენ, მაგ.: ხუნძ. ბაწ (<ბაწა) ~ ანდ. ბოწო (<ბაწა): ახვ. ბაჭა ~ საკ. დიდ. ბოწი : შინ. ბოწე : ხვარ. ბოწა : ინხ. ბოწო : ბეჟ. ბაწო : ჰუნზ. ბაწ „მგელი“...<sup>60</sup>

საფიქრებელია, რომ ამოსავალი ა-ს სხვადასხვაგვარი რეფლექსაციისათვის ეს არ უნდა ყოფილიყო უმთავრესი მიზეზი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრონოლოგიურად ამ რეფლექსთა ურთიერთდაცილება ინტენსიური მახვილით არის გამოწვეული. კერძოდ, ამოსავალმა მახვილიანმა ა-მ მოგვცა ა:ო შესატყვისობა, ხოლო უმახვილო ა ხმოვნმა კი — ე:ე:ა/ო:ო/ზ.

<sup>58</sup> უნდა გაეზიაროთ ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ ბეჟ. დიალექტის ზოგ მაგალითში („ნაჭაბი“, „ოთხი“) ა > ო [ლომთაძე 1994, 244-246]. ხუნძ. ზაწ-ტი ~ ანდ. ანეი-დი : ბაგე. ანეი-თ : ახვ. ანეი-თე („ნაჭაბი“) სახელში იგივე ფუძეა, რაც ბეჟ. ოჭ (შდრ. საკ. ხვარ. ჭუჭ. ჩეჩნ. დიგ „id.“) სახელში [ლიუმეზილი 1933, 19; ბურკულაძე 1986, 20]. ბეჟიტურში ამავე მნიშვნელობით დასტურდება ყაყა (ხუნძ. შ, შ: ბეჟ. ყ, თ), რომელშიც უნდა იყოს \*ა დატული. რაც შეეხება „ოთხს“, მასში ჩვეულებრივ აღადგენენ ო/უ ხმოვნებს [გუდავა 1980, 106; აკიევი 1982, 110], რაც ნაკლებსარწმუნოა.

<sup>59</sup> ე. ლომთაძის შეხედულებით, ა:ო შესატყვისობისაგან ე:ე:ა/ო:ო/ზ შესატყვისობა ტრანსფორმაციის საფუძველზე წარმოიქმნა [ლომთაძე 1994, 257].

ჩვენი აზრით, ჰუნზ. \*ა > ა პროცესი \*ა > ო პროცესის თანადროული ჩანს, ოღონდ მახვილით (და, შესაძლოა, პოზიციითაც) განსხვავებული. საგულისხმოა, რომ \*ა > ა პროცესი ადილურ ენებში პოზიციურად აიხსნება: \*ა — გ > ა — გ [შენგელია 1983, 658].

<sup>60</sup> ასევეა ზოგ სხვა სახელშიც: „გული“, „ათი“ და მისთ.

ზემომოყვანილი მოსაზრება ე. ლომთაძეს გამოთქმული აქვს ბეე. ო : ჰუნზ. ჰ ზმოვანთა შესატყვისობის წარმოშობაზე მსჯელობისას [1978, 260]. ეს მართებული დებულება შეიძლება განვავრცოთ მთლიანად დიდოურ ენებზე და დავასკვნათ: საკ. დიდ. ი : ჰინ. ე : ხვარ. ა/ო : ბეე. ო/ზ ჩამოყალიბებული ჩანს უმახვილო პოზიციაში, რომელშიც ა ზმოვანს ცვლილების მეტი შესაძლებლობა მოეპოვებოდა.

ისმის კითხვა: როგორ აიხსნება ა-ს ტრანსფორმაცია ერთმარცვლიან მარტივ ფუძეებში, რომლებშიც ანალოგიური შესატყვისობა დასტურდება?

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ამჟამინდელი ერთმარცვლიანი სიტყვები ისტორიულად ორი მარცვლის შემცველი უნდა ყოფილიყო [ცერცვაძე 1959, 219-221; ლომთაძე 1978, 259], მაგ.: ხუნძ. წა (\*წარი, შდრ. ახვ. ჰარი „id.“) ~ საკ. დიდ. წი (\*წირი) „ცეხლი“; ხუნძ. წარ (\*წარი, შდრ. კარ., ახვ. წერი „id.“) ~ საკ. დიდ. ცი (\*ცირი, შდრ. ბეე. ცარო „id.“) „სახელი“ და ა. შ.

უმახვილო პოზიციაში წარმოქმნილი მეორე რიგის შესატყვისობაში სპონტანური ფონეტიკური ცვლილებანი ცალკეულ დიდოურ ენას დამოუკიდებლად უნდა განეცადა. ისტორიული \*ა ასე უნდა შეცვლილიყო: საკ. დიდ. ა>ე<sup>61</sup>,<sup>62</sup> ჰინ. ა>ე, ხვარ. \*ა (საკ. ხვარ.), ა>ო (ინხ.), ბეე. ა>ო (საკ. ბეე.), ა>ჰ (ჰუნზ.) [შდრ. ლომთაძე 1956, 82].

ზემოგანხილულ შესატყვისობათა გარდა, გამოიყოფა ერთი ჯგუფის სახელები, რომელთა ფუძისეული თუ აფიქსისეული ა ზუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში არ იცვლება. ბგერათიგივეობით წარმოდგენილი ამ რიგის მაგალითები და მათი მიმართება ზემონაჩვენებ შესატყვისობასთან სპეციალურ ლიტერატურაში აუხსნელია [ცერცვაძე 1958, 253; ლომთაძე 1978, 256...],<sup>62</sup> თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა-ს ორი (წინა და უკანა რიგის) სახეობის დაშვების შესაძლებლობას [ბოკარევი 1961, 79-80; 1981, 35; ნიკოლაევი 1978]. ამგვარ სახელებს განეკუთვნება:

1. ხუნძ. წაჟა ~ ანდ. წაა : ბოთლ.: ჰამ.: კარ. წაჟ : ტინდ. ცაჟა : ბაგვ. წაჟარა : ახვ. წაარი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ცა : ხვარ. ცა (საკ. ხვარ.), ცა<sup>5</sup> (ინხ.) : ბეე. ცა<sup>5</sup> (საკ. ბეე.), ცა (ჰუნზ.) „ვარსკვლავი“.

<sup>61</sup> ამ პროცესის ყოველი საფეხური გამკვირვალედ დაჩნდება „ორის“ აღმნიშვნელ სახელში, რაც სავსებით სამართლიანად ფარინგალიზებულ თანზმოვანთა ზეგავლენას მიეწერება [ინჰაიშვილი 1963, 31]. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი ყველა დიდოურ ენასა და ყოველ ფონოლოგიურ პოზიციაში არ უნდა ყოფილიყო ე. წ. ფარინგალიზებულ თანზმოვანთა მეზობლობით გამოწვეული, რაც სპეციალურ ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული [ბურკულაძე 2000, 245].

<sup>62</sup> მართალია, აბსოლუტური ბგერათიგივეობის დროს ნასესხობათა გამორიცხვა შეუძლებელია [ბურკულაძე 2000, 241], მაგრამ შერეულ (იდენტურ და არაიდენტურ) ბგერათშესატყვისობათა პირობებში და თანაც მრავალ მაგალითში ხელშესახებლად თავჩენილი ბგერათმიმართების უგულებელყოფა პრობლემისათვის გვერდის ავლას ნიშნავს [ცერცვაძე 1965, 32].

2. ხუნძ. ღელო <\*ლუადი (შდრ. ნათ. ღად-ი-ლ) ~ ანდ. ღანნი (<\*ლუანდი) : ბოთლ.: ღოდ.: ტინდ. ღანდი (<\*ლუანდი) : ჭამ. ღან (<\*ლუან) : ბაგვ. ღანდუ (<\*ლუანდუ) : კარ. ღანდე (<\*ლუანდე) : ახვ. ღან(ღ)დი (<\*ლუან(ღ)დი) ~ საკ. დიდ. ღ'უადი : შინ. ღუადე : ხვარ. ღადა <\*ლუადე (საკ. ხვარ.), ღ'ანდე <\*ლ'უანდუ(ინხ.) : ბეე. ღანდე <\*ლუადე (საკ. ბეე.), ღანდე < ღუანდე (ჰუნზ.) „ყვავი“.

3. ხუნძ. რაჟი ~ ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ტინდ. რაჟი ~ საკ. დიდ.: ხვარ. რაჟი : ბეე. ნაჟი (საკ. ბეე.), ნიჟი <\*ნაჟი (ჰუნზ.) „ნიორი“.

4. ანდ.: ბოთლ.: ახვ. ტუქა : ღოდ.: ტინდ. ტუქა : კარ. ტუქუა ~ საკ. დიდ.: შინ.: ხვარ. ტექა : ჰუნზ. ტიგა „ვაცი“.

5. ხუნძ. რატა „ცხოველის წინა ფეხი“ ~ ანდ.: კარ.: ახვ. რეტა : ბოთლ. რეცა : ღოდ. ღელა : ჭამ. ღელა ~ საკ. დიდ. რეტა : ხვარ. ღეტა (საკ. ხვარ.), ღიტა (ინხ.), ბეე. დიტა („სახელო“) „ხელი“, „ხელის მტევანი“.

ამ მაგალითებიდან ზოგი ნასესხობა ჩანს („ნიორი“), ზოგიც ხმაბად-ვითი სახელი („ყვავი“),<sup>63</sup> რომლებშიც ა, ბუნებრივია, კანონზომიერი შესატყვისობიდან გადახრას გვიჩვენებს.<sup>64</sup> ძალიან ხშირად ა:ა ბგერათიგივეობას S - C პოზიციაში ვხვდებით, მაგრამ ფონოლოგიური გარემოცვით ეს ვერ აიხსნება, რადგანაც ანდ. ჰეკა (<\*ჰეკუა, შდრ. ბაგვ., კარ. ჰეკუა „ჰეკი“) დიდოურ ენებში წესისდა მიხედვით (ა:ო:ა/ო:ო/ა) იცვლება. ვფიქრობთ, თითოეულ მაგალითს ცალ-ცალკე გამოწვლილვითი ანალიზი სჭირდება, რაც აქ შეუძლებელია. კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ორი თვალსაზრისის წამოყენება: 1) ა:ა ბგერათიგივეობა უ წყვილბაგისმიერი სონანტის მომდევნოდ მახვილიან პოზიციაში უნდა იყოს რეალიზებული. უ სონანტისა და ო ბაგისმიერი ხმოვნის კოარტიკულაციიდან გამომდინარე, ო>ა არ განხორციელდებოდა. სავარაუდოა, სადაც უ-C პოზიციაში ა>ო ფაქტია, იქ მახვილის გადაწევისა და, ხშირ შემთხვევაში, უ ლაბიალური ელემენტის დაკარგვასთან უნდა გვექონდეს საქმე; 2) თავდაპირველად უნდა არსებულიყო ორი სახის ამოსავალი ა, რომელთაგან პირველი \*ა (პირობითი აღნიშვნით ა1) უკანა წარმოებისა იყო და შედეგად მოგვეცა ა:ო შესატყვისობა. ა:ა ბგერათიგივეობაში შემონახული ა, რომლის პროტოტიპი ა2 შუა (resp. წინა) რიგის ხმოვანი უნდა ყოფილიყო [სოსიური 1977, 408; ტრუბეცკოი 1960, 108-116; ბოკარევი 1981, 34, 36].

საინტერესოა აღნიშნოს, რომ ა-ს არაერთგვაროვანი რეფლექსაცია სხვა ნახურ-დაღესტურ ენებშიც იჩენს თავს [აკიევი 1982, 13-15; იმნაიშ-

<sup>63</sup> „ყვავი“ აღნიშნულ ლექსემაში ამოსავალი შეიძლება ი იყოს [იხ. ცერცვაძე 1980, 230].

<sup>64</sup> საყურადღებო ფაქტია, რომ სპარსულიდან შეთვისებული ჰაზარ „1000“ ანდურში კანონზომიერი შესატყვისობით (ოზირუ) გვიდასტურდება [გუდავა 1980, 213], რაც ნასესხობის ფუძენაში არსებობით უნდა აიხსნას.

ვილი 1977, 47-50, 170]. ამანაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ისტორიულად უნდა გვექონოდა ორი, ერთმანეთისაგან ლოკალური რიგით განსხვავებული, ა ხმოვანი, რომელთა ევოლუციის შედეგად ორი სახის შესატყვისობა ჩამოყალიბდა (ეს საკითხი, სხვა დაღესტურ ენათა ვითარების გათვალისწინებით, დამატებით კვლევას მოითხოვს).

**2.3. \*ი ხმოვნის შესატყვისობა.** ამოსავალი \*ი ძირითადად დაცულია ხუნძურ-ანდიურ ენებში, თუმცა არცთუ იშვიათად წარმოდგენილია ზუსტი დისტრიბუციის გარეშე და ხშირად მონაცვლეობს იმავე რიგის ე ხმოვანთან (ანდ., ჭამ., ტინდ., ბაგვ., კარ...). ტინდიურში აუსლაუტის ი>ე [გუდავა 1953, 370]. ანალოგიური პროცესი აუსლაუტის უმახვილო პოზიციაში შემჩნეულია კარატაულში [მაჰომედბეგოვა 1971, 28-29]. მიუთითებენ აგრეთვე ი:ა მონაცვლეობაზე (ხუნძ. მალ: ლოდ. მილი აუ-დი"...) [საიდოვა 1973, 30-31]. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში შეინიშნება ი>ე ანდ. და ჭამ. ენებშიც, მაგ.: ჭამ. სეჰი<sup>65</sup> (<\*სეინ <\*სინი, შდრ. ჰიჰ. სინი) „დათვი“; ანდ. ლ'ჲენ (<\*ლ'ინ, შდრ. ხუნძ. ლ'ინ) „წყალი“ და მისთ.

დიდოურ ენათაგან ისტორიულ ი-ს ბეე. ენა და ხვარ. ენის ინხ. დიალექტი ინახავენ, ხოლო საკ. დიდოურსა და ჰინუხურ ენებში წარმოდგენილია მასთან არტიკულაციური ნიშან-თვისებებით ახლომდგომი ე. ხსენებულ ენათა შორის, ამ შესატყვისობის მიხედვით, გარდამავალ საფეხურს ქმნის საკ. ხვარ. დიალექტი: ი/ე [ლომაძე 1994, 258].

შესატყვისობის ფორმულა, რომლის საფუძველზედაც ხდება ი ხმოვნის რეკონსტრუქცია, ასე გამოიყურება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეე.
ი	ი	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ი/ე	ე	ე	ი/ე	ი

1. ხუნძ. ცი ~ ანდ. სედი : ბოთლ.: ბაგვ.: კარ. სი<sup>66</sup> : ლოდ. სიჰი<sup>67</sup> : ჭამ. სეჰი<sup>68</sup> (ჰიჰ. სინი) : ტინდ. სი<sup>69</sup> : ახვ. შინ ~ საკ. დიდ. ზეე : ჰინ. : ხვარ. ზე : ბეე. სი<sup>70</sup> (ჰუნზ. სე) „დათვი“.

2. ხუნძ. ილი<sup>71</sup> ~ ანდ. ილი-ლ : ბოთლ. ილი<sup>72</sup> : ჭამ.: კარ.: ახვ. ილი<sup>73</sup> ~ საკ. დიდ.: ჰინ. ელი : ხვარ. ილა (ინხ. ილო) : ბეე. ილე „ჩვენ“.

3. ხუნძ. ლ'ინ ~ ანდ. ლ'ენ : ბოთლ.: ლოდ.: კარ.: ახვ. ლ'ენი : ჭამ. ლ'ინ<sup>74</sup> : ტინდ. ლ'ენი (აქნ.-ანდ. ლ'ენე) : ბაგვ. ლ'ენ<sup>75</sup> ~ საკ. დიდ. ლ'ი : ჰინ. ლ'ე : ხვარ. ლ'ან (ინხ. ლ'ონ)<sup>76</sup> ბეე. ლ'ი (ჰუნზ. ლ'ენ) „წყალი“.

<sup>65</sup> საკ. დიდ., ჰინ. და ხვარ. ენები ას მერვე შესატყვისობას მისდევს [იხ. ცერცვაძე 1959, 251].

4. ანდ. ნიო : ბოთლ. : ღოდ. : ტინდ. : კარ. : ახვ. ნია : ჟამ. ნიშა ~ საკ. დიდ. : შინ. ნეშუ : ხვარ. ნიშე : ბეე. მიშუ (ჰუნზ.) „ნამგალი“.

5. ხუნდ. ცამ ~ ანდ. სამ : ბოთლ. : ღოდ. : ტინდ. : ახვ. სამი : ჟამ. : ბაგვ. სამ ~ საკ. დიდ. სემი : შინ. სემე : ხვარ. სემი (ინხ. სემე) : ბეე. სემო (ჰუნზ. სემ) „ნადველა“ > „ბრაზი“.

6. ანდ. სამირუ : ჟამ. ცამ : ბოთლ. ცამბარუ : ტინდ. : ცამბარა : კარ. ცამბერო : ახვ. ცამბერა ~ საკ. დიდ. სემი : შინ. სემე : ხვარ. სება (ინხ. სებო < სობო) : ბეე. სობოტა (ჰუნზ. სემპრ) „შემოდგომა“.

7. ხუნდ. მიჟა ~ ანდ. : კარ. : ახვ. მიჟა : ღოდ. : ტინდ. მიჩა : ბაგვ. მიჟა : ჟამ. მიწუ ~ საკ. დიდ. : შინ. მეჩა : ხვარ. მიჩ (ინხ. მიჩ) : ბეე. მიჩ, მიც „ჰინქარი“.

8. ანდ. : ბოთლ. : ღოდ. : ტინდ. : კარ. : ახვ. რიტაი : ჟამ. დიტა : ბაგვ. რიტა ~ საკ. დიდ. რელ' : ხვარ. ლილ' „ხორცი“.

9. ჟამ. : ბაგვ. : კარ. : ახვ. ტაილი „ბატკნები“ ~ საკ. დიდ. : შინ. ლ'ელი : ხვარ. ლ'ილი (ინხ. ლ'ილე) : ბეე. ლ'ილე „ბატკანი“.

10. ხუნდ. შებუ (\*შობუ, შდრ. ჰადაჰ. შობურ) ~ ანდ. : ტინდ. შიმუ : ჟამ. : ახვ. შიმი ~ საკ. დიდ. : შინ. ეემუ : ხვარ. ეემუ (ინხ. ეემუ) : ბეე. ეემო (\*ეემო)<sup>66</sup> „სადგისი“.

ე. ლომთაძის კონცეფციის მიხედვით, პირველი რიგის ი:ე შესატყვისობა ე:ი შებრუნებული შესატყვისობის ორგანული ნაწილი და მისი თანამოზიარება. მკვლევარი ასკვნის: „ასე, რომ შესატყვისობანი ე:ი და ი:ე დიდოური ჯგუფის ენა-კილოებში ერთი პროცესის შედეგია: ი'ს ე'ში გადასვლისა სხვადასხვა მასალაში ... იმ მასალაში, სადაც პირველი ჯგუფის ენა-კილოებს ი აქვთ შემონახული, მეორე ჯგუფის ენა-კილოებს ი ე'თი აქვთ შეცვლილი და, პირიქით: სადაც მეორე ჯგუფის ენა-კილოებს აქვთ შემონახული, იქ, პირველი ჯგუფის ენა-კილოებს ი ე'თი აქვთ შეცვლილი (როგორც ჩანს, ი'ს ე'ში გადასვლა ამ ენა-კილოთა მთლიან მასალაში არ მომხდარა!)“ [ლომთაძე 1994, 285-286].

ე. ბოკარევი ამოსავალ ოდენობად წინა წარმოების ერთ-ერთ (ი resp. ე) ზმოვანს ვარაუდობს, თუმცა, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სათანადო მონაცემების სიჭრელიდან გამომდინარე, ამ შესატყვისობის გენეზისის საკითხს ღიად ტოვებს [ბოკარევი 1959, 254-255].

დ. იმნაიშვილი ორივე (ი:ე, ე:ი) შესატყვისობათა საერთო ამოსავლად ე ზმოვანს აღადგენს [იმნაიშვილი 1963, 41].

მაშასადამე, წინამორბედ მკვლევართა ნააზრევს თუ დავემყარებით, უნდა დავუშვათ, რომ „ბატკნის“ გამომხატველი ლექსემა ლ'ილე (ბეე.)

<sup>66</sup> იხ. ლომთაძე 1994, 287.

ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ლ'ელი (საკ. დიდ.) ერთი საერთო ქრონოლოგიური დონის არქტივის დაშლისა და შემდგომი ტრანსფორმაციის შედეგად არის მიღებული.

სათანადო ლექსიკურ-გრამატიკული მასალის დეტალური ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ზემონახსენები მოსაზრებები ურთიერთგამომრიცხავი და, აქედან გამომდინარე, რეალურ საფუძველს მოკლებულია.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საკითხავია: იდენტურ ფონოლოგიურ გარემოცვაში ამოსავალი *o* გარკვეულ მასალაში — როგორც ამას ე. ლომთაძე ფიქრობს — რატომ გადავიდა ერთი წყების ენებში ე ხმოვანში, ანდა პირიქით? *o>e* პროცესი რატომ არ მოხდა საკვლევ ენათა მთელ მასალაში?

ჩვენ გვარაუდობთ, რომ *o>e* შესატყვისობისათვის საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირდება წინა წარმოების, მაღალი აწეულობის *o*, ხოლო ეი შესატყვისობისათვის — ამავე რიგის, საშუალო აწეულობის ე.

შევეცდებით სათანადოდ დავასაბუთოთ ზემოწამოყენებული დებულებანი.

ჩერ კიდევ 1931 წელს ნ. ტრუბეცკოი ჩაჩნური კონსონანტიზმის სისტემაზე მსჯელობისას აღნიშნავდა, რომ „მფათიკურ-პალატალიზებულ თანხმოვანთა შემდეგ (ხან წინაც) ხმოვნები მოდიფიცირდება: ...უკანა ხმოვნები პალატალიზდება (მაგალითად, *o>e* უ>ჲ)“ [ტრუბეცკოი 1987, 291]. ანალოგიური პროცესები საკვლევ ენებში, ზემოდასახელებულთა გარდა, სხვა თანხმოვნებთანაც ხელშესახებია, განსაკუთრებით ბოლოციდურ პოზიციაში [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 22; მიქაილოვი 1958, 126; გულავა 1953, 358; მაჭომეღბეკოვა 1971, 28; იმნაიშვილი 1963, 30-32 და სხვ.].

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ შ, ც და ფარინგალიზებულ თანხმოვანთა მეზობლად ხმოვანთა დავიწროება (*ა>ე>o*) ხდებოდა, ვიდრე მათი გაფართოება (*o>ე>ა*) [შდრ. ლომთაძე 1994, 189, 255]. მართალია, ხმოვანთა ფორმაციების ეს პოზიციური პროცესი ნაკლებ ეხება იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც ისტორიულად აპირობებდნენ *o>e* ხმოვანთშესატყვისობის ჩამოყალიბებას, მაგრამ მის დარღვევაში უცილოდ უღვევთ გარკვეული წილი. *o* ხმოვანი ხშირად რყევას განიცდის, რაც მისი გაფართოებით გამოიხატება.

ე. ლომთაძის მართებული შეხედულებით, *o>e* შესატყვისობის (შესაბამისად, *o>e* პროცესის) გენეზისის გარკვევისათვის ფასეულია ერგატივისა და „ირიბ ბრუნვათა“ ჩვენება [ლომთაძე 1994, 264].

არსებული *o>e* შესატყვისობაში ზვარშიული ხანდახან *o>e* ნაცვლად გ და უ ხმოვნებს გვიჩვენებს, რომელთა *o* ხმოვნისაგან წარმომავლობა (*o>გ>უ*) დამაჩვენებლად დაასაბუთა ე. ლომთაძემ [ლომთაძე 1985, 180-181]. მასთან, *o>e* პირველადობას სხვა დაღესტურ ენათა შესაბამისი მასალაც ადასტურებს [ბოკარევი 1981, 36; ლომთაძე 1994, 266-276].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, *o>e* შესატყვისობის ზემომოყვანილ მაგალითებში, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, *o* ხმოვანია ამოსავალი.

2.4. \*ე ხმოვნის შესატყვისობა. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში ამოსავალი \*ე დიდ რყევას განიცდის. იგი დავიწროებით ხშირად ი ხმოვნად ტრანსფორმირდება. იე ურთიერთმონაცვლეობა უკვე ცნობილია წინა პარაგრაფიდან, მაგრამ დასტურდება ერთი წყყების მაგალითები, რომლებშიც ისტორიული ე ხუნძურში (ხან ანდიურ ენებშიც) ა, ო, უ სახესხვაობებით გვევლინება („ენა“, „სავარცხელი“, „ოთხი“, „გველი“...). შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამგვარი ვარიაციები მეტწილად კომბინაციური ფონეტიკური პროცესების საფუძველზე არის წარმოქმნილი, რაზედაც სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად მახვილდება ყურადღება [ლომაძე 1994, 280-285].

დიდოურ ენებში ე ხმოვნის რეფლექსაცია, როგორც ცნობილია, შედარებით ნათლად არის წარმოდგენილი: საკ. დიდ.: ჰინ. ი : ხვარ. ე/ი : ბეე. ე [ლომაძე 1955, 27]. საილუსტრაციო მაგალითები:

1. ხუნძ. იხა ~ ბოთლ.: ლოდ. ინხთ: ახვ. იზუ „ნაკადი“, „რუ“ ~ საკ. დიდ. იჰჰუ: ჰინ. იხუ : ხვარ. იზუ (ინხ. ეზუ): ბეე. ეზუ (ჰუნზ. ეზ-ხუ)<sup>67</sup> „მდინარე“.

2. ხუნძ. ბეჩე (<\*ბაჩე) ~ საკ. დიდ.: ჰინ. მეში : ხვარ. მიში (ინხ. მიში) : ბეე. ბიში (ჰუნზ. ბიში) „ხბო“.

3. ხუნძ. მიტა- ~ ანდ. ბეგტა: ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: ტინდ.: კარ.: ახვ. ბიტა-<sup>68</sup> ~ საკ. დიდ. ბილ'-: ჰინ. ბელ'- ( <ბილ'-): ხვარ. ბალ' (ინხ. ბალ'): ბეე. ბელ'- (ჰუნზ. ბელ'-) „მ“.

4. ხუნძ. ბოროზ (<\*ბოროჟა <\*ბეროჟა) ~ ანდ. ბერჩა: ბოთლ.: ლოდ.: კარ. ბერჟა : ტინდ.: ბაგვ. ბეჟა (<\*ბერჟა) : ჰამ. ბეჩა : ახვ. ბეჟა ~ საკ. დიდ. ბეჟორი: ჰინ. ბჰჰორე (<\*ბეჰჰორე) : ხვარ. ბეჩოლა (ინხ. ბეჰოლ) : ბეე. ბეჰელა (ჰუნზ. ბეგალა) „გველი“.

5. ხუნძ. მაწა (<\*მეწა) ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ახვ. მიწა (<მეწა) : ლოდ.: ტინდ. მიცი (<\*მეცი)<sup>69</sup> ~ საკ. დიდ.: ჰინ. მეც (<\*მიც) : ხვარ. მეც (ინხ. მიც) : ბეე. მიც (<\*მეც, შდრ. დეცუტა „ნიჭი“) „ენა“.

6. ხუნძ. უწყ- (<წყ- <\*ბოყ- <\*ბოყჟე) ~ ანდ. ბოყ'-: ბოთლ. ბულუ- (<\*ბოლ- <\*ბოლჟე): ლოდ.: ჰამ.: ბაგვ. ბულუ- (<\*ბოლ- <\*ბოლჟე) : ტინდ.: ბულ-: კარ. ბოლ-: ახვ. ბოყ'- (<\*ბოყჟე) ~ საკ. დიდ. უყ'ჟე- (<\*უყჟე-): ჰინ. უყ-: ხვარ. უწყ- (ინხ. უწყ'-) : ბეე. რყ- <რწყჟე- (ჰუნზ. რყე-) „4“.

<sup>67</sup> ამ სახელის შესახებ ვრცლად იხ. ბურჰულაძე 1991, 21-26.

<sup>68</sup> ე > ი აუსლაუტის ძსთან ასიმილაციით [შდრ. გულაევა 1980, 209].

<sup>69</sup> ვეღვან ძსთან ასიმილაციით [შდრ. გულაევა 1979, 154]. არნ. ჩიქობავა ჩრდილოკავკასიურ ენათა მონაცემების საფუძველზე აქ ხმოვანს აღადგენს [1974, 52]. ს. ნიკოაევი და ს. სტაროსტინი აღმოსავლურ კავკასიურ ენებში ე ხმოვნის რეკონსტრუქციას ახდენენ [1994, 802-803]. ე-ს აღადგენს ა. აკივიცი [1982, 104].

7. ხუნძ. წიბილ (<\*ხებილ) ~ ანდ.: ღოდ.: ბაგვ. ისობ <\*ისებ (ასი-მილაკით): ჭამ. ესობ (<\*ესებ) : ტინდ. ესება : კარ. ესებო : ახვ. ეშებ ~ საკ. დიდ.: შინ. ეობრა : ხვარ. ეებლა : ბეყ. შებლო (ჭუნზ. შებლე) „გვერდი“, „ნეკნი“.

თავისებურებას ამჟღავნებენ I და II პირის ნაცვალსახელები, რომლებშიც ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ერთიანობის ხანისათვის ბ.ათაევი ე-ს აღადგენს [ათაევი 1992, 30]. უცნაურობა აქ ის არის, რომ ზემოხსენებული ნაცვალსახელები დილოურ ენებში **ი:ე:ა/ო:ო/ა** შესატყვისობას მისდევენ. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ორი შესატყვისობის არქეტიპები ერთმანეთთან ახლოს უნდა მდგარიყვნენ, მაგ.:

ხუნძ. დუნ ~ ანდ. დენ/დინ : ბოთლ.: ღოდ.: კარ.: დენ : ჭამ. დი<sup>6</sup> : ტინდ.: ბაგვ. დე : ახვ. დენე ~ საკ. დიდ. დი : შინ. დე : ხვარ. და (ინხ. დო) : ბეყ. დო (ჭუნზ. და) „მე“.

ხუნძ. მუნ ~ ანდ. მენ/მინ<sup>70</sup> : ბოთლ.: ღოდ. მინ (<\*მინი <\*მენი) : ტინდ.: ბაგვ. მე : ჭამ. მი<sup>6</sup> : კარ. მენ : ახვ. მენე ~ საკ. დიდ. მი : შინ. მე : ხვარ. მა (ინხ. მო) : ბეყ. მი <\*მო (ჭუნზ. მა) „შენ“.<sup>71</sup>

არქეტიპები ძველ ფორმათა სიუხვით გამოჩნეულ ახვ. ენაში უნდა იყოს დაცული [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 209; ათაევი 1992, 30..., შდრ. ბოკარევი 1959, 255-256].

I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნებაში საინტერესო მოვლენა შეიძინევა: ერგატივში საკ. დიდ. დი („მე“) ფორმას სხვა ახლომონათესავე ენებში დე („id.“) ექნება ეკვივალენტად, თუმცა ში („შენ“) ნაცვალსახელი საკ. ხვარშიულშიც ში („id.“) ფორმას გვიჩვენებს [იმნაიშვილი 1963, 94]. საკ. დიდ. ენას ნათ. ბრუნვაში ე-ს შემცველი ფორმა აქვს (დეჲ „ჩემი“), რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს ე-ს პირველადობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ლომთაძე ცდილობს ამ შესატყვისობაში საერთო ამოსავლად ი აღადგინოს, მაგრამ ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობებს აწყდება. დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც ხმოვანთა კანონზომიერი შესატყვისობის თვალსაზრისით ექვს არ იწვევს: ხუნძ. შერ ~ ანდ. ინჩი : ბოთლ. ინჩა : ღოდ. იჩუ : ჭამ. ეშ : ტინ. ეჩი : ბაგვ. შერ : კარ...: ახვ. შერე ~ საკ. დიდ. შენემ : შინ. იში : ხვარ. შიდო<sup>72</sup> (ინხ. ეშ, იშ) : ბეყ. ეშ „ვაშლი“.

დამოწმებულ მაგალითში ხუნძ.-ანდ. ჩ, ნ : დიდ. შ, ნ კანონზომიერად შესატყვისებიან ერთმანეთს [ტრუბეცკოი 1987, 256; ლომთაძე 1962, 289; გულავე 1979, 117]. რაც შეეხება ხმოვანთა შეფარდებას, ენათა მიხედვით ე-ს სიხშირის კოეფიციენტი სჭარბობს (ი-5, ე-8), თუმცა ოდენ გამოყენების სიხშირე ვერ იქცევა გადამწყვეტ არგუმენტად, თუ არ მოხდა

<sup>70</sup> ამოსავალი ანდ. ენებში უფრო გავრცელებული ფორმა (მენ) ჩანს [ცერცვაძე 1965, 198].

<sup>71</sup> თვალშისაცემი მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს — ჩანს, მათ ამოსავალ ოდენობად ერთი (ე) ფონემა აქვთ.



•ს შემცველ ფორმებში ეს რეკონსტრუირება.

თეორიულად ნავარაუდები •ს პირველადობის დასაბუთებისას ე. ლომთაძე პარალელს სხვა დაღესტნურ ენებთანაც ავლებს<sup>72</sup> და ი>ე პროცესის ასახსნელად მჟღერ ფარინგალურ სპირანტ მ-ს უშვებს,<sup>73</sup> მაგ.: თაბ. ვერ < მერჲ < \*ირჲ : აღულ. ჰერ < \*მირ : რუთ. ყერ < \*მირ : წახ. ყერ < \*მირ : კრიწ.: ბულ. ვერ < მირ : არჩ. ანშ < \*მანშ < \*მენშ < \*მინჩ... ამგვარი მაგალითები არცთუ იშვიათად გვხვდება [ლომთაძე 1994, 281; შღრ. ბურჭულაძე 2000, 245].

ცნობილია, რომ მ სპირანტი და მისი დაკარგვის საფუძველზე წარმოქმნილი ფარინგალიზებული თანხმოვნები იწვევენ ხმოვანთა დავიწროებას და არა გაფართოებას [ბოკარევი 1959, 258; იმნაიშვილი 1963, 30-32]. მასთან, მ-ს რეკონსტრუქციას არათუ საერთო-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე, არამედ მის აღდგენას საერთო-დიდოურშიც კი სირთულეები ხვდება [გულავე 1979, 201; გიგინეიშვილი 1977, 142-145]. ამიტომ მოსაზრება მ სპირანტის მეშვეობით •ს გაფართოების შესახებ საფუძველს მოკლებულია.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უმახვილო (ზოგ ენაში მახვილიანიც) ბოლოკიდური ე, ი დავიწროების ნიადაგზე ი, უ ხმოვნებით იცვლება [გულავე 1953, 330; მიქაილოვი 1958, 126-128; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 30-31; მაჭომედიბეკოვა 1971, 30...]. ეს ფონეტიკური პროცესი ფართოდაა გავრცელებული ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტშიც [ლომთაძე 1956, 381].

იმის ნათელსაყოფად, რომ ბეჟიტურსა და ხვარშიულ ენებში ეს სახით დაცულმა არქიფონემამ დანარჩენ დიდოურ ენებში ტრანსფორმაციის შედეგად ი მოგვცა, მოვიყვანთ რამდენიმე არგუმენტს:

1. საკ. დიდოურსა და ჰინუზურ ენებში, რომლებშიც ე-ს შესატყვისად ი დასტურდება, ხელშესახებია ტენდენცია ხმოვანთა დავიწროებისა, რის საფუძველზეც ე>ი [იმნაიშვილი 1963, 169; ბურჭულაძე 1998, 105, 108], მაგ.: ქეც-ირ-ა < ქეც-ერ-ა „დაწვენა“, ბ-ა-წ-ირ-ა < ბ-ა-წ-ერ-ა<sup>74</sup> „შეკმევა“ და სხვ.

2. ანდიურ (ლოდ., ტინდ., კარ.) და დიდოურ (საკ. დიდ., ჰინ.) ენებში ი>ე შესატყვისობაში ი<ე, რასაც დიდოურ ენათა მიმართ ე. ლომთაძეც ადასტურებს [1994, 210-211, 234]: ე>ი: ქეთო (ხუნდ.) > გიდუ (ტინდ.) „კატა“, ტინდ. წეხინა (აქნ.-ანდ.) > წიხინა<sup>75</sup> (საკ. ტინდ.) „ძებნა“ [გულავე 1953, 364]; ყურე (ჰინ.) > ყური (საკ. დიდ.) „სკამი“, ბერუს

<sup>72</sup> საანალიზო ლექსემას პარალელები ეძებნება არამარტო იბერიულ-კავკასიურ ენებში [შარი 1915, 825; ჩიქობავა 1938, 121; გონიაშვილი 1940, 88; გულავე 1954, 705; კლიოვი 1964, 82; ბოკარევი 1961, 72...], არამედ გარკვეულ ფონეტიკურ სიახლოვეს ავლენს საერთო-ინდოევროპულ \*samis („id“) ფუძესთან [გამყრელიძე, ივანოვი 1984, 641].

<sup>73</sup> სხვათა შორის, •ს პირველადობას ე. ბოკარევიც ვარაუდობს [1981, 36].

<sup>74</sup> ერთი რიგის ზნებთან (როხ-ბ-ხო < \*როხ-ბ-ერ-ხო „აგდებს“, ხეც-ბ-ხო < \*ხეც-ბ-ერ-ხო „აშვებინებს“) ი ფუძისეულია [ზვიადური 1990, 219].

(ჰინ.) > ბირუს (საკ. დიდ.) „ხის კავი“, კეჩუ (ჰინ.) > კიკუ (საკ. დიდ.) „კბილი“, შეტა (ჰინ.) > შიტა (საკ. დიდ.) „წასვლა“ და მრ. სხვ.

3. ე. ლომთაძე ი-ს პირველადობის სამტკიცებლად იშველიებს ხვარ-შიული და ჰინუხური ენების სახელთა ბრუნებას, რომელშიც ე-ნიანი და ი-ნიანი საბრუნებელი სახელის ბოლოკიდური ე ი-ს სახით გვხვდება, ი ერგატივში უცვლელადაა დაცული, სხვა ბრუნებებში ე წარმოჩნდება.

როგორც ცნობილია, დიდოურ ენებში სახელთა ბრუნებისას ერგატივის ნიშნად საკ. დიდოურში -ა გამოიყენება, ჰინუხურსა და ხვარშიულში — ი. ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნებთან შეხვედრისას ერგატივის ზემომოყვანილ ფორმანტებს ფონეტიკური ცვლილება მოუდის: ე+ა>ა>ი, ი+ი>ი>ი. ამის შემდეგ ბრუნვის „შერეული“ ნიშანი შესაძლებელია ირიბ ბრუნებსაც გადაჰყვეს [იმნაიშვილი 1963, 134; ბოკარევი 1959, 268-271].

ე<ი პროცესის დასასაბუთებლად არ გამოგვადგება ის ფაქტი, რომ თითქოს ხვარშიულსა და ჰინუხურში ფუძის აუსლაუტური ხმოვანი ცვლილებას განიცდის, შდრ.:

საკ. ხვარშიული	ინოყვარული	ჰინუხური
სახ. ყუნი „ორი“	ყ'ტუნე „ორი“	ლ'ელი „ბატკანი“
ერგ. ყუნ-ი < ჯუნე+ი	ყ'ტან-ი<ყ'ტანე+ი	ლ'ელი-ა<ლ'ელი+ი
ნათ. ყუნე-ს	ყ'ტანი-ს<ყ'ტანე-ს	ლ'ელე-ს
მიც. ყუნე-ლ	ყ'ტანი-ლ<ყ'ტანე-ლ	ლ'ელე-ზ

საკ. დიდოურშიც დასტურდება ი ხმოვნით დასრულებული სახელები, რომლებიც „ირიბ ბრუნებში“ ე-თი არიან წარმოდგენილი. ეს იმის მაუწყებელია, რომ აქ ოდესღაც ე უნდა გექონოდა: სახ. ბიქორი „გველი“ — ერგ. ბიქორ-ი, მიც. ბიქორ-ე-რ, ნათ. ბიქორ-ე-ს. ე>ი პროცესი ზოგ დიდოურ ტომონიმშიც დაჩნდება, მაგ.: ცებარო>ციბორი, ქიდერო>ქიდრო „აულთა სახელებია“.

ამრიგად, ირკვევა, რომ თავისუფალი დისტრიბუციის მქონე, ფართოდ გავრცელებული ე, რომელსაც საკვლევ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში საკმაოდ მყარი ადგილი უჭირავს, ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ფუძემენისთვისაც [არლოტელი 1996, 8].

**2.5. ლაბიალური ხმოვნების (ლ, უ) გენეზისი.** ა) საშუალო აწეულობის ლაბიალურ ლ ხმოვანს მეორეულად მიიჩნევენ როგორც, ზოგადად, იბერიულ-კავკასიურ ენებში, ისე, კონკრეტულად, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებშიც [ჩიქობავა 1979, 49; ბოკარევი 1961, 79; იმნაიშვილი 1963, 41; იბრაჰიმოვი 1971, 27; აკიევი 1982, 19...].

ლ-ს პოვნეირება ამჟამად ხელშესახებია — იგი დასტურდება თავკიდურადაც, შუაშიც და ბოლოკიდურადაც. მასთან, ძალიან ხშირად შეიმჩნევა ძირეულ მორფემებში, რაც მის მყარ პოზიციასზე მეტყველებს. მიუ-

ხედავად ამისა, ეს ხმოვანი მეტწილად მეორეულია და არსებობს მისი წარმოშობის რამდენიმე გზა: 1) ასიმილაცია: ხუნდ. ხონო (<\*ხანო) „კვერცხი“; ქამ. ქობ (<\*ქიბ) „რკინა“...; 2) დიფთონგთა მონოფთონგიზაცია: ა) ო (აჟ) < ჟა: ხუნდ. ბაყ (<\*ბაყო, შდრ. ყო <\*ყჟა „დღე“) „მზე“; ბოთლ. ჟიგო (<\*ჟიგაჟი) „მკვდარი“; ბაგვ. წაორა (<\*წაჟარა, შდრ. ხუნდ. წაჟა „id.“) „ვარსკვლავი“; ბ) ო<ჟე : ანდ. რჟონჟულა < ჟეხჟულა „გრძელი“...; გ) ჟს-საკომპენსაცია რედუქცია: საკ. დიდ. ოს (საჰ.) <\*ისჟ (შდრ. ისჟა „ხარები“) „ხარი“, ჰინ. გორა <\*გერჟა „დადება“<sup>75</sup> და სხვა; 4) ო<ა კანონზომიერი შესატყვისობის (ა:ო) შედეგად: ხუნდ. რაკ <\*რაჟა (შდრ. ანდ. რაკჟო) ~ საკ. დიდ. რაკჟ (<\*რაკჟი) „გული“... [გულდავა 1956, 217; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 36; ლომთაძე 1963, 54; იმნაიშვილი 1963, 26-27; ცერცვაძე 1965, 24; მაჰომედბეკოვა 1971, 19-20; არდოტელი 1997, 48-49 და სხვ.].

ე. ლომთაძეს შესაძლებლად ესახება დიდოურ ფუძეენაში ო-ს რეკონსტრუქცია, რის საილუსტრაციოდაც მოყვანილია სამი მაგალითი: „ნაჯახი“, „ოთხი“, „ცხვარი“. ბოლო მაგალითი ამთავითვე გამოსარიცხია, რადგან მას, ბეეიტური (ხორ, ხოჲ „id.“) ენის გარდა, სხვა ენებში შესაბამისი ეკვივალენტები არ მოეპოვება.<sup>76</sup> რაც შეეხება „ნაჯახსა“ და „ოთხს“, ეს სახელები დიდ. ენებში მართლაც ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი, თუმცა ხუნძურ-ანდიურ ენებთან შედარება ცხადს ხდის ა ხმოვნის პირველადობას [ლომთაძე 1994, 244-245]. დიდოურ ენებში ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ: „ოცი“, „ხავსი“, „სავარცხელი“, „ასი“<sup>77</sup> და მისთ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ხშირად თავისთავად მეორეული ო ამოსავალი ხდება ჟს-თვის, ვინაიდან დავიწროების საერთო ტენდენციით არის შეპირობებული. თავის მხრივ, ო ა-სგან ანდა ჟა (ჟა > ო) კომპლექსისგან ჩანს მიღებული [შდრ. გულდავა 1980, 210], მაგ., ხუნდ. ყო-გო (<\*ყა-გო) ~ ანდ. ყენ-დუ<\*ყან-დუ (შდრ. ლეზგ. ყად : თაბ. ყაბ : ბაცბ. ტყა...„id.“) ~ საკ. დიდ. ჟუ (<\*ჟო <\*ჟა) : ბეე. ვო-ნა (<\*ვა-ნა) „ოცი“; ხუნდ. ჰორტო (<\*ჰარტო <\*ჰარტაჟა/ე) ~ ტინდ. ჰალ'ჟ (<\*ჰალ'ო <\*ჰალ'ჟა, შდრ. მრ. ჰალ'ჟა-ბო) ~ საკ. დიდ. ჰილ'ჟ (<\*ჰილ'ო < ჰილ'ჟა) „სავარცხელი“ და სხვ. მისთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთო-დიდოურში ო-ს თეორიულად არსებობის ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ იქნება მხოლოდ მაშინ, თუკი ცნობილი ა:ო შესატყვისობის ბეეიტურის რაღაც მასალაში

<sup>75</sup> ამ ზმნის შესახებ ვრცლად იხ. ბურჟულაძე 1986<sup>4</sup>, 433-435.

<sup>76</sup> ბეე. ხოჲ („ცხვარი“) სახელის დაკავშირება ოო, ყ'ო („დღელი“) კომპონენტთან (შდრ. საკ. დიდ. ბეტ-დუ „ცხვარი“) სარწმუნო არ ჩანს.

<sup>77</sup> დიდ. ენებში „ასის“ აღმნიშვნელი სახელი ტ. გულდავას ნასესხობად მიიჩნია [გულდავა 1980, 212; შდრ. ლომთაძე 1996, 23], მაგრამ მასში დასტურდება ხმოვანთა (ე:ო) შესატყვისობა.

ფუძეენისეული ა გადავიდა ო-ში, შემდეგ კი ეს ო საკ. დილოურში, შინუ-ხურსა და ხვარშიულში უ-ს სახით დაგვიდასტურდა („მზე“, „ოცი“, „გამარობა“...): რაც შეეხება ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენას, მასში ო ხმოვანი არ უნდა გვეკონოდა.

ბ) მაღალი აწეულობის ლაბიალური უ ხმოვნის ფუძეენაში არსებობის შესახებ მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არის: ერთნი ფიქრობენ, რომ იგი შემდეგ არის გაჩენილი სხვადასხვა კომბინაციური ფონეტიკური პროცესების შედეგად [იმნაიშვილი 1963, 41; ლომთაძე 1994, 287], მეორენი ვარაუდობენ, რომ უ ამოსავალი ხმოვანია და მას საერთო-დალესტნურ ფუძეენაში ალაღვენენ [ბოკარევი 1959, 253-254; იბრაჰიმოვი 1971, 28; აკიევი 1982, 110-111].

ჩვენ სავესებით ვეთანხმებით ე. ლომთაძის ინტერპრეტაციას, რომელიც უ-ს საერთო-დილოურში მეორეულ ფონემად მიიჩნევს და დამაჯერებლად ამტკიცებს მის წარმოქმნას სხვადასხვა კომბინაციური ფონეტიკური ცვლილებების გზით [ლომთაძე 1994, 65-80, 287].

ე. ბოკარევის მიერ საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითების ანალიზი უ ხმოვნის მეორეულობაზე მიგვანიშნებს. საბაეჭრო მაგალითებიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ საკ. დიდ. ბუჯ (<\*ბოჯ <\*ბეჯუ) „მზე“ [იხ. იმნაიშვილი 1963, 41] და ნოცუ (<\*ნაცუ <\*ნაცო, შდრ. ბეჟ. ძანჩო <\*ნაცო) „ნერწყვი“ სახელებზე, სხვა მაგალითებიც ექვეყნებ აყენებს ამ მოსაზრების სისწორეს, კერძოდ: საკ. დიდ. უყ'ყ'უენ (საჰ.) <\*ოყ'ყ'უენ (შდრ. ბეჟ. ოყ'ყ'ანა „id.“) „ოთხი“,<sup>78</sup> საკ. დიდ. ჯუ <\*ჯო (შდრ. ბეჟ. ჯონა „id.“) „ოცი“. ორივე რიცხვით სახელში, გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ამოსავალია ო [ლომთაძე 1966, 323; გულავა 1980, 206, 210]. ო ხმოვნის პროტოტიპი ა დაცული ჩანს ზოგ ნახურ-დალესტნურ ენაში (ლეზგ. ყად, ბაცბ. ტ-ყა „ოცი“). საკ. დიდ. უჟი <\*ოჟი (შდრ. ბეჟ. ოჟე) <\*ჟაჟი (შდრ. ხუნძ. ჟჰა <\*ჟჰაჰა, შდრ. ახვ. ჟჰაჰა) „ვაჟიშვილი“; საკ. დიდ. ბუცი <\*ბიციჟი (შდრ. ხუნძ. ბოწა <\*ბაწა, ანდ. ბორწი <\*ბარწაჟი, შდრ. არჩ. ბაცა) „მთვარე“.

სხვა მაგალითებიც ანალოგიურად აიხსნება, რაც უგულვებელყოფს აზრს ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში უ ხმოვნის ძირისეულობის შესახებ.

ამრიგად, ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენების ამოსავალ ხმოვანთა სისტემა ძირითადად სამ ერთეულს ითვლის: ა, ე, ო. ლაბიალური ხმოვნები (ო, უ) როგორც დავინახეთ, მეორეული წარმომავლობის ფონემები უნდა იყვნენ. უ ხმოვანი, ჩანს, უ-ს ალოფონი იყო და მისი რეკონსტრუქცია ფუძეენაში ამ მხრივაც ნაკლებსავარაუდოა.

<sup>78</sup> „ოთხის“ შესახებ იხ. ლომთაძე 1994, 245; შდრ. აკიევი 1982, 110.

### III თავი

#### ფონეტიკური პროცესები ხმოვნებსა და დიფთონგებში

3.1. ნაზალიზაცია და დენაზალიზაცია. ნაზალიზაცია განიშარტება, როგორც ხმოვნისათვის ნაზალური ტემბრის მინიჭება, მომდევნო ნ და მ<sup>79</sup> ცხვირისმიერ სონორთა დასუსტება [ახვლედიანი 1999, 73; ჩიქობავა 1979, 48].<sup>80</sup>

ნაზალიზებული ხმოვნები ნიშანდობლივია ყველა ანდიური ენისათვის, რომლებშიც ნაზალიზაციის პროცესი „დემონსტრაციულ ხასიათს ატარებს“ [გუდავა 1953, 142]. ნაზალიზებული ხმოვნები გვხვდება ხვარშინულსა და ბეიტურ ენებშიც. ხუნძურში, საკ. დიდოურსა და ჰინუხურ ენებში ანალოგიურ ხმოვნებს ფონემის სტატუსი არ მოეპოვებათ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 23; იმნაიშვილი 1963, 15-16; ლომთაძე 1963, 11; შდრ. მიქაილოვი 1958, 141-147; ებელინგი 1966, 59; კიკნაძე 1969, 199]. გარდა ამისა, ბეიტურ ენაში ადასტურებენ პალატალიზებულ-ნაზალიზებულ ხმოვნებს [ხალილოვი 1995, 388; არდოტელი 1999<sup>b</sup>, 12-14], ხოლო ანდიურ ენათა ერთ წყებაში (ჰამ., ტინდ., ბაგვ., ახვ.) — გრძელ ნაზალიზებულ ხმოვნებს [გუდავა 1953, 329-333; 1971, 7; მაჰომედბეკოვა 1967, 322; 1967<sup>c</sup>, 11].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი ნაზალიზებულ ხმოვანთა პრადალესტნურ ენაში არსებობის შესახებ [ბოკარევი 1981, 36; შდრ. სულეიმანოვი 1962, 141].<sup>81</sup>

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა მკვლევრები ნაზალიზებულ ხმოვნებს ჩვეულებრივ მეორეულ ხმოვნებად მიიჩნევენ [გუდავა 1953, 332; 1964, 38-44; მაჰომედბეკოვა 1955, 259; 1967, 11; ლომთაძე 1956, 371; 1994, 313; სულეიმანოვი 1962, 141; 1971, 22; იმნაიშვილი 1963, 15; ცერცვაძე 1965, 13; ჩიქობავა 1979, 49; ბურჭულაძე 2000, 244...].

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მოსაზრებას ნაზალიზებულ ხმოვანთა მეორეულობის შესახებ, რაც ცხადი ხდება ამ რიგის ხმოვნების ბგერათშესატყვისობათა უქონლობითა და მეტად გამჭვირვალე პოზიციური ფო-

<sup>79</sup> ზოგი მკვლევარი წინამაუღ ნ-საც მიიჩნევს ნაზალიზაციის წყაროდ [ლომთაძე 1994, 313], რასაც კორექტირება სჭირდება. მართალია, „წინამაუღალი“ ხმოვანი იწვევს ნაზალიზაციას, მაგრამ მხოლოდ ტრანსპოზიციის შემდეგ, მაგ.: ხვარ. ენზე <ენზე <ენზე (შდრ. ხუნძ. ნისუ „id.“) „ყველი“. მეტად საინტერესო მოვლენაზე მიუთითებს ტ. გუდავა ბოთლიხურ ენაში, როცა ნაზალიზაციის მიზეზი გაუჩინარებულია, კლასის პრეფიქსული ექსპონენტები და ნაზალიზებული ხმოვნის მომდევნო თანხმოვანი კი — ნაზალურ თანხმოვნებად სახეცვლილი, მაგ.: III კლ. მამა! (<ბ-ა-ბა!), IV კლ. ნამა! (<რ-ა-ბა!) „წალი!“ [გუდავა 1953<sup>d</sup>, 142].

<sup>80</sup> ნაზალიზაცია დამატებითი არტიკულაციის საფუძველზე ხმოვანთა პოზიციური (ნაწილობრივი რედუქცია) ცვლილებაა. ჩვენ მას განვიხილავთ იმდენად, რამდენადაც ზოგი მკვლევრის ინტერპრეტაციით იგი ფუძემდის კუთვნილებაა.

<sup>81</sup> სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ე. ბოკარევი დიდოურ ენებში ნაზალიზებულ ხმოვნებს მეორეულად მიიჩნევს [ბოკარევი 1959, 252].

ნეტიკური პროცესებით, რამაც ისტორიულად შეაპირობა ნაზალიზებული ხმოვნების ჩამოყალიბება. რამდენადაც ნაზალიზაციის პროცესები საკმაოდ დეტალურად არის განხილული ზემოხსენებულ სპეციალურ ლიტერატურაში, ამიტომ დაწვრილებით მასზე აღარ შევჩერდებით. შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე მაგალითის ილუსტრაციით, რომლებიც ექვიპუტანლად ამტკიცებენ ნაზალიზებული ხმოვნების მეორეულობას:

ხუნდ. წუმ || < წუნ ~ ანდ. წუმ < \*წუნი (შდრ. კარ. წუნდი „არწივები“): ახვ. წუმ (ეპ.) (<\*წუნი <\*წუნი, წუმი (ტლან.) (<\*წუნი <\*წუნი) ~ საკ. დიდ. ეე < ეე: შინ. ეე : ხვარ. ეე (<ეე <\*ეე, შდრ. ინხ. ეე <\*ეე „id“): ბეე. ეეჰა (<\*ეეჰა <\*ეეჰა, შდრ. ხაშ. ეეჰო <\*ეეჰო) „არწივი“.

ხუნდ. წან<sup>82</sup> ~ ანდ. წან (რიკვ.) (<წან, შდრ. დად. წან): ბოთლ.: ბაგვ.: კარ. წანი (<\*წანი, შდრ. ახვ. წანი) ~ საკ. დიდ. ეეჰო : შინ. ჩიჰო : ხვარ. ეეჰო (<\*ეეჰო <\*ეეჰო): ბეე. ეან (<\*ეან) „მარილი“.

ხუნდ. ლ'ჰმ || < ლ'ჰნ ~ ანდ. ლ'ჰნ : ლოდ. ლ'ჰნი : ქამ. ლ'ჰ (<\*ლ'ჰნ) : ბაგვ. ლ'ჰ (<\*ლ'ჰნ) ~ საკ. დიდ. ლ'ი : შინ. ლ'ე : ხვარ. ლ'ან (<\*ლ'ან) : ბეე. ლ'ი (<\*ლ'ინ <\*ლ'ინ, შდრ. ჰუნზ. ლ'ენ <\*ლ'ენ) „წყალი“...

ყურადღებას იქცევს ის, რომ ხუნდურში ბოლოკიდური ნაზალური ხმოვნები ნ (ძირითადად), მ (იშვიათად) მეტწილად შემონახულია, ხოლო ინტერვოკალური და ანლაუტის მეტათეზირებული ნ კი უკვალოდ არის დაკარგული. ანდიურ ენებში ხშვამოშლილი ნ, ანლაუტის გარდა, ეკედლება რა წინამავალ ხმოვანს, მის ნაზალიზაციას იწვევს. ნაზალიზაციის ტენდენციას ემორჩილება ანლაუტის (v-c), ინტერვოკალური (v-v) და აუსლაუტის (v-#) ნ, რასაც ქამ., ტინდ. და ბაგვ. ენები მეტი სიძლიერით ამჟღავნებენ [მაჰომედბეკოვა 1955, 292; გულაევა 1964, 43].<sup>83</sup> ანალოგიური ვითარება დასტურდება ხვარ. და ბეე. ენებში იმ განსხვავებით, რომ ამ ენებში (განსაკუთრებით, საკ. ბეე. დიალექტში) ნ ხშირად მთლიანად რედუცირებულია.

რაც შეეხება საკ. დიდოურსა და შინუხურ ენებს, მათ (ისევე, როგორც ხშირად ხუნდურს) დენაზალიზაციის საფეხური გავლილი აქვთ და ეს პროცესი ძირითადად დასრულებულია. ნაზალიზებულ ხმოვანთა შემცველი სახელების შედარება ახლომონათესავე ენებთან ამგვარი დასკვნის

<sup>82</sup> ტ. გულაევა არქეტპად \*წან ფორმას ვარაუდობს [1979, 158] და მას კართეელურ ენათა ძამ-ქომ-ფუძებთან აკავშირებს [1954, 705]. ყ. მიქაილოვი არქეტპად აღადგენს \*ძამ ოდენობას და მას კართეელურ ენათა მონაცემს — ძამ-ფუძეს უკავშირებს [1988, 143-144].

ეს საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში ვრცლად არის განხილული [გულაევა 1959, 102-106; ევრცეაძე 1965, 12-15...].

საფუძველს იძლევა,<sup>84</sup> სახელდობრ: ხუნძ. ოც ~ ახვ. უჩა ~ საკ. დიდ. ოს (საპ.): შინ. უშ : ხვარ. გს „ხარი“; ხუნძ. შაზო ~ ანდ. ანზი : ქამ. აზ ~ საკ. დიდ. ისი : შინ. იმე . ხვარ. ისა „თოვლი“...

ბეჟიტური ენის ხაშარხუტულ თქმაში ხელშესახებად მდებარეობს ნაზალიზებულ ხმოვანთა მოშლის ტენდენცია, რაც ნაზალიზებულხმოვნიან და მარტივხმოვნიან ფორმათა თანაარსებობით გამოიხატება. ხაშარხუტულ თქმაში გავრცელებულია ისეთი ფორმებიც, რომლებშიც ნაზალიზაცია მთლიანად მოშლილია, მაგ.: საკ. ბეჟ. ცაგა — ხაშ. ცაგა „სამაჭური“, მაგრამ: საკ. ბეჟ. სი — ხაშ. სი „დათვი“...

შენიშნულია, რომ ერთი რიგის მაგალითებში საკ. დიდოური ნ-ს სრულად ინახავს [ინაიშვილი 1963, 16], რაც ინტერვოკალური პოზიციით ჩანს შეპირობებული. ამგვარ შემთხვევებში ხანდახან ნაზალიზებულ-ხმოვნიანი ენები არღვევენ კანონზომიერებას, მაგ.: საკ. დიდ. ჰენეშ : შინ. ეიში : ხვარ. ეიშ „ვაშლი“, მაგრამ: საკ. დიდ. ჰენი : შინ. ჰენე : ხვარ. ჰენი : ბეჟ. შინო „გზა“ და მისთ.

თავისთავად ის ფაქტიც, რომ ნაზალიზებული ხმოვნის მომდევნოდ ნაზალური თანხმოვანი არ გვხვდება,<sup>85</sup> ნაზალიზებულ ხმოვანთა მეორეულ წარმომავლობაზე მეტყველებს.

**3.2. პალატალიზაცია.** დიდოურ ენათაგან უმლაუტიანი (resp. პალატალიზებული) ხმოვნები დასტურდება საკ. დიდ. ენის ზოგ თქმაში (ქიდ., შაფ.) და ბეჟიტური ენის საკ. ბეჟიტურ დიალექტში.<sup>86</sup> მასთან, საკ. დიდოურში პალატალიზებულია ოდენ ა(ა),<sup>87</sup> ხოლო ბეჟიტურში — ა (ა, ა'), ო (ო, ო'), უ (უ, უ'). სხვა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სინამდვილისთვის პალატალიზებული ხმოვნები ამჟამადაც უცნობია და არც ისტორიულად არის საგულკებელი.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უმლაუტი (resp. მეტაფონია) წარმოდგენს კოარტიკულაციის საფუძველზე წარმოქმნილ ნაწილობრივ (რეგრესულ ან პროგრესულ)<sup>88</sup> ასიმილაციას, რომელიც უკანა წარმოების ფონემების წინ გადმოწევაში (პალატალური უმლაუტი), ან წინა წარმოების ფონემების უკან გადაწევაში (ველარული უმლაუტი) მდგომარეობს [შანიძე, 1925, 171-227; ახვლედიანი 1999, 200-202].

<sup>84</sup> არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს ხვარშიულში ჰ სონანტი ნაზალიზდებოდეს [ბოკარევი 1959, 257]. სინამდვილეში ნაზალიზებულია მომდევნო ხმოვნები: ორცუ „ერწყვი“. ფულ'უ „ნაკარი“ [ლომთაძე 1998, 41; ისაყვი, ხალილოვი 1986, 43].

<sup>85</sup> იხ. ცერცვაძე 1965, 13.

<sup>86</sup> შინუხურ ენაში შეიმჩნევა ლაბიოველარისებული უ (ა...უ).

<sup>87</sup> ი. მეგრელიძე მხოლოდ ერთი მაგალითის (კურდა) დამოწმებით ცალკე გამოყოფს ო და უ ხმოვნებსაც [1936, 234], რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

<sup>88</sup> ჩვეულებრივ უმლაუტი განიმარტება როგორც ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია [ახვლედიანი 1999, 200]. დიდოური ენა თავისებურებას ავლენს იმ მხრივ, რომ უმლაუტის საფუძველს ქმნიან წინამავალი ხმოვნები, ე.ი. გვაქვს პროგრესული ასიმილაცია.

იბერიულ-კავკასიურ ენებში დასტურდება როგორც წინა მიმართულების (resp. პალატალური) უმლაუტი, რომელიც დომინანტობს, ისე უკანა მიმართულების (resp. ველარული) უმლაუტი [შანიძე 1925, 171-227; თოფურია 1928, 337-346; ჟენტი 1949, 113-116; ქალდანი 1968, 7-13; 1969, 89-94; მაჭავარიანი 1970, 94-105; ჭუმბურიძე 1960, 151-165; ჭეიკანიშვილი 1984, 84-86; შენგელია 1999, 12-10...].

დიდოური ენის სათანადო ენობრივი მასალის ანალიზი ცხადს ხდის, რომ  $\tilde{a}$ -ს პალატალიზაციას იწვევს წინამავალი მარცვლის უშუალოდ მოსაზღვრე  $\sigma$  და  $\varphi$ , ე.ი. მაუმლაუტებელ ხმოვნებად მხოლოდ და მხოლოდ წინამავალი და მიმყოლ ხმოვანს შერწყმული  $\sigma$  და  $\varphi$  გვევლინება. ეს მკაფიოდ ჩანს ერგატივისა და აწმყო-ზოგადი დროის ფორმებში, რომელთა წარმოებისას ხდება ხმოვანთა შერწყმა [იმნაიშვილი 1963, 23]. ერგატივისა და აწმყო-ზოგადის ნიშნად დაჩნდება  $\tilde{a}$  მაშინ, როცა ფუძისეული ხმოვანი არის  $\sigma$  ან  $\varphi$ , სხვა შემთხვევაში უმლაუტი ნულის ტოლია, მაგ.: სახ. ბოწი „მგელი“ — ერგ. ბოწ- $\tilde{a}$  (<\*ბოწი-ა); სახ. ცეკი „თიკანი“ — ერგ. ცეკ- $\tilde{a}$  (<\*ცეკი-ა); სახ. იდრის (საკ. სახელი) — ერგ. იდრის- $\tilde{a}$  (<\*იდრისე-ა), || ფუძ. იდრისე- (შდრ. ნათ. იდრისე-ს).

აწმყო-ზოგადის ფორმებს აწარმოებს  $\tilde{a}$  ხმოვანი, რომელიც ინფიქსად ჩაერთვის ზმნურ ფუძეს [იმნაიშვილი 1963, 176]. თუ ზმნას ფუძისეულ ხმოვნად მოუდის  $\sigma$  ან  $\varphi$ , რომლებიც ფორმანტის წინ ექცევიან და ერწყმიან მის მიმყოლ  $\tilde{a}$  ინფიქსს, შედეგად ვიღებთ ამ უკანასკნელის პალატალიზაციას, მაგ.: ბჰვი <\*ბი-ა-ვი (შდრ. აწმყ.-კონკრ. ბიკი-ხ) „დადის საერთოდ“, თჰლ' < თე-ა-ლ' (შდრ. აწმყ.-კონკრ. თელ'-ხო) „აძლევს საერთოდ“ და მრ. სხვ.

I პირის ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმაში ანალოგიურ პროცესს აქვს ადგილი: მიც. დჰრ <\*დი-არ (შდრ. სახ. დი) „მე“.

საყურადღებო ფაქტია, რომ ქიდიროული და შაფიხური კილოკავების ზოგ აულში გაბატონებული,  $\tilde{a}$ -ს შემცველი ფორმები ასახურ კილოკავში  $\tilde{a}$ -ს გვიჩვენებს, ხოლო შაიტლურ კილოკავსა და საჰადურ დიალექტში —  $\tilde{a}$ -ს. დიალექტებისა და კილოკავების ეს საფულისხმო ჩვენება გვაფიქრებინებს, რომ  $\tilde{a}$ -ს პალატალიზაციის პროცესის სხვადასხვა საფეხური ერთიანი ჯაჭვის სახით ( $\tilde{a} > \tilde{a}$ ) არის წარმოდგენილი, რომელშიც  $\tilde{a}$  გარდამავალი რგოლია [შდრ. მაჭავარიანი 1970, 96].  $\tilde{a}$ -ს ასიმილაცია სრული და პროგრესული ხასიათისაა:  $\tilde{a} > \tilde{a}$  პროცესის შუა საფეხურად უმლაუტიანი  $\tilde{a}$ -ს დაშვება დიდოურში დღეს არსებული ფაქტის ერთგვარი კონსტრატაციაა, რადგანაც ენაში რეალურად არსებული ფორმების ურთიერთმიმართებას ემყარება.

დავიმოწმებთ ყველა დიალექტისა თუ თქმის მონაცემს  $\tilde{a}$ -ს უმლაუტიზაციის საილუსტრაციოდ:



1. ქიდიროულ-ასახური დიალექტი      2. საპადური დიალექტი

ა) ასახ. კილოვ.      ბ) ქიდ. კილოვ.

ქიღბ-ა  
ღწრ  
ბჰკი  
ცახიფ-ა?

ქიღბ-ა  
ღწრ  
ბჰკი  
ცახიფ-ა?

ქიღბ-ჟ „გოგო“ (ერგ.)  
ღწრ (შაიტლ.) „მე“ (მიც.)  
ბჰკი „დადის საერთოდ“  
ცახიფ-ჟ? „დაწერე?“

ირკვევა, რომ უმლაუტი ქრონოლოგიურად დიდოური ენის კილოვაცეზად დიფერენციაციის შემდეგდროინდელია.

ისმის კითხვა: როგორია რელატიური ქრონოლოგიის საკითხი გრძელ და მოკლე უმლაუტიან ხმოვანთა შორის?

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ პალატალიზებული ხმოვანი დიდოურ ენაში ოდენ მორფემათა შესაყარზე დასტურდება. მორფემათა მიჯნაზე, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში სვანურის მიმართ არის აღნიშნული [შარაძენიძე 1979, 66], ხმოვანთა შერწყმით მიღებული სიგრძის გამორიცხვა უმლაუტის ისტორიიდან მართლაც გაუმართლებელია, თუმცა დებულება, რომ „...გრძელი ხმოვანი. ფონემების არსებობა წინ უსწრებდა უმლაუტიან ხმოვანთა წარმოქმნას“ [შარაძენიძე 1979, 66], დიდოური ენის მონაცემებით არ მართლდება.

თუ დავუშვებთ, რომ თავდაპირველად ა-მ წინამავალ მეუმლაუტე ხმოვნებთან (ო, ე) შერწყმით მოგვცა გრძელი სახესხვაობა, მაშინ რამ შეაპირობა მისი პალატალიზაცია?

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, პალატალიზაციის პროცესი ან წინ უსწრებდა სიგრძეს, ან მისი თანამდევნი იყო, ე.ი. შერწყმისა და პალატალიზაციის პროცესი ერთდროულად მიმდინარეობდა. უფრო მეტად საგულეებელი პირველი მოსაზრება ჩანს, რომელიც გულისხმობს: ჯერ საუმლაუტო პოზიციაში (o/e+a) მოხდა ა-ს პალატალიზაცია, ხოლო შემდეგ მეუმლაუტე ხმოვანი შეერწყა პალატალიზებულ ა-ს და გამოიწვია მისი დაგრძელება. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო გრძელი უმლაუტიანი ა-ს ტრანსფორმაცია ე ხმოვნად, რაც ამგვარად წარმოიდგინება: \*ღი-არ > \*ღი-არ > ღა-რ > ღწრ „მე“ (მიც.).

რატომ არ მოხდა ასახურ კილოვავში პალატალიზაცია? ჩანს, ასახური არ ამქდავებდა უმლაუტიზაციის ტენდენციას, ხოლო შაფხური კილოვავის ზოგი აულის მეტყველებაში სპორადულად გამოვლენილი ა სიგრძის დაკარგვით არის მიღებული [იმნაიშვილი 1963, 23].

ბეჟიტური დიალექტი პალატალიზაციის თავისებურებებით (როგორც დისტრიბუციით, ისე ასიმილაციის მიმართულებითაც) თვალსაჩინოდ განსხვავდება საკ. დიდოური ენისაგან. კერძოდ, საკვლევ დიალექტში, სვანური ენის დარად, უმლაუტიზაციას განიცდის უპირატესად ძირეული ლექსიკის ფუძისეული ხმოვანი, თუმცა ფუძის პალატალიზებული ხმოვნის გავლენით შესაძლებელია უმლაუტმა თავი იჩინოს მორფემათა ზღვარზედაც. გარდა ამისა, საკ. დიდოური ენისაგან განსხვავებით, რო-

მელშიც უმლაუტი ოდენ ა(ა) ხმოვანს მოუღის, ბეჟიტურში უმლაუტს ემორჩილება ლაბიალური ო და უ ხმოვნებიც. მართალია, ა(ა, ა) ხმოვნის ხვედრი წონის სიჭარბეს მისი გამოყენების სისშირე მიგვანიშნებს, თუმცა ლაბიალურ ხმოვანთა დისტრიბუცია ნათელყოფს მათ მყარ საფუძველს — ისინი ძირ-ფუძეთა საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავენ და თითქმის ყოველგვარ პოზიციასში დასტურდებიან.

ბეჟიტურ ენაში მარტივი ა, ო და უ ხმოვანთა პალატალიზაცია გამოწვეულია პალატალური ხმოვნების (ი, ე) ან პალატალიზებულ-ორტიზებული სონანტის (ჟ) მარცვლოვანი ალოფონის ზეგავლენით-კონტრასტულით. მეუმლაუტე ხმოვნები, რომლებიც ხშირად მოკვეცილი ან სინკოპირებულია, ჩვეულებრივ მოსდევენ საუმლაუტე ხმოვნებს და იწვევენ რეგრესულ ასიმილაციას. ამის გათვალისწინებით, ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე წარმოქმნილი ფორმულები ასეთ სახეს მიიღებენ: ა+ი/ე/ჟ > ა, ო+ი/ე/ჟ > ო, უ+ი/ე/ჟ > უ. საილუსტრაციო მაგალითები: ბოღინ „ასარის ხუფი“, ალახ „ყამირი“, კორიდა „ბეჟედი“, აწვე „ნახვრეტი“, აწლე „ტოტი“, ბაყე „ბედელი“, ღანე „შუნი“, „შველი“, ჰაჟი „მომლოცველი“, ჰაწლიდო „თეთრი“, ჰაწლიტი „საქმე“, რაჰაჟა „კლიტი“, ქუღანე „პატარა თუნგი“, ლჟო „ვაჟი“, ქუღანე „ღამურა“ და მრ. სხვ.

არცთუ იშვიათად დასტურდება ისეთი ფორმები, რომლებშიც მეუმლაუტე ხმოვნები, განსაკუთრებით კი ე, დაცულია, ხოლო პალატალიზაციის პროცესი რეალიზებული, მაგ.: ბოჰი „სიციხე“, ღანე 1. „ყვავი“; 2. „მკერდის ძვალი“, ად „ადრე“, „წინათ“, ჰაწტი „ნელა“, ლკენ „ქედილა“, ლაჰე „მათრახი“, ტოჰი „უანგი“ და მრ. სხვ.

უმლაუტის პალატალური ბუნება მკაფიოდ მეღავნდება შეთვისებული მასალაშიც, მაგ.: ჰაწლიტი (აზნდ. ჰაალტი) „საქმე“, აგარლი (აზნდ. აგარლი) „ნათესაობა“, ადამ (ადამი) „ადამიანი“, კოჰი (< ქართ. კოჰი) „კოჰი“, ნაჰი<sup>89</sup> „ნეჟა თითი“, ნაჰთ (< ქართ. < არაბ.) „ნავთი“, ნაჰთ (< ქართ. < ბერძ.) „ნავი“, რაჰო (< ქართ.) „რაჰე“, ტანე (< ქართ.) „ტახი“, უშთელ (< რუს. учитель) „მასწავლებელი“, ლოჰიკ (< რუს. лошник) „მფრინავი“, მოჰოკი (< ქართ. < რუს.) „ტომარა“ და მისთ.

ამჟამად მეუმლაუტე ხმოვანი ხშირად მოკვეცილი ან სავსებით სინკოპირებულია, რაც თავდაპირველი ვითარების მაუწყებელია. მოგვიანებით კი, ჩანს, უმლაუტიზაციის პროცესმა კავშირი გაწყვიტა კომბინაციურ ფონეტიკურ პროცესთან და სპონტანური ნიშან-თვისებები უფრო მეტად შეიძინა. სინქრონიულ დონეზე იგი საკომპენსაციო რედუქციის გარეშეც ახდენს პალატალიზაციას, თუმცა უმლაუტი საკვლევ ენაში მოკლებულია შინაგანი ფლექსიის ფუნქციას (მდრ. სვან. მალატ „მიყვარს“ — მალატ „სიყვარული“, გერ. ich wurde „გავხდი“ — ich würde „გავხდ“ ...).

<sup>89</sup> ამ ლექსემის შესახებ დაწვრილებით იხ. ბურკულაძე 1989, 198-203.

ამ კუთხით ინტერესს აღძრავს ის ფორმები, რომლებშიც მეუმლაუტე ხმოვნები არ შეიმჩნევა, თუ საგანგებოდ არ მოვახდენთ მათ რეკონსტრუქციას, მაგ.: მწ < \*მწ<sup>წ</sup>ო < \*მარო (მდრ. ტლად. მარუ, ხვარშ. მანი „id“.) „ცხვირი“, „გორა“, ხრ < \*ხრ<sup>წ</sup>ო (მდრ. ტლად. ხორო „id“.) „სკა“, ხრბ < \*ხრბე (მდრ. ჰუნზ. ხობე „id“.) „ხე“.

რიგ შემთხვევაში მაუმალაუტებელი ხმოვნის რეკონსტრუქცია შეუძლებელია, მაგრამ პალატალიზაციის პროცესი რეალიზებულია, მაგ.: ყამ (მდრ. საკ. დიდ. ყ'იმ, ხვარშ. ყ'ემ, ყიმ, ჰინ. ყიმუ „id“.) „თავი“, ყალ' „სოფელი“, ბოქკა „ასარი“, დანა „დანა“, ოლოჯან „ქაბუკი“, შუშა „ბოთლი“, დურღა „იორღა“, შაპკა „კეპიანი ქული“ და სხვ.

სახელთა ერთ წყებაში უმლაუტის გამოძვევი მიზეზის ახსნა ქართულიდან ამოსვლით ხერხდება. ამგვარ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ესა თუ ის სახელი ქართულიდან ან ქართულის გზით არის შესული და სახელობითი ბრუნვის ნიშანი, რომელმაც უმლაუტი შეაპირობა, რედუცირებულია, მაგ.: ნაჭთ (ნავთი); პრაყა (პრაყაყა), ნაჭ < ნავი, ადამ (<ადამი) „ადამიანი“, ადათ „ადათი“, აჩოთ (<აჩოტი < რუს. ОЧЕТ) „ანგარიში“...

რიგ შემთხვევაში, პალატალიზაციის ნიშნის მიხედვით, შეიმჩნევა თავისებური სინჰარმონიზმის მოვლენა, რომელიც, მართალია, სისტემურად არ არის გატარებული, მაგრამ ბევრ შემთხვევაში იგი მნიშვნელოვანწილად ჩამოჰგავს ამ მორფონოლოგიურ მოვლენას. ამ ტიპის მაგალითებში ფუძის პალატალიზებული ხმოვანი პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე იმსგავსებს აფიქსისეულ ხმოვნებს. მეტწილად ეს ეხება ზედსართავის, ინფინიტივისა და ზმნის დროულ ფორმათა სუფიქსებს, მაგ.: ოლოჯან „ახალგაზრდა“ — ოლოჯან-ამ „ახალგაზრდული“, მანქარულ-ამუ „ხუნძი“, ბოტტო „ბლაგვი“ — ბოტტო-კ-ალ „დაბლაგვება“, ყოყ „ჩირქი“ — ყოყბ-ალ „დაჩირქება“, ბოლბოკო < ბოლბოკო-მო „შეიკუმხნენ“ და სხვ. მისთ.

ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ კაუზატიურ ფორმებში გამოვლენილი ძ-ს შემდეგ ინფინიტივის ა აღარ განიცდის პალატალიზაციას, რაც ერთხელ კიდევ ექვიმუტანელს ხდის მტკიცებას, რომ პალატალიზაციის გამოწვევა ანალოგიურ შემთხვევაში შეუძლია ოდენ უკანამავალ პალატალურ ხმოვანს, მაგ.: მოტტამ „პატარა“ — მოტტამ-კ-ალ „დაპატარავება“ — მოტტამ-აკილ-ალ „დაპატარავებინება“.

ბეჟიტური დიალექტისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე ნაზალიზებული-უმლაუტიანი ხმოვან-ფონემები, რომლებიც ინარჩუნებენ შესაბამისი პალატალიზებული კორელატის საარტიკულაციო თვისებებს ცხვირისმიერობის მიმართებით. ამ ხმოვნებს ფონემური ღირებულება აქვთ და ამოსავალ ოდენობად გულისხმობენ ნაზალურ ხმოვნებს, რომელთა ნაწილობრივი რედუქციით არიან წარმოქმნილი, მაგ.: ოყანა (< \*ოყანა < \*ნოყანა

<ბოყონა) „ოთხი“, ეწდნ (<ეწანდნ <წანდა)<sup>90</sup> „ტვინი“, აწც (<აწც <წაც) „კარი“, დაწჩ (< \*დაწჩჩ <წაწჩ, შდრ. საკ. დიდ. ნოცუ „id.“) „ფურთხი“, დაწშშ (<დაწშშო <წაწშშო, შდრ. საკ. დიდ. ნიშიჟ „წვრილი“) „მოკლე“, „დაბალი“ და სხვ.

ყურადღებას იპყრობს გრძელი უმლაუტიანი სახეობები, რომელთა უმლაუტიზაციის პროცესს გვიან უნდა ჰქონოდა ადგილი, ვინაიდან ფონემებად ჯერაც არ არიან ბოლომდე ჩამოყალიბებული და ფონოლოგიური პოზიციისა და მიხედვით რყევას განიცდიან. ხმოვანთა ეს სახესხვაობებიც ამა თუ იმ ხმოვნის საკომპენსაციო რელექციით არიან მიღებული, მაგ.: ბოლბოკო (<ბოლბოკო) „შეიკმუნენ“, დოშო (<დოშო) „მსუქანი“... ხშირად ამგვარი ხმოვანთსიგრძე შეპირობებული ჩანს ექსპრესიულობით, რაც ხმაბაძვით ლექსიკაში მულაუნდება, მაგ.: ბჭჭ „ხარის ყვირილი“, გჭჭ-გჭჭ „ქათმების გასარკეი ხმიანობა“, ჰოჭო-წოჭო „ჭიხინი“ და მისთ.

საორადულად გვხვდება გრძელი ნაზალიზებულ-პალატალიზებული ხმოვნებიც, რომელთა გენეზისი დაახლოებით ზემოგანხილულ რთულ ხმოვანთა ანალოგიურია, მაგ.: მწწ (<მწწო < მანო < მარო) „ცხვირი“, გორა“, ხწწ (<ხწწო < ხორო) „სკა“.

ზემოწარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბეჟიტურში თავიჩენილი პალატალიზაციის მოვლენა რელიეფურად განსხვავდება საკუთრივ დიდოურისაგან — პირველში გაცილებით ძველ მოვლენასთან გვაქვს საქმე, მეორეში — შედარებით ახალთან. მასთან, ამ ენათა პალატალიზაციის პროცესს არც ერთმანეთთან უნდა ჰქონოდა რაიმე კავშირი და არც სხვა ენებთან — პალატალური უმლაუტი შინაგანი განვითარების შედეგია და ინტერფერენციული პროცესები გამოსარიცხია [შდრ. ფუტკარაძე 1998, 17-21]. ბეჟიტურში რომ უფრო ადრე უჩენია თავი პალატალიზაციის ტენდენციას, ამას ექვემოთანელს ხდის მისი დადასტურება ყველა საუმლაუტე ხმოვანთან ძირეული თუ ნასესხები ლექსიკის მთელ სისტემაში. მიუხედავად ამისა, იგი ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ბაზაზე არის წარმოქმნილი და არათუ დიდოური ფუძეენის, არამედ ბეჟიტური ენის დიალექტთა ერთიანობის დონემდეც კი ვერ დაიყვანება.

**3.3. გრძელი ხმოვნები.** ხმოვანთა გრძელი კორელატები გამოიყოფა ანდიურ ენათა ერთ წყებასა (ანდ., ჰამ., ტინდ., ბაგვ., ახვ.) და დიდოურ ენებში. გრძელი ხმოვნები წარმოქმნილია ორი ნებისმიერი ხმოვნის შეერწყმით, რაც ჰიატუსის ერთგვარ დაძლეად შეიძლება მივიჩნიოთ. საკვლევ ენათა ფონოტაქტიკის მიხედვით, ორი ხმოვნის მიჯრით არსებობა, რომელიც მიიღება ინტერვოკალური თანხმოვნის სინკოპირებით, არ არის დამახასიათებელი. სწორედ ამიტომ ერთმანეთის მიმყოლ ხმოვანთა სუბერაცია ხდება მათი შეერწყმითა და ხმოვნის დაგრძელებით, რაც ზემოხსენებულ ენებში ფართოდ არის გავრცელებული. სახელდობრ, ანდიური

<sup>90</sup> იხ. ბურკულაძე 1995, 154.

ენის თქმებში ეს პროცესი არათანაბრად არის ფეხმოკიდებული. იგი უფრო ხელშესახებია რიკვანის თქმაში [ერცვაძე 1965, 11-12], მაგ.: ლ'ᓃ <\*ლ'ᓃᓃ <\*ლ'იბი (შდრ. ღაღ. ლ'იბი „id.“) „გადახტა“, ენ <\*ეიᓃ <\*ეიპი (შდრ. ანდ. იპი „id.“) „გააყეთა“ და სხვ.

ანალოგიურ ვითარებას ვპოვებთ ტინდიურში (ლ'წრ <\*ლ'ეერ <\*ლ'ედერ „ხბო“...), ჰამალურსა (ბწრა <\*ბიორა <\*ბიყირა „იცის“...) და ახვახურ (ჰლან. ტწრ <\*ტოორ < ტობორ, შდრ. წეგ. ტობორ „ტბა“) ენებში [გულდავა 1953, 331; 1971, 21; მაჰომედბეგოვა 1955, 292-293; 1967, 22].

ხშირად შესაძლებელი ხდება ხმოვანთა შერწყმისა და, შესაბამისად, მათი დაგრძელებისათვის თვალის მიდევნება. ხმოვანზე დასრულებული ფუძეები -v, -cv, -vcv მოდელის ოდენხმოვნის ან გახმოვნებული აფიქსების დართვისას შედეგად გრძელ ხმოვანს გვაძლევენ: ა+ა>ᓃ, ი+ᓃ>ᓃ..., ე+ᓃ>ᓃ, ა+ე>წ, ა+ᓃ>წ||ე, ო+ᓃ>ᓃ, ო+ე>წ, ო+ᓃ>წ||ე, ე+ი>წ, ე+ᓃ>წ.

ამგვარ შემთხვევაში საკითხავია, მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი გრძელი ხმოვანი ფუძეს უნდა განეკუთვნოს თუ აფიქსს. დ. იმნაიშვილი ამ ხმოვანს ჩვეულებრივ აფიქსისეულად მიიჩნევს [1963, 23, 53], ხოლო ტ. გულდავა, როგორც ჩანს, ფუძეს მიაკუთვნებს [1971, 22, 140], მაგ.: საკ. ღიდ. ბოწი „მგელი“ — ერგ. ბოწ-ᓃ (<\*ბოწი+ᓃ), ოკო „ლურსმანი“ — ერგ. ოკ-ᓃ (<\*ოკო+ᓃ)...; ჰამ. ჰწმბ-ო (<\*ჰწმბ+ᓃ) „დაწერა რა“, კწმბ-ო (<\*კწმბ+ᓃ) „მოკლა რა“...

ჩვენი დაკვირვებით, დიდოურ ენებში გრძელი ხმოვნების წარმომავლობა ძირითადად კომბინაციური ცვლილების გზას გულისხმობს,<sup>9</sup> თუმცა ამ კუთხით ბეფიტური ენა მეტ სირთულეს ავლენს. ბეფ. ენაში გამჟღავნალო გენეზისის ლექსემებთან (მო-ს < მოტო-ს „აკეთებს“, ნიყ < ნიყადო „მწარე“...) ერთად თავს იჩენს ძნელად ასახსნელი ფორმებიც, მაგ.: სწ (შდრ. საკ. ღიდ. შეტურ „id.“) „ირგვლივ“, ნწ? (შდრ. ჰინ. ნწ? „id.“) „სად?“ და მისთ.

იჩვენება, რომ გრძელი ხმოვნებიც ფუძეენისეული არ უნდა იყოს. ხმოვანთა გრძელი კორელატები ცალკეულ ენებში შინაგანი განვითარებით, დამოუკიდებლად არის წარმოქმნილი. ამის უტყუარ არგუმენტად ივარგებდა თუნდაც მათი განაწილება — ისინი მეტწილად მორფემათა შესაყარზე დაჩნდებიან და ამა თუ იმ ენის სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებში არიან დადასტურებული.

საკ. ღიდ. ენაში I პირის ნაცვალსახელი მიც. ბრ.-ში გრძელ ხმოვანს გვიჩვენებს, რომელიც ო-სა და ა-ს შერწყმის შედეგია: ღწრ, ღწრ, ღწრ (ღიალ. ვარ.) <\*ღიარ (შდრ. სახ., მოთხ. ღი, აგრეთვე საჰ. ღიალ. ღირ) „მე“ (მიც.).

<sup>9</sup> არ არის გამოსარიცხი აგრეთვე ექსპრესიულობის საფუძველზე ხმოვნის დაგრძელება, რასაც თან სდევს სიტყვის ექსპრესიულობის გაძლიერება, მაგრამ ამგვარი შემთხვევები მეტად მცირეა, მაგ.: ღიდ. ჰა, შეწ რწმ, შეწ რწს ღი?! „ოხ, რა ვქნა, რა მეშველება მე?!“ [იმნაიშვილი 1963, 290] (იხ. 3.3).

კითხვით ნაცვალსახელთა აუსლაუტში ხშირად შეიმჩნევა ხმოვნის სიგრძე, რაც კითხვით ნაწილაკს უნდა მიეწეროს, მაგ.: სახ. შები „ეინ“ — ერგ. ლ'უ <\*ლ'უა...

საკ. დიდლოურში აწყო ზოგადის ფუძისეული ხმოვნის სიგრძე გამოწვეულია -ა- ინფიქსისა და ფუძისეული ხმოვნის შერწყმით [იმნაიშვილი 1956, 243-246].

ჰინუხურ ენაში, საკ. დიდლოურის ანალოგიურად, გრძელი ხმოვნები წესისამებრ ორი ხმოვნის შერწყმის შედეგს წარმოადგენს, მაგ.: ბმეჲ (<\*ბმე-ეიჲ <\*ბმეეიჲ) „დიდი“, ნესჲ (<\*ნესიჲ+ა, შდრ. საკ. დიდ. ნემი-რჲ) „ღამით“, გჲზ (<\*გაზ-ა) „დაღევა“ და მრ. სხვ.

ე. წ. ირაციონალური გ-სა და ჰ-ს გენეზისი, ე. ლომთაძის გასაზიარებელი მოსაზრებით, ი და ა ხმოვანთა ნაწილობრივ რედუქციას გულისხმობს, რაც ინტენსიური დინამიკური მახვილის ზემოქმედებას მიეწერება [ლომთაძე 1984, 112-116; 1994, 37, 61], მაგ.: იგ: ჰუნზ. რ-გზალუ (<\*რ-იზალუ, შდრ. ხაშ., ტლად. რ-იხლო) „გრძელი“, ჰუნზ. მგსჲრ (<\*ნმსჲრ, შდრ. ხაშ., ტლად. ნსო-რო) „თქვა“; აჲ : ჰუნზ. ბჲლუ (<\*ბალო, შდრ. ბეჲ. ჰოლო) „ეს“ (II, III კლ.), უჲდჲ (<\*უჲადა, შდრ. ბეჲ. უოლო <\*უჲადა) „დღე“, „წვიმა“...

ანალოგიურად უნდა აიხსნას ამოსავალი ი-ს წარმომავლობა ხვარ. ენის ინზ. დიალექტში, რომელშიც მას ამგვარი ტრანსფორმაცია უნდა განეცადა: იგ>ჲუ [ლომთაძე 1985, 181], მაგ.: თულ'ა < თგლ'ა < თითლა „მიცემა“, ქუბუ < ქგბუ < ქიბუ (შდრ. ჰინ. ქებუ „id.“) „ტყვია“ და მისთ.

მამასადამე, ანდიურ-დიდლოურ ენებში დადასტურებული რთული ვოკალური სისტემა მეორეულია. მარტივი ხუთეულის (ა, ე, ი, ო, უ) გარდა,<sup>22</sup> ყველა რთული ხმოვანფონემა გვიანდელი წარმომავლობისაა, რაც არსებული მონაცემების საფუძველზე საკმაოდ დამაჯერებლად მტკიცდება. ხმოვნურ სისტემაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამჟამად მეორეული წარმომავლობის ფონემებიდანაც კი ზოგი შედარებით ადრეული წარმონაქმნია და ძირეულ ლექსიკაში მყარად ფუნქციონირებული, ზოგი მათგანი კი ამჟამადაც რყევას განიცდის და ხანდახან საექვოდაც გამოიყურება მათი ფონემურობა.

**3.4. ლიტონგისზაცია.** ხუნძურ-ანდიურ-დიდლოურ ენათა ხმოვნების კომბინატორიკიდან გამომდინარე, ერთმანეთის მიჯრით, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ორი ხმოვნის არსებობა ნიშანდობლივი არ არის, რაც შედეგად ერთ-ერთი ხმოვნის (წესისამებრ, ვიწრო ხმოვნების) დასუსტების გზით (არტიკულაციის უმოკლესი გზის წესის რეალიზაციით) ვი-

<sup>22</sup> მარტივი ხმოვნებიდანაც, როგორც გაირკვა, ი და უ მეორეული წარმომავლობისა უნდა იყოს.

ღებთ დიფთონგებს. დიფთონგთა მქონებლობა, მეტ-ნაკლები სხვაობით, დამახასიათებელია ამ ენათა ფონეტიკური სტრუქტურისათვის. ხელშესახებად დასტურდება როგორც აღმავალი (აა, აე, აი...; აუ, აუე, აუი...), ისე აღმავალი (აა, ეა, ია...; აუ, ეუ, იუ...) დიფთონგები, რომლებიც მეტწილად ერთგვაროვან ცვლილებებს განიცდიან.

ჩვენი დაკვირვებით, უნდა გამოიყოს დიფთონგთა ორი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისაგან ქრონოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდებიან:

ა) ისტორიული და ბ) პოზიციური.

ა) ისტორიული დიფთონგიზაცია ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო კლასის ექსპონენტებისა და მათი მეზობელი ხმოვნებისათვის, რომელთა კონარტიკულაციის საფუძველზე წარმოიქმნებოდა, როგორც აღმავალი (I კლ. ა+უ-, II კლ. ე+უ-), ისე აღმავალი (I კლ. -უ+ა, II კლ. -უ+ე) ტიპის დიფთონგები. ამ რიგის დიფთონგთა გამარტივებით ხუნძურის სამხრულ დიალექტებში ზოგჯერ კლასის ექსპონენტთა მოშლაც მომხდარა [მიქაილოვი 1958, 141; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 36], მაგ.: I კლ. ჰიტინ-აუ > ჰიტინა, II კლ. ჰიტინ-აე > ჰიტინა „პატარა“; I კლ. მაშარულ-აუ > მაშარულა, II კლ. მაშარულ-აე > მაშარულა „ხუნდი“ (ზედმიწ. „მთიელი“) და სხვ. მისთ.

ანალოგიური პროცესი ისტორიულად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო დიდოურ ენათა არა ოდენ ბოლოკიდურად, არამედ თავკიდურადაც, მაგ.: ხუნძ. \*ა-ცთ (I კლ.), \*ა-ცთ (II კლ.) ~ საკ. დიდ. ე-სიუ (I, II კლ.) < \*ა-სიუ (I კლ.), \*ა-სიუ (II კლ.) „ძმა“ (I კლ.), „და“ (II კლ.); ხუნძ. \*ა-სა (I კლ.), ა-სა (II კლ.) ~ საკ. დიდ. უ-ჟი < \*ა-ჟი < \*ა-ჟი „ვა-ჟიშვილი“ (I კლ.), \*ა-ჟი „ქალიშვილი“ (II კლ.) და ა. შ.

აღმავალ დიფთონგებში, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 36-37], ჰიდურსა და ყარახულში რეგრესული ასიმილაციის შემდეგ ჩანს მომხდარი მონოფთონგიზაცია, მაგ.: ბერცინაე > ბერცინე > ბერცინე, <sup>93</sup> „ლაშაზი“, ყოროლაე > ყოროლე > ყოროლე „ქვრივი“...

საპირისპირო პროცესი შენიშნულია საკ. დიდოურ ენაში, ამიტომ მისი დიაქრონიული ინტერპრეტაცია არ ემთხვევა ზემოწარმოდგენილს [იშნაიშვილი 1963, 30], მაგ.: ა'ა > ა'ა > ა'ე „კურდღელი“, ლ'ა > ლ'ა > ლე „რძე“...

ქამ. ენაში ა+ი>აე, მაგ.: ხუშტ. აუ-ი > აუ-ა > თლონდ. აუ-ე „დაწერა“, ხუშტ. წა-ი > წა-ა > თლონდ. წა-ე „დალია“. სხვა რიგის მაგალითებშიც ანალოგიური პროცესი უნდა ვივარაუდოთ: ვა-ილ > ვა-ელ > ველ „მოსვლამდე“ [შდრ. გულაძე 1971, 22].

ზემომოყვანილი პროცესი სპორადულად ანდიური ენის ზოგი თქმის (ლალ., მუნ.) აღმავალ დიფთონგსაც ახასიათებს: აუ-ი < აუ-ი (შდრ.

<sup>93</sup> ამგვარი პროცესები ქართველურ ენათა სათანადო პროცესების ანალოგიურია [კახაძე 1953, 184-196; თოფურია 1979, 173-183].

ხუნძ. მას „id.“) „ქალიშვილი“, მეკთ < მაკთ (შდრ. ხუნძ. მაკა „id.“) „და“ და სხვ.

ხუნძურ ენაში უმახვილო მეორეული ო (<აჟ) და ე (<აჲ) ხმოვნები შეიძლება უფრო დავიწროვდნენ: ო>უ, ე>ი [მიქაილოვი 1958, 141].

ხუნძურ სახელთა აუსლაუტისთვის დამახასიათებელი აჟ>ოჟ>ო, იჟ>უჟ>უ ისტორიული პროცესები ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ანდიურ ენათათვისაც [გულდავა 1962, 21; ცერცვაძე 1965, 24], მაგ.: ბოთლ.

ჟეშთო (<\*ჟეშთაჟ) „გაშვებული“, კეღ'ო (<კეღ'აჟ) „მეორე“ და მისთ. დიდოურ ენებს ჟ ცოცხალი კლას-ნიშნის შემცველი ლიფთონგები, მართალია, ამჟამად არ მოეპოვება, თუმცა ისტორიულად მათი არსებობის დაშვება საფუძველს მოკლებული არ არის [ლომთაძე 1993, 196]. ოდინდელი კლასის ექსპონენტები რელიქტურად არის შემონახული ამ ენებში [ზვიადაური 1990, 18], მაგ.: საკ. დიდ. ცეყ'ი-ჟ „მყავე“, აჯი-ჟ (აჯი-ჲ) „დედალი“, ობი-ჟ „მამა“...; შინ. როქუ <\*როქი-ჟ (შდრ. საკ. დიდ. როქი-ჟ „id.“) „ცივი“ და სხვ.

ანდიური ენის სიტყვათა ანლაუტში ლიფთონგთა ცვლა შემდეგი კანონზომიერებით არის წარმოდგენილი [ცერცვაძე 1965, 24]: ჟი>ჟ'ჟ : ჟილიდო > 'ჟ'ულიდო (შდრ. ბილიდო „id.“) „ღვრამა“; ჟე>ო : ჟეთა > 'ჟ'ოთა (შდრ. ბეთა „id.“) „დატოვა“...

ანალოგიურ სურათს ვხედავთ ახვახურ ენაში [მაჰომედბეკოვა 1967, 18], რომელშიც კლასის ნიშნების ზეგავლენით მიმყოლი ხმოვნების ასიმილაცია ხდება, მაგ.: I კლ. ჟუ-ჟარი „იყო“ — II კლ. ჲი-ჟარი, III კლ. ბი-ჟარი; I კლ. ჟი-ჟ'ურულ'ა „მოსვლა“ — II კლ. ჲი-ჟ'ურულ'ა, III კლ. ბე-ჟ'ურულ'ა და მრ. სხვ.

ბ) პოზიციური ლიფთონგიზაცია განიხილება, როგორც კომბინაციური ფონეტიკური პროცესის შედეგად ორი ხმოვნის ერთმანეთის მიჯრით მოხვედრისას ერთ-ერთი მათგანის ნაწილობრივი რედუქცია. ეს პროცესი ხელშესახებად არის გამოვლენილი ფუძისეული ლაბიალიზებული კომპლექსის მეორე კომპონენტისა (ჟ) და მომდევნო ხმოვნის ურთიერთმოქმედების შედეგად. ამგვარ ვითარებაში ჟ ჩვეულებრივ მომდევნო ხმოვანთან ქმნის ლიფთონგს [ინჰაიშვილი 1963, 15], რაც დამარცხლისასაც მკაფიოდ იგრძნობა [არდოტელი 1996, 296].<sup>94</sup>

პოზიციური ლიფთონგიზაცია და მონოფთონგიზაცია (დედიფთონგიზაცია), რომლებიც შშირად სხვა ფონეტიკურ პროცესებთან არიან გადაჯაჭვულნი, სისტემური სახით იჩენენ თავს ზოგ საკვლევ ენაში, მაგ.: ჟა>ჟე>ო: კარ. წაჲ (<წაჟაჲ) > წაჟეჲ (ანჩ.) > წაჲ (ტოქ.) „ვარსკვლავი“; ჟა>ო: ახვ. იჩო (<იჩჟა) „ცხენი“, ქოტა (<ქჟარტა) „ჩაქუჩი“; ეჲ>ჟ:

<sup>94</sup> ხუნძურისთვის აუსლაუტში ე+ჟ არაბუნებრივი კომპლექსია, თუმცა ისტორიულად მის არსებობაზე მიუთითებენ [გულდავა 1970, 187]. უნდა დავძინოთ, რომ ამჟამად ე+ჟ აუსლაუტში, ბავალურის გარდა, არსად დასტურდება, თუმცა ადრეულ საფეხურზე მისი არსებობა საკვებით დასაშვებია ისტორიულად დადასტურებულ ენებში.



ჭამ. წერი (ჭიჭ.) > წყე (ჭიდ.) > წე (ჭამ.) „სახელი“; უი>უ: ანდ. ბიკუ-  
 დუ<ბიკუტიდუ „ყოფნა“; ბოთლ. ბეხჟ > ბეხჟი; ჭამ. ბაკუნ < ბაკუნი „კერავ-  
 და“...; საკ. დიდ. ეკეჟ < \*ეჟკუტი „კაცი“, აღურ < \*აღური „წისქვილი“...

დიფთონგთა პოზიციურად წარმოქმნის ერთი გზა არის ინტერვოკა-  
 ლური თანხმოვნის რედუქცია, მაგ.: მუნ. ლ'უჟ (< \*ლ'უი < ლ'უდი, შდრ.  
 ანდ. ლ'უდი „id.“) „შეშა“; ბეჟ. ქუჟო (< \*ქუ-ო < \*ქუ-ჟო < ქუ-რ-ო,  
 შდრ. ჰუნზ. ქურო „id.“) „ხევი“ და მრ. სხვ.

დიფთონგთა გარდა, პროდუქტიულია ტრიფთონგთა წარმოქმნა,  
 რაც ინტერვოკალურ პოზიციაში ე. წ. ნახევარხმოვნების ჩართვით მიიღება  
 [ე. ლომთაძე 1993, 193-197], მაგ.: ხუნძ. ქიჟე? > ქე? „საით?“, ეანიჟე >  
 ეანე „შიგნით“, კულჟაბ > კულაბ „დიდი“...; ბეჟ. ქოროჟა „ძროხები“,  
 ქუჟო „ხევი“ და მრ. სხვ.

ამრიგად, ხდება დიფთონგთა წარმოქმნაც და მათი მოშლაც, რაც  
 შეპირობებული ჩანს სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესების ურთი-  
 ერთხემოქმედებით.

## IV თავი

### მახვილი

4.1. ზოგადი. მახვილს<sup>95</sup> სხვადასხვაგვარად განმარტავენ [ახვლედიანი 1966, 126; ეშს 1972, 95...]. შეიძლება ითქვას, რომ მახვილი არის ამა თუ იმ სმოვნის არტიკულაციის თავისებურება, რომელიც შედგენდება ტონურობით, დინამიკურობითა და გრძლიობით. ცალკეული მარცვლის, სიტყვისა თუ ფრაზის წარმოთქმისას ინტონაციურ ელფერს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი შეტყვევებას მონოლითურს ხდის და მას ერთგვარ მუსიკალობას (resp. ტკბილბოვნობას) აძლევს [ელენტი 1953, 125].

ჩვეულებრივ დავას იწვევს ის გარემოება, რომ „ენაში არ გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ დინამიკური ანდა ტონური მახვილი, არამედ ჰარბობს ერთ-ერთი მათგანისათვის დამახასიათებელი მომენტები“ [ჩიქობავა 1952, 160]. მართალია, მიუთითებენ პოლონური ენის მუსიკალური მახვილის „სიწმინდზე“, მაგრამ „...ბგერათრადნობითი მახვილი წმინდა სახით ჭერჭერობით არც ერთ ენაში არ არის წარმოდგენილი, ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ კვანტიტატიურ მახვილზე ჩვეულებრივ არ საუბრობენ“ [ზინდერი 1979, 262].

ამრიგად, ირკვევა, რომ ლინგვისტური მახვილის ძირითადი სახეობებიდან (დინამიკური, ტონური) წმინდა სახით არც ერთი გვხვდება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ სახეობას, რომელიც მეტი სიჰარბით გამოირჩევა.

4.2. მახვილის ბუნება და ადგილი. ჩვენს ხელთ არსებული სათანადო ემპირიული მასალის ანალიზი და სპეციალური ლიტერატურის განხილვა გვარწმუნებს, რომ ამჟამად ხუნძურ-ანდიურ ენებში სიტყვათმახვილი მეტწილად სუსტი დინამიკურია.<sup>96</sup> მასთან, ძირითადად არაფიქსირებულია და ზოგ ენაში დისტინქციური ფუნქციის მქონეც არის. კერძოდ, ხუნძურში მას აქვს სემანტიკური ფუნქცია,<sup>97</sup> მაგ.: რაჰ „ალაფი“ — რაჰი „სიტყვა“, მუშრულ „მთები“ — მუშრულ „მთების“ და სხვ. მისთ.

<sup>95</sup> პროსოდის როგორც მეტად რთული და, იმავდროულად, მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა საგანგებო კვლევა-ძიებას საჭიროებს. ჩვენ აქ მხოლოდ ლინგვისტურ მახვილს შევიხებით.

<sup>96</sup> ცალკეულ ენებში (მაგ., ანდიურში) იმდენად სუსტია, რომ ზოგი მკვლევარი სიტყვათმახვილის არსებობას ანდიურ-დიდურ ენებში საერთოდ უარყოფს და გამოყოფს მარცვლის ტონს [კობრიკი, კოძასაი 1990, 321-331]. ანდიური მახვილი, სისუსტის გამო, ხშირად ითქვამება ფრაზის მახვილში [ეერცვაძე 1965, 26]. სიტყვათმახვილის გარეშე ენა არ არსებობს [ახვლედიანი 1999, 138], ამიტომ ვერ გავიზიარებთ თვალსაზრისს ოდენ ტონური მახვილის არსებობის შესახებ (ამ საკითხს ექსპერიმენტულად შესწავლა სჭირდება).

<sup>97</sup> ხუნძურის გარდა, მახვილს ფონოლოგიური დანიშნულება აქვს ბოთლიხურში, კამალურში, ჰინუხურში, ტინდიურსა და ლობობერიულში [გუდავა 1953, 336; 1963, 18; 1971, 10; საიდოვა 1973, 39; მაჰომედოვა 1981, 103].

ხუნძურ ენაში, ანდიურ-დილოური ენებისაგან განსხვავებით, მახვილი მნიშვნელოვანწილად ძლიერია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 24], რაც ისტორიული სინამდვილის გამოძახილი ჩანს. სიტყვათმახვილის მიხედვით, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან სხვა ენებიც. საგულისხმო ჩვენებას გვაწვდის ჰამალური ენა, რომელშიც ძლიერი და სუსტი მახვილის დაპირისპირება რელევანტურია [მაჰომედოვა 1981, 103]. ეს, ჩვენი ვარაუდით, უნდა ასახავდეს მახვილის დასუსტების გარდამავალ საფეხურს, როცა ხდება არქაულის შენარჩუნება და მის გვერდით ახალი მოვლენის ფორმირება. მასთან, დასტურდება მულტივადგილიანი და ცვლადადგილიანი მახვილი, რაც ამ ენათა მახვილის ზოგადი ნიშანია.

დილოურ ენებშიც თავისი რომელიღობით სუსტი დინამიკური, არაფიქსირებული სიტყვათმახვილი გვხვდება [შდრ. ვან დენ ბერგი 1994, 363]. იგი დისტინქციურ ფუნქციას მოკლებულია, თუმცა ინზოყვარულ და საკ. ბეიტურ დიალექტებში მიკვლეულია ცალკეული ფაქტები მისი ფონოლოგიზაციისა [ლომთაძე 1984, 135].

ხუნძურ ენაში მახვილის ადგილი თავიდან პირველი ან მეორე მარცვლით შემოიფარგლება [მიქაილოვი 1958, 144; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 25; დე 2000, 438], თუმცა მიუთითებენ მესამე და მეოთხე მარცვლის მახვილზედაც [ისაყოვი 1981, 87], მაგ.: ჰაბილარო „არ გავაკეთებ“, უქე-რილარო „არ გავიქცევი“... ანდიურ-დილოურ ენებში მახვილის ადგილი ფიქსირებული არ არის — იგი შეიძლება ეცემოდეს ნებისმიერ მარცვალს სხვადასხვა სილაბური სტრუქტურის ლექსემებსა და გრამატიკულ ფორმებში. მასთან, სიტყვათმახვილის ადგილი ერთგვარად სიტყვის სემანტიკით და ფორმითაც ჩანს შეპირობებული [იმნაიშვილი 1963, 22; მაღიევა 1965, 33; გულავე 1971, 10-11; მაჰომედოვა 1981, 104].<sup>98</sup> ვფიქრობთ, რეალურ ვითარებას ვერ ასახავს გ. მაღიევას მოსაზრება კონტექსტისდა მიხედვით მახვილის ადგილის გადანაცვლების შესახებ ბეიტურში [1965, 33]. ავტორი შესაბამის ფორმათა არაზუსტ ფიქსაციას ახდენს (არის აქრქარ — უნდა იყოს აქქარ),<sup>99</sup> რასაც იგი მცდარ განზოგადებამდე მიჰყავს.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ამ მხრივ, ისტორიულად რა ვითარება უნდა ყოფილიყო?

მახვილის ადგილის თვალსაზრისით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ მოდიფიკაციებს, ანდიურ-დილოური ენები არსებითად ისტორიულ ვითარებას ასახავენ. ხუნძურში მახვილის მიდრეკილება — დამკვიდრდეს თავიდან ორი მარცვლის ფარგლებში — ინოვაციად უნდა იქნეს მიჩნეული ისევე, როგორც ანდიურ-დილოურ ენებში სუსტი მახვილი.

შ. მიქაილოვის მტკიცებით, თავდაპირველად ხუნძურში მახვილის ლოკალიზაცია მომხდარა თავმარცვალზე, ხოლო მოგვიანებით, მორფონოლოგიუ-

<sup>98</sup> არა მარტო სხვადასხვა ენები, არამედ ერთი ენის დიალექტები, თქმები და იდოლექტები კი (sic!) განსხვავებულად წარმოკვიდგენენ მახვილის ადგილს [გულავე 1953, 335], რასაც ექსპერიმენტულად შესწავლა სჭირდება.

<sup>99</sup> იხ. ხალილოვი 1995, 52.

რი პროცესების შედეგად, მახვილს გადაუწევია მეორე მარცვალზე [მიქაილოვი 1958, 123], რისი გაზიარებაც კირს [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 28].

მართალია, ისტორიულად უნდა ყოფილიყო ორმარცვლიან სახელთა ერთი წყება, რომლებსაც ინტენსიური მახვილი პირველ მარცვალზე მოუდრიოდა, რასაც უნდა გამოეწვია უკანამავალი მარცვლის მოკვეცა, მაგ.: ცქრ < \*ცქრი (შდრ. ბოთლ., ლოდ., ტინდ. სარი - საკ. დიდ. ზერუ) „მელა“, წაჩრ < \*წაჩრი (შდრ. ბოთლ., კარ., ახვ. წერი - ბეყ. ცარო) „სახელი“... მიუხედავად ამისა, უნდა გვქონოდა მეორე მარცვალმახვილიანი სახელებიც, რომელთაგან ზოგს იმთავითვე მეორე მარცვალზე ეცემოდა მახვილი (ბეტქრ „თავი“, ჰოწარ „თაფლი“...), ხოლო ზოგმა კი მოგვიანებით მიიღო იგი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 28].

დღესდღეობით ანდიურ-დიდოურ ენათა მეტ წილში შეინიშნება ტენდენცია მახვილის ლოკალიზაციისა პირველ ან მეორე მარცვალზე, რომლებიც უპირატესად დახურულია [ცერცვაძე 1965, 26; გუდავა 1986, 173; ხალილოვი 1995, 394; დე 2000, 349, 392]. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ხუნძურში ხსენებული პროცესი ძირითადად დასრულებულია, თუმცა შეიმჩნევა მესამე და, იშვიათად, მეოთხე მარცვალმახვილიანი მაგალითებიც [ისაყოვი 1981, 87].

**4.3. თანამახვილი.** დიდოურ და ლოდობერიულ ენებში მიუთითებენ თანამახვილის არსებობაზე [საიდოვა 1973, 37; ლომთაძე 1984, 81-83]. თანამახვილი ლოდობერიულ ენაში სამ- და მეტმარცვლიან სახელებს მრავლობითობის წარმოებისას მოუდის. ძირითადი მახვილი ეცემა მისთვის ჩვეულ მეორე მარცვალს, ხოლო თანამახვილი (სუსტად გამოხატული) კი მოეპოვება აფიქსისეულ ხმოვანს, მაგ.: ღაღაჟა „მოზვერი“ — მრ. ღაღაჟა-ბე, უოკუჭამა „ბაბა“ — მრ. უოკუჭამა-ბე... დიდოურ ენებშიც ანალოგიური ვითარება გვაქვს იმ განსხვავებით, რომ ძირითადი მახვილი თავმარცვალს მოუდის, ხოლო თანამახვილი — ბოლოდან პირველ ან მეორე მარცვლის ხმოვანს, მაგ.: საკ. დიდ სწორაბი „უნუნი“; ხვარ. წაღი-ღა-ჰა „კითხულობს“, უყაღარ „ვაჟიშვილთან“ და სხვ. მისთ.

ე. ლომთაძე ვარაუდობს, რომ ბოლოკიდური მარცვლის თანამახვილი ისტორიულად მეორე მარცვლის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რაც არსებითად სწორია. ამ მხრივ გადახრას გვიჩვენებენ კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი კომპონენტები ინარჩუნებენ ძირითად მახვილს [ლომთაძე 1984, 83], მაგ.: ჰუნზ. შუჯოსჭრიდო „ცხენი“ (შდრ. ბეყ. შუჯოშოტუ „id“, შუჯო 1. „ცხენი“; 2. „ქაკი“; შოტუ < სოტა „ცხენი“, „ტაიკი“).<sup>100</sup>

<sup>100</sup> მ. ხალილოვის ლექსიკონში, რომელშიც მახვილი ყველა სიტყვა-ფორმას დაესმის, ამგვარ კომპოზიტებში თანამახვილი აღნიშნული არ არის, მაგ.: შუჯოშოტუტა 1. „ზეითად“ (ძვ. ქართ. „მკერდ“). შეუძლებელია, ამ ხუთმარცვლიან სახელს თანამახვილი არ ახლდეს [ხალილოვი 1995, 287], შდრ. ბეყ. ჰალაჯლულ „შესახებ“ [მადივა 1965, 33].

ტ. გულდავას მახვილგონივრული დაკვირვებით, ხუნძურში ფუძეგა-ორმაგებულ ხმაბაძვით (resp. პიქტორულ) ზმნებს მახვილი თავმარცვალზე მოუდით, თუმცა ანალოგიური სტრუქტურის სხვა ზმნებს მახვილი თავი-დან მეორე მარცვალზე აქვთ [გულდავა 1967, 546], მაგ.: ბაბაზე „ენაბლუო-ბა“, „ენისკიდება“ — ბაბაზე „ხშირად დარტყმა“...

ივარაუდება, რომ თავდაპირველად თითოეულ კომპონენტს თავთა-ვისი მახვილი მოეპოვებოდა, მაგრამ მოგვიანებით, ორივე კომპონენტის ერთ მთლიან ოდენობად აღქმის შემდეგ, თანამახვილი პირველ შემთხვევა-ში თავმარცვალზე დამკვიდრებულა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი — მო-მღვენოზე. ამის ნათელ ილუსტრაციად შეიძლება ჩაითვალოს კაუზატიუ-რი ზმნები, რომლებიც აგრეთვე კომპოზიტიური აგებულებისანი (ძირითა-დი ზმნა+მაბიზე „ეთება“) არიან. მათ მახვილი ან ძირითადი ზმნის თავ-მარცვალზე დაესმის (ყო ტიზაბიზე „გაჭკვეინება“, „დაჩეზვინება“), ანდა — მეორე კომპონენტის თავმარცვალზე (ყო ტიზაბიზე „id“).<sup>101</sup>

ზემომოყვანილი მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ხუნძური ენის დიალექტებში მახვილი ადგილის მიხედვით რყევას განიცდის.<sup>102</sup> ეს კი გვაფიქრებინებს, რომ რთული ფუძეების შემცველი ზმნებიც და სახელე-ბიც თანამახვილის მქონენი არიან. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ისე-თი ფუძეგაორმაგებული ზედსართავი სახელები, რომელთა უშუალოდ შე-მადგენელ კომპონენტებს თავ-თავისი მახვილი (პირველს — ძირითადი, მე-ორეს — თანამახვილი) აქვთ [ისაყოვი 1981, 95], მაგ.: ბჭრცი-ბჭრცინალ „ლამაზ-ლამაზები“, კულრ-კულრძალ „დიდ-დილები“ და მისთ.

**4.4. მახვილის მოქმედებით გამოწვეული ფონეტიკური ცვლი-ლებები.** ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა დიფერენციაციისწინა პერიოდის მახვილი რომ ინტენსიური იყო, ამას ცხადს ხდის ხმოვანთა რედუქციის ხელშესახები ფაქტები.

ხუნძურში დასტურდება ფუძისეული ხმოვნის რედუქცია, რაც წინა-მავალ მახვილს უნდა გამოეწვია, მაგ.: ნჟს-გო <\*ნჟსა-გო (შდრ. ანდ. ბე-შონუ-გუ) „ასი“, ჟწყო < ჟწყ-გო <\*ნჟყო-გო <\*ბჟყო-გო (შდრ. ანდ. ბრ'ყო-გუ) „ოთხი“, ყჟწყრა <\*ყჟწყარა (შდრ. ლოდ. ყურყყამა) „წერო“, მრტა-გო <\*მრტაი-გო (შდრ. ანდ. ბეტაი) „რვა“ და სხვ.

რიგ შემთხვევაში კლასის პრეფიქსული ექსპონენტების მოშლა უნდა უკავშირდებოდეს მათი ფუძესთან დამაკავშირებელი ხმოვნის რედუქციას, რასაც, ჩანს, მისი უკანამავალი მარცვლის მახვილი იწვევდა [შდრ. აკიევი

<sup>101</sup> ხუნძურ-რუსულ ლექსიკონში მახვილი თავიკიდურ მარცვალზეა დასმული [საილოვი 1967, 289].

<sup>102</sup> ი. ისაყოვი [1981, 89] და მ. საილოვი [1967, 43], რომელთათვისაც ხუნძური მშობლიური ენაა, მახვილს ზოგჯერ სხვადასხვა ადგილას სვამენ, მაგ.: ბაშარბაყულ ზედმიწ. „წითელშოანი“ (შდრ. ბაშარბაყ „ნათელი მზე“)...

1982, 103], მაგ.: ხუნძ. კუწზე < \*ბკუ-ზე < \*ბი-კუ-ზე (შდრ. ხვარ. ბი-ხუ-ა-ღ-ა „id.“) „დაკვლა“, ხუნძ. წუნა < \*ბწუნა < \*ბე-წუნა (შდრ. ახვ. ბე-კარი „id.“) „აავსო“...

ანალოგიურ შემთხვევებში, ხმოვნის რედუქციის შემდეგ, უნდა მომხდარიყო კლასის ნიშნისეული თუ ფუძისეული თანხმონების თავმოყრა, რაც, როგორც ცნობილია, ამ ენათა კომბინატორიკით აკრძალულია. ამის გათვალისწინებით, არაბუნებრივი კომპლექსის გამარტივება სავსებით კანონზომიერია.

ე. ლომთაძის მართებული შეხედულებით, ხვარშიულსა და ბეჩიტურ ენებში ძ-სა და ა-ს ნაწილობრივი რედუქცია (ი>გ, ა>ჰ) ინტენსიური მახვილის ზემოქმედებით არის გამოწვეული [ლომთაძე 1984, 112].

გავრცელებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ინფინიტივის ფორმებს სუფიქსზე მოუღის მახვილი. აქედან გამომდინარე, კაუზატიურ ინფინიტივებში რედუქციას იწვევს სუფიქსისეული ა (< \*ალ) [იმნაიშვილი 1963, 22; ლომთაძე 1984, 34...].

ჩვენი დაკვირვებით, ორმარცვლიან ინფინიტივის ფორმებს მახვილი თავმარცვალზე მოუღის, რასაც ექსპერიმენტი ადასტურებს, მაგ.: საკ. დიდ. ცზ-ა „წერა“, ნზ-ა „მოსვლა“, ქვკ-ა „წოლა“ და მისთ. საგულისხმოა, რომ მ. ხალილოვიც ბეჩიტურ ენაში რეგულარულად წინამავალ მარცვალზე სვამს მახვილს [1995, 99, 115...], მაგ.: მქ-ალ „ვარდნა“, ზჰ-ალ „ცემა“...

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ კაუზატიურ ინფინიტივებში ხმოვანთა რედუქციას სწორედ წინამავალი ინტენსიური მახვილი იწვევდა [შდრ. იმნაიშვილი 1963, 25; ლომთაძე 1984, 92; ბურკულაძე 1998, 96-97], მაგ.: საკ. დიდ. ბჰრ-ა (< \*ბჰერ-ა) „შეკმევა“, ხტრ-ა (< \*ხტერ-ა) „გაშვებინება“, ბტრ-ა (< \*ბტერ-ა) „გაგზავნინება“ და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად მახვილი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში არის სუსტი დინამიკური, მაგრამ ისტორიულად იგი ინტენსიური და, ამასთანავე, არაფიქსირებული უნდა ყოფილიყო. ამისი ნათელი ილუსტრაციაა ხმოვანთა ა.ო შესატყვისობა და რედუქციული პროცესები.

საყურადღებოა, რომ ენათა ერთ წყებაში მახვილს დისტინქტური ფუნქცია მოეპოვება.

მახვილის ადგილი ენათა მიხედვით იცვლება, რადგან იგი არაფიქსირებულია. ხუნძურში მისი დამკვიდრება თავმარცვალსა და მის მომდევნო მარცვალზე ძირითადად დასრულებულია, თუმცა თავიდან მესამე და, სპორადულად, მეოთხე მარცვლის მახვილიც შეიმჩნევა. არსებითად ამგვარსავე ტენდენციას ამჟღავნებს ანდიურ-დიდოურ ენათა მახვილიც.

# მეორე ნაწილი

## თანხმოვანთა სისტემა

### V თავი

#### კონსონანტური სისტემის ზოგადი დახასიათება

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში ისტორიულად დადასტურებული თანხმოვნების სინტაგმატური და პარადიგმატული ანალიზის შედეგად გამოიყოფა ფონემურ ერთეულთა სამი ძირითადი კლასი: I ჩქამიერები; II სონორები; III სონანტები (resp. აპროქსიმანტები).<sup>103</sup> ეს კლასები პირობითად აღინიშნება შემდეგი სიმბოლოებით: C — კონსონანტი (ჩქამიერი და სონორი), S — სონანტი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სონორები (რ, ლ, მ, ნ) და სონანტები (ჟ, ძ) ამ შემთხვევაში ერთ კლასად ვერ გაერთიანდება, რასაც ხშირად ვხვდებით სპეციალურ ლიტერატურაში. მათ ერთ კლასად დაჯგუფებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ სონორები არათუ სინქრონიულად, არამედ დიაქრონიულადაც, ჩანს, არ ასრულებდნენ ხმოვნური ალოფონის ფუნქციას. ეს არ ითქმის ე. წ. ნახევარხმოვნების მიმართ, რომლებიც დამატებით დისტრიბუციაში იმყოფებიან სათანადო ხმოვნებთან: ჟ — უ, ძ — ი.

„სერიების“ მიხედვით, ჩქამიერები ერთიანდება ჰომოგენურ/ჰეტეროგენულ<sup>104</sup> თანხმოვნურ მწკრივებად და იყოფა სამ ქვეჯგუფად: 1. ხშულ-მსკდომები: ბ, ფ, პ,<sup>105</sup> დ, თ, ტ, ჯ, ქ, ქჟ, ჯ, ჯჟ,<sup>106</sup> გ, ჭ, ჭჟ, კ, კჟ, ც; 2. აფრიკატები: ძ, ც, ცჟ, წ, წჟ, ჯ, ჩ, ჩჟ, ჭ, ლ, ლ, ლ, ტ, ტჟ, ჳ, ჳჟ, ყ, ყჟ;<sup>107</sup>

<sup>103</sup> ამ უკანასკნელებს სპეციალურ ლიტერატურაში ნახევარხმოვნებსაც უწოდებენ, რაც მართებული არ არის. „ნახევარხმოვანი“ მხოლოდ ნაწილობრივ წარმოაჩენს მათ ნამდვილ ფუნქციურ ბუნებას, რადგანაც ამის საპირისპიროდ შეიძლება ტერმინად გვეხმარა „ნახევართანხმოვანი“, რაც აგრეთვე მათი ნაწილობრივი დახასიათება იქნებოდა.

<sup>104</sup> თანხმოვანთა ამგვარი დიქტომიისათვის იხ. მარტინე 1960, 97.

<sup>105</sup> ბ სისტემატურად დასტურდება ოდენ დიდოურ ენებსა და ხუნძურის სამხრულ დიალექტებში, ხოლო მეორეული ბ ჩრდილო ხუნძურსა და ანდიურ ენათა სინამდვილეში სპორადულად იჩენს თავს.

<sup>106</sup> პალატალიზებული ბგერები ანდიურ ენათა ერთ წყებაში (ანდ., ლოდ., კარ., ბაგვ., ტინდ., ჭამ.) შეიმჩნევა და მათ ფონოლოგიური ღირებულება არა აქვთ. ნ, კ, კჟ, ჯ, ჯჟ ხუნძურის ზოგ დიალექტშიც (მაგ., ჭარულში) შეინიშნება.

<sup>107</sup> ჩვენ პარადიგმატულ ცხრილებში ცალკე ქვეკლასად გამოვყოფთ აფრიკატებს, როგორც ხშულ-მსკდომებისაგან სინტაგმატური ქცევითა და ცვლილების ტენდენციებით განსხვავებულ ბგერებს. ამგვარი დაჯგუფება პირობითია, რადგანაც ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ პარადიგმატულ ანალიზში აფრიკატთა დასახასიათებლად საესებით საკმარისია ნიშანი „ხშული“ [ფოგტი 1962, 14; უთურგაიძე 1976, 64].

3. სპირანტები: ღ,<sup>108</sup> ზ, ს, ხა, ზა, ჟ, შ, შა, ჯ,<sup>109</sup> ლ', ლ'ა, წ, დ, ბ, ხა, ზ, ჯ, ჰ. ყრუ სახეობებს ხუნძურ-ანდიურ ენებში აქვთ ინტენსიური და არაინტენსიური კორელატები.

ლოკალური რიგების მიხედვით, ჰორიზონტალურად ჯგუფდება ჰომორ-განული/შეტეოროგენული ზემომოყვანილი თანხმოვნები [მარტინე 1960, 97], რომლებიც თერთმეტ ლოკალურ რიგს ქმნიან: წყვილბაგისმიერი (ბილაბიალური), კბილისმიერი (დენტალური), წინანუნისმიერი (პრეალვეოლარული), შუანუნისმიერი (ინტერალვეოლარული), უკანანუნისმიერი (პოსტალვეოლარული), მაგარასისმიერი (პალატალური), შუაენისმიერი (ინტერდორსალური), წინასასისმიერი (პრეველარული), უკანასასისმიერი (პოსტველარული), ხახისმიერი (ფარინგალური), ხორხისმიერი (ლარინგალური).

გარდა ზემოწარმოდგენილი თანხმოვნებისა, ანდიურ ენებში გვხვდება მეორეული წარმოშობის ბგერები (ჰამ. ზზ, დდ; ლოდ., ტინდ. უასპირაციო და უსპირანტელემენტო ქ; ანდ., ლოდ. თა...), რომლებსაც ფონემის სტატუსი არ აქვთ [გუდავა 1964, 10-11, 14; დე 2000, 378].

გარდა ამისა, საკ. დიდოური ენის ზოგი აულის (ხეთოხი, მოყოცი...)

მეტყველებაში ზ' და ჰ' ერთი ფონემის ფონეტიკური ვარიანტებია. ალოფონებს უტოლდებიან აგრეთვე ლატერალთა ალვეოლარული ნაირსახეობანი (ალვეოლარულობა არ არის ფონოლოგიური მოდულირება).

ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში ცალკეულ ენათა კონსონანტური სისტემები განხილულია დაწვრილებით [ტრუბეტკოი 1987, 248-250, 312-314; მიქაილოვი 1958, 25-42; ბოკარევი 1959, 15, 67-68, 111-112, 144-145, 176-177; 1981, 17-34; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 38-39; ლომთაძე 1963, 35-48; 1998, 26-71; იმნაიშვილი 1963, 16-21; გუდავა 1964, 5-15; 1979, 31; მაჰომედბეკოვა 1967, 13-17; 1971, 13-14; გიგინეიშვილი 1977, 27-40; ვან დენ ბერგი 1995, 19; დე 2000, 277, 291, 309, 321, 334, 347, 361, 378, 393, 410, 424, 439, 455, 470...], ამიტომ აქ დეტალურად ამ საკითხებზე აღარ შევჩერდებით. მოვიყვანთ მხოლოდ ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფებისა და ხუნძური ენის თანხმოვანთა სინოტიკურ ტაბულებს, რომლებშიც თვალნათლივ გამოჩნდება კონსონანტური სისტემების ამსახველი კლასიფიკაციების სურათი.

<sup>108</sup> ღ — ინტერდენტალური მჟღერი სპირანტი შენიშნულია ტინდ. და ჰამ. ენებში [გუდავა 1964, 16, 47].

<sup>109</sup> ლა და შა მაგარი სპირანტები სათანადო მაგარი კორელატების ალოფონებს ეთანაბრებიან.







დიდილური ენების თანხმობათა განაწილების კრებითი ტაბულა

ჩაჯვარება	სპეციფიკი						სონორი	სონანტი		
	ბმული			სპირანტი						
	ხმულსკდოში	აფრიატი		ლატერალი	არალატერალი	არალატერალი				
		მკ	წყ						წყ	
ლაკალური იფი	სეკია	მკ	მკ	წყ	წყ	წყ	წყ	იცივიციწყაყი		
			მკ	წყ	წყ	წყ	წყ			
		მკ	მკ	წყ	წყ	წყ	წყ		წყ	
			მკ	წყ	წყ	წყ	წყ		წყ	
			მკ	წყ	წყ	წყ	წყ		წყ	
			მკ	წყ	წყ	წყ	წყ		წყ	
	ლაკალური იფი	სეკია	მკ	მკ	წყ	წყ	წყ	წყ	იცივიციწყაყი	
				მკ	წყ	წყ	წყ	წყ		
			მკ	მკ	წყ	წყ	წყ	წყ		წყ
				მკ	წყ	წყ	წყ	წყ		წყ
				მკ	წყ	წყ	წყ	წყ		წყ
				მკ	წყ	წყ	წყ	წყ		წყ
ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი		
ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი		
ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი		
ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი		
ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი		
ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი		
ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი		
ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი	ლაკალური იფი		

შენიშვნა: საკ. დიდილური ენაში ხ' ფარინგალიზებული თანხმობანი ჰა-ს ალოფონია, ხოლო ჰუმზიბურში ხ' — ხუნბურის ძლიერი ზეგავლენის შედეგი. ჰუმზიბურში ფაქულტატურად შეიძლება ლ' (< ჰ).

## VI თავი

### თანხმოვანთა შესატყვისობანი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში

#### 6.1. ხშული (ხშულ-მსკდომი) თანხმოვნები

6.1.1. ზოგადი. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ფუძეების ფონოლოგიური სისტემისთვის, ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ხშულთა (resp. ხშულ-მსკდომთა) სამწვერიანი და ხუთწვერიანი ლოკალური რიგები. სამწვერიანი რიგის სახით წარმოდგენილი იყო ბილაბიალური (ბ, ფ, პ) და დენტალური (დ, თ, ტ) თანხმოვნები, ხოლო ხუთწვერიანი რიგი დამახასიათებელი ჩანს წინაველარული (გ, ქ, ქა, კ, კა) თანხმოვნებისათვის. ამჟამად წყვილბაგისმიერ რიგს ხუნძ.-ანდ. ენებში აკლია ყრუ აბრუპტივი პ.<sup>110</sup>

6.1.2. ბილაბიალური ხშულები. ბილაბიალურ ხშულთა ნულოვანი რეფლექსაციის ფორმულები, რომელთა საფუძველზედაც ხდება მათი რეკონსტრუქცია, სქემატურად ასე გამოისახება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	*პ	პ	პ	პ	პ

#### ა. ბილაბიალური ხშულ-მსკდომი მუღერი \*ბ:

1. ხუნძ. ბაწ ~ ანდ. ბოწო : ბოთლ.: ლოდ.: ჰამ. ბაწა : კარ. ბაწე : ახვ. ბაქა ~ საკ. დიდ. ბოწი : ჰინ. ბოწე : ხვარ. ბოწა : ბეჟ. ბაწო „მგელი“.

2. ხუნძ. ბაყ ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარ. ბუჯ : ბეჟ. ბოჯ „მზე“.

3. ხუნძ. ბოროზ ~ ანდ. ბერჩა : ბოთლ. ბერქა : ლოდ. ბერქა : ჰამ. ბეჩა : ტინდ.: ბაგვ. ბექა : კარ.: ახვ. ბექა ~ საკ. დიდ. ბიქორი : ჰინ. ბიქორე : ხვარ. ბეჩოლა : ბეჟ. ბექელა „გველი“.

4. ხუნძ. სიბილ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ. ისიბ : ჰამ. ესიბ : ტინდ. ესაბა : ბაგვ. ესეზლი : კარ. ესეზო : ახვ. ეშიზლა ~ საკ. დიდ.: ჰინ. ეიბრა : ხვარ. ეეზლა : ბეჟ. შეზლო „ნეკნი“, „გვერდი“.

5. ხუნძ. ლ'აბ- ~ ანდ. ლ'ობ-: ბოთლ.: ლოდ.: ჰამ.: ბაგვ.: ტინდ.:

<sup>110</sup> აბრუპტივი პ-ს საკითხი ცალკე განხილვას საჭიროებს, ვინაიდან იგი ოდენ დიდოურ ენათა ძირეული ლექსიკის შტორე ნაწილში იჩენს თავს [გულდავა 1979, 81; შარ. ლომთაძე 1998, 39-40].

კარ. ლ'აბ-: ახვ. ლ'აბ ~ საკ. დიდ.: შინ.: ხვარ. ლ'ო- (< \*ლ'ობ-): ბევ. ლ'ა- (< \*ლ'აბ-) „სამი“.

6. ხუნდ. ბ ~ ს.-ანდ. \*ბ- ~ ს.-დიდ. \*ბ- „III გრ. კლასის ნიშანი“.

ბ. ბილაბიალური ხშულ-მსკდომი ყრუ ფშვინვიერი \*ფ:

1. ხუნდ. ფან ~ ბოთლ.: ტინდ.: კარ. ფანნი : ქამ.: ბაგვ.: ფან ~ შინ. ფაქ : ბევ. ბაქ (< \*ფაქ) „სპილენძი“.

2. ხუნდ. ფირხანა ~ ანდ. ფირხუნნი : ბოთლ. ფირხიდუ : ღოდ. ფირხიდი : ქამ. ფირიდი: ბაგვ. ფირხირი: კარ. ფირხე : ახვ. ფირხერი „გაიელვა“ ~ საკ. დიდ. ფოლ'ა „აფეთქება“, ფერ „მეხის დაცემა“:<sup>111</sup> ბევ. ფი (შდრ. ჰუნზ. ფერ „id.“) „მეხი“.

3. ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. ფერა : ქამ. ფიფ<sup>5</sup>, ფენ : ახვ. ჰერა (< \*ფერა) ~ ხვარ. ფარ (ინზ. ფორ), ბევ. ფომა (<რომა < \*ბორა < \*ფორა) „ფუტკარი“, „ღელა ფუტკარი“.

4. ხუნდ. ფუ-ზე ~ ანდ.: ღოდ. ფუ-დი : ბოთლ. ფუ-დ-უ : ქამ. ფუ-ლა : ტინდ.: ფო-ჟო-ო : ბაგვ. ფუ-რი : კარ. ფუ-დ-ე : ახვ. ჰუ-ერი (< \*ფუ-ერი) ~ საკ. დიდ. ფმალ'უ-ა, ფელ'უ-ა : ბევ. ფულ'-ალ<sup>112</sup> „ბერვა“, „ქროლა“.

5. ანდ.: ბოთლ.: ღოდ. ფაფა : ტინდ.: ბაგვ.: კარ. ფაფაბ „მსუბუქი“ ~ საკ. დიდ.: ბევ. ფაფატუ „პეპელა“<sup>113</sup>

6. ხუნდ. ფოლოფ ~ ანდ. ფოლ : ბოთლ. ფოლოფ : ღოდ. ფალი ~ ბევ. ფოფ „ქაფი“.

გ. ბილაბიალური ხშულ-მსკდომი ყრუ აბრუბტივი \*პ. საყურადღებოა, რომ წყვილბაგისმიერ ხშულთა რიგის მესამე წევრი — აბრუბტივი პ არ დასტურდება საკვლევ ენათა მეტ წილში. სიმბტომატურია წყვილბაგისმიერი არტიკულაციის შესუსტებისა და, აქედან გამომდინარე, ბაგისმიერ ხშულთა მოშლის თვალმისაცემი ტენდენცია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 43, 56-58]. ლაბიალური რიგის ფონემათა რღვევა, როგორც სტრუქტურული ტიპოლოგია ცხადყოფს, იწყება მკვეთრებიდან. ამ კუთხით ინტერესს იწვევს სწორედ ზემოხსენებული პ-ს უქონლობა ხუნძურის ჩრდილოურ დიალექტსა და ანდიურ ენებში.<sup>114</sup> პ გრამატიკული ფუნ-

<sup>111</sup> სპ. ფიფი (ჰექა-ქუხილი) ხუნძურისაგან ჩანს ნასესხები (შდრ. ხუნდ. ფიფი „id.“).

<sup>112</sup> ბევ. ფუზლ'ა (ქიხინი“, „ფრუტინი“) ბგერწერითი ლექსემაა და სხვა ფუძის შემცველი ჩანს [შდრ. გულავე 1979, 70].

<sup>113</sup> „მსუბუქი“ > „პეპელა“ სემანტიკური გადასვლა მოსალოდნელია, თუ იგი ნასესხობა არ არის (შდრ. ქართ. ფარფატი).

<sup>114</sup> ახვ. პ < ბ (ასიმილაციით): აპადა < აბპადა (დილა. ვარ.) „ცხრა“. კარ.-ში პ-ს ფონემის სტატუსი არ აქვს [მაჰომედბეგოვა 1967, 15; 1971, 14]. ბ > პ პროცესი გავრცელებულია ხუნძურშიც [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 43].

ქციით არც დილოურ ენებში შემჩნევა.

ისმის კითხვა: მოეპოვებოდა თუ არა  $\beta$  ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენას?

საეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობას ვხვდებით: ერთნი  $\beta$ -ს ამოსაყვალში ჰიპოთეზურად აღადგენენ [ბოკარევი 11961, 61; 1981, 19; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 44; გონიაშვილი 1969, 216, 221, 224; დეშვილ 1971, 32, 51; ლომთათიძე 1976, 148-150; ლომთათიძე 1998, 39; კახაძე 1998, 49...], ხოლო სხვანი მას მეორეულად მიიჩნევენ [ტრუბეტკოვი 1987, 248; როგავა 1955, 279, 282; გულაია 1979, 54, 81; გიგინეიშვილი 1977, 67, 81...].

დილოურ ენათა სათანადო ლექსიკური მასალის განხილვისას  $\beta$  მეტწილად ნასესხებ სიტყვებში წარმოჩნდება, მაგ.: საკ. დიდ. ტაპო (შდრ. ხუნდ. ჭაპური „id“), შინ. ტაპოლოქო < ტაპო+ლოქო<sup>115</sup> (შდრ. ხვარ. ლოქუო, ბეე. მაქო „ნაკელი“) „ნაკელშერეული თხვეადი ქუქყი“, „თხვეადი ნაკელი“, ხვარ. ტაპო „ახალი ნაკელი“; შინ., ჰუნზ. აბა (< რუს. лана) „თათი“, „საფეხური“; ბეე. სიბი (<ქართ. სიბი, შდრ. გულაია 1979, 81) „ქვის ფილა“, პოროპკა (< რუს. пропка) „საცობი“, ლიბი (<ქართ.) „ლიბი“, ჰიბილა (<ქართ.) „ბებელა“; საკ. დიდ. პაპარა (<ქართ. პარპალი) „თვალის დახამხამება, ქუტვა“, კუპლა (<ქართ. კუმპალა) „ფოჩი“...

ზოგ ძირეულ სახელში  $\beta$  მეორეული წარმომავლობისა უნდა იყოს: ტამპურ (<ტამბურ)<sup>116</sup> „ერთგვარი საკრავი“, პეზ < \*ბეზ (დისიმილაციური გამკვეთრებით, შდრ. საკ. დიდ. პერზე-კუ < ბეზეკ-რუ „მოლაყბე“, „ენაკვიმატი“) „ნაქი“, „სალამურის ენა“, ხვარ. ჰობოყე < ჰობოყე (შდრ. საკ. დიდ. ჰობოყე „id“) „ახლა“ და მისთ.

ზემომოყვანილ ნასესხობათა გარდა, შეინიშნება  $\beta$ -ს შემცველი ისეთი სახელებიც, რომელთა ეტიმოლოგიზება კვლევის ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. ამ წყების ძირეულ სახელებს განეკუთვნება: საკ. დიდ. ტაპი „გამრავლება“, ტაპანა (შდრ. ხუნდ. ტაპიზე)<sup>117</sup> „ღარტყმა“, „ტყლაშუნი“, ხუბრი „აულის სახელი“, გუბ „გორი“, „წანახარდი“, პაპანი „ყაყანი“, „ლაყბობა“, პელეყუ „კოქი“, „გირჩა“, პოპოლ-ა (საპ.) „ცემა-ტყეპა“, პეპ-რუ „მსუქანი“, პაპია „გამხდარი“, „საწყალი“, ებლიფი „ერთ-ერთი გვარიშვილობის სახელი“, ბუბდოლი „უვარგისი“...; ხვარ. ტუბლ-ა „ქალის ცერემონიალი ადამიანის სიკვდილის დროს“, ზიპირი „ზედმეტი სახელი“...; ბეე. პაპ „ლამურა“, პომპოლოყ „სულელი“ (წყევლის მნიშვნელობით),

<sup>115</sup> ტაპო < ქართ. ტაპო [მეგრელიძე 1955, 238; გულაია 1979, 81]. თუ ეს დაკავშირება სწორია (შეიძლება ბირიქითაც ვივარაუდოთ), მაშინ ტაპოლოქო კომპოზიტი ჩანს — ლოქო „ნაკელი“ (შდრ. ხევეს. ლოქი „ქუქყი“).

<sup>116</sup> იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 43; ჩვირანიშვილი 1966, 354.

<sup>117</sup> ხუნდ. ტაპიზე სხვადასხვაგვარად არის ახსნილი [იხ. მიქაილოვი 1958, 150; შდრ. გულაია 1959, 80-91; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 43].

ლირიბ „ზღმარტი“, პერაზო „კანაფი“, კამპუზ „ბზრიალა“, ყოპლ'ალ-ალ „დაკაუნება“, კაპე „ბელი“, პერლოლი „ბრტყელი“ და სხვ.

დასტურდება ისეთი მაგალითებიც, რომელთა ძირეულ მორფემებში თავჩენილი პ-ს დისტრიბუცია თავისუფალია და ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი, რაც მის საერთო-დიდოურ წარმომავლობას გვა-ვარუდებინებს, მაგ.: საკ. დიდ.: ჰინ. პაპარუ : ხვარ. პაპალუ : ბეე. პაპალო „ქაჩალი“, „მოტვლეპილი“; საკ. დიდ. ტუბერუ:<sup>118</sup> ჰინ. ტურეპ : ხვარ. ტუბურუ, ტუბერუ (დიალ. ვარ.) : ბეე. ტიამ 1. „ქერის ფქვილი-საგან დამზადებული ერთგვარი ნამცვარი“; 2. „ალაო“ და მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდოურ ენაზე მოსაუბრე ხალხები პ-ს თავისუფლად გამოთქვამენ [ლომთაძე 1963, 39; შდრ. 1998, 39].

ჩვენი ვარაუდით, აბრუპტიული ხშული პ უნდა გვქონოდა იმ დია-ლექტში, რომელიც საფუძვლად დაედო დიდოურ ენათა ქვეჯგუფს. ხუნ-ძურ-ანდიურ ფუძენაში მისი პოვნიერების დასაბუთებას დამატებითი მა-სალის საფუძველზე პ-ს რეფლექსების გამოვლენა სჭირდება. მარტოდენ ბაგისმიერთა მოშლის ზოგადი ტენდენციისა [უსლარი, 1889, 9] და სისტე-მის სიმეტრიულობის არათანმიმდევრულობის გამო, პ-ს პოსტულირება ხუნძურ-ანდიურ ფუძენაში მოკლებული იქნება დამაჯერებლობას. მით უფრო მაშინ, როცა პ სხვა დადესტურ ენებშიც მეტად იშვიათად და-ჩნდება [გიგინეიშვილი 1970, 187; 1977, 81; კახაძე 1979, 50; თალიბოვი 1980, 277...].

უნდა ვიფიქროთ, რომ პ-ს მოშლის დენდენცია ზოგადი სპონტანუ-რი პროცესის კერძო გამოვლინებაა და შინაგანი კანონზომიერებებით არის შეპირობებული (შდრ. ლომთაძე 1998, 39), თუმცა არ უნდა გამოი-რიცხოს პ-ს უქონელ სხვა წრის (არაბული, რუსული...) ენათა ამ პროცე-სის დამაჩქარებელი ზეგავლენა. მარტოდენ არაბული ენის ფაქტორით რომ იყოს შეპირობებული პ-ს გაქრობა, მაშინ მას, უპირველესად, ლა-კურ-დარგულისა და ლეზგიური ქვეჯგუფების ენებში უნდა ეჩინა თავი, რადგანაც ხსენებულ ენებზე აღმოსავლურ ენათა გავლენა ისტორიულად მეტი სიძლიერისა უნდა ყოფილიყო. აქ კი სხვა ვითარებაა: პ, სხვა აბრუპტივებთან ერთად, ხელშესახებად არის წარმოდგენილი უდიურ ენაშიც [სიხარულიძე 1987, 290-293], რომელშიც, ბ. თალიბოვის დაკვირვებით, აბრუპტივთა მოშლის ტენდენცია შეიმჩნევა [1980, 186].

**6.1.3. დენტალური ხშულები.** კბილისმიერი ხშულები, რომლებიც ბგერათიგივეობებით არიან წარმოდგენილი [გუდავა 1979, 67, 70, 73], რეკონსტრუირდებიან შესატყვისობის შემდეგი ფორმულების მიხედვით:

<sup>118</sup> ტუბერუ კომპოზიტი ჩანს (ტუ „ალაო“ — ბერუ? შდრ. ქართ. პური). მისი პირველი კომპონენტის ტა (<ტ') კანონზომიერ შესატყვისებს გვიჩვენებს: ხუნძ. ტი (<ტ'ი) — კარ. ტ'ინ: ახვ. ტ'ინი — საკ. დიდ. ტუ „ალაო“.

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკლიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ
ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ

ა. დენტალური ხშულ-მსკდომი მჟღერი \*ღ:

1. ხუნდ. ყედ ~ ბოთლ. ყინდა : ჰამ. ყუნნა (<ყუნდა) : ახვ. ყჟინდა ~ საკ. დიდ. ვიდო : ჰინ. ჰეშუ (< \*ჰედუ) : ხვარ. ჰად „ჰედელი“.

2. ხუნდ. -ღ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ. -დი : ჰამ.: ბაგვ. -ღ : ახვ. -ღ ~ საკ. დიდ.: ჰინ. -ღ : ხვარ.: ბეჟ. -ღ (>-ტ) „ერგატივის ისტორიული ნიშანი, რომელიც დიდ. ენებში ამჟამად ისტრუმენტალისის სუფიქსად გამოიყენება“<sup>119</sup>.

3. ხუნდ. დუნ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: კარ. დენ : ჰამ. დინ : ტინდ. დე ~ საკ. დიდ. დი : ჰინ. დე : ხვარ. და : ბეჟ. დო, და (დიალ. ვარ.) „მე“.

4. ხუნდ. დედო ~ ანდ. დანნი (< \*დანდი) : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: დანდი : ჰამ. ყუნ-დან (< \*ყუნ-დანდ) : ბაგვ. დანდუ ~ საკ. დიდ. დ'ტა-დი : ჰინ. დ'ტადე : ხვარ. დადა : ბეჟ. დადე „ყვავი“.

5. ხუნდ. შადალ (შდრ. ბაცბ. შად „id.“) ~ საკ. დიდ.: ჰინ. ათა (<\*ადა) : ხვარ. ა<sup>ნ</sup>თა (<ანდა < ნადა) : ბეჟ. ა<sup>ნ</sup>და < ნა<sup>ნ</sup>და (ჰუნზ. ა<sup>ნ</sup>და < ნადა) „ტინი“.

6. ხუნდ. გორდე ~ ბაგვ. გურ (<\*გურდ) : კარ.: ახვ. გორდი ~ საკ. დიდ. გედ : ხვარ. გიდ „ჰაბა“.

ბ. დენტალური ხშულ-მსკდომი ყრუ ფშვინგიერი \*თ:

1. ხუნდ. თურანა ~ ანდ. თურდი : ბოთლ. თამდუ : ჰამ. თან : ლოდ. თუდი : ჰამ. თუდ : ტინდ. თურთო : ბაგვ. თური : ახვ. თურნი „მოლუნა“, „მოაბრუნა“ ~ საკ. დიდ.: ჰინ. Ø უთა „ტრიალი“, „ლუნვა“, „დაბრუნება“.

2. ხუნდ. თუნა ~ ანდ.: ლოდ. თუდი : ბოთლ. თუდუ : ჰამ. თუ-დ : ბაგვ. თუ-რი : კარ. თუ-დე : ახვ. თუ-ერი „გადააფურთხა“ ~ საკ. დიდ. თი-ლ<sup>1</sup>ა : ბეჟ. თუ-ლ<sup>1</sup>-ალ (ჰუნზ. თი-ლ<sup>1</sup>ა) „ფურთხება“<sup>120</sup>.

<sup>119</sup> ე. ლომთაძის მართებული მოსაზრებით, დიდ. ენებში ერგატივის ოდინდელი ნიშანი შემონახულია ინსტრუმენტალისის ნიშნის სახით, რომელიც ერგატივის ნიშნად ტი (< \*დი) სახესხვაობით რელიქტურად დაინდება ხვარ. და ბეჟ. ენებში [ლომთაძე 1956, 303-305; 1998, 132; იხ. აგრეთვე ცერცვაძე 1962, 278].

<sup>120</sup> ამ შესატყვისობის საილუსტრაციოდ სახელდება ოდენ ეს ერთი მაგალითი და ისიც ხმაბაძეთი ჩანს [იხ. გულაია 1979, 70].



3. ხუნძ.: ბურთინა ~ ბოთლ.: ღოდ.: კარ. ბურთინა : ქამ. ბოთუ<sup>5</sup> : ახვ. მუთინა ~ საკ. დიდ. ბუთნი : ხვარ. ბუთნუ (ინხ. ბუთნო) : ბეყ. ბურთინა<sup>121</sup> „ქეჩა“, „ნაბადი“.

4. ხუნძ. თანა ~ ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ქამ.: ბაგვ. ბეთა : ტინდ. ბეთო : ახვ. ბეთარა „მიატოვა“ ~ ბეყ. მეთას „სხვა“, „მიტოვებული“.

5. ხუნძ. ჩუთ (ჰიდ. შუთ) ~ საკ. დიდ. შეთრო : ჰინ. შოთრა „ხელიკი“.

6. ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ბითა : ქამ.: ბაგვ. ბითა<sup>5</sup> : ტინდ. ბითო ~ საკ. დიდ. ბეთა „დაკარგვა“.

### გ. დენტალური ხშულ-მსკდომი ყრუ აბრუბტივი \*ტ:

1. ხუნძ. ტუტ ~ ანდ. ტენტა : ბოთლ.: ღოდ.: ტინდ.: კარ. ტუნტუ : ქამ. ტუ<sup>5</sup>ტ : ბაგვ. ტუნტუ : ახვ. ტიტი ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარ. ტუტ : ბეყ. ტოტ (ჰუნხ. ტოტ) „ბუზი“.

2. ხუნძ. ტუნა ~ ანდ. ტინნი : ბოთლ. ტინდი : ქამ. ტედ : ტინდ. ტინო : ბაგვ. ტინი : კარ. ტინდე : ახვ. ტინერი „დაასხა“ ~ საკ. დიდ. ეტუა : ჰინ. ოტა : ხვარ. გიტა, გუტა : ბეყ. გიტალ „დასხმა“.

3. ხუნძ. შატ ~ ღოდ. შატი : ქამ.: ბაგვ. შატ : ტინდ. შატა : ახვ. ატალი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ყატ : ბეყ. შატტა (ჰუნხ. შატუ) „ფქვილი“.

4. ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ქამ.: ტინდ.: ბაგვ.: ახვ. ბუტა : კარ. ნიტე ~ საკ. დიდ. ბეტი : ჰინ. ბეტე : ხვარ. ბუტა<sup>122</sup> „vulva“.

5. ანდ.: ბოთლ.: ახვ. ტუქა : ღოდ. ტუქა... ~ საკ. დიდ.: ჰინ. ტექა : ხვარ. ტექა (ინხ. ტექა, ტუქა) : ბეყ. ტიგა „ვაცი“.<sup>123</sup>

**6.1.4. წინაველარული ხშულები.** წყვილბაგისმიერ-კბილისმიერი თანხმოვნებისაგან განსხვავებით, უკანაენისმიერ ყრუ ხშულ-მსკდომ თანხმოვანთა დაპირისპირება ხდება ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნის — ინტენსივობის კორელაციის საშუალებით და სინქრონიულ დონეზე ხუნძურ-ანდიურ ენებში მწყობრ სისტემას ქმნის. იგი ისტორიულ სინამდვილეს ასახავს და მნიშვნელოვანწილად ართულებს ამ ენათა კონსონანტიზმის სახეს.

რაც შეეხება დიდოურ ენებსა და ხუნძურის ზოგ დიალექტს, ამჟამად აქ წარმოდგენილია წინაველარულთა სამწევრიანი რიგი, რომელიც

<sup>121</sup> ბეყიტურსა და ზოგ ანდიურ (ბოთლ., ღოდ., კარ.) ენაში ბურთინა შესაძლოა ხუნძურისაგან იყოს შეთვისებული, მაგრამ ეს შესატყვისობის არსს ვერ ცვლის.

<sup>122</sup> ხვარ. ბუტა შეიძლება შემოსული იყოს ანდიურ ენათაგან, თუმცა საკ. დიდ. და ჰინ. ენებში აუსლაუტის ხმოვანი კანონზომიერ შესატყვისობას (ი:ე) ავლენს.

<sup>123</sup> ტ. გულდავას „ვაკის“ გამოშხატეელი ლექსემა თურქულ ენებისაგან ნასესხობად მიაჩნია [გულდავა 1979, 74]. რამდენადაც ხსენებული სახელი კანონზომიერ შესატყვისობას ორივე თანხმოვნის (ტ, ქ) მიხედვით ამჟღავნებს [ლომათე 1955, 400-435], უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ყუმუხურში (შდრ. თექე „id.“) კავკასიურ ენათაგან ჩანს შეთვისებული.

ხუთწევრიანი რიგის ტრანსფორმაციის შედეგად არის მიღებული. ამ ენებში ინტენსივობის მიხედვით დაპირისპირების ნეიტრალიზაცია, როგორც ცნობილია, უნდა განხორციელებულიყო დილოურ ფუძენაში [ლომთაძე 1962, 287; გულავა 1979, 54-55].

ხშულთა სისტემაში თავისებურებას ამჟღავნებენ წინაველარული რიგის ყრუ (ფშვინვიერი) ჭ და მკვეთრი კ, რომელთაც სათანადო მაგარი კორელატები მოეპოვებათ: ჭჳ, კჳ. ინტენსივობის მიხედვით დაპირისპირება არ არის ხშულთა ბუნებრივი ფონოლოგიური ნიშანი და, ამდენად, ისინი არსებითად აფრიკატებს ეკედლებიან, რის გამოც ბ. გიგინეიშვილი ჭჳ და კჳ მაგარ კორელატებს ოდესღაც არსებულ აფრიკატთა ხუთეულის ნაშთად მიიჩნევს [გიგინეიშვილი 1970, 189], რაც ნაკლებსარწმუნოა. ხშულთათვის ნიშანდობლივი სამეულებრივი სისტემის ასიმეტრიულობა სწორედ წინაველარულთა რიგში იჩენს თავს. ამ რიგის ინტენსიური კორელატების (ჭჳ, კჳ) ფონეტიკური რეალიზაცია ზოგ მკვლევარს საფუძველს აძლევს, რომ ისინი, ფარინგალურ ყ-სთან ერთად, აფრიკატებად მიიჩნიოს და მათ გრაფაში გააერთიანოს [იხ. გულავა 1964, 21-23; მაჰომედბეკოვა 1967, 14].

ჩვენი შეხედულებით, ველარულთა რიგის ხუთეული (გ, ჭ, ჭჳ, კ, კჳ) ერთ მთლიან მონოლითურ რიგს ქმნის და ისინი, როგორც წესი, უნდა გაერთიანდნენ ხშულთა გრაფაში. მათ ახასიათებს სპირანტთა და აფრიკატთათვის ნიშნეული განწმეის შესუსტება, მაგრამ ეს ნიშანი ირელევანტურია [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 38, 51]. ნ. ტრუბეცკოისეული დებულება, რომ „ყველა ხუნძურ-ანდიური ხშულ-მსკდომი მოკლეა (არაინტენსიურია — ნ. ა.)“ — დაზუსტებას საჭიროებს [ტრუბეცკოი 1987, 249]. დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს აგრეთვე ისიც, რომ მაგარი ჭჳ, კჳ რეალიზდებიან აფრიკატებად, ხოლო მათი კორელატები (ჭ, კ) — ხშულ-მსკდომ თანხმოვნებად. არსებითად ამ მოსაზრებას იზიარებს ტ. გულავა, რომელსაც ინტენსიური ჭჳ, კჳ წარმოშობით ჭ, კ თანხმოვნების კორელატებად მიაჩნია, რომლებიც აფრიკატიზაციის შემდეგ მოწყდნენ ძირითად ხშულებს და აფრიკატული ბუნება შეიძინეს [გულავა 1959, 263].

ვეოლუციის თვალსაზრისით განსხვავება საანალიზო თანხმოვნებს შორის ხელშესახებად შედგენდება: გ, ჭ, კ ნულოვანი რეფლექსაციით არიან წარმოდგენილი, ხოლო ინტენსიური კორელატები სხვადასხვაგვარ ტრანსფორმაციას განიცდიან: სპირანტიზაციას (ჭჳ > ჳ > შჳ), ლატერალიზაციას (ჭჳ > ლ'), ღვებარუპტივიზაციას (კჳ > ჭჳ) და ა. შ.

ამ თანხმოვანთა პოსტულირება ხდება შესატყვისობის შემდეგი ფორმულების მიხედვით:

•	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.ლოდ.	ჰინ.	ხვარ.	ხევ.
ბ	ბ	ბ(ბ.ა) <sup>124</sup>	ბ	ბ(ბ)	ბ(ბ.ა)	ბ(ბ)	ბ(ბ.ა)	ბ(ბ)	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
ქ	ქ	ქ(ჩ)	ქ	ქ(ქ)	ქ(ჩ)	ქ(ქ)	ქ(ქ.ჩ)	ქ(ქ)	ქ	ქ	ქ	ქ	ქ
ჭ	ჭ(ჯღ)	ჭ(ჩ)	ჭ	ჭ(ჭ)	ჭ(ჭ.ა)	ჭ(ჭ)	ჭ(ჭ.ჩ)	ჭ(ჭ)	ჯ	ხ(ხ.ა)	ხ	ხ(ხ)	ხ(ღ)
კ	კ	კ(ბ)	კ	კ(კ)	კ(ბ)	კ(კ)	კ(კ.ბ)	კ(კ)	კ	კ	კ	კ	კ
კ	კ(ჭტ)	კ(კ)	კ	კ(კ)	კ(კ.წ)	კ(კ)	კ(კ.პ)	კ	კ	კ	კ	კ	კ

ა. წინაველარული ხშულ-მსკდომი მუდგერი \*გ.<sup>125</sup>

1. ხუნძ. ჰეთო (<გიღუ) ~ ანდ.: ლოდ. გეღუ : ჰამ. ჰეტა (< \*ჰეტა < \*გელა) : ტინდ. გიღუ : ბაგვ. ჰითუ (< \*გითუ) : კარ.: ახვ. ჰეთუ (< \*გეთუ) ~ საკ. დიდ.: ჰინ. კეტუ (< \*გელუ) : ხვარ. კიტუ (< \*გიღუ) : ხევ. გედო (ჰუნზ. გელუ)<sup>126</sup> „ჰატა“.

2. ხუნძ. ბუ-გო ~ ანდ. ი < უი < ჭი < \*გი<sup>127</sup> (შდრ. ახვ. გი-დი): ბოთლ.: ჰამ. ი-და (< \*გი-და) : ტინდ. გი-ჟა : ბაგვ. ი-რა (< \*გი-რა) : კარ. ჰი-ჟა < ჰი-მა < გი-რა , ი-და (< \*გი-და) : ~ საკ. დიდ. დ-ო-ლ' (< \*გ-ო-ლ'): ჰინ. გო-ლ' : ხვარ. გო-ლ'ე, გო-ლი (დიალ. ვარ.): ხევ. გემ „არის“.

3. ხუნძ. გურგინაბ ~ ანდ. გურგუმა : ლოდ. გირგამუ : კარ. გურგამობ : ახვ. გირგან- ~ საკ. დიდ. გელმაჰიკა<sup>128</sup> („დამრგველება“) : ხვარ. გირმა<sup>129</sup> : ხევ. გომორდიგო (ჰუნზ. გერღუ) „მრგველი“.

4. ხუნძ. გირანა ~ ანდ. გირდი : ჰამ. გარად : ტინდ. გორდო („ჩათვლიმა“) : ბაგვ. გირგირი : კარ. გირე, გირდე (დიალ. ვარ.) „გაგორდა“, „დღწა“ ~ საკ. დიდ. ერ-ჟა (< \*გერ-ჟა) : ჰინ. გორ-ა : ხვარ. გილ-ა (ინზ. გულ-ა)<sup>130</sup> : ხევ. გულ-ალ „დადემა“, „დადგმა“.

<sup>124</sup> ფრჩხილებში მოქცეულია დიალექტური და პოზიციური ვარიანტები.

<sup>125</sup> ტ. გულდავა მხოლოდ ორიოდ მაგალითს ასახელებს, რომელთაგან „გუგული“ აშკარად ონომატოპოეტურია, ხოლო მეორე („ჰეაბი“), ავტორისავე მითითებით, ანდიური ენებიდან უნდა იყოს დიდ. ენებში შესული [გულდავა 1979, 69].

<sup>126</sup> ეს სახელი წარმომავლობით ინდოევროპულია და ძალიან ძველი ნასესხობაა იბერიულ-კავკასიურ ენებში, რასაც ბგერათმეცნიერების არსებობაც ამტკიცებს [გვიგინიშვილი 1977, 79-80; თალიბოვი 1980, 283-284].

<sup>127</sup> იხ. ცერცვაძე 1965, 67; გულდავა 1964, 80.

<sup>128</sup> საკ. დიდ. გელმაჰიკა კომპოზიტი უნდა იყოს: გელმაჰიკა (შდრ. ხევ. გომორდოკალ „id“). ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი (გელმა) საკუთრივ სიმრგველის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (შდრ. ხვარ. გირმა „მრგველი“).

<sup>129</sup> საკ. ხვარ. კორკოლულ („id“) ტინდიურისაგან არის ნასესხები (შდრ. ტინდ. კორკოლუბ „id“).

<sup>130</sup> იხ. იმნაიშვილი 1963, 26, 34; შდრ. გულდავა 1979, 106-107; ბურჰულაძე 1986, 433.

5. ანდ. ჭინჭი (< \*გინგი) : ბოთლ. გიგინა : ღოდ.: ტინდ.: ბაგვ.: ჯინჯინ : ქამ. ჭიჭი<sup>131</sup> (<\*გიგინ) : კარ. გიგინ : ახვ. გიგილ, გიგიმ (ღიალ. ვარ.) ~ საკ. დიდ. გაგალი : შინ. გაგა : ხვარ. განგე „ყვავილი“.

ბ. წინაველარული ხშულ-მსკდომი არაინტენსიური ფშვინევი-რი \*ქ:

1. ხუნდ. ბოროზ (< \*ბოროქ)<sup>131</sup> ~ ანდ. ბერჩა (< \*ბერეჟა) : ბოთლ.: კარ. ბერჩა<sup>132</sup> : ღოდ. ბერჩა : ქამ. ბეჩა (< ბეჟა) : ტინდ. ბეჟა : ბაგვ. ბეჟა, ბელჩა (<ბერეჟა) : ახვ. ბეჟა ~ საკ. დიდ. ბიჭორი : შინ. ბუჭორე : ხვარ. ბეჩოლა (<ბეჟოლა, შდრ. ინხ. ბეჟოლ): ბეჟ. ბეჟელა (ჰუნზ. ბეგალა)<sup>133</sup> „გველი“, „ჭია“.

2. ხუნდ. ქეჟე ~ ანდ. ქოქა : ბოთლ.: ახვ. ქაქა : ღოდ.: ბაგვ. ქაქა : ქამ. ჩაჩა (< \*ქაქა) : ტინდ. ქეჟა ~ საკ. დიდ. ქიქი : ხვარ. ქაქა (ინხ. ქოქო) „ძუძუ“, „ძუძუს კერტი“.

3. ხუნდ. ქან ~ ბოთლ. ქუანი : ღოდ.: ბაგვ.: ქუან<sup>134</sup>დი : ქამ.: ტინდ. ქუან<sup>135</sup> ~ საკ. დიდ. ქუა : ბეჟ. ქან<sup>136</sup> „სანთელი“.

4. ხუნდ. ქოდობ ~ ბოთლ. ქუალუ : ქამ. ქუალან<sup>137</sup> : ბაგვ. ქუალა „ხელთ ქონა“ ~ შინ. ქუბუდე : ბეჟ. ქო (ჰუნზ. ქორო) „ხელის მტევანი“.<sup>134</sup>

5. ანდ. ქუბ : ბოთლ. ქობი : ღოდ.: ტინდ.: კარ. ქუბა : ქამ. ქობა („რკინა“) : ბაგვ. ქუბი ~ საკ. დიდ.: შინ. ქებუ : ხვარ. ქიბო (ინხ. ქებუ) : ბეჟ. ქობო „ტყვია“.<sup>135</sup>

6. ქამ. ჩან (<ქან) : ტინდ. ქარა : ახვ. ქარი ~ საკ. დიდ.: შინ. ქოდი : ხვარ. ქოდე : ბეჟ. ქედა (ჰუნზ. ქერა)<sup>136</sup> „თმა“, „თმის ღერი“.

7. ანდ. მოქო : ბოთლ. მაქუსარ : ქამ. მაქუათი : ბაგვ. მაქუას : ახვ. მაქუაჩე ~ საკ. დიდ. მექო : ხვარ. მუქონუ : ბეჟ. \*ნუქო (შდრ. ნუქოდო „მშიერი“) „შიმშილი“.

8. ხუნდ. ქუენ ~ ბოთლ. ინქუარ : ღოდ. იქუნ : ტინდ. ექუნა ~ შინ.: ხვარ.: ბეჟ. ქენ (შდრ. ხუნდ. ქუენ) „საქმელი“.

<sup>131</sup> ილ. ცერცვაძე მაგარ ჭს მიიჩნევს ამოსავლად, რასაც სხვა ანდიური და დიდოური ენების მონაცემები არ უჭერს მხარს [ცერცვაძე 1953, 300; შდრ. გულაია 1964, 128].

<sup>132</sup> ეს სახელი ბოთლიბურში, როგორც საკ. დიდოურში, „ქიასაც“ აღნიშნავს [გულაია 1963, 212].

<sup>133</sup> ქ > გ ჰუნზიბურში განხორციელებულა, რასაც ზოგიერთი ნასესხები სახელი ცხადყოფს: საკ. დიდ., შინ. ქოჩორი (შდრ. ჰუნზ. გოჩორი „იდ“) „ქოჩორი“. ხუნდ. ენის ანწ. ღიალექტში ანალოგიური პროცესი გვაქვს (ქგ) [ცერცვაძე 1948, 144].

<sup>134</sup> ქოდობ დაკავშირებულია ქუენრ („ხელის მტევანი“) სახელთან. ამავე ძირის შემცველი სახელები უნდა იყვნენ: ლაქ. ქუა : არჩ.: ლეზგ.: ხინ.: უღ. ქულ: წახ. ქელ: ინგ. ქულგ: ბაკბ. ქოგ „ხელის მტევანი“.

<sup>135</sup> ხუნდ. ტოჩი („იდ“) სულ სხვა ფუძე ჩანს [გულაია 1964, 151; შდრ. ლომთაძე 1962, 290].

<sup>136</sup> ფონეტიკურ გარდაქმნათა გრადაცია ამგვარია: ღ > რ > მ.

გ. წინაველარული ხშულ-მსკდომი ინტენსიური ფშვინვიერი \*ქა დატულია უცვლელად ხუნძურში, ანდიურში, ბოთლიხურსა და ღოდობერიულში. ახვ.-ში ქ>ხ. ქამ. და ბაგვ. ენებში ქ>ქ, ხოლო ტინდ.-ში ქა > ხ > შა. ხუნდ. ენის დიალექტებში შემდეგნაირად იცვლება: ქა > ლ' (სიუხი), ქა > ხ (ჰიდ., ანწ.) [გულაფა 1964, 141].

დიდოური ენები არაერთგვაროვან რეფლექსებს გვიჩვენებენ: საკ. დიდ. ქა > ხ > ჰა, შინ. ქა > ხ, ხვარ. ქა > ხ > ჰა, ბეე. ქა > ხ.

1. ხუნდ. ნაქჷ, ნახო (დიალ. ვარ.) ~ ანდ.: ბოთლ.: ღოდ. ნიქჷ : ქამ. ნიქჷ : ტინდ. ნიშაჷ (< აქნ.-ანდ. ნიქჷჷ) : ახვ. ნიხო (< \*ნიქო) ~ საკ. დიდ. ნოხჷ: ხვარ. ხოხორო (< \*ნოხორო): ბეე. ნახო (ჰუნზ. ნახუ) „ჩალა“, „ბზე“.

2. ხუნდ. მიქა ~ საკ. დიდ. ნახ'უ, ნაჰაჷ, ნეჰაჷ, ნეხ'თი (დიალ. ვარ.): შინ. ნეხ'თი : ხვარ. ნიჰო (< \*ნიხო) : ბეე. ნიღე (< \*ნიხე) „მუხა“.

3. ხუნდ. ქჷუნა ~ ანდ. ბიჩი (< ბიქი) : ბოთლ.: ღოდ. ბიქჷ : ქამ. ბიც (< ბიცი < ბიჩი < ბიქი):<sup>137</sup> ტინდ. ბიშა (< ბიხო < ბიქა) : ბაგვ. ბიშა (< ბიქა): კარ. ბიქჷ : ახვ. ბიხერი (< \*ბიქერი „დაიჭირა“, „მოიხელთა“) ~ შინ. რუხ-ა : ბეე. დოხ-ალ (ჰუნზ. როხ-ა) „დაქერა“, „მოხელთება“.

4. ხუნდ. ქჷზე ~ ანდ. ბუქჷდუ: ბოთლ. ბუქი : ქამ. ბუქლა : კარ. ბექჷალ'ა ~ ხვარ. ლეკჷლა (< \*ლექჷლა) : ბეე. ბექალ (ჰუნზ. ბექა) „წაქცევა“, „დავარდნა“.


6.1.5. ერთი „ანომალიური“ ბგერათშესატყვისობის შესახებ. ხუნძურ-ანდიურ ენათა უკანანისმიერ მკვეთრ კ-სა და მის ინტენსიურ კორელატ კ-ს დიდოურ ენებში სხვადასხვა რეფლექსები (კ, ყ, ქ) მოეპოვება, რაც სპეციალისტების აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: ერთნი საერთო ამოსავლად ფარინგალიზებულ ყ'-ს მიიჩნევენ [იმნაიშვილი 1963, 38], მეორენი — კ-ს [ლომთაძე 1962, 290-291; შდრ. ბოკარევი 1959, 32], მესამენი კი აღადგენენ ბოლომდე გაურკვეველი გვარობის კ-ს მიმსავსებულ აბრუპტიულ ხშულ (resp. ფარინგალიზებულ მსკდომ) ჳ' არქიფონემას [გულაფა 1979, 191; გიგინეიშვილი 1977, 137-138].

ჩვენი აზრით, ხუნდ. კ : ს.-ანდ. \*კ : ს.-დიდ. \*კ შესატყვისობის დარღვევის საკითხი არც დაისმის, ვინაიდან გამონაკლისებად მიჩნეულ მაგალითებში კა > კ პროცესი ზემოხსენებული შესატყვისობის წარმოქმნის შემდეგ ხუნძურში ჩანს განხორციელებული. ამ დებულებების სისწორეს

ცხადყოფს, ერთი მხრივ, სხვა დაღესტნურ ენებში ამ რიგის მაგალითების („იყო“, „ორი“...) ერთგვაროვანი რეფლექსაცია [გიგინეიშვილი 1977, 138], მეორე მხრივ, ზოგი სახელის („ორი“) შინაგანი რეკონსტრუქცია. კერძოდ, კ > კ სპონტანური ფონეტიკური პროცესი ინტენსივობის კორელაციის მოშლის საერთო ტენდენციით უნდა იყოს შეპირობებული.<sup>138</sup> ინტენსიური კ კორელატის შემკველი „ორის“ აღმნიშვნელი ძირი რელიქტურად დაჩნდება ზოგ სახელში,<sup>139</sup> მაგ.: ხუნდ. შარ-კი-ნ, შორ-კი-ნ (დიალ. ვარ.) ~ ანდ. შორ-ჭი-ნ (<შორ-კი-ნ) : კარ. არ-კი-ნ : ბაგვ. შარ-ჭი-მ (< შარ-კი-მ) : ტინდ.: შარ-კი : ახვ. შარ-კი ~ საკ. დიდ. ყ'უ-ნუ-ლა<sup>140</sup> : შინ. ყუი-ნუ : ბეფ. ყუ-ნ-ლ'ელ<sup>141</sup> („ტყუბები“) „საქონელი ერთი წლიდან ორ წლამდე“.<sup>142</sup>

ამგვარი ინტერპრეტაციით არაინტენსიური კ-ს შესატყვისობიდან დარღვევები გამოირიცხება და შესაბამისი ფორმულა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებშიც გასწორდება.

ყურადღებას იქცევს ინტენსიური კ-ს არაერთგვაროვანი ტრანსფორმაცია დილოურ ენებში, რომლებშიც ამოსავალი კ ხან ყ-ს გვამლევს, ხან — ქ-ს. ტ. გუდავას ვარაუდით, ხუნდ.-ანდ. კ : დიდ. ყ რეალიზებულია ლაბიალური ელემენტის წინ, ხოლო დანარჩენ პოზიციებში გვექნება შესაბამისად კ : ქ, რაც არსებითად მართებული ჩანს [გუდავა 1979, 191]. აქედან გამომდინარე,



ორგვარი ტრანსფორმაცია პოზიციურად რომ არის შეპირობებული, გვიდასტურებს სათანადო შესატყვისობის წევრთა დისტრიბუციული ანალიზი. კერძოდ, ხუნდ.-ანდ. კ : დიდ. ყ შესატყვისობა დასტურდება ოდენ #—S, V—S ფონოლოგიურ პოზიციებში, სხვა შემთხვევებში თავს იჩენს

<sup>138</sup> ამ პროცესის რეალიზაციის კონკრეტული მიზეზები საძიებელია.

<sup>139</sup> ანალოგიურად უნდა იყოს მიღებული ბუქუნა < \*ბუკუნა („იყო“) ზმნის ძირისეული კ.

<sup>140</sup> შდრ. ხუნდ. კანლ'-ალ („ტყუბები“). ამ სახელის ფუძის თანხმოვანთა შორის ზუსტი შესატყვისობა ვლინდება: კ:ყ, ნ:წ, ლ':ლ.

<sup>141</sup> შდრ. საკ. დიდ. ყ'უ-ლა, ხვარ. ყ'უ-ა-ლ'ულა („იდ“). ამავე ძირისა ჩანს ხვარ. ყ'ო-ლ'უ (ხეინ.) < კო-ლ'უ (ინზ.) „ფიწალი“.

<sup>142</sup> თუ ოდინდელი ქართული ნასესხობა არ არის, შდრ. ქართ. ერკემ-ალი [ერეკაძე 1948, 147].

ხუნდ.-ანდ. კ : დიდ. ქ შესატყვისობა.<sup>143</sup> თითო საილუსტრაციო მაგალითი: ა) კ : ყ : ხუნდ. მუნკა (< \*ნიკაჲ-ად) ~ ანდ. ჰინკაჲ (< \*ნი-კაჲ-ად): ქამ. ჰეკაჲ (< \*ნე-კაჲ-ად) ~ საკ. დიდ. აყ'უ (< \*ნა-ყჲ-იდ): ხეარ. ა'ყჲ (< \*ნა-ყჲ-ად) „თაგვი“; ბ) კ : ქ : ხუნდ. ~ ანდ.: კარ. კარა ~ ბეჲ. ქ'ლ' (ჰუნზ. ქელო „id.“) „კოლო“.

ამრიგად, ირკვევა, რომ „ანომალიური“ შესატყვისობის სახელით ცნობილი ბგერათშესატყვისობა ხუნდ.-ანდ. კ ~ დიდ. ქ, ყ წარმოადგენს ჩვეულებრივი სახის კანონზომიერ ფონემურ შესატყვისობას. ინტენსიური კ-ს არაერთგვაროვანი რეფლექსაციის ახსნა ხერხდება როგორც შინაგანი, ისე შედარებითი რეკონსტრუქციის მეშვეობით.

## 6.2. აფრიკატები

6.2.1. ზოგადი. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ამჟამად ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ფონოლოგიურ სისტემას მოეპოვება ოდენ ყრუ ფარინგალური აფრიკატები, რომლებიც ინტენსივობის კორელაციას ქმნიან და ოთხწევრიანი ლოკალური რიგებით არიან წარმოდგენილი : არაინტენსიური ფშვინვიერი — ინტენსიური ფშვინვიერი, არაინტენსიური აბრუპტივი — ინტენსიური აბრუპტივი [ტრუბეტკოი 1987, 248; გულავა 1959, 262]. ამოსავალი მქდერი აფრიკატების კვალი საკვლევ ენებში არც ამჟამად შეინიშნება და მათი არსებობა არც ფუძენაში არის სავარაუდებელი.

მართალია, ტ. გულავა ისტორიულად აფრიკატთა ხუთეულებრივ სისტემას ვარაუდობს [გულავა 1958, 260], მაგრამ მოგვიანებით, სათანადო შესატყვისობათა გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე, იცვლის თვალსაზრისს და აღადგენს მხოლოდ ყრუ აფრიკატებს [გულავა 1959, 265; 1964, 25]. დაახლოებით ანალოგიურ აზრს ადგას ე. ბოკარევი [1958, 8; 1981, 37-43]. ვფიქრობთ, სისტემის სიმეტრიულობის პრინციპი მოითხოვს მქდერი აფრიკატების (ძ, ჯ, ლ, ღ) გენეზისის გარკვევას, რომელთა არქეტიპების პოსტულირება დარგულისა და ლეზგიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამისი ცდები სპეციალურ ლიტერატურაში გვაქვს, თუმცა მქდერ აფრიკატთა არსებობა საკვლევ ენათა დაშლამდე გაურკვეველია (ტრუბეტკოი 1987, 280; ბოკარევი 1958, 8-9; გიგინეიშვილი 1977, 82-84). ამ კუთხით ყურადღებას იქცევს ე. ლომთაძის ორიგინალური მოსაზრება, რომელიც არ იზიარებს ტ. გულავას დებულებას მქდერ აფრიკატთა ფუძენაში უქონლობის შესახებ და მათ გაქრობას უცხო ენათა (არაბულისა და რუსულის) ზეგავლენას მიაწერს [ლომთაძე 1998, 40].

<sup>143</sup> თუ პოზიციურად შეპირობებულობას გამოვრიცხავთ, მაშინ დიდ. ენებში აუცილებელი გარდუვალობით უნდა დაეუშეათ დუბლეტების არსებობა, მაგ.: საკ. დიდ. ყ'ანო „ორი“ — კოხ „ორჭერ“ [შდრ. სტაროსტინი 1995, 46].

უნდა აღინიშნოს, რომ წინამორბედ მკვლევართაგან არავის უცდია ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში მქედერ აფრიკატთა უქონლობის (resp. მქონებლობის) მეცნიერული დასაბუთება. ზემონახსენები დებულებები ზოგადი ხასიათისაა, სახელდობრ: „მქედერ სპირანტთა არავითარი კვალი არ შეინიშნება ამ ენებში“ [გულავა 1979, III].

### 6.2.2. წინანუნისმიერი (სისინა) აფრიკატები.

ა. მქედერი აფრიკატი \*ძ. ძ ამჟამად არ დასტურდება ხუნძურში, ანდიურში, ბოთლიხურში და ა. შ. საკ. დიდ. ენის საპადურ დიალექტში ერთადერთ სიტყვაში სპორადულად იჩენს თავს: ხინძორ < ხინზორ<sup>144</sup> „უკან“. ამ რიგის მაგალითებში ძ წარმომავლობით მეორეულია და ზ-ს ალოფონს ეთანაბრება [ბოკარევი 1958, 6; გულავა 1959, 264].

აღდგება თუ არა ძ ისტორიულად ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში?

აფრიკატთა რიგის სისინა სიბილანტი \*ძ საერთო-დადესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე პოსტულირდება [ტრუბეცკოი 1987, 275, 280] და იგი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში შემდეგ რეფლექსებს გამოავლენს: ხუნძ. წა (> ცა) ~ ანდ. წა : ბოთლ. წა : ლოდ. ცა : ქამ. წა (> წ)<sup>145</sup> :

ტინდ. ცა : ბაგვ. წა (> წ) : კარ. წა (> წ) : ახვ. წა ~ საკ. დიდ. ც : შინ. ც (> ჩ)<sup>146</sup> : ხვარ. ც (> ჩ)<sup>147</sup> : ბეჟ. ც :

საილუსტრაციო მაგალითები:

1. ხუნძ. ნუწა ~ ანდ.: ბოთლ.: კარ. შინწუ : ლოდ. შინცუ : ქამ. შინწუ : ბაგვ. შინწა : ტინდ. შინცუ : ახვ. ინწა-საკ. დიდ.: შინ. ცაც : ხვარ. აწ (< \*ნაც) : ბეჟ. აწ (< \*ნაც) „კარი“.

2. ხუნძ. მაწა ~ ანდ.: ბოთლ.: ახვ. მიწთ : ლოდ.: ტინდ. მიცთ : ქამ.: ბაგვ. მიწა : კარ. მაწთ ~ საკ. დიდ.: შინ. მეც : ხვარ.: ბეჟ. მიც „ენა“<sup>148</sup>.

3. ხუნძ. წან ~ ანდ. წან : ბოთლ.: ბაგვ.: კარ. წან : ქამ. წან : ლოდ.: ტინდ. ცანმი : ახვ. წანი ~ საკ. დიდ. ციმი : შინ. ჩიმი : ხვარ. ცინმი : ბეჟ. ცა „მარილი“.

4. ხუნძ. წუღზე ~ ანდ. წურუ : ბოთლ. წურუნ : ლოდ. ცურდი : ქამ. წუღილა : ტინდ. ცუღლა : კარ. წორანლა : ახვ. წორურულა ~

<sup>144</sup> შდრ. ანალოგიური პროცესი ანწუხურ დიალექტში [ერეკვაძე 1948, 132].

<sup>145</sup> წგრაფემით მკვეთრი სპირანტი აღინიშნება [გულავა 1971, 31].

<sup>146</sup> ც > ჩ ორიოდ სახელში („მარილი“, „კიბი“) შეინიშნება და იგი, როგორც ჩანს, შეპირობებულია ძ, ე ხმოვნების მეზობლობით — პალატალიზაციით [ლომთაძე 1963, 74-76; გულავა 1979, 23].

<sup>147</sup> ერთ მაგალითში შეიმჩნევა: ჩიკი < \*ციკი (შდრ. საკ. დიდ. ცეკი „id“). შესაძლოა, ამ სახელის პირველი კომპონენტი „თხას“ უკავშირდებოდეს, მეორე კი — „ტყავს“ [ლომთაძე 1998, 135].

<sup>148</sup> არს. ჩიქობავა ამოსავალ ოდენობად დ-ს უშვებს [ჩიქობავა 1974, 52].



საკ. დიდ. ცეცა : შინ. ტეცა : ხვარ. ცეცა : ბეე. ტუცალ (შუნზ. ტუცა) „გამოწურვა“.

ახლა მოვიყვანოთ ისეთი მაგალითები, რომელთა ფუძეც ამოსავალ ინტენსიურ აბრუბტივ წა-ს შეიცავს:

1. ხუნძ. წჷ ~ ანდ. წჷა : ბოთლ.: კარ.: ახვ. წჷნ-: ღოდ.: ტინდ. ცჷნ-: ჭამ.: ბაგვ. წჷნ ~ საკ. დიდ. ჩანიდა (< \*ცანიდა) : შინ.: ხვარ.: ბეე. ცან „თხა“.

2. ხუნძ. შოწა ~ ანდ.: ბოთლ.: კარ. შუნწა : ღოდ. შუნცა: ჭამ. შუნწა : ტინდ. შუნცა: ბაგვ. შუნწა : ახვ. შუნწა ~ საკ. დიდ. ნუცი : შინ. ნუცი : ხვარ. ნუცი : ბეე. ნუცი „თაფლი“.

ზემომოყვანილი მაგალითების ჩვენებით, ამოსავალი წა და მეორეული წა (< \*ძ) ერთგვაროვან სპონტანურ ცვლილებებს განიცდიან და, აქედან გამომდინარე, ერთნაირ ბგერათშესატყვისობებს იყალიბებენ. ეს საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში მეორეული წა (< \*ძ) აბრუბტივის შერწყმა თავდაპირველად წა-სთან უკვე დამთავრებული იყო.<sup>149</sup> შემდეგ კი მათ, ბუნებრივია, ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადეს და ისტორიულად დადასტურებულ ყველა საკვლევ ენაში შესაბამისი შესატყვისობის ერთიანი ფორმულის წევრებად დაგვიდასტურდნენ.

ბ. ყრუ ფშვინვიერი არაინტენსიური აფრიკატი \*ც. აფრიკატთა წყების არაინტენსიური სისინა სიბილანტი \*ც რეკონსტრუირდება შესატყვისობის შემდეგი ფორმულის მიხედვით:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ღოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	შინ.	ხვარ.	ბეე.
ც	ც(ს,შ,ჩ)	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ჩ	ს	ს(შ)	ს	ს

1. ხუნძ. ცა ~ ანდ. სოლ : ბოთლ.: ტინდ.: ბაგვ. სალუ : ჭამ. სალუ : კარ. სალი, სალე, სალა (დიალ. ვარ.) : ახვ. ჩილო ~ ხვარ. ხელ (ინხ. სილ) : ბეე. სილა<sup>150</sup> „კბილი“.

<sup>149</sup> აქ ღვება \*ძ-ს შემდგომი რეფლექსაციის საკითხი: \*ძ  $\begin{matrix} \nearrow \text{წ} \\ \searrow \text{წა} \end{matrix}$  [გიგინეიშვილი

1977, 83], თუ \*ძ > წა [ბოკარევი 1981, 37-38]. ჩვენ მეორე თვალსაზრისი უფრო პართებულად მიგვაჩნია.

<sup>150</sup> იხ. გულაფა 1979, 112; ბურჭულაძე 1988, 241-245.

2. ხუნძ. ბიცანა ~ ანდ. ბოსან<sup>5</sup> : ბოთლ. მასა : ლოდ.: ქამ.: ბაგვ.:  
 კარ. ბასან<sup>6</sup> : ტინდ. ბასონ<sup>7</sup> : ახვ. მაჩანი „მოყვა“ ~ საკ. დიდ.: შინ. ეს-ა :  
 ხვარ. ის-ა : ბეე. ნის-ალ „თქმა“, „მოყოლა“.

3. ხუნძ. ოც (ჰიდ. ოს, ანწ. ოშ, ბათლ. ოჩ) ~ ანდ. უნსო :  
 ბოთლ.: ლოდ.: კარ. უნსა : ქამ.: ტინდ.: ბაგვ. მუსა : ახვ. უჩა ~ საკ.  
 დიდ. ის (საპ. ოს) : შინ. უშ : ხვარ. ინს (ინხ. ენს) : ბეე. ონს „ხარი“.

4. ხუნძ. ცო ~ ანდ.: ქამ.: ტინდ.: ს-ებ : ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: კარ.  
 ც-ებ ~ საკ. დიდ. სი-ს : შინ. ჰე-ს : ხვარ. შა-ს<sup>151</sup> : ბეე. შონ-ს<sup>152</sup> „ერთი“.

5. ხუნძ. შარაც (ჰიდ. შარას, ანწ. შარაშ, ბატლ. შარაჩ) ~ ანდ.  
 ორსი : ბოთლ.: ლოდ. არსი : ქამ.: ბაგვ. ას : ახვ. აჩი ~ ხვარ. ოს  
 „ვერცხლი“ > „ფული“.

6. ხუნძ. ბორცინე ~ ანდ. ბასინნუ : ბოთლ. მასი : ქამ. მასინა :  
 ტინდ. ბასინლა : ბაგვ. ბასან : კარ. ბასალა : ახვ. მაჩუნულა ~ საკ.  
 დიდ. ბასადა : შინ. ბასაზ : ხვარ. ნასა : ბეე. მასალ „გაზომვა“.

განმხილვით დგას რამდენიმე სახელი, რომლებშიც, ახვარხურისა  
 (შ) და ზოგი დილოური (საკ. დიდ., შინ. ხვარ.) ენის (ზ) ჩვენების მიხედ-  
 ვით, ამოსავალი ც-ს შესატყვისობა ირღვევა [არდოტელი 1999, 94].

ისმის კითხვა: „დათვი“, „მელა“, „ჩაჩილი“, „კოწახური“ და მისთ.  
 სახელები ასახავენ თუ არა ზემოწარმოდგენილი შესატყვისობის რეალუ-  
 რობას?

6. ტრუბეცკოიდან მოყოლებული ზემონახსენებ ლექსმათაგან ორ  
 მათგანს („დათვი“, „მელა“) \*ც : ს შესატყვისობის წვერებად მიიჩნევენ  
 [ტრუბეცკოი 1987, 256; მაჰომედბეკოვა 1955, 304; გულავა 1959, 274;  
 1964, 86; ბოკარევი 1981, 27; ლომთაძე 1962, 286; თალიბოვი 1980, 295],  
 თუმცა ტ. გულავა გამონაკლის მაგალითებში ერთგვარი დაექვეებით უყუ-  
 რებს \*ც > ს პროცესის მართებულობას. მოგვიანებით ამავე საკითხს სპე-  
 ციალურად შეეხო ბ. გიგინეიშვილი და სარეკონსტრუქციო ც და ს არა-  
 ერთგვაროვანი რეფლექსაციის გათვალისწინებით (ახვ. შ ნაცვლად ჩ აფ-  
 რიკატისა, საკ. დიდ., შინ. და ხვარ. ზ ნაცვლად ს სპირანტისა...), დადეს-  
 ტურ ფუძენაში ივარაუდა დუბლეტურ ფორმათა არსებობა, რომლებ-  
 შიც ც-ს თავისუფლად ვარიანტდნენ [გიგინეიშვილი 1972, 72].

ჩვენი ვარაუდით, ხუნძურ-ანდიურ-დილოური ფუძენის დუბლეტურ  
 ფორმათათვის საერთო ამოსავლად \*ც უნდა აღდგეს, რომელიც ხუნძ.  
 ენის დიალექტებში სპირანტიზაციისა და გაშიშინების საფუძველზე ამგვარ  
 ტრანსფორმაციას განიცდის : \*ც : ხუნძ. ც > ანწ., ჰიდ. ს > ქადაქ. შ  
 [ცერცვაძე 1974, 132].

<sup>151</sup> იდენტური დიალექტური ფორმებიდან მხოლოდ ერთ-ერთს ვიმოწმებთ.

<sup>152</sup> „ბილისა“ და „ერთის“ გამოშატველ სახელებს გ. ბურკულაძე წარმომავლობით  
 ერთმანეთს უკავშირებს [ბურკულაძე 1988, 253].

საფიქრებელია, ამ რიგის მაგალითებში სპირანტიზაციის პროცესი (\*ც > ხ), რომელმაც სათავე დაუდო თავისუფლად მონაცვლე ფორმებს, წინ უსწრებდა გაშიშინებისა (ახვ. შ) და გამჟღერების (დიდ. ზ) პროცესებს [შდრ. გულაფა 1979, 208]. მას შემდეგ კი, რაც ს.-ანდ. და ს.-დიდ. ენებში მეორეული ხ (< \*ც) და ამოსავალი \*ხ ერთმანეთს დაემთხვნენ, თანაბარი ტრანსფორმაცია განიცადეს. თითო საილუსტრაციო მაგალითი:

1. \*ც : ხუნდ. ცი ~ ანდ. სედი : ბოთლ. სი<sup>153</sup> : ახვ. შინ : ~ საკ. დიდ. ზეი : შინ. : ხვარ. ზე : ბეყ. სი „ღათვი“.

2. \*ხ : ხუნდ. სანი ~ ანდ. სონ : ბოთლ. სან : ახვ. შანი ~ საკ. დიდ. შინ : შინ. ზენუ : ხვარ. ზან<sup>153</sup> : ბეყ. სინო „კოწახური“.

გ. ყრუ ფშვინვიერი ინტენსიური აფრიკატი \*ცა. \*ცა-ს მოეპოვება შესატყვისობის შემდეგი ფორმულა:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ჰამ.	ტინდ.	ბავ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	შინ.	ხვარ.	ბეყ.
ცა	ცა(სა)	ცა	ცა	ც	ცა	სა(ცა)	ცა	ცა	ს	ს	ს	ს

1. ხუნდ. ფურუცა ~ ანდ. რებცჟუ (< \*ბერცჟუ) : ბოთლ. ფერცჟუ : ჰამ. ბიდაცა : ლოდ. რეცთი : ტინდ. ბეცთი : კარ. ბეცთი : ახვ. შეცთი ~ საკ. დიდ. ბირუს : ხვარ. ბარუს : ბეყ. ბოცოს „ხის კავი“, „ოქოქა“.

2. ხუნდ. ჟაცა<sup>154</sup> ~ ანდ. ჟოცთი : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. : კარ. : ახვ. ჟაცთი<sup>155</sup> : ჰამ. ჟაც ~ საკ. დიდ. ესითუ : შინ. ესსუ : ხვარ. ეს : ბეყ. ის (ჰუნზ. ეს) „ძმა“.

3. ანდ. სობირუ (< \*ცობირუ)<sup>156</sup> : ბოთლ. ცობარუ : ჰამ. ცობ : ტინ. ცობარა : კარ. ცობერო : ახვ. ცობერა ~ საკ. დიდ. სები : შინ. სე-ბე : ხვარ. სება (ინხ. სუბო) : ბეყ. სიბოჟა „ზამთარი“.

დ. ყრუ აბრუპტიული არაინტენსიური აფრიკატი \*წ. ისტორიული წინანუნისმიერი აფრიკატი \*წ ახვ. ენაში თავისავე გვარობის ჰ-ში გადადის, ხოლო ჰამ. ენის ზოგ დიალექტში ზზ (ჰიჰ.) და დდ (ჰად.) ნაირსახეობებდა ტრანსფორმირდება [გულაფა 1964, 130]. შინუხურ ენაში ანლაუტსა და ინლაუტში ი-ს მომდევნოდ წ > ჰ [იმნაიშვილი 1963, 39;

<sup>153</sup> შინ. ზელუ მკლარი ფიქსაციის შედეგია, ხოლო ხვარ. ანზა („ცირცელი“) სხვა ფუტეა [შდრ. ლევილ 1971, 160].

<sup>154</sup> შულანობის მეტყველებაში ადასტურებენ ჟა-წა („id.“) ფორმის არსებობას: ცა > წა [ჩიქობავა 1979, 81].

<sup>155</sup> ამავე ძირს შეიცავს „დის“ აღმნიშვნელი სახელიც [გულაფა 1979, 122].

<sup>156</sup> იხ. ცერცვაძე 1965, 60.

ლომთაძე 1963, 74]. სხვა საკვლევ ენებში იგი კარგად არის შემონახული და რეკონსტრუირდება შესატყვისობის ქვემოწარმოდგენილი ფორმულის მიხედვით:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	კამ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საყ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეყ.
წ	წ(ჰ)	წ	წ	წ(ზხ, ღღ)	წ	წ	ჰ	წ	წ(ჰ)	წ	წ

1. ხუნძ. ანწ-გო (ანწ. ანჭ-გუ) ~ ანდ. ჰოწო-გუ : ბოთლ.: ღღ.: ღღ.: ბაგვ.: კარ. ჰაწა-ღა : კამ. აწა-ღა (ჰიჰ. აზზა-ღა) : ტინდ. ჰაწა-ღა : ახვ. აჰა-ღა-ბე ~ საყ. დიდ. ოწი-ნო (საჰ. ოწწე-ნ) : ჰინ. ოწე-ნო : ხვარ. უწა-ნ : ბეყ. აწო-ნა (ჰუნზ. ოწან) „ათი“.

2. ხუნძ. წიღა-ბ ~ ანდ. წიჰუ : ბოთლ.: წიწ, წიჰუ<sup>157</sup> : კამ. წიწღუ-ბ : ტინდ.: წიწღუ-ბ : ბაგვ. წინღუ-ბ : კარ. წიღო-ბ : ახვ. ჰინ-ღა-ბე ~ საყ. დიდ.: ხვარ. ეწზუ : ჰინ. ეწენ-ღიღუ : ბეყ. იწწო (ჰუნზ. გწწუ) „ახალი“.

3. ხუნძ. წა (ანწ. ჰა) ~ ანდ.: კამ. წა : ბოთლ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. წაღ : ღღ. წაღი : ახვ. ჰარი ~ საყ. დიდ. წი : ჰინ. ჰე : ხვარ. წა : ბეყ. წო „ცეცხლი“.

4. ხუნძ. ბაწ (ანწ. ბაჭ) ~ ანდ. ბოწო : ბოთლ.: ღღ.: კამ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. ბაწა : ახვ. ბაჭა ~ საყ. დიდ. ბოწი : ჰინ. ბოწე : ხვარ. ბოწა : ბეყ. ბაწო „მგელი“.

5. ხუნძ. წუნა ~ ანდ. ბიწი : ბოთლ. ჰიბ-წ-უ : ბაგვ.: ღღ. ბეწი : ტინდ. ბეწო : კამ. ბიწ : კარ. ბეწე : ახვ. ბეჭარი ~ საყ. დიდ. რიწი : ჰინ. რიჭიშ : ხვარ. ლეღწა : ბეყ. როწირო „აივსო“.

6. ხუნძ. ჰორ (<წორ) ~ ანდ. წიჰუ : ტინდ.: წიწღუ : ბაგვ. წი : ახვ. ჰინღო ~ საყ. დიდ წერუწო (< წერუწო „ხედმიწ. „ისარი+მშვილდი“): ჰინ. წერუწა (ხედმიწ. „ისარი-მშვილდი“ : ხვარ. წე : ბეყ. წულუ „ისარი“, „მშვილდისარი“.

ე. ყრუ აბრუპტიული ინტენსიური აფრიკატი წა წინანუსნის-მიერი აფრიკატი \*წა ტინდიურში, ღღობერიულსა და ხუნძურის ზოგ დიალექტში ც-ს გვაძლევს, ხოლო დილოურ ენებში — ც-ს. დიდ. ენებში

<sup>157</sup> ტ. გულაგა ბოთლ. წიწუ ფორმას იმოწმებს [გულაგა 1964, 87]. ალბათ, უნდა იყოს წიწღუ, ვინაიდან იწ ნაზალიზებულია და ხმოვანთმიმდევრობა იწუ ხმოვანთგამყარად მ-ს მოითხოვს (მდრ. კამ. წიწღუ-ბ „id“.). მასთან, იგი ზოგჯერ გამოხატულია წიწ ფორმითაც [იხ. გულაგა 1963, 241], რაც დაზუსტებას საჭიროებს.

ფაკულტატურად  $\text{C} > \text{ჩ}$ . საბოლოო ჯამში მისი შესატყვისობის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	კამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკლიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეც.
წა	წა(ცა)	წა	წა	ცა	წა	ცა	წა(სა)	წა(სა)	წა	ც	ც	ც	ც

1. ხუნძ. წუნ ~ ანდ. წუნ : ბოთლ.: ბაგვ.: კარ.: წუნ<sup>ძ</sup> : ლოდ. ცუნ<sup>ძ</sup> : კამ. წუნ<sup>ძ</sup> : ტინდ. ცუნ<sup>ძ</sup> : ახვ. წუნ<sup>ძ</sup> ~ საკ. დიდ. ცე : ჰინ. ცა : ხვარ. ცე (ინბ. ცე<sup>წ</sup>) : ბეც. ცეჰა (ჰუნბ. ცე) „არწივი“.

2. ხუნძ. წარ ~ ანდ. წერ : ბოთლ.: კამ.: კარ.: ახვ. წერი : ლოდ. ცრა : ბაგვ. წერ : ტინდ.: ცერა ~ საკ. დიდ. ც : ჰინ. ცე : ხვარ. ცა : ბეც. ცარო „სახელი“.

3. ხუნძ. ნაწა ~ ანდ. ნოწი : ბოთლ.: ახვ. ნაწი : ლოდ. ნაწი : კამ.: ბაგვ.: ნაწი : კარ. ნაწე ~ საკ. დიდ. ნ-ც : ჰინ. ნ-ცე : ხვარ. ნცა : ბეც. ნაცო „ტილი“.

4. ხუნძ. წინო ~ ანდ. წუნნი : ბოთლ.: ბაგვ. წინი : ლოდ. ცუნ<sup>ძ</sup> : კამ. წუნ<sup>ძ</sup> : ტინდ.: ცუნ<sup>ძ</sup> : კარ. წუნდულ : ახვ. წუნ<sup>ძ</sup> ~ საკ. დიდ. ცატორი : ჰინ. ჩიტო (< \*ციტო) : ხვარ. ციტონ : ბეც. ცატა „ჭიბჭი“.

5. ხუნძ. წე (< \*წან) ~ ანდ. წიმა : ბოთლ. წონალ<sup>წ</sup> : კამ. წონალ<sup>წ</sup> : ტინდ. ცუნალ<sup>წ</sup> : ახვ. წონოლ<sup>წ</sup> ~ საკ. დიდ. ჩანიმა (< \*ცან-მა. ნვრ. ცანილუ „წალი“) : ჰინ.: ხვარ.: ბეც. ცან „თხა“.

6. ხუნძ. ჰოწო ~ ანდ.: ბოთლ. ჰინწუ : ლოდ. ჰინცე : ბაგვ. ჰინწი : კამ. ჰინწი : ახვ. ჰინწი ~ საკ. დიდ. ოც : ჰინ ჰჩ (<\*ჩიწ <\*იცი) : ახვ. ოც<sup>წ</sup> (დიალ. ვარ.) : ბეც. ა<sup>წ</sup>ც (ჰუნბ. გ<sup>წ</sup>ც) „კალო“.

7. ხუნძ. წუნეიხე ~ ანდ. წუნნე (<\*წუნდუ) : ბოთლ. წუნდი : კამ. წუნ<sup>ძ</sup> : ლოდ. ცუნილ<sup>წ</sup> : კარ. წუნალ<sup>წ</sup> : ახვ. წონულ<sup>წ</sup> ~ ბეც. ცუნალ<sup>წ</sup> „წივი“, „კონა“.

**623 უკანანისმიერი (შიშინა) აფრიკატები.**

„ნელჯის აფრიკატი \*ჭ აფრიკატთა წყების ამოსავალი უკანანუ-რედიკალი წინა სპირანტი ჭ უცვლელად არც ერთ ხუნძურ-ანდიურ-დი-ალურ ენაში შეგონებული.“<sup>15</sup> სპეციალურ ლიტერატურაში მისი გენე-

<sup>15</sup> „ნელჯის აფრიკატი უკანანუ-რედიკალი წინა სპირანტი ჭ უცვლელად არც ერთ ხუნძურ-ანდიურ-დი-ალურ ენაში შეგონებული.“ სპეციალურ ლიტერატურაში მისი გენე-  
[ჩიჭობავა, ცერცვაძე  
1971]

ზისის გარკვევის რამდენიმე სერიოზული ცდაა წარმოდგენილი [ტრუბეცკოი 1987, 280; ბოკარევი 1958, 8-9; დეშლი 1971, 43; გიგინეიშვილი 1977, 84-85; 1967, 203-217; თალიბოვი 1980, 298...].

6. ტრუბეცკოის შეხედულებით, საერთო-დაღესტნურ მედერ შიშინა ჭს ხუნძურ-ანდიურ ენებში შესატყვისად  $\Psi$  მოეპოვება [ტრუბეცკოი 1987, 280]. ამ დებულების დასაბუთებლად მოყვანილია სამი მაგალითი: 1. „თავად“, 2. „სმა“, 3. „შეწვა“.

ჩვენი აზრით, ზემოხსენებული მაგალითები ლეზგიურ ენებში ჭს შესატყვისობის მხოლოდ ილუზიას ქმნიან. ამის გაუთვალისწინებლობით ჩანს გამოწვეული, რომ ბ. გიგინეიშვილი ხუნძურ-ანდიურ ენებში ჭს რეფლექსებად მიიჩნევს ორ ფონემას: \* $\chi > \chi/\Psi$ , რომლებიც ამოსავალ ეტაპზე დუბლეტური ფორმების არსებობას გულისხმობენ [გიგინეიშვილი 1977, 83], რაც ნაკლებად სარწმუნოა.

ფეიქრობთ, ბ. გიგინეიშვილის მიერ მოყვანილი მაგალითები („შეწვა“, „ეშვი“...) არ უნდა ასახავდნენ \* $\chi$  აფრიკატის ევოლუციის კანონზომიერ პროცესს [თალიბოვი 1980, 300], ვინაიდან იგი განსხვავებულ რეფლექსებს გვიჩვენებს და მისდევს ამოსავალი \* $\Psi$ -ს შესატყვისობას ანდიურ ენებში ჰამალურის გამოკლებით (ჰამ.  $\Psi > \chi$ ). ამგვარსავე ცვლილებას განიცდის ბეეიტურ ენაში, ხოლო ზოგ დიდოურ ენაში პოზიციური ფონეტიკური პროცესის შედეგად ყრუვდება [ლომთაძე 1998, 131] : ბეე. ზი-ზ-ალ (< ეი-ე-ალ, შდრ. ჰუნზ. ეგ-ეა „id“.), ჰინ. რე-შ-ა (< \*რე-ე-ა), საკ. დიდ., შად-ა, ხვარ. იშან-ა „შეწვა“, „ცხოზა“. ასევეა სხვა ლექსემებშიც: „თვითონ“, „ეშვი“<sup>159</sup> და მისთ.

ბ. გიგინეიშვილი ხუნძურ-ანდიურ ფუძეენაში  $\chi$  და  $\Psi$  თანხმოვანთა არსებობას მათი თავისუფალი მონაცვლეობით ხსნის [გიგინეიშვილი 1977, 83], რაც დამაჯერებელი არ ჩანს, რადგან ამ ვარაუდს ექვექვემ აყენებს არაერთგვაროვანი რეფლექსები. გარდა ამისა, თავისუფალი ვარირება დუბლეტურ ფორმათა არსებობას გულისხმობს, რომელთაც საწყის საფეხურზე ერთი არქექტიპი უნდა ჰქონოდა.<sup>160</sup> აქედან გამომდინარე,  $\Psi$  სხვა შესატყვისობას განეკუთვნება,  $\chi$  კი — სხვას და მათ შორის შესატყვისობის კუთხით ტოლობის ნიშანი ვერ დაისმის.

მაშასადამე, საერთო სავარაუდო \* $\chi$  აფრიკატის შესატყვისობის საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელდეს მარტოოდენ ინტენსიური  $\chi$ -ს შემკველი მაგალითები:

<sup>159</sup> ხუნძ. გოფო („ეშვი“) სახელს ღიდ. ენებში შესატყვისება: საკ. ღიდ.: ჰინ. გაფუ : ხვარ. ქოფუ : ბეე. გაფო („id“.). საკ. ღიდ. კიყუ, ჰინ. კეჩუ („პილი“), შესაძლოა, ქართული ნასესხობა იყოს, შდრ. კიჭი [ბურჭულაძე 1988, 241, 245].

<sup>160</sup> პრობლემურია, ენათა მიხედვით, დუბლეტურ ფორმათა განაწილების საკითხი. ალოგიკურია ვიფიქროთ, რომ თავისუფლად მონაცვლე ფორმებიდან, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე, ხან ერთი იქცა ამოსავლად, ხანაც — მეორე.

1. ხუნდ. მიჭა ~ ანდ.: კარ. მიჭი : ახვ. მიწი : ბაგვ. მიჭა : ლოდ.: ტინდ. მიჩა ~ საკ. დიდ.: ჰინ. მეჩა : ხვარ.: ბეყ. მიჩ „ჰინჰარი“.

2. ხუნდ. მეჭ (< \*მეჭა) ~ საკ. დიდ.: ჰინ. მოჩი : ბეყ. მაჩე „მიწის ნაკვეთი“, „ყანა“, „კორდი“.<sup>161</sup>

ბ. ყრუ ფშვინვიერი არაინტენსიური აფრიკატი \*ჩ. ამოსავალი უკანანუნისმიერი აფრიკატი ჩ ხუნდურ-ანდიურ ენებში ძირითადად უცვლელად არის შემორჩენილი, თუმცა იგი, გაშიშინების შედეგად, ჰამალურში შს გვაძლევს [ტრუბეტკოი 1987, 225, 256; ლომთაძე 1962, 289; გულავა 1964, 130].

დილოურ ენებში ჩ სპირანტიზაციის ტენდენციას ამჟღავნებს: ჩ > შ [ლომთაძე 1962, 288].

ამრიგად, ამოსავალი ფშვინვიერი აფრიკატი ჩ რეკონსტრუირდება შესატყვისობის ამგვარი ფორმულის საფუძველზე:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დოდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეყ.
ჩ	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	შ(ჩ)	ჩ	ჩ	ჩ	ჩ	შ	შ	შ	შ

1. ხუნდ. მეჩ ~ ანდ. ინჩი : ბოთლ. ინჩუ : კარ.: ახვ. მეჩე : ტინდ. ეჩი : ბაგვ. მეჩ : ჰამ. ეშ ~ საკ. დიდ. შენეშ : ჰინ. იში : ხვარ. შინდოშ : ბეყ. ეშ „ჰაშლი“.

2. ხუნდ. ჩუ ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ. იჩა : ტინდ.: კარ.: ახვ. იჩუა : ბაგვ. იჩუ : ჰამ. იშა ~ საკ. დიდ. სირ-შალუ : ჰინ. შეგტუე : ბეყ. შტუტ „ჰაკი“, „ფაშატი“.

3. ხუნდ. ჩამ|ჩან ~ ანდ. ჩომ : ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ. ჩამუ : ჰამ. შან : ტინდ. ჩუნანა : კარ. ჩამ : ახვ. ჩამა ~ საკ. დიდ.: ხვარ. შომო : ჰინ. სომო (< \*შომო) : ბეყ. ლასო (< \*ლაშო) „ჩამდენი?“

4. ანდ. ნიჩო : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ.: ახვ. ნიჩა : ჰამ. ნიშა : ბაგვ. მიჩა ~ საკ. დიდ.: ჰინ. ნეშუ : ხვარ. ნიშუ : ბეყ. მიწუ „ნამგალი“.

5. ანდ. ბოჩო : ბოთლ. ბეჩეკი : ლოდ. ბაჩეკ : ბაგვ.: ტინდ.: ბაჩაკუბ : ჰამ. ბაშაკუბ : კარ. ბაჩაკობ : ახვ. ბაჩადაბე ~ საკ. დიდ. ნიშიუ : ხვარ. ნიშუე : ბეყ. ნუშუტ „წვრილი“, „მოკლე“.

6. ხუნდ. ტურჩინაბ ~ ანდ. ხატოჩი : ბოთლ. აჩუ : კარ. ოჩობ : ტინდ. აჩუბ : ბაგვ. მაჩუბ : ჰამ. აშუბ ~ ბეყ. იშლააღლი „ყვითელი“, „მწვანე“.

<sup>161</sup> ამ რიგის შავალითები მცირეა.

გ. ყრუ ფშვინვიერი ინტენსიური აფრიკატი \*ჩ. ამოსავალი უკანაენისმიერი მაგარი აფრიკატი ჩა ბაგვ. ენაში შა სპირანტად გარდაიქმნა, ხოლო ქამ. და ახვ. ენებში — ცა-დ. ხუნძური ენის თქმებსა და დიალექტებში: ჩა > ცა (ბათლ.), ჩა > შა (ჰიდ.), ჩა > წა (ბაწად.) [გუდავა 1964, 130].

დიდ. ენებში ჩა სპირანტიზაციის ტენდენციას ემორჩილება: ჩა > შ.

\*ჩა-ს კორესპონდენციის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ქამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეე.
ჩა	ჩა (ცა, შა, წა)	ჩა	ჩა	ჩა	ცა	ჩა	შა (ჩა)	ჩა	ცა	შ	შ	შ	შ (ს)

1. ხუნძ. ჩინ ~ ანდ. იშონ (< \*ჩინომ) : ბაგვ. იშამ ~ საკ. დიდ. შამი : ჰინ. ეშიმო : ხვარ. შიმულ : ბეე. შამი „ღედალი თხა ექვსი თვიდან ორ წლამდე“, „წალი“.

2. ხუნძ. ჩაუთ (ანწ. ცაუთ, ჰიდ. შუთ) ~ ანდ. კონ-ჩაუ : ქამ. კუა<sup>6</sup>კუარა<sup>6</sup>ცუ : ტინდ.: კარ. კან-ჩი : ბაგვ. კან-შა : ახვ. კან-ცარა ~ საკ. დიდ. შეთრო : ჰინ. შოთრა : ბეე. კემუ-სა (< \*კემუ-შა, შდრ. ჰუნზ. კიმი-შო „id.“) „ხელიკი“.

3. ხუნძ. ბუჩი-ნე ~ საკ. დიდ. ბიშა : ბეე. დონ-ალ (< \*დონ-ალ) „დამწყვდევა“, „შემოზღუდეა“.

დ. ყრუ აბრუბტიული არაინტენსიური აფრიკატი \*ჭ. ფუძენისეული უკანაუნისმიერი აფრიკატი ჭ, თუ ყურადღებას არ გავამახვილებთ ცალკეულ ფონეტიკურ გადახრებზე, ბგერათიგივეობას გვაძლევს.

საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დილოური \*ჭ-ს შესატყვისობის ფორმულა სქემატურად ასე გამოიხატება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ქამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეე.
ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ

1. ხუნძ. -ჭო ~ ანდ.: -ჭი : ბოთლ.: ლოდ. -ჭი||-ჭა : ტინ. -ჟე (< \*-ჭე) : ბაგვ.: კარ. -ჭი||-ჭე ~ საკ. დიდ. -ჭი||-ჭუ : ხვარ. ბ-ჭი||-ბ-ჭუ „ზმნის უარყოფითი ფორმანტი“.



2. ხუნდ. ჭეტ ~ ანდ. ჭონნი : ბოთლ.: ბაგვ. ჭანტ: ლოდ.: ახვ. ჭანტი : ჭამ. ჭან : ტინდ. ჭანდი ~ საკ. დიდ.: შინ. ჭიქი<sup>162</sup> : ხვარ. ჭეჟე : ბეფ. წიქე (< \*ჭიქე, შდრ. ჭუნზ. ჭიგე. „id.“) „რწყილი“.

3. ხუნდ. იჭ-გო ~ ანდ. ჰოჭო-გუ : ბოთლ. ჰაწა-და : ლოდ.: ჰამ.: კარ. ჰაჭა-და : ბაგვ. ჰაჭუა-რა : ტინდ. ჰაჭუა-და : ახვ. ობჭა-და ~ საკ. დიდ.: შინ. ოჭი-ნო : ხვარ. უჭინ : ბეფ. აჭენა „ცხრა“.

4. ხუნდ. ჭობო-გომაბ ~ ანდ. ბეჭუ-გუ : ბოთლ.: ლოდ. ბეჭუდა : ჰამ.: ბეჭუდლასა : ტინდ. ბეჭუბ : ბაგვ. ბეჭურაბ : ახვ. ბეჭუდა-ბე ~ ბეფ. ბჭჭკრ (ჭუნზ. როჭუ) „ცარიელი“.

5. ხუნდ. ჭოლო ~ ანდ. ჭოლ : ბოთლ. ჰამ.: ბაგვ.: ახვ. ჭალი : ტინდ. ჭუალი ~ საკ. დიდ ჭირ : შინ. ჭილუ : ბეფ. ჭელო (ჭუნზ. ჭელუ) „ღვეილი“, „თასმა“.

ე. ყრუ აბრუპტიული ინტენსიური აფრიკატი \*ჭა. ისტორიული უკანაენისმიერი აბრუპტივი ჭა პოსტულირება ხდება ქვემოთმოყვანილი ფორმულის მიხედვით:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	შინ.	ხვარ.	ბეფ.
ჭა	ჭა(ჩა, წა)	ჭა	ჭა	ჩა	წა	ჩა	ჭა(ჭა)	ჭა(ჭა)	წა	ჩ	ჩ	ჩ	ჩ

1. ანდ. ბუჭინუ : ბოთლ. ჭარდი : ჰამ. წარილა : ბაგვ. ჭარილა : კარ. ჭარაღა ~ ხვარ. ბიჩა : ბეფ. ბოჩალ (ჭუნზ. რუჩა) „გაქცევა“, „გაცლა“.

2. ხუნდ. რაჭა („კული“)<sup>163</sup> ~ ანდ. როშენ : ბოთლ. ნაშარ (<\*რაშარ <\*რაჭარ): ახვ. რაწთ ~ საკ. დიდ.: შინ. როჩ : ბეფ. რაჩ (ჭუნზ. რაჩ) „თოკი“.

როგორც ამ შესატყვისობის ფორმულიდან ჩანს, \*ჭა ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი ხუნდურში, ანდიურში, ბოთლიხურში, ბაგვალურსა და კარატაულში. სხვა ენებში იგი ტრანსფორმაციას განიცდის: ტინდიურსა და ლოდობერიულში იმავე რიგის ინტენსიურ ფშვინვიერს (ჩა) გვაძლევს, ხოლო კამალურსა და ახვახურში — წა-ს. დიდ. ენებში ჭა-ს თავდაპირველად, ტინდიურისა და ლოდობერიულის მსგავსად, ჩა უნდა მოეცა, რომელიც, ინტენსივობის კორელაციის მოშლის

<sup>162</sup> ხევს. ჭაჭი დიდორი ენებისაგან უნდა იყოს ნასესხები [იხ. ზვიადური 1997, 102].

<sup>163</sup> ანალოგიურ მაგალითებში შეიძლება დაგვეშვა დუბლეტურ არქეტოპთა არსებობა ფუტენაში, მაგრამ მათი რეფლექსები, როგორც დამოწმებული მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, მეტ-ნაკლებად განსხვავებულია.

შემდეგ, ჩ-დ გარდაქმნილა, ე. ი. დიდ. ენებში ლატენტურ საფეხურად ჩა მოიაზრება: ჭ > \*ჩ > ჩ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მქლერი ჭ-სგან მომდინარე ჭ ხუნძ.-ანდ.-დიდ. ენებში თანხვედბა ამოსავალ \*ჭ-ს რეფლექსებს [ბოკარევი 1958, 8; 1981, 28]. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ჭ > ჭ სპონტანური ფონეტიკური პროცესი საერთო-დაღესტურში განხორციელდა, სახელდობრ, იმ დიალექტში, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენას. ამით ჩანს შეპირობებული ორგვარი წარმოშობის ფონემის ერთგვაროვანი რეფლექსაცია.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ანდიურ-დიდოურ ენებში რეალიზებული ფონეტიკური პროცესების ანალოგიური ვითარება ხელშესახებად არის წარმოჩენილი ხუნძური ენის დიალექტებში. ყველა ის სახეცვლილება ძირითადად განხორციელებულია ხუნძურ ენაში, რაც აფრიკატთა ხაზით მომხდარა სხვა საკვლევ ენებში, თუმცა ხუნძურის დიალექტებში დადსტურებული ცვლილებები ქრონოლოგიურად გვიანდელია.

#### 6.2.4. მაგარსასისმიერი ლატერალური აფრიკატები.

ა. მქლერი ლატერალური აფრიკატი \*ლ. მაგარსასისმიერი მქლერი ლატერალური აფრიკატი არც ერთ საკვლევ ენაში არ დასტურდება. ჩვენ ზემოთ [6.2.2; 6.2.3] აღვნიშნეთ, რომ აფრიკატთა სერიის სისინ-შიშინა სიბილანტები (ძ, ჭ) ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში არ უნდა გვექონოდა. ანალოგიურად უნდა აიხსნას მქლერი ლატერალისა (ლ) და მქლერი ფარინგალის (ფ) უქონლობა ამ ენათა სინამდვილეში.

ვფიქრობთ, დამატებით დასაბუთებას საჭიროებს მქლერ აფრიკატთა (ძ, ჭ) სპირანტიზაციის საკითხი, ვინაიდან პოზიციით შეპირობებულობის დადგენა ვერ ხერხდება. დებულება ფუძეენაში თავისუფლად მონაცვლე ფორმათა პოვნეირების შესახებ წინააღმდეგობას ხვდება იმის გამო, რომ დუბლეტთა შემდგომი განაწილება ენათა მიხედვით მეტად ჭრელ და არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს [შდრ. გიგინეიშვილი 1977, 135].

ბ. ყრუ ფშვინვიერი არაინტენსიური ლატერალი ლ'. მაგარსასისმიერი ლატერალური აფრიკატი ლ' შემოგვინახა ახვ. ენის ჩრდილოურმა დიალექტმა, რომელიც ამავე ენის სამხრულ დიალექტსა და ხუნძ. ენაში იმავე რიგის შესაბამის ლ' სპირანტში გადავიდა [მაჰომედბეკოვა 1955, 308; 1974, 123-124]. ხუნძ. ენის დიალექტებში ლ' ლატერალმა, ფუძეენაშივე შეერწყა რა ოდინდელ ლ' სპირანტს, ნაირგვარი ტრანსფორმაცია განიცადა: ლ' > ლ' (ხუნძახ.), ლ' > ლ' > თ (ანწ.), ლ' > ლ' > ჭ, ლჭ, ლ (ანდალ.-ყარახ.), ლ' > ჭჭ (ქარ.), ლ' > ჳ (ზაქ.). ანდიურ ენებში ამოსავალი ლ' > ლ'. თავის მხრივ, ლ' > ჭ (ბოთლ. და ბაგვ., აგრეთვე ბაგვ. ენის თლონდოლური დიალექტის სიტყვა-ფორმათა ანლაუტში)

[უსლარი 1989, 14; მიქაილოვი 1958, 74-79; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 59-68; გულავე 1964, 96, 110; გიგინეიშვილი 1972, 73; მიქაილოვი 1974, 150].

ამოსავალი ლ' სპირანტისა და მეორეული ლ' (< \*ლ') ლატერალის ერთგვარი რეფლექსაცია საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ხუნძურ-ანდიურ ენათა ერთობის ხანისათვის ლ' > ლ' (ახვანურის გამოკლებით) უკვე რეალიზებული იყო [შდრ. გულავე 1979, 111]. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლ' ლატერალის პონეირება ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში ექვს გარეშეა [მაჰომედბეკოვა 1955, 308; გულავე 1979, 111].

იბადება კითხვა: იყო თუ არა ლ' ნიშნდობლივი დილოური ფუძეენისათვის?

სპეციალურ ლიტერატურაში ეს საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი არ არის. ტ. გულავე ვარაუდობს, რომ დილოურ ენებში ლ' > ლ' პროცესი ადრეულ ეტაპზე განხორციელდა [გულავე 1979, 111]. ბ. გიგინეიშვილის აზრით, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა მონაცემები \*ლ' და \*ლ' ლატერალთა გასამიჯნავად ხელმოსაჭიდს ვერაფერს იძლევიან [გიგინეიშვილი 1972, 73], თუმცა მოგვიანებით იგი ერთგვარ დამხმარე საკონტროლო საშუალებად დილოურსაც ასახელებს: თუ ლ' > ლ' პროცესი არ მოხდა, მაშინ უნდა აღვადგინოთ საერთო-დადესტნური \*ლ' [გიგინეიშვილი 1977, 93-94].

\*ლ' ლატერალის პოსტულირება ზემოწარმოდგენილი პროცესის საფუძველზე საექვო ჩანს, რადგან ლ' სპირანტს დილოურ ენებში წარმომავლობის სხვა წყაროებიც აქვს: ლ' < ლ', ლ' < ლ'.<sup>164</sup>

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ლ' > ლ' პროცესი განხორციელდა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში. აქედან გამომდინარე, ფშვინვიერ აფრიკატთა არაინტენსიური კორელატების არსებობის მტკიცება საერთო-დილოურში საფუძველს მოკლებულია [ალექსევი 1986, 129; შდრ. გულავე 1979, 111].

ამოსავალი \*ლ' ლატერალის შესატყვისობის ფორმულა სქემატურად ასე გამოისახება:

•	ხუნძ.	ანდ.	ბიოლ.	ლდ.	კაბ.	ტინდ.	ბაგ.	კარ.	ახვ.	საყილდ.	ბან.	ხვარ.	ბუ.
ლ'	ლ' (თ, კ, ლ, ჰ)	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ' (ვ, ჰ)	ლ'	ლ' (ვ)	ლ'	ლ'	ლ' (ვ, ჰ)	ლ' (ვ)

<sup>164</sup> გარდა ამისა, ისტორიული \*ლ' ხან ლ-დ ტრანსფორმირდება, ხანაც უცვლელი რჩება [გულავე 1979, 93]. ამ ორ რეფლექსს (\*ლ' > ლ, \*ლ' > ლ') ჭეროვანი გამოიჭენა სჭარდება.

1. ხუნძ. ლ'აბ-გო (ანწ. თაბ-გუ, ანდალ. ჰაბ-გუ, ქარ. ჰაბ-გუ) ~ ანდ. ლ'ობ-გუ : ბოთლ. ჰაბუ-და : ლოდ.: ქამ. ლ'აბუ-და : ბაგვ. ჰაბ-და : ტინდ.: კარ. ლ'აბ-და : ახვ. ლ'აბ-და-ბე ~ საკ. დიდ.: შინ. ლ'ო-ნო : ხვარ. ლ'ო-ნა (ინხ. ჰაონო < \*ლ'ონო) : ბეე. ლ'ა-ნა „სამი“.

2. ხუნძ. მალ' ~ ანდ. მულ'ა : ბოთლ. ჰუმ („ჰლიქი“) : ლოდ. ლ'უმულ : კარ. მელ'უ : ბაგვ. მილჰუ (თლონდ. მიჰუ) : ახვ. მილ'ო ~ საკ. დიდ. მმოლ'უ : შინ. მოლ'უ : ხვარ. მულ'უ (ინხ. მონუ, მოლუ) : ბეე. მილ'ო (ჰუნხ. მალუ < \*მალ'უ) „ფრჩხილი“, „ბრჭყალი“.

3. ხუნძ. ლ'ანა ~ ანდ. ანლ'ი : ბოთლ. ა'ჰა : ლოდ. ანლ'ა : ქამ. უოლ'ა : ტინდ. ა'ლ'ო : კარ. ანლ'ე : ახვ. ა'ლ'ენი „შეიტყო“ ~ საკ. დიდ. ქალ'ა : ბეე. ქალ'ალ „მოსმენა“.

4. ანდ. ლ'ედერ : ბოთლ. ჰედირ : ქამ. ლ'ედი : ბაგვ. ლ'ედერ : ახვ. ლ'ედე „ხბო“ ~ საკ. დიდ.: შინ. ლ'იდ : ხვარ. ლ'ედ : ბეე. ლედ (< \*ლ'ედ) „ირემი“, „შველი“.

5. ხუნძ. რელ'ედა ~ ანდ. რელ'ო : ბოთლ. რეჰა . ლოდ.: ტინდ. რელ'ა : ქამ. ელ'ა : ბაგვ. რეჰა (თლის. რელჰა) : ახვ. რელ'ა ~ საკ. დიდ. ჰაულ' : ხვარ. ჰულ' (< \*ნულ') : ბეე. ჰულ' (< \*ნულ') „სალა-მოს“, „გუშინ“.

6. ანდ. ყელ'ინ : ბოთლ.: ბაგვ. ყეჰენ : ლოდ. ყელ'ენ : ახვ. ყელ'ე ~ საკ. დიდ. ლ'ელ „ბალიში“.

გ. ყრუ ფშვინვიერი ინტენსიური ლატერალი \*ლ'. მაგარსასის-მიერი ლატერალური აფრიკატი \*ლ', როგორც ცნობილია, სპირანტიზაციის საფუძველზე ბაგვ. ენაში გადავიდა ლ' სპირანტში [გულავა 1964, 132].

ხუნძ. ენის ხუნძახურსა და ანწუხურ დიალექტებში ლ' არ შეცვლილა, სხვა დიალექტებში ამგვარად ტრანსფორმირდა: ლ' > ლ' (სამხ. დიალ.), ლ' > ლ' > ჰჰჰჰ, ლ' > ჰჰ > შ (ქარ.) [მიქაილოვი 1958, 97; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 67-68].

რაც შეეხება დიდოურ ენებს, ლ' ყველგან ლ' ნაპრალოვან ლატერალში გადავიდა: ლ' > \*ლ' > ლ'.

\*ლ' ლატერალის კორესპონდენციის ფორმულა, საკვლევ ენათა მიხედვით, ასე წარმოგვიღება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	კამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეყ.
ლ'	ლ'(ლ', ჰმმ, შ)	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ' (ლ')	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'

1. ხუნდ. -ლ' ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: კამ.: ტინდ.: კარ. -ლ'ი ~ საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარ.: ბეყ. -ლ' „-ში“ („რაიმე მასის შიგნით მყოფობაზე მისათითებელი თანდებული“).<sup>155</sup>

2. ხუნდ. ანლ'-გო ~ ანდ. ონლ'ი-გუ : ბოთლ.: ლოდ.: კარ.: ახვ. ინლ'ი : კამ. ინლ'ი-და : ტინდ. ინლ'ი-და : ბაგვ. ინლ'ი-რა, ინლ'ი-რა ~ საკ. დიდ.: ჰინ. ილ'-ნო : ხვარ. ე'მლ'-ა : ბეყ. ილ'-ა „ექვსი“.

3. ხუნდ. ლ'უტანა ~ ანდ.: ლოდ. ბელ'უტი : ბოთლ. ბელ'უტუ : კამ. ბელ'უტ : ტინდ. ბელ'უტო : ბაგვ. ბელ'დი : ახვ. ბელ'უტერი „გამოკრა“ ~ საკ. დიდ. ლ'ეტა („გამორჩევა“) : ბეყ. ლ'უტ-ალ (ინფ.) „გამოკრა“.

4. ანდ. ლ'ურლა<sup>166</sup> : ბოთლ.: ლოდ. ლ'ირლ'ი : კამ. ლ'ილ' : ტინდ. ალ'ა : ბაგვ. ლ'ილ'ა : კარ. ლ'ორლ'ე ~ საკ. დიდ. რილ' : ხვარ. ლალ' : ბეყ. მელ' „ერბო“.

დ. ყრუ აბრუპტიული არაინტენსიური ლატერალი \*ტ'. მაგარსასისმიერი ლატერალური აფრიკატი \*ტ' წარმოდგენილია სხვადასხვა რეფლექსებით. იგი დატულია ანდიური ენის ცალკეულ თქმებში [ცერცვაძე 1952, 434-436; 1965, 45-46], კარატული ენის ორიოდ თქმაში [მაჰომედბეგოვა 1971, 36], ახვახურის ჩრდილოურ დიალექტსა [მაჰომედბეგოვა 1955, 295] და ხუნძური ენის ზოგიერთ დიალექტში [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 62-63; შდრ. მიქაილოვი 1959, 55]. ანდიური ენის ერთი წყების თქმებსა და კარ. ენის ტოქ. დიალექტში ინლაუტის ტ' > ლც, ბოთლ. ენის ყველა პოზიციაში, კამ., ტინდ. და ბაგვ. ენების სახელთა ანლაუტში ტ' > ც, ლოდ. ენასა და ზოგი ანდიური ენის (კამ., ტინდ., ბაგვ.) სიტყვათა ინლაუტში ტ' > ლ, კარ. და ახვ. ენათა თქმა-დიალექტებში ტ' > ტ, ბაგვ. ენის კვანადის მეტყველებაში ტ' > კ [ჟირკოვი 1949, 112; გუდავა 1964, 133]. \*ტ' ხუნდ. ენის დიალექტებში დაახლოებით ანდიურ ენათა ანა-

<sup>155</sup> შ. ალექსევი ამ სუფიქსის გენეზისურ კავშირს აფხაზურ-ადიღურ ენათა სათანადო სუფიქსთან სამართლიანად გამოიტყვავს [ალექსევი 1988, 181].

<sup>156</sup> ხუნძურში სხვა ფუძის შემცველი სახელი (ნახ „id“) გამოიყენება.

ლოგიურ ტრანსფორმაციას განიცდის: ტ' > ტ (ხუნძან., ანწ.), ტ' > ც || ლც || ლ<sup>167</sup> [ანდალ.-ყარ.], ტ' > კა (ქარ.) [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 62-64; ჭაფარიძე 1957, 253-255].

დილოურ ენებში ამოსავალ \*ტ'ს შესატყვისება მკვეთრი ლატერალური აფრიკატი ტა [ცერცვაძე 1952, 435-437; ბოკარევი 1958, 10-11; გუდავა 1979, 144; შდრ. ლომთაძე 1962, 297-299].

შესატყვისობის ფორმულა, რის საფუძველზედაც ვახდენთ \*ტ' ლატერალის რეკონსტრუირებას, სქემატურად ასე გამოიყურება:

*	ხუნძ.	ანწ.	ბოთლ.	ლოდ.	ქამ.	ტინდ.	ბაგვ.	ყარ.	ახვ.	საქლოდ.	ჰინ.	ხყარ.	ბეფ.
ტ'	ტ(ლწლ. ტ'ჟამ)	ტ'(ლ. ლწც)	ც	ლ	ც ლ	ც ლ	ც ლ (ა-)	ტ'(ლწ. ცტ)	ტ' (ტ)	ტა	ტა	ტა	ტა

1. ხუნძ. ტი (ჰიდ. ტ'ი) ~ ანდ. ტ'ინნი : ლოდ. ნიცი<sup>168</sup> (< ლი<sup>ნ</sup>ცი < \*ლინი, შდრ. ყარ. ცი<sup>ნ</sup>მი < \*ცინი) : ქამ. ცი<sup>ნ</sup> : ტინდ.: ბაგვ. ცი<sup>ნ</sup> (კვან. ჟი<sup>ნ</sup>) : ყარ. ტ'ინი (რაჩ. ცი<sup>ნ</sup>მი, ტოქ. ციჰი, ინხელ. ტი<sup>ნ</sup>) ~ საყ. დიდ.: ჰინ. ტაე : ხყარ. ტაუ-პურუ<sup>169</sup> („ერთგვარი ნამცხვარი“) : ბეფ. ტაი „ალაო“.

2. ხუნძ. ტორ (ჰიდ. ტ'ორი) ~ ანდ. ტ'ორა (თქმ. ლორა, ლცორა, ცორა) : ბოთლ. ცარა : ლოდ. ლალა : ქამ. ცა (<ცარა) : ბაგვ. ცარა (კვან. ჟარა) : ყარ. ტ'არა (ინხელ. ტარა) : ახვ. ტ'არა (სამხ. დიალ. ტარა) ~ საყ. დიდ. ტარა : ხყარ. ტალ : ბეფ. ტურა „თავთავი“.

3. ხუნძ. რატა (ჰირ. ჰეტე) („ცხოველის წინა ფეხი“) ~ ანდ.: ახვ. რეტა (ანდ. რელა) : ლოდ. ლელა : ქამ. ელა : ბაგვ. რელა : ყარ. რეტა (ტოქ. რელცა, ინხელ. რეტა) : ახვ. რეტა (სამხ. დიალ. რეტა) ~ საყ. დიდ. რეტა : ხყარ. ლეტა : ბეფ. ზიტა<sup>170</sup> („სახელო“) „ხელი“, „ხელის მტევანი“.

4. ხუნძ. ტობ (ჰიდ. ტ'ომ)<sup>171</sup> ~ ანდ. ტ'ომ (თქმ. ლომ, ლცომ, ცომ) : ბოთლ.: ქამ. ცამ : ლოდ. ლამბურ : ბაგვ. ცამა (კვან. ჟამა) : ტინდ. ცამი : ყარ. ტ'ამე (თქმ. ცამე, ტამე) : ახვ. ტ'ამი (ცეჰ. ტამა, რატლ. ტ'ამურ) ~ საყ. დიდ.: ჰინ.: ხყარ. ტაუ : ბეფ. ტამო „სახურავი“.

<sup>167</sup> რეფლექსები პოზიტიურად არის შეპირობებული.

<sup>168</sup> ფ. საილოვას ნაშრომში [1973, 222] ნიი ფორმა გვეხდება, რაც კალმის შეცდომა ჩანს. უნდა იყოს ან ნიიი, ანდა ნიცი.

<sup>169</sup> შდრ. საყ. დიდ. ტაუ-პერუ („id“).

<sup>170</sup> ბეფ. ზოტა („თითი“) სხვა ფუძე ჩანს [შდრ. ლომთაძე 1962, 297].

<sup>171</sup> სალიტ. ხუნძურში ტომ („ტყავი“) სემანტიკური გადააზრინებით უნდა იყოს მიღებული.

5. ხუნდ. ტად (ჰიდ. ტ'ად) ~ ანდ. ჰიტ'ა (თქმ. ჰილა, ჰილცა, ჰიცი) : ბოთლ. ჰეცა : ჰამ. ჰილაჲ : ახვ. ტ'ადო ~ საკ. დიდ. ტა-რი : ჰინ. ტჟ-რ : ხვარ. ტა-ლა : ბეე. ტა-ლო „ხემოთ“, „თავზე“.<sup>172</sup>

6. ხუნდ. ტინო (ჰიდ. ტ'ინო) ~ ანდ. ჰინტ'უ : ლოდ. ჰინლუ : ბაგვ. ჰამ. ჰილუ : ტინდ. ჰინ'ლუ : ახვ. მიტ'ო ~ საკ. დიდ. შეტუ : ჰინ. იტუ : ხვარ. ე'ტუ : ბეე. ო'ტა (ჰუნზ. გ'ტუ) „ძირი“, „ფსკერი“.

ე. ყრუ აბრუპტიული ინტენსიური ლატერალი \*ტა. მაგარსასისმიერი აბრუპტიული ლატერალის ინტენსიური კორელატი ტა ხუნდურ-ანდიურ ენებში არ შეცვლილა, თუ არ გავითვალისწინებთ ხუნდ. ენის დიალექტურ ვარიაციებს: ტა > კა (სიუზ.), ტა > კაჲ (ჰარ.) [ბოკარევი 1958, 9; ლომთაძე 1962, 300; გულაგა 1964, 135].

დიდოურ ენებში \*ტა-ს ეკვივალენტად ლ' გვაქვს [ტრუბეცკოი 1987, 237; გულაგა და სხვ. 1952, 34].

ისტორიული \*ტა-ს შესატყვისობის ფორმულა ასეთია:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	ჰარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეე.
ტა	ტა (კა, კაჲ, კ)	ტა	ტა	ტა	ტა	ტა	ტა	ტა	ტა	ტ'	ტ'	ტ'	ტ'

1. ხუნდ. ბატა (ზაქ. ბაკ) ~ ანდ. ბოტა : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: ახვ. ბატო : ჰამ : ბაგვ. ბატა : ჰარ. ბატუ ~ საკ. დიდ. ჰინ. ბილ' : ხვარ. ბენ' : ბეე. ბელ' „ნაწლავი“, „მაჭიკი“.

2. ხუნდ. ბეტანა ~ ანდ.: ლოდ.: ბაგვ. ბეტო : ბოთლ. ბეტუ : ტინდ. ბეტო : ჰარ. ბეტუ : ახვ. ბეტური „მოხნა“ ~ საკ. დიდ. ბილ'-ა : ჰინ. ბელ'-ა : ხვარ. ლალ'-ა : ბეე. ბოლ'-ალ „შოხენა“.

3. ხუნდ. ბოტა ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ. ბეტო : ჰამ : ბაგვ. ბეტა : ტინდ. ბოტო : ჰარ. ბეტუ : ახვ. ბეტო ~ საკ. დიდ.: ჰინ. ბულ'ე : ხვარ. ბულ'უ : ბეე. ბილ'ო „სახლი“, „გომური“.

4. ხუნდ. ანტა-გო (ჰარ. ანკაჲ-გუ) ~ ანდ. ჰოტუ-გუ : ბოთლ.: ლოდ.: ჰამ.: ჰარ. ჰატუ-და : ბაგვ. ჰატუ-რა : ტინდ. ჰატუ-მა : ახვ. ატუ-და-ბე ~ საკ. დიდ. ცოლ'-ნო : ჰინ. ოლ'-ნო : ხვარ. ოლ'ლ'ა : ბეე. ალ'-ნა „შვიდი“.

<sup>172</sup> ეს ფუძე უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი ლოკატიური ბრუნვის ნიშანს [ლომთაძე 1962, 297; გულაგა 1964, 135; მაჰომედბეკოვა 1989, 200-210].

5. ხუნძ. მიტა-გო (ქარ. მიკამ-გუ) ~ ანდ. ბიეტო-გუ : ბოთლ.: ღოდ.: ღოდ.:  
 კარ. ბიტო-და : ბაგვ. ბიტო-რა : ტინდ. ბიტო-და : ახვ. ბიტო-და-ბე ~ საკ.  
 დიდ. ბილ'-ნო : ჰინ. ბელ'-ნო : ხვარ. ბალ'ლა : ბეჟ. ბელ'-ნა „რვა“.

6. ანდ. კონტა : ბოთლ.: ღოდ.: ჟამ.: ტინდ. კუნტა ~ საკ. დიდ.  
 ყ'ულ'უ : ჰინ. ყ'ულ'ა : ხვარ. ყ'ოლ'უ : ჰეჟ. ყუნლ'ელა „ფიწალი“, ეტიმ.  
 „ორ+ტოტი“, „ტყუპი“ (შდრ. ბეჟ. ყუნლ'ელა „ტყუპი“).

7. ხუნძ. ტეჟერ ~ ბოთლ. ტეტირ (ღოდ. ტიღირ) : ჟამ.:  
 ტეღირ : ტინდ. ტე'რ : ბაგვ. ტეღერ : კარ. ტიღერ : ახვ. ტეჟე ~  
 საკ. დიდ.: ჰინ. ლ'ელი; ხვარ.: ბეჟ. ლ'ილე „ბატკანი“.

8. ხუნძ. ბატულ' ~ ანდ. როტოლ : ბოთლ. ბატურ . ღოდ. ბატუ  
 : ჟამ.: ტინდ. ბატა-მაკა : ბაგვ. ბატა-მაკუა : კარ. როტობ ~ საკ. დიდ.  
 ბოლ'ო : ჰინ. როლ'ო : ბეჟ. მ/რალ'ო (ჰუნზ. ბალ'ო) „შუა“, „შუაგული“.

### 6.2.5. ფარინგალური აფრიკატები.

ა. ფარინგალურ აფრიკატათა რიგის მუღერი წევრი (ფ), რო-  
 გორც სამართლიანად მიუთითებენ [გულაფა 1958, 259; 1979, 111; ბოკარე-  
 ვი 1981, 25; შდრ. დეშილ 1971, 35], ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძენაში  
 არ უნდა გვექნოდა.

რაც შეეხება ყრუ ფარინგალურ თანხმოვანთა გენეზისს, მათი ინტენ-  
 სივობის კორელაციის მიხედვით დაპირისპირება რელიქტიურად ახვახურმა  
 შემოგვინახა, ყ' — ყა დაიცვა ანდიურმაც, სხვა საკვლევ ენებში, როგორც  
 ცნობილია, არაინტენსიურმა კორელატებმა ძირეული ცვლილებები განიცა-  
 დეს [ტრუბეცკოი 1926, 29-30; 1987, 280; გულაფა 1959, 261; 1979, 111].

ბ. ყრუ ფშვინვიერი არაინტენსიური აფრიკატი \*ჯ'. ამოსავა-  
 ლი ფარინგალური აფრიკატი ჯ', რომელიც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ  
 ენათა სინამდვილეში ამჟამად მხოლოდ ახვახური ენის ჩრდილოურ დია-  
 ლექტში იჩენს თავს, ისტორიულად დადასტურებულ სხვა საკვლევ ენებ-  
 ში, ქართველურ ენათა ანალოგიურად, მეტწილად სპირანტიზაციას  
 განიცდის: \*ჯ' > ხ. ზოგ ანდიურ-დიდოურ (ტინდ., ბაგვ., კარ., ხვარ.,  
 ბეჟ.) ენაში \*ჯ'-სგან მომდინარე ხ > ჰ [ტრუბეცკოი 1987, 256; გულაფა  
 1958, 262; არდოტელი 2000, 41]. ამგვარსავე ცვლილებას განიცდის ძირეული  
 \*ხ, თუმცა ხუნძურში \*ხ > ჰ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს \*ჯ' > ხ<sup>173</sup>  
 (ხუნძახ.) პროცესს, ამიტომ მათი დამთხვევა აღარ ხდება. სამხრულ დია-

<sup>173</sup> არნ. ჩიქობავა და ილ. ცერცვაძე ჩრდილო ხუნძურისთვის ჯ' > ხ პროცესის  
 ლატენტურ საფეხურად ჰა-ს მიიჩნევენ (\*ჯ > ჰა > ხ), რისი გაზიარებაც ჰირს. ხუნძურში  
 ხ > ჰა მეტად გავრცელებული პროცესია, ხოლო ჰა > ხ — არა [გულაფა 1974, 145].



ლექტებში: \*ჭ > ხ > ჰ. ჰ-ს იძლევა ამოსავალი \*ხ სპირანტიც: ხ > ჰ [გულაფა 1964, 97-98; ლომთაძე 1962, 292; შდრ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 56].

დიდოური ენებიდან ამოსავალი ჯ' სპირანტიზაციის საფუძველზე საკ. დიდოურსა და ჰინუხურში ხ-დ ტრანსფორმირდება, ხოლო ხვარში-ულსა და ბეფიტურში პროცესი უფრო შორს მიდის: \*ჭ > ხ > ჰ [შდრ. ლომთაძე 1998, 53]. უნდა აღინიშნოს, რომ, შესაბამისი მაგალითების სიმციროს გამო, ტ. გულავას საილუსტრაციოდ მოჰყავს სულ ორიოდ სახელი, რომლებსთვისაც ზოგ დიდოურ ენაში სათანადო ეკვივალენტი არც არის დაძებნილი [გულაფა 1979, 121].

\*ჭ-ს რეკონსტრუირებას ვახდენთ შესატყვისობის ქვემოთყვანილი ფორმულის საფუძველზე:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკლიდ	ჰინ.	ხვარ.	ბეფ.
ჭ'	ხ(ჰ)	ხ	ხ	ხ	ხ	ხ(ჰ)	ხ(ჰ)	ხ, ჰ	ჭ'	ხ	ხ(ჰ)	ჰ	ჰ(ღ)

1. ხუნდ. ნიხა ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ჰამ.: ტინდ.: ბაგვ. ნიხა : ახვ. ნიჭ'ა ~ საკ. დიდ. ნიხა (ქიდ. ნეხა) : ხვარ. ნიხა<sup>174</sup> : ბეფ. ო'ხ (ჰუნხ. ოჰ) „შერია“, „ქერი“.

2. ხუნდ. ახ (ჰიდ. აჰ) ~ ანდ. ოხი : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ. ახი : ჰამ. ახ : ბაგვ. აჰ : კარ. ახე : ახვ. აჯ'ი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ყახ : ხვარ. ყოჰ . ბეფ. აჰ „ბალი“, „ვენახი“<sup>175</sup>

3. ხუნდ. ხახანა ~ ანდ. ბოხხონი : კარ. ქეხე : ახვ. ბაჯ'არი „მოწოვა“ ~ საკ. დიდ. ხირა : ბეფ. ხად-ალ „წოვა“.

4. ხუნდ. ხუნანა ~ ახვ. ბუჯ'არჰ „მოკვდა“, „გაფუქდა“ ~ საკ. დიდ. ბეხუნა : ჰინ. ბუჰა (< \*ბუხ-ა) : ხვარ. ბიჰა : ბეფ. ბულ-ალ (< \*ბუჰ-ალ, შდრ. ჰუნხ. ბუჰა „id“) „მოკვდომა“.

5. ხუნდ. ხადუბ ~ ანდ. ბეხუდუ : ბოთლ.: ლოდ. ბეხუტუ : ჰამ. მეხატუ : ტინდ. ხერი : ბაგვ. ჰერი : კარ. ხი-გი : ახვ. ჯ'ედო (ტლიან. ხედო, ცეჰ. ხედი) ~ საკ. დიდ. ხიზიდო, ხიზორ : ხვარ. ჰედ : ბეფ. ბუ-დუთთა (< \*ბუ-ჰუთთა) „უკან“, „შემდეგ“.

გ. ყრუ ფშვინვიერი ინტენსიური აფრიკატი \*ჭ. ფარინგალური აფრიკატი \*ჭ, რომელსაც საოპოზიციო ცალი აღარ მოეპოვება, ფონოლოგი-

<sup>174</sup> საკ. დიდ. და ხვარ. ენებში ეს სახელი შეიძლება ანდიური ენებისაგანაც იყოს შეთვისებული.

<sup>175</sup> იხ. ჩიქობავა 1954, 41-49.

ურად ნეიტრალურია, ხოლო ფონეტიკურად სიმპარეს ამჟღავნებს. იგი ხუნძურ-ანდიურ ენებში ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი, ხუნძურის სამხრულ დიალექტებსა და დიდოურ ენებში კი, ჳ-ს მსგავსად, სპირანტიზაციის ტენდენციას ავლენს: ჳ > ხ [გულდავა 1959, 263; ლომთაძე 1962, 292; არდოტელი 2000, 42]. ისტორიული \*ჳ-ს კორელაცია (ჳ<sup>1</sup> – ჳ) დატულია ოდენ ახვ. ენის ჩრდილოურ დიალექტში [მაჰომედბეკოვა 1955, 306].

\*ჳ-ს შესატყვისობის ფორმულა სიმარტივით ხასიათდება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოლ.	ჳამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.ლიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
ჳ	ჳ(ხ)	ჳ	ჳ	ჳ	ჳ	ჳ	ჳ	ჳ	ჳ	ხ	ხ	ხ	ხ

1. ხუნძ. ჳტაზე (ჰიდ. ხტაზე) ~ ანდ. ჳტარდუ : ჳამ. ჳტ-ალა : ტინდ. ჳტაღლა : ბაგვ. ჳტარა : კარ. ჳტარალ'ა : ახვ. ჳტარუ ~ საკ. ლიდ. ცა-ხტ-ა : ჰინ. ცა-ხა : ხვარ. ჳტაღ-<sup>176</sup> : ბეჟ. ჩა-ხალ „წერა“.

2. ხუნძ. ბუჯანა ~ ჳამ. ბა-ჯუ<sup>177</sup> : ბაგვ.: კარ. ბა-ჯუ-<sup>178</sup> : ტინდ. ბა-ჯუ-<sup>179</sup> : ახვ. მა-ჯა-ონი „ამოთხარა“ ~ ხვარ. ლუ-ხა : ბეჟ. მ-ხალ (ჰუნხ. ა-ხა) „თხრა“, „ბარვა“.

3. ხუნძ. ჳუნა ~ ანდ. ბუ-ჯუ : ბოთლ.: ბე-ჯუ : ლოლ. ბი-ჯი : ჳამ. ბუ-ჯ : ტინდ. ბუ-ჯო : კარ. ბი-ჯუ : ახვ. ბი-ჯა-არი ~ საკ. ლიდ. ბე-ხტა-ღ-ს : ჰინ. ბე-ხტა-ს : ხვარ. ბი-ხტა-ღა : ბეჟ. მუ-ხო-ღო „დაკლა“.

4. ხუნძ. -ჳ (ჰიდ. -ხ) ~ ბოთლ.: ლოლ.: ჳამ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. -ჳ : ახვ. -ჳა ~ საკ. ლიდ. -ჳ (< ჳო) : ჰინ.: ხვარ. -ჳო : ბეჟ. -ჳა „თან“, „ზე“ („ერთ-ერთი ლოკატიური ბრუნვის ნიშანი“).<sup>177</sup>

5. ხუნძ. რაჯ ~ ანდ. როჯი : ბოთლ.: ჳამ.: ბაგვ. რეჯინ : კარ. რეჯინ : ახვ. რაჯე ~ საკ. ლიდ. როხ : ჰინ.: ხვარ. ლახ : ბეჟ. რეხ „კვალი“.

<sup>176</sup> ჳ-ს შემცველი ხვარშიული ფორმა, რომელიც ანდ. ენათაგან უნდა იყოს შეთვისებული, საფუძველი ხდება მცდარი ინტერპრეტაციისა [იხ. ლომთაძე 1962, 292].

<sup>177</sup> ყურადღებას იმყრობს ის გარემოება, რომ \*ჳ ყველა საანალოზო ენაში, ახვახურის გარდა, ბევრათივიეობას გვიჩვენებს [ლომთაძე 1962, 292]. ჳ-ო თანდებულის ახლომდგომი ფუნქციები აქვს -ო თანდებულს [ინზაიშვილი 1963, 150-152], მაგრამ ისინი სხვადასხვა წარმომავლობის ფორმანტები ჩანან [გულდავა 1964, 140]. \*ჳ > ხ ხუნძურისათვის კანონ-ზომიერია, მაგრამ იმავე არაინტენსიური (sic!) ხ-ს შემცველი ფორმანტი ანდიურ ენებშიც იჩენს თავს [მაჰომედბეკოვა 1967, 62-63]. ხუნძ. ნაჯა < მაჯა („უკან“) და ხაღუჯ („შემდეგ“, „უკან“) სამართლიანად არის სხვადასხვა ფუძედ მიჩნეული [ბურჭულაძე 1981, 733-734].

კვლევის ამ ეტაპზე უნდა დაეუშვათ ორი შესაძლებლობა: ა) -ჳო ფორმანტისეული ჳ ამ ენათა დიფერენციაციის შემდეგდროინდელია; ბ) დიდოურ ენებში სპირანტიზაციის (ჳ > ხ) პროცესის უქონლობა -ჳ-ს გრამატიკულ დატვირთვას უნდა მიეწეროს.

ბ. ანდ. ზუჩა (<\*ჟუჩა) : ბოთლ.: ლოდ.: ჰამ. ჟუჩა : კარ. ჯოჩა : ახვ. ღოჩა (<\*ჟოჩა) ~ საკ. დიდ. ჰოში (<\*ზოში) : შინ. ზუში : ხვარ. ჰეშე (<\*ხენშე) : ბეე. ღაშე (<\*ხაშე) „ტყავი“.

დ. ყრუ აბრუპტიული არაინტენსიური აფრიკატი \*ყ'. ამოსავალი ფარინგალური აფრიკატი \*ყ', რომელიც შემონახულია ახვ. ენის ჩრდილოურ დიალექტსა და ანდ. ენის ანდის თქმაში, სხვა ენებსა და მათ დიალექტებში მრავალგვარ სახეცვლილებას ემორჩილება: ყ' > ღ (ბოთლ., ანდ.), ყ' > ე (ანდ., ბოთლ., ლოდ., ჰამ., ტინდ., ბაგვ., კარ., ახვ.),<sup>178</sup> ყ' > შ (კარ. ენის ტოქ. დიალ.).

ხუნდ. ენაში \*ყ' სისტემატურად შ სპირანტიზმით გადადის (თუმცა იშვიათად ყ' ყ-დ რეალიზდება), ხოლო დიდიერ ენებში ნეიტრალურ ყ-ს გვამოგვს [ტრუბეტკოი 1987, 265; გუდავა 1958, 261; ლომთაძე 1962, 294; ცერცვაძე 1965, 55-57].

საბოლოო ჯამში, რელიქტურად შემონახულ ფარინგალთა რიგის არაინტენსიურ კორელატ ყ'-ს შესატყვისობის ფორმულა სქემის სახით ასე წარმოგვიდგება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკლდ.	შინ.	ხვარ.	ბეე.
ყ'	შ (ყა)	ყ (ეღ)	ღ (ე)	ე	ე	ე	ე(შ)	ე(შ)	ყ'(ე)	ყყ'	ყყ'	ყყ'	ყ

1. ხუნდ. ბუჰა ~ ლოდ. მუჰა : ჰამ.: ბაგვ. მუჰა (< \*მუჰა): ტინდ. მუჰა (< მუჰა, შდრ. ანგ. მუჰა) : კარ. მუჰ (< ტოქ. მუჰა) : ახვ. მუჰა ~ ხვარ. მიწყუე : ბეე. მუჰე (ჰუნზ. მუჰე) „ქერშველი“, „ხორბალი“.

2. ხუნდ. უნყო (ანწ. უნშ-გუ) ~ ანდ. ბოყ'ო-გუ (ზილ. ბოცო-გუ) : ბოთლ. ბუღუ-და : ლოდ.: ჰამ. ბუჰუ-და : ბაგვ. ბუჰუ-რა : ტინდ. ბუჰო-და : კარ. ბუჰო-და : ახვ. ბოყ'ო-და-ბე ~ საკ. დიდ. უყ'ყ'უ-ენ : შინ. უყი-ნო : ხვარ. უწყ'ე : ბეე. უჰე-ნა „ოთხი“.

3. ხუნდ. მაჰო ~ ანდ. მოყ'ო : ბოთლ. მაღა: ლოდ.: კარ. მაჰა : ჰამ. მაჰ (< \*მაღი) : ტინდ. მა'დი (< \*მა'ღი) : ბაგვ. მაღო : ახვ. მაყ'ა ~ საკ. დიდ.: შინ. მოყ'უ : ხვარ. მუჰუ : ბეე. მაჰო „ცრემლი“.

<sup>178</sup> \*ყ' > ღ, ე პროცესი, დიალექტ-თქმებისა და ფონოლოგიური გარემოების მიხედვით, განსხვავებულად ხდება.

4. ხუნძ. რაჭანა („გაიგონა“) ~ ლოდ. ბიცა : ჰამ. იცა : ტინდ. ბიდა (< \*ბიცა, შდრ. აქნ. ბიცი) : კარ. ბიცა : ახვ. ბეყ'არი „გაიგო“, „იცნო“<sup>179</sup> ~ საკ. დიდ. რეყ'ა (საჰ.) : შინ. რეყა : ხვარ. ლიყა (ინხ. ლიყ'ა) : ბეყ. რიყალ „ცოდნა“, „ცნობა“.

5. ხუნძ. ყონო ~ ლოდ. ყუნუ : ახვ. ყ'ორ ~ საკ. დიდ. ყ'ირ : შინ. ყ'ილ : ხვარშ. ყ'ელ, „ფიცარი“, „ფილა“.

6. ხუნძ. მაჰ ~ ახვ. მუჟ'ე ~ ბეყ. მუჟო (ჰუნზ. მგყ) „ლურსმანი“, „ლატანი“, „სატეხი“.

ე. ყრუ აბრუპტიული ინტენსიური აფრიკატი \*ყ. ფარინგალური რიგის ამოსავალ ინტენსიურ აბრუპტივ ყა სხუნძურ-ანდიურ ენებში ფონეტიკური ცვლილება არ მოსვლია, თუმცა ინტენსივობის კორელაცია (ყა — ყ'), ორიოდ ენის (საკ. ანდ., ახვ.) გარდა, ყველგან მოიშალა და ყა ფონოლოგიურად ნეიტრალური გახდა [გუდავა 1964, 138].

ისტორიულ \*ყა-ს დიდოურ ენებში კანონზომიერად და რეგულარულად ჰ შეესატყვისება.

\*ყა-ს შესატყვისობის ფორმულა სიმარტივეს ამჟღავნებს:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	შინ.	ხვარ.	ბეყ.
ყა	ყ	ყა	ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყ	ყა	ჰ. ჰ'	ჰ. ჰ'	ჰ. ჰ'	ჰ

1. ხუნძ. ყედ ~ ანდ. ყუნ : ბოთლ. ყინდა : ლოდ. ყუნდ : ჰამ. ყუნნა : ტინდ. ყენა : ბაგვ. ყინ : კარ. ყინი : ახვ. ყენდა ~ საკ. დიდ. ვიდო : შინ. ჰეშე (< \*ჰეჟუ < \*ჰეზუ < ჰედუ)<sup>180</sup> ხვარ. ჰად (ინხ. ჰოდ) „ედელი“.

2. ხუნძ. ბაყუნა ~ ანდ. ბეყუ : ბოთლ.: ბაგვ.: კარ. ბეყუ : ლოდ. ბეჟუყი (< ბეყუყი) : ჰამ. ბეყუყ : ტინდ. ბეყუყო : ახვ. ბუჟარი „გა-შრა“ (< „გამზევდა“) ~ საკ. დიდ.: შინ.: ხვარ. ჰუჭა (< \*ბუჭა)<sup>181</sup> : ბეყ. ჰოჭალ (< \*ბოჭალ) „გაშრობა“, „გახმობა“ (< „გამზევება“).

3. ხუნძ. ყო-გო ~ კარ. ყენდუ : ახვ. ყუნდო-და-ბე ~ საკ. დიდ.: შინ. ჰუ : ხვარ. ჰუნ : ბეყ. ჰონო „ოცი“.

<sup>179</sup> „ცოდნისა“ და „მოსმენის“ ზმნურ სემანტიკათა ურთიერთმონაცვლეობა ამ ენებში ცნობილია [გუდავა 1979, 137-138]. ხუნძ. ლ'აზე („ცოდნა“), როგორც ჩანს, სხვა ფუძის მქონეა (შდრ. ჩეჩნ. ხაყან, ინგ. ხარ „id.“) [იხ. ცერცვაძე 1956, 341].

<sup>180</sup> ლ > ზ > ძ გადასვლები კანონზომიერია [ლომთაძე 1962, 293]. ასეთივე ცვლილება ღ-ს საკ. დიდ.-შიც მოუღის, მაგ.: ემალუ > ემაზუ > ემაჟუ „ზღაპარი“...

<sup>181</sup> შდრ. საკ. დიდ. ბუჯ (< \*ბიჯუ) „მზე“.

4. ხუნძ. რუყ ~ ანდ. ჰაყუ : ბოთლ.: ღოდ. შანყუ : ქამ. შანყუ : ახვ. ყუ („ხუტორი“) ~ ხვარ. აწ (ინხ. აწ) : ბეყ. ვო („კომლი“),<sup>182</sup> ჰუნზ. ვოკო „სახლი“.

5. ბოთლ. ყუბუ : ქამ.: ბაგვ. ყობ : კარ. ყობო : ახვ. ყობე ~ საყ. დიდ.: შინ. ვ'უ : ხვარ. ვუ : ბეყ. ვონ (ჰუნზ. ვე) „სახნისი“, „ოქოქა“.

6. ხუნძ. ყანდალ'ო<sup>183</sup> ~ ანდ. ყელ'ინ : ბოთლ. ყეშენ : ღოდ. ყელ'ენ : ბაგვ. ყეშენ : კარ. ყელ'ინ : ყელ'ინ:ყეყელ'ინ ~ საყ. დიდ. ვილ'სი : შინ. ვიცვა (<\*ვილ'სა : ხვარ. ვილა (<\*ვილ'ა) „ბალიში“, „ტომარა“.

7. ხუნძ. ყოტი-იხე ~ ანდ. ბუ-ყიღუ : ბოთლ. ბუ-ყი : ქამ. ბუ-ყ-ლა : ტინდ. ბუ-ყილ'ა : ბაგვ. ბუ-ყ-ულა : კარ. ბო-ყ-უა : ახვ. ბუ-ყ-ორულ'ა ~ საყ. დიდ. რა-ვ' (> ასახ. რო-ხ) : შინ. ლა-ვ : ბეყ. ლა-ვ „ლა-ქრა“, „ქრილობა“, „ორნატი“ (< „ქრილი“).

8. ანდ. ყირ : ბაგვ. ყერუ : კარ. ყერუ : ახვ. ყირუ ~ ბეყ. ვიბო „ხორბალი“.

9. ხუნძ. ბა-ყუარ-აბ ~ ანდ. ბე-ყუბ : ბოთლ. ბე-ყუ : ქამ.: ტინდ.: ბაგვ. ბე-ყუბ : ახვ. ბუ-ყადა ~ საყ. დიდ. ვუჭში (<\*ბუჭში?) : შინ. ვუჭეს : ხვარ. ვუჭუ : ბეყ. ვოჭორო (ჰუნზ. ვოჭორუ) „ხმელი“, „მშრალი“.

10. ხუნძ. ყუარიდაბ ~ ბოთლ. ყუარაბ : ქამ. ყურაბ : კარ. ყორაბ : ახვ. ყუარადა ~ ხვარ. ვოსსუ : ბეყ. ვუსსო (ჰუნზ. ვუსსუ) „ვიწრო“.

11. ხუნძ. ყაზე ~ ბოთლ.: ღოდ. არყუა : ახვ. ყაყურულ'ა (<\*ბაყურულ'ა) ~ საყ. დიდ. ბუჭა : შინ. ბაჭა : ბეყ. დიჭალ „დაფარვა“, „მიბმა“.

### 6.3. სპირანტები

6.3.1. ზოგადი. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ფუძეების ფონოლოგიური სისტემისთვის ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო სპირანტთა სამეულებრივი და ხუთეულებრივი სისტემები: მჟღერი (ზ, ჟ, ლ),<sup>184</sup> ყრუ არანტენსიური (ს, შ, ლ', ხ, ჰ) და ყრუ ინტენსიური (სა, შა, ლ'ა, ხა, ხა) [შდრ. გუდავა 1979, 82]. ზოგი სერია ნაკლებია: მჟღერთა სერიაში მჟღერი ლატერალი არ ჩანს. წინაველარული რიგის ყრუ მაგარი წ, ფარინგალური მჟღერი შ და ყრუ ჰ> ცალეულებით არიან წარმოდგენილი.

<sup>182</sup> „სახლის“ აღმნიშვნელი ლექსემა „კომლის“ გამოხატველ ფუძესთან ჩანს დაკავშირებული [ლომაძე 1962, 293]. ამავე სახელის რედუპლიცირებული ფორმა ჰუნზ. დიალექტში „სახლს“ აღნიშნავს.

<sup>183</sup> აბრუბტიული აფრიკატი ყუ საანალიზო სახელში ინტენსიური კორელატი უნდა იყოს წარმოდგენილი (შდრ. ანდ. ყელ'ინ „ტომარა“), სხვანაირად საკვლევ ენებში \*ყ-ს ანალოგიურ რედუპციებს ვერ მოგვემდა. აქედან გამომდინარე, ახვანურში მისი ფიქსაცია შემოწმებას ითხოვს [შდრ. მაშობედეკოვა 1967, 219, 246].

<sup>184</sup> ნ. ტრუბეცკო მჟღერ სპირანტებს „გემინირებულ“ (resp. ინტენსიურ) თანხმოვნებად მიიჩნევს, რაც რეალურ ვითარებას ვერ ასახავს [ტრუბეცკო 1987, 248; შდრ. გუდავა 1964, 99; 1971, 31-32].

მასთან, ზ და ჰ, ფუძეენაში არ უნდა გვექნოდნა [გუდავა 1979, 201]. ყრუ სპირანტი ჰ-ც, როგორც მრავალ ენათა სინამდვილე ცხადყოფს, ლარინგალური რიგის ცალეულით გვიდასტურდება.

ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ ბ. გიგინეიშვილი საერთოდ უარყოფს საერთო-დადესტურ მელერ სპირანტთა პოსტულირების შესაძლებლობას, თუმცა ზოგი მელერი სპირანტის (ზ, ჟ, ლ) აღდგენას მხარს უჭერს ოდენ ხუნძურ-ანდიურ-დილოური ქრონოლოგიური დონისთვის. ეს, მისი აზრით, შეპირობებულია იმით, რომ ხუნძ. ზ (წა-სთან ერთად) მიღებულია საერთო-დადესტური ძს ორგვარი რეფლექსაციის საფუძველზე, რომელსაც შემდეგ ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში ჩამოუყალიბებია ახალი შესატყვისობა<sup>185</sup> [გიგინეიშვილი 1977, 114; შდრ. ბოკარევი 1981, 23; გონიაშვილი 1968, 220], რაც ძნელად გასაზიარებელი ჩანს. ზემოწამოყენებული დებულება მართებულიც რომ იყოს, საკვლევ ენებში ამოსავალი \*ზ და მეორეული ზ (< \*ძ) ერთნაირ შედეგს მოგვცემდა, ვინაიდან \*ძ > ზ ამ ენათა დივერგენციამდე ივარაუდება.

ამგვარი სიკრელე და ნაირგვარობა გამოწვეული უნდა იყოს სპირანტთა არამდგრადი ბუნებით — განიცადონ სხვადასხვა სახის შოდიფიკაცია: შოიშალონ ინტენსივობის კორელაცია, გამქლერდნენ, დაყრუვდნენ და მისთ.

**6.3.2. წინანუნისძიერი სპირანტები.** სპირანტთა წყების სისინა სიბილანტების ლოკალური რიგი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სამეულით: ზ, ს, სა. ხუნძურ-ანდიურ ენათა სინამდვილეში ეს ამოსავალი სისტემა შემოგვენახა, მაგრამ დილოურ ენებში, კორელაციის „ინტენსიური — არანტენსიური“ ელიმინაციის შემდეგ, ყრუ სპირანტი ნეიტრალური ვარიანტიოლა გვხვდება და, ბუნებრივია, ს სპირანტს ემთხვევა. მიუხედავად ამისა, თავდაპირველი ინტენსიური სა და არანტენსიური ს სპირანტების განსხვავებული რეფლექსაციიდან გამომდინარე, არქტიპების რეკონსტრუქციისას მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ხერხდება.

სატეიალოურ ლიტერატურაში ძირითადად დადგენილია სპირანტულ სისინა სიბილანტთა შესატყვისობის ფორმულები: ა) \*ზ: ხუნძ. ზ — ს.-ანდ. ზ: ს.-დიდ. ზ; ბ) \*ს: ხუნძ. ს ~ ს.-ანდ. ს ~ ს.-დიდ. ზ; გ) \*სა: ხუნძ. სა ~ ს.-ანდ. სა ~ ს.-დიდ. ს [ტრუბეტკოი 1987, 257-258, 262; მაპომედბეკოვა 1955, 303, 305; ბოკარევი 1959, 260-262; ლომთაძე 1963, 75; იმნაიშვილი 1963, 38-39; გუდავა 1964, 142; 1979, 82, 89, 94; გიგინეიშვილი 1977, 114].

<sup>185</sup> ხუნძ. ზობ („ცა“) და წაობ („წალობა“) სახელები სხვადასხვა ფუძის შემცველი უნდა იყოს [შდრ. გიგინეიშვილი 1977, 84]. ერთადერთი სახელი, რომელმაც შეიძლება \*ძს ორგვარი რეფლექსაცია (\*ძ > წა/ზ) გვავარაუდებინოს, არის ხუნძ. წაერ ~ ანდ. ზარ („ყინული“) [გუდავა 1979, 83], თუმცა აქაც მისი ეტიმოლოგია დაუდგენელია.

მართალია, ამ შესატყვისობათა შესახებ სპეციალისტ-მკვლევართა თვალსაზრისები მეტწილად ერთგვაროვანია, მაგრამ ცალკეული საკითხები მაინც საკამათოა. მეტადრე სისინა სიბილანტთა შესატყვისობანი, რეფლექსთა დიდი სიჭრელის გამო, დიდოურ ენებში დავას იწვევენ.

ა. მჟღერი სპირანტი \*ზ. ამოსავალი მჟღერი სისინა სიბილანტი ზ დაუცავს ხუნძურ-ანდიურ ენებს, ხუნძურის ზოგი დიალექტისა (ანწ., ბათლ.) და ახეაზურის გამოკლებით, რომლებშიც იგი შიშინა ვარიანტს გვაძლევს: ზ > ჟ [ტრუბეცკოი 1987, 262; ცერცვაძე 1948, 141]. \*ზ ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი ბეიტური ენის ორსავე დიალექტში, თუმცა საკ. დიდოურში, ჰინუხურსა და ზვარშიულში ყრუვდება: ზ > ხ [შღრ. გუდავა 1979, 82]. ჰინ. ენაში თუ ხ-ს წინ პალატალური ხმოვნები (ი, ე) უძღვის, მაშინ, გაშიშინების საერთო წესის მიხედვით, ხ > შ [ლომთაძე 1963, 75].

მაშასადამე, \*ზ-ს რეფლექსაციის სურათი ასე წარმოგვიდგება:

•	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახე.	საკლდ.	ჰინ.	ზვარ.	ბეჟ.
ზ	ზ(ჟ)	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ჟ	ს	ს(შ)	ს	ზ

1. ხუნძ. მაზო (ანწ. მაზე, ჰიდ.-ანდალ. მასუ)<sup>186</sup> ~ ანდ.: ტინდ.: კარ.: ბოთლ.: ანწი : ახე. ანჟი ~ საკ. დიდ. იხი<sup>187</sup> : ჰინ. იშე (< \*ისე) : ზვარ. ენა : ბეჟ. ოწ (ჰუნზ. ეწ)<sup>188</sup> „თოვლი“.

2. ხუნძ. ზარ ~ ანდ.: ტინდ.: ზა : ბოთლ.: ტინდ.: კარ. ზად : ჰამ. ზარ-(ბა) : ახე. ჟარი ~ საკ. დიდ. ბე-სი : ჰინ. ბე-ში (< \*ბე-სი) : ზვარ. ბე-სა : ბეჟ. ბი-ზა (ჰუნზ. ბე-ზა) „მუშტი“.

3. ხუნძ. გაზა ~ ანდ. გაზა : ლოდ. გაზა : ჰამ. გოზა ~ საკ. დიდ. ბიზო (< \*ბისო) : ჰინ. ბეზო ბეჟ. ბოზა (ჰუნზ. ბოზო) „წერაქვი“.

4. ანდ.: ბაგვ.: ჰამ.: კარ. აზალ : ახე. იფი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ასი „ხეწი“.

ყურადღებას იქცევს ამ შესატყვისობის დარღვევის შემთხვევები, რაც გამოიხატება \*ზ-ს ეკვივალენტად ხ ან ჟ სპირანტების გამოვლენით [არდოტელი 1998, 94]: პირველი (ხ) მჟღერთა გაფშინიერების შედეგია

<sup>186</sup> თუ ფიქსაცია (მასუ) ზუსტია [იხ. მიქაილოვი 1958, 10], მაშინ გასარკვევი იქნება ზ > ხ პრაქტის კანონზომიერების საკითხი.

<sup>187</sup> შ. მიქაილოვი ამოსავლად ხ-ს მიიჩნევს [მიქაილოვი 1958, 86].

<sup>188</sup> ტ. გუდავა ხუნძ. მაზო („თოვლი“) და მანსი („ნაშქერი“) სახელთა კონტამინაციით მიღებულად მიიჩნევს ანდ. ანწი ფორმას [გუდავა 1979, 84], თუმცა მანსი ლექსემას დიდ. ენებში თავისი კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება: საკ. დიდ. იზ-ლო : ბეჟ. აზო „თოვლის ზევი“, „კირხლი“. ამდენად მათი კონტამინაციის შესაძლებლობაც გამოირიცხება, რაც ხუნძურის შესაბამის მაგალითში (მაზო) ნ-ს რედუქციას გვაეარაუდებინებს (შღრ. ბეჟ. ოწ < \*ოზ).

[ლომთაძე 1998, 130], მეორე კი გაშიშინებას უკავშირდება, მაგ.: 1. ხუნძ. ზო-ბ („ოა“) ~ ანდ.: ტინდ.: კარ. ზე-ბუ : ბოთლ. ზი-ფუ (< \*ზი-ბუ) : ბაგვ. ზე-ბ : ახვ. ფო (<ფო-ბო) ~ საკ. დიდ. ა-ს: ჰინ. ჰა-ს : ხვარ. ა-ს<sup>189</sup> : ბეე. ა-ს (< \*ა-ზ) „დღე“, „ოა“, „ღრუბელი“; 2. ხუნძ. გოზო : ბოთლ. გაზა : ლოდ. გუაზა : ახვ. გოჟო ~ საკ. დიდ.: ჰინ. გაჟუ : ხვარ. ქოჟუ : ბეე. გაჟო (< \*გაზო) „ნისკარტი“. სავარაუდოა, ეს უკანასკნელი ზემომოყვანილ „მუშტის“ აღმნიშვნელ სახელს უკავშირდებოდეს.

რამდენიმე მაგალითის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დილოურ ენათა ერთი წყების (საკ. დიდ., ჰინ., ხვარ.) სიტყვათა ანლაუტში ზ > ს არ ხდებოდა, მაგ.: 1. ანდ. ზიჟუ : ბოთლ.: ტინდ. ზინი : ახვ. ფო<sup>190</sup> ~ საკ. დიდ. ზიდა : ხვარ. ზიჰე „ძროხა“;<sup>191</sup> 2. ანდ. ზარ : ბოთლ. ზარი : ახვ. ჟარი „ყინული“ – საკ. დიდ. ზი-გოლუ : ხვარ. ზან-გალ „სეტყვა“ და მისთ.

ბ. ყრუ არაინტენსიური სისინა სპირანტი \*ს. ამოსავალი სისინა სპირანტის არაინტენსიურ კორელატ ს-ს მოებოვება სპეციალურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი შესატყვისობის შემდეგი ფორმულა: ხუნძ. ს ~ ს.ანდ. ს ~ ს.დიდ. ზ [გუდავა 1979, 95], რის სისწორესაც, სათანადო საილუსტრაციო მაგალითების სიმცირის გამო, ე. ლომთაძე არ იზიარებს [ლომთაძე 1996, 22].

ჩვენი დაკვირვებით, ხუნძ.-ს.ანდ. ს ყრუ სპირანტი, რომელიც ხუნძურის ზოგ დიალექტსა (ბათლ., ანწ.) და ახვახურში გაშიშინებას (ს > შ) განიცდის, ბეეიტურ ენაში ბგერათიგივეობას (ს:ს) გვიჩვენებს, ხოლო სხვა დიდ. ენებში გამჟღერებით ზ-დ გარდაიქმნება. ჰინ. ენაში ზ, თავის მხრივ, ი-ს შემდეგ შიშინა სახესხვაობას გვაძლევს (ზ > ჟ). ამ შემთხვევაში ზ სპირანტის რეფლექსებთან სიმეტრია ხელშესახებია.

\*ს-ს კორესპონდენციის ფორმულა სქემატურად ასე შეიძლება გამოიხატოს:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეე.
ს	ს(შ)	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	შ	ზ	ზ(ე)	ზ	ს(ზ)

<sup>189</sup> ხვარ. ზებუ ნახესხობა ჩანს (შდრ. ანდ. ზებუ „id“).

<sup>190</sup> ნ. ტრუბეცკოი ახვ.-ში ზიჟუ<sup>5</sup> მკდარ ფორმას იმოწმებს და ამ მაგალითს ნორმიდან გადახრილს უწოდებს [ტრუბეცკოი 1987, 263; შდრ. საილოვა 1973, 214].

<sup>191</sup> რ. აბაშია ამ სახელს მთლიანად დაღესტნურ ენათა მიხედვით განიხილავს, თუმცა დილოურ ენათა მასალა დამოწმებული არ არის [აბაშია 2007,7].



1. ხუნძ.: ხეზო ~ ანდ. ხულოლ : ტინდ. სოლა : ჟამ.: ბაგვ. სოლ : კარ. ხოლი ~ საკ. დიდ. ზუ : ხეარ. ზუნ (ინზ. ზუ) : ბეე. სოზო (ჰუნზ. სო) „ლანძილი“, „შიბუ“<sup>192</sup>.

2. ხუნძ. ნისუ ~ ანდ. ისო : ბოთლ.: ტინდ.: ინსა : ჟამ. ინსა < \*ინ-ხა < \*ინსა<sup>193</sup> : ბაგვ. ისა : კარ. ესა : ახვ. ინშა ~ საკ. დიდ. იზუ : შინ. იფუ : ხეარ. ეწუ („გამზმარი ყველი“) : ბეე. ოწო (< \*ონსო < \*ონსო < \*ნოსო, შდრ. ჰუნზ. ნესუ) „მოუხდელი ყველი“, „ხაკო“.

3. ხუნძ. სანი, სონო, შანი (დიალ. ვარ.) ~ ანდ. სონ : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: კარ. სანი : ბაგვ. სან : ახვ. შანი ~ საკ. დიდ. შინ : შინ. ზენუ : ხეარ. ზან (ინზ. ზონ) : ბეე. სინო (ჰუნზ. სენუ) „კოწახური“.

4. ხუნძ. მანსი „თოვლის ნამჭერი“ ~ ანდ. ასორ : ბოთლ.: ლოდ.: ჟამ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ. ასა : ახვ. აშა ~ საკ. დიდ. აზ-ტა : ბეე. აწო (< \*ანსო) (ჰუნზ. აწა < \*ანსა) „ჭირხლი“.

5. აქ შემოვა საკ. დიდ. ზერუ : შინ. ზერე : ხეარ. ზილო : ბეე. ხურო (ჰუნზ. სურუ) „ბანგი“, „ერთგვარი სასმელი“. ხუნძურ-ანდიურ ენათა შესაბამისი ეკვივალენტი არ ჩანს.

ამ შესატყვისობის მაგისტრალური ხაზიდან გადახრებსაც ვხვდებით, რის შედეგადაც დიდ. ენებში ზ-ს ნაცვლად ზოგჯერ ს, შ და ჟ იჩენს თავს, მაგ.: 1. ხუნძ. ბო-სიზე ~ საკ. დიდ. ბი-ს-ა : შინ. ბუ-ჟ-ა : ხეარ. ბა-ს-ა : ბეე. ბუ-ზ-ა „აღება“ > „ყიღვა“; 2. ხუნძ. სონ ~ ანდ. სუნ : ბოთლ.: ტინდ.: ბაგვ. სუნი : ახვ. შუნი ~ საკ. დიდ. ნე-შირუ : შინ. ნე-სა : ხეარ. ნი-შო-ჰო : ბეე. ნი-შე (< \*ნი-სე) „გუშინ“, „სალამოთი“ და მისთ.

ირკვევა, რომ ზემოგანხილული სპონტანური ფონეტიკური პროცესი (ს > ზ) ქრონოლოგიურად დიდოური ფუძემდის დიფერენციაციის შემდეგროინდელია.

ყურადღებას იქცევს რამდენიმე სახელი („დათვი“, „მელა“, „ჩრჩილი“...), რომელთაგან წინა ორი, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით [ტრუბეცკოი 1987, 256, ლომთაძე 1962, 286-287; გულაგა 1979, 115-116], ხუნძ. ც ~ ანდ. ც : ახვ. ჩ ~ დიდ. ს შესატყვისობის წევრებად არის მიჩნეული (იხ. 6.2.2. ბ.)<sup>194</sup> მაგ.: 1. ხუნძ. ცი, სი, ში, ჩი (დიალ. ვარ.) ~

<sup>192</sup> ეგვე ფუძე უნდა გქონდეს ნახურ ენათა სათანადო ლექსემაში: ჩეჩნ. შიებუ (ითუმკ.), შოფუ (ჰებ.) : ინგ. შუბ : ბაცბ. შიბ „id“. სწორედ ნახური ენებისაგან უნდა იყოს შეთვისებული შაბუ ქართული ენის მთის დიალექტებში [ზუიადური 1997, 98].

<sup>193</sup> იხ. ბურკულაძე 1986, 38.

<sup>194</sup> ზ. მაჰმედბეგოვას აზრით, სპირანტიზაციის საფუძველზე ჩ (< ც) > შ [მაჰმედბეგოვა 1955, 304]. სხვაგან, ანალოგიურ ფონოლოგიურ პოზიციაში, ჩ > შ არ შეიმჩნევა [გულაგა 1964, 86], რაც ზემოხსენებული ფონეტიკური პროცესის (\*ც > ჩ > შ) მართებულობას საეჭვოს ხდის [არდოტელი 1999, 95]. ამის გამო, ნაკლებსარწმუნო ჩანს დიდ. ენებში \*ც > ს > ზ გადასვლები [ლომთაძე 1998, 134; შდრ. გულაგა 1979, 116].

ანდ. სემ : ბოთლ. სი<sup>ნ</sup> : ლოდ. ჰამ. სი<sup>ნ</sup> : ტინდ. : ბაგვ. : კარ. სი<sup>ნ</sup> : ახვ. ში<sup>ნ</sup> ~ საკ. დიდ. ზემ, ზე (დიალ. ვარ.) : ჰინ. ზე : ხვარ. ზე<sup>ნ</sup> : ბეე. სი<sup>ნ</sup> „დათვი“; 2. ხუნძ. ცერ, სერ, შერ, ჩერ (დიალ. ვარ) ~ ანდ. სორ : ბოთლ. : ლოდ. : ტინდ. : ბაგვ. სარ : ჰამ. სან : კარ. სარი : ახვ. შარი ~ საკ. დიდ. ზირუ : ჰინ. ზერუ : ხვარ. ზარუ : ბეე. სორა (ჰუნზ. სან) „მელა“.

სწორედ ზემომოყვანილი ორი („დათვი“, „მელა“) სახელის კანონზომიერ ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას ტ. გულავე ვარაუდობს, რომ „ძალიან ადრე ახვ.-ში \*ც > ს, შემდეგ კი ს > შ“ [გულავე 1964, 86; 1979, 116]. ავტორი არ აკონკრეტებს, როდის უნდა მომხდარიყო \*ც > ს ახვახურსა და დიდოურში?

ამოსავალი \*ც, როგორც წესი, ახვ.-ში უნდა ცვლილიყო ჩ-დ, ხოლო ყველა დიდ. ენაში — ს-დ, რაც ფაქტობრივ არ განხორციელებულა.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ამოსავალი \*ც-ს ტრანსფორმაცია უნდა მომხდარიყო ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ფუძეენის წიაღში, რადგანაც მისი დიფერენციაციის შემდეგ \*ც > ს პროცესის დაშვება ორივე ქვეჯგუფის (ანდ. და დიდ.) ენებში ისტორიული \*ს-ს იდენტურ შედეგს ვერ მოგვცემდა.<sup>195</sup> რჩება ორი შესაძლებლობა: 1) ან თავდაპირველად ხუნძურში აფრიკატიზაციით მოხდა \*ს > ც;<sup>196</sup> 2) ანდა ჯერ კიდევ ფუძეენაში განხორციელდა \*ც > ს, რასაც დუბლეტურ ფორმათა დაშვებადმდე მივყავართ [გიგინეიშვილი 1977, 136].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საანალიზო სახელებში \*ც-ს რეფლექსები ზედმიწევნით ემთხვევა \*ს-ს რეფლექსებს, რაც მათ ისტორიულ ვარიანტებულობას გვაფიქრებინებს. ხუნძური დიალექტების მონაცემებს თუ დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ანდიურ-დიდოურ ენებში თავჩენილი ამ რიგის ყველა ბგერათცვლილება მათშიც რეალიზებულია: \*ც > ჩ (ჰად.); \*ც > ს > შ (ბათლ.).

ჩვენი ვარაუდით, ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ფუძეენის დაშლის წინა პერიოდში უნდა გვექონოდა, ერთი მხრივ, ც-ს შემცველი, ხოლო, მეორე მხრივ, ს-ს მქონე, ფონეტიკურად თავისუფლად მონაცვლე ფორმები, რომელთაგან საძიებელ სახელებს სწორედ ს არქიფონემა დაედო საფუძვლად. ექვს გარეშეა, სხვა შემთხვევაში ახვახურში ჩ გვექნებოდა, ხოლო დიდოურ ენათა ერთ წყებაში (საკ. დიდ., ჰინ, ხვარ.) — ს, რაც ამ ენათა სინამდვილეში არ შეიმჩნევა.

**გ. ურუ ინტენსიური სისინა სპირანტი \*ს.** ინტენსიური სისინა სიბილანტი სს, როგორც ცნობილია, უცვლელად შემოუნახავს ხუნძურ-ან-

<sup>195</sup> საგულისხმოა, რომ \*ც-ს რეფლექსაცია საერთო-დაღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზეც განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს.

<sup>196</sup> აქ დგება მეორე კითხვა: თუ \*ს > ც ფუძეენაში მომხდარი ფაქტია, მაშინ იმავე ფონოლოგიურ პოზიციაში („ლანძილი“, „აოწახური“...) რატომ არ განხორციელდა ანალოგიური პროცესი?

დიურ ენებს, ხოლო დიდოურ ენებში მომხდარა მისი ნეიტრალიზაცია ინტენსივობის თვალსაზრისით [ტრუბეტკოი 1987, 258; ბოკარევი 1981, 23; გულადა 1964, 142; 1979, 89<sup>197</sup>...].

### სქემატურად:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჟამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.ლიდ	ჰინ.	ხვარ.	ბეე.
სა	სა (კა)	სა	სა	სა	სა	სა	სა	სა	სა	ს	ს	ს	ს

1. ხუნდ. ტენსურ ~ ანდ. ლინსობ : ბოთლ. ტიმსირ : ლოდ. ტინსირ : ჟამ. ტესალ : ბაგვ. ტესენ : ტინდ.: ტუნსარუ : კარ. ტოსბად : ახვ. ტენსე ~ ხვარ. ენსერ (ინხ. ესსერ) : ბეე. ჰანს-წიწ (ზედ-მიწ. „წარბ-წამწამი“) (ჰუნზ. ჰანს-წიწ) „წარბი“.

2. ხუნდ. ხუნ- ~ კარ. ხუნ- : ახვ. ხუნ<sup>5</sup> („რა“ კითხვითი ნაცვალსახელის „ირიბ ბრუნვათა“ ფუძე)<sup>198</sup> ~ ჰინ. ხე : ბეე. სიდო (ჰუნზ. შიდო < სიდო) „რა“.

3. ხუნდ. ხუნა ~ ბოთლ. მუსხუ : ლოდ. ბუსან<sup>6</sup> : ჟამ. ბუსუნ<sup>6</sup> : კარ. ბურსუნ<sup>6</sup> : ახვ. ბუსარა „დაქრა“, „დაანაკუნა“ ~ ბეე. სუსალ „გაქრა“ (ინფინ.).

4. ხუნდ. -ხა-ებ ~ ანდ. -ხა-ი : ბოთლ.: ახვ. -ხა-ე : ჟამ.: კარ. -ი-ხა ~ საკ. ლიდ. -ხ-ი : ჰინ. -ხ : ხვარ. -ხ-ა (ინხ. -ხ-ო) : ბეე. -ხ-ო „მაატრიბუტივებელი ფორმანტი“.<sup>199</sup>

5. ანდ.: კარ. ხუნკა<sup>200</sup> : ტინდ. ხუნკა ~ ბეე. სიკო (ჰუნზ. შიკუ < \*სიკუ) „პირი“.

6. ხუნდ. ბო-ხ-იზე (< ბო-ხა-იზე) ~ საკ. ლიდ. ბი-ხ-ა : ჰინ. ბა-შა (<\*ბა-ხა) : ხვარ. ბა-ხა „აღება“ > „ყიღვა“.

<sup>197</sup> ტ. გულადას ამ შესატყვისობის დასასაბუთებლად ოდენ ერთი მაგალითი მოჰყავს და ისიც არასრულად. მიუხედავად ამისა, ხუნდურ-ანდოურ ენათა მასალას იგი უხვად იმორწმებს [იხ. მისი, 1964, 142-143].

<sup>198</sup> ბ. გიგინეიშვილი ხუნდ. ხუნ- ოდენობას „ეინ“ კითხვითი ნაცვალსახელის ფუძეს უკავშირებს [გიგინეიშვილი 1977, 125], რაც სინამდვილეს არ შეეფერება [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 211; ბურკულაძე 1982, 173; ათაევი 1996, 126]. მეორე (ჩ-სა და შ-ს შემცველი) სახელობითის ფორმებს საერთო ამოსავლად ჩ უჩანს [ლომთაძე 1963, 73-74; ბურკულაძე 1982, 173].

<sup>199</sup> [ლაწერ. იხ. ზვიადური 1995, 171-176].

<sup>200</sup> სუნკა კომპოზიტი ჩანს: სუნ+კა < სუნ+კალ (მდრ. ხუნდ. კალ „პირი“) „?+პირი“.

### 6.3.3. უკანანუნისმიერი სპირანტები.

ა. მჟღერი შიშინა სპირანტი \*ჟ. \*ჟ-ს შესატყვისობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში, თუ არ გავითვალისწინებთ სათანადო სილუსტრაციო მასალის სიმცირესა და ნაირგვარობას, სრული ერთსულოვნებაა [ტრუბეცკოი 1987, 262; მაჰომედბეკოვა 1955, 305; ბოკარევი 1981, 23;<sup>201</sup> გულაევა 1964, 143; 1979, 85]. მართალია, \*ჟ-ს რეკონსტრუქციას საერთო-დადესტნურ ენაში დაბრკოლება ხედება [გიგინეიშვილი 1977, 115; შდრ. თალიბოვი 1980, 315], თუმცა, სავარაუდოა, იმ დიალექტში, რომელიც მოგვიანებით საფუძვლად დაედო ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძენას, ჟ-ს ფონემის სტატუსი უნდა ჰქონოდა.

ამოსავალი ჟ უცვლელად დაიცვა ყველა საკვლევმა ენამ, გარდა ჰამალურისა, ბეჟ. ენის ტლად. თქმისა და ხუნძური ენის ზოგი დიალექტისა (ბათლ., ანწ.), რომლებშიც ჟ > ზ [გულაევა 1964, 143; 1979, 85]. ბეჟიტურში და ხანდახან სხვა დიდ. ენებშიც ჟ > შ (დაყრუებით).<sup>202</sup>

\*ჟ-ს შესატყვისობის ფორმულა შემდეგნაირად გამოიხატება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.ლიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
ჟ	ჟ(ზ)	ჟ	ჟ	ჟ	ზ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ(ზ)

1. ხუნძ. ბეჟიზე ~ ბოთლ.: ლოდ. ბეჟი : ბაგვ. ბეჟილა : კარ. ბეჟა : ჰამ. ბეზლა : ახვ. ბიჟურულა ~ ჰინ. ეზიე (< \*ეჟიე) : ბეჟ. ზიზალ (< ტლად. ეიჟალ,<sup>203</sup> შდრ. ჰუნზ. ეგჟა „id.“) „მეწვა“, „მოხრაკვა“.

2. ხუნძ. ბოჟანა ~ ანდ. ბუჟუ : ბოთლ. ბუჟა : ჰამ. ბოზა : ტინდ. ბოჟო : კარ. ბეჟუ : ახვ. ბეჟორი „დარწმუნდა“ ~ ხვარ. ბაჟა : ბეჟ. ბოჟალ (ჰუნზ. ბოჟა) „დარწმუნება“, „რწმენა“.

3. ხუნძ. ჟა-ჟა ~ ანდ. ჟე-ლ'ალ ~ საკ. ლიდ. ჟა-ჟულ<sup>204</sup> : ბეჟ. ჟე-ჟსა „დღეს“.

4. ხუნძ. ნუჟ ~ საკ. ლიდ.: ჰინ. მეჟი : ხვარ. მეჟა : ბეჟ. მიჟე „თქვენ“.

<sup>201</sup> ე. ბოკარევი საკ. ლიდ.-ში, ზ-ს გარდა, სისინა სპირანტ ხ-საც აღნიშნავს.

<sup>202</sup> ფაქულტატურად ჟ > ზ (გასისინებით) ჟ > შ (დაყრუებით) პროცესიც შეიძლება, მაგ.: ბეჟ. ბიზალბა (< \*ბიჟალბა, შდრ. ჰუნზ. ბილაფა „id.“), საკ. ლიდ. მეზოგლა (< მეჟოგლა), ხვარ. ბეჟანდე (< ბეჟანდე) „წვერი“ [შდრ. ხალილოვი, რამაზანოვი 1992, 71].  
<sup>203</sup> შდრ. მალიევა 1965, 16. ფ. სილოვა ლოდობერეულში ბეჟი ფორმას ადასტურებს [1973, 207].

<sup>204</sup> ეტიმოლოგიურად ხუნძ. ჟა-ჟა „დღეს“ (ზედმიწ. „ამ დღით“) [გულაევა 1979, 85]. ასევეა საკ. ლიდ. ჟა-ჟულ „id.“ (ზედმიწ. ჟა „იგი“ + ჟულ „დღე“ + ში). ჟა ჩვენებითი ნაწილაკი დაჩნდება სახელში ეი-ლ'ბო (< \*ეი-ლ'ებო) „მარშან“ (ზედმიწ. „იმ წელს“, შდრ. ლ'ებ „ფოთლი“ > „წელი“).

5. ხუნდ. მეგეჟ ~ ანდ. მიგაჟუ : ბოთლ. მიგუაჟურ : ტინდ. მიჟათუ : კარ. მიგაჟ : ახვ. მიჟელ'უ ~ საკ. დიდ. მეშოლგა : ხვარ. ბიშანდე : ბეყ. ბიჟალბა (ჰუნზ. ბილაჟბა) „წვერი“.

6. ხუნდ. რაჟი ~ ანდ.: ბოთლ. რაჟი ~ ბეყ. ნაჟი > ხაშ. ნაჟი (ჰუნზ. ნიჟი) „ნიორი“.

7. ხუნდ. გოჟო (<\*გაჟო, შდრ. მრ. რ. გაჟალ), გოზო<sup>205</sup> ~ ანდ. გოჟო, გუჟი (დიალ. ვარ.): ბოთლ. გაზა (<\*გაჟა): კარ. გოჟო (< ტოქ. გუჟა, გოჟა): ახვ. გოჟო (წეგ. გორჟო) ~ საკ. დიდ.: ჰინ. გაჟუ: ხვარ. ქოჟუ: ბეყ. გაჟო (ჰუნზ. გა'ჟუ) „ნისკარტი“, „ეშვი“, „სიბრძნის კბილი“.

8. ხუნდ. ჟინი ~ ლოდ. ეჟუნ ~ საკ. დიდ. ეშინ (<\*ეჟინ) : ბეყ. ეჟუნ „ეჩო“.

9. ხუნდ. ჟა ~ ანდ. ჟონო : ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: კარ. ჟანა ~ საკ. დიდ.: ხვარ. შა (<\*ჟა) : ჰინ.: ბეყ. ჟა „ღვინო“, „ყურძნის წვენი“.

ბ. ყრუ არაინტენსიური შიშინა სპირანტი \*შ. შიშინა სპირანტთა ამოსავალი არაინტენსიური კორელატი შ ენათა მიხედვით ნაირგვარ რეფლექსებს გამოავლენს, რომელთა ქრონოლოგიური მიმართებების დადგენისას სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ნ. ტრუბეცკოი ხუნძურ-ანდიურ ენათა მასალაზე დამყარებით ვარაუდობს, რომ ანდიურ ენათა ერთ წყებაში დადასტურებული ისტორიული შ ხუნძურში გადავიდა წინაველარულ ზ სპირანტში, რომელიც, აკუსტიკურ-არტიკულაციური თვალსაზრისით, ინტენსიურ კორელატს ეთანაბრება<sup>206</sup> [ტრუბეცკოი 1987, 252; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 41]. მასთან, რიგ შემთხვევაში ხუნდ. ს მიიჩნევა შ ფონემის „ჟანონზომიერ განვითარებად“, მაგრამ რომელ ფონოლოგიურ პოზიციებში, გარკვეული არ არის [იხ. გუდავა 1964, 148].

შ. მიქაილოვი და ტ. გუდავა არ იზიარებენ ნ. ტრუბეცკოის მიერ მწირ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით წამოყენებულ დებულებას (\*შ > ზ) და ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამენ: \*შ ზ სპირანტად კი არ ტრანსფორმირდა, არამედ ეს უკანასკნელი ხუნდ. ენის ქუთლანის მეტყველებასა და ანდ. ენათა ერთ წყებაში გადავიდა შ სპირანტში [მიქაილოვი 1958, 79; გუდავა 1964, 148-149]. რაც შეეხება შიშინა შ და სისინა ს სპირანტულ სიბილანტთა ფარდობას (შ:ს), აქ საერთო ამოსავლად შ მიიჩნევა, რაც სავსებით გასაზიარებელია.

<sup>205</sup> სემანტიკური დიფერენციაცია ხუნძურსა (გოჟო „ეშვი“ > გოზო „ნისკარტი“) და ზოგ სხვა ენაში ფორმოზივი ცვლილებებით (ჟ > ზ) ჩანს შეპირობებული: თაღდაპირველად მას „ეშვი“ უნდა აღენიშნა, ხოლო შემდეგ სემანტიკური გადაზიარებით — „ნისკარტი“, „სიბრძნის კბილი“ (თუ, რა თქმა უნდა, ქართულის ძველთაძველი ნასესხობა არ არის, შდრ. ლოჟი).

<sup>206</sup> ამ ენათა სინამდვილეში მისი ინტენსიური კორელატი, რომელიც ნიშანდობლივია ზოგი დაღესტნური (ლაკური, დარგული...) ენისთვის [აკეივი 1977, 30], არ შეიძლება.

დილოურ ენებში გამჟღერების პროცესი შეუქცევადია — ყველა ენა-ში \*შ > ჟ.

ფორმულა, რომელიც შ-ს შესატყვისობის სურათს გვიჩვენებს, ასე გამოიყურება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	კამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.ლიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეე.
შ	ს(შ)	შ	შ	შ	შ(ჰ)	შ(ჰ)	შ	შ(ზ)	შ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ

1. ხუნდ. უას (ანწ. უაშ) ~ ანდ. უოშო : ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: კარ.: ახვ. უაშა : კამ. უაშა (ჰაჟ. უაჰა) : ტინდ. უაშა (საკ. ტინდ. უაჰა) (შდრ. ჩინ. უუოშა „id.“) ~ საკ. ლიდ.: ჰინ. უუი : ხვარ. უუა : ბეე. ოფო „ვაეიშვილი“.

2. ანდ. როშო : ბოთლ.: ლოდ. როშა ~ საკ. ლიდ.: ჰინ. როფი : ხვარ. ლოშა : ბეე. მჟე (ჰუნზ. რრჟე) „სიტყვა“.

3. ხუნდ. ბოსენ ~ ანდ. ბეშენ : ბოთლ.: ლოდ. ბეშენ : კამ. ბეჰან (< \*ბეშან) : ბაგვ. ბუჰენ (< \*ბუშენ) : ახვ. ბუშანი ~ საკ. ლიდ. მუფი : ხვარ. მუჟა : ბეე. მუჟორ („ხის იატაკი“) „ლოგინი“, „ბუდე“.

4. ხუნდ. ბო-ს-იხე (< \*ბო-შ-იხე) „აღება“, „ყიღვა“ ~ საკ. ლიდ.: ჰინ. რი-ჟა : ხვარ. ლე-ზა (< \*რე-ჟა) : ბეე. ეე-ზალ (< \*რე-ჟალ, შდრ. ჰუნზ. რე-ჟა „id.“) „თან წაღება“, „აღება“, „ყიღვა“.

5. ანდ. ბუშა : ბოთლ. მიშა : ლოდ.: კარ. ბიშა : კამ. ბიჰა (< \*ბიშა) : ახვ. ბიშარი „გაიმარჯვა“ ~ საკ. ლიდ. ბეჟა : ხვარ. ბიჟა : ბეე. მიშალ (< \*მიჟალ,<sup>207</sup> შდრ. ჰუნზ. ბიჟა „id.“) „გამარჯვება“.

გ. ურუ ინტენსიური შიშინა სპირანტი \*შ. სპირანტთა წყების ინტენსიური შიშინა სიბილანტი \*შა შემონახულია უცვლელად ანდიურ ენათა მეტ წილში, კამ. და ახვ. ენების გამოკლებით, რომლებშიც, ხუნძურის ანალოგიურად, ხ-ს გვადღევს [ტრუბეცკოი 1987, 257; გუდავა 1964, 144].

<sup>207</sup> ქართულში ყურადღებას იქცევს დაღესტნური ნასესხობა ვაფი, რომელიც XII ს.-ში წერილობით დასტურდება [ჩიქობავა 1987, 9]. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სესხების ხანისათვის ჟ-, ჰ- კლასის ექსპონენტები „ვაჟისა“ და „ჰალიშელის“ გამოშატაველ ლექსებში ჯერ კიდევ გაირჩეოდა. თუ ეს ასეა, მაშინ, კლასის ნიშანთა მიხედვით, ამ სახელთა დაპირისპირების მოშლა XII ს.-ის შემდეგდროინდელი უნდა იყოს.

<sup>208</sup> ზედსართავ სახელში სპორადულად პირველადი ჟ დაჩნდება: ბეე. იფო „გამარჯვებული“.

რაც შეეხება დიდოურ ენებს, \*შა, ინტენსივობის კორელაციის მოშლის გამო, ნეიტრალიზებულია და \*ჩ აფრიკატის რეფლექსს ემთხვევა (შდრ. ხუნდ. ბეჩე : ხვარ. მიში „ბბო“...).

\*შა-ს კორესპონდენციის ფორმულა სქემის სახით ამგვარად წარმოგვიდგება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.ლიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
შა	სა(შა)	შა	შა	შა	სა	შა	შა	შა	სა	შ	შ	შ	შ

1. ხუნდ. ბა(რ)ხანა ~ ანდ.: ლოდ.: ბაგვ.: ბეში : ბოთლ. ბეშუ : ჰამ. ბესა : ტინდ. ბეშა : კარ. ბეშე : ახვ. ბესური „შეწვა“, „მოხრაკა“ ~ საკ. ლიდ. ეშაღა : ჰინ. რეშა : ხვარ. იშანა „გამოცხობა“.

2. ხუნდ. ბესანა ~ ანდ. ბეში : ლოდ. შიში : ჰამ. ისა : ტინდ. იშა : ახვ. გოსური „მოქსოვა“ ~ საკ. ლიდ. რიშა, რეშა (დიალ. ვარ.): ხვარ. იშა : ჰუნზ. რეშა „ქსოვა“.

3. ბოთლ.: ლოდ. ბეში : ჰამ. ბესაბ : კარ. ბეშაბ ~ საკ. ლიდ. რეშანი : ბეჟ. მრშა (ჰუნზ. ბოშერუ) „მსუქანი“.

4. ჰამ. ანსლა („ჩაცმა“) : ტინდ. ანშა : ბაგვ. ენშან „დაიხურა (ჩაიცივა) ქული“ ~ საკ. ლიდ. შეტა : ხვარ.: ჰუნზ. შიტა-ა „ჩაცმა“.

#### 6.3.4. მაგარსასისმიერი ლატერალური სპირანტები.

ა. ყრუ არაინტენსიური ლატერალური სპირანტი \*ლ'. ძირეული ლ' ძირითადად უცვლელად არის დაცული ხუნძურსა და ანდიურ ენათა ერთ ნაწილში (ანდ., ლოდ., ჰამ., კარ., ახვ.) [ბოკარევი 1981, 24; შდრ. გულაგა 1979, 106].

ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში \*ლ' ნაირგვარ სახეცვლილებას განიცდის: ლ' > თ (ანწ.), ლ' > ჰ, ლჰ, ლ (ანდალ.-ყარახ.), ლ' > ჰმ, შ, შა (ჰარ.) [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 68; მიქაილოვი 1974, 150-156].

ანდიურ ენათა ერთ წყებაში \*ლ' ასე იცვალა: ლ' > ჰ (ბოთლ.), ლ' > ლჰ ინტერვოკალურ პოზიციაში, სხვა პოზიციებში ლ' > ჰ (ბაგვ.) [გულაგა 1964, 147; ცერცვაძე 1965, 44-45].

დილოურ ენებში \*ლ'-ს დელატერალიზაციის შედეგად სხვადასხვა რეფლექსები მივიღეთ: \*ლ' > ლ > ლ<sup>209</sup> (საკ. დიდ., შინ.), \*ლ' > ლ (ხვარ.), \*ლ' > ჰ (ანლაუტი), \*ლ' > ლ (ინტერვოკალური პოზიცია) (ბეე).<sup>210</sup>

იჩვენება, რომ ფშეინვიერ აფრიკატულ ლატერალ \*ლ'-ს დიდ. ენებში კანონზომიერად და რეგულარულად ლ' შეესატყვისება, ხოლო ამოსავალ სპირანტ ლ'-ს — ზემოწარმოდგენილი რეფლექსები. აქედან გამომდინარეობს, რომ \*ლ' > ლ' ოდენ ხუნძურ-ანდიურ ენათათვის დამახასიათებელი მოვლენაა. იგი ქრონოლოგიურად ამ ენათაგან დილოური ენების გამოყოფის შემდეგდროინდელი პროცესია [შდრ. გულავა 1979, 111].

\*ლ'-ს შესატყვისობის ფორმულა ასეთია:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ქამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკლდ.	შინ.	ხვარ.	ბეე.
ლ'	ლ' (ო. ჰ, ლჰ, ლ, ჰი. მ, ში)	ლ'	ჰ	ლ'	ლ'	ლ'	ლ'(მლ)	ლ'	ლ'	ლ(რ)	ლ(რ)	ლ	ლ(ჰ)


1. ხუნძ. ლ'უნა ~ ტინდ. ბი-ლ'ო : კარ. ბი-ლ'ე : ბაგვ. ბილჰი : ახვ. ბილ'ერი „დადო“, „დადგა“ ~ საკ. დიდ. ე-რჷა (< \*გე-რჷა) : შინ. გო-რ-ა : ხვარ. გი-ლ-ა (ინხ. გუ-ლ-ა) : ბეე. გუ-ლ-ალ „დადება“, „დადგმა“.<sup>211</sup>

2. ანდ.: ლოდ. ლ'უდი : ბოთლ. ჰუდი : ქამ. ლ'უნნი : ტინდ. ლ'უდი (ანდ. ლ'უდე) : ბაგვ. ლ'უდა (თლონდ. ჰურ) : ახვ. ლ'უდა ~ საკ. დიდ.: შინ. რედუ (< \*ლედუ) : ხვარ. ლიდა (ინხ. ლილო) : ბეე. ჰუდო (ბეე. მეტყვ.), ჰუდო (ტლად.) „შეშა“.

3. ანდ. ლ'ირუ : ლოდ. ლ'ერუ : ქამ. ლ'ინ'უ : ტინდ. ლ'ირუ : კარ.: ახვ. ლ'ირო : ბაგვ. ჰილუ ~ საკ. დიდ. ლელა : შინ. ლაბა : ხვარ. ლილ (ინხ. ლილუ) : ბეე. ჰაბო (ჰუნზ. ჰაბუ) „ფრთა“.

4. ანდ. ლ'ოლ : ქამ. ლ'ალ : ტინდ.: კარ.: ახვ. ლ'ალი : ბაგვ. ჰალ „ნალი“ ~ საკ. დიდ. ლორი (< \*ლოლი) : შინ. ლორე (< \*ლოლე) : ხვარ. ლოლო : ბეე. ჰალე (ჰუნზ. ჰორლე) „ტერფი“.

<sup>209</sup> შეიძლება ლ ზოგ მაგალითში („ფრთა“) არც გადავიდეს რ-ში.

<sup>210</sup> ლ' → ლჰ  ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო დიდ. ენებისთვისაც

[მიქაილოვი 1958, 85; ლომთაძე 1998, 136].

<sup>211</sup> ტ. გულავას შეცდომით მოჰყავს სხვა ფუძის შემცველი ზმნები: საკ. დიდ. ქურა, ხვარ. ქულა „ტუორცნა“ [გულავა 1979, 106; იხ. არლოტელი 1999, 84].



ბ. ყრუ ინტენსიური ლატერალური სპირანტი \*ლ'ა. ამოსავალი ლ'ა ანდიურ ენებში უცვლელად არის შემონახული, ხოლო დიდოურ ენებში, ინტენსივობის კორელაციის ელიმინაციის შედეგად, ნეიტრალური ლ'-ს სახით დასტურდება [გულაფა 1964, 147; 1979, 93].

ხუნდ. ენის ქარულ დიალექტში \*ლ'-ს ამგვარი ცვლილებები მოუღის: \*ლ'ა > ჰამამ, ჰამ, შ.

\*ლ'-ს შესატყვისობის ფორმულა ამგვარად წარმოგვიდგება:

*	ხუნდ.	ანდ.	ბიოდ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგ.	კარ.	ახვ.	საკოდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეე.
ლ'	ლ' (ჰამამ, ჰამ, შ)	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'	ლ'

1. ხუნდ. რე-ლ'-ინე ~ ანდ. აბ-ლ'-ინ (< \*ბა-ლ'-ინ) : ბოთლ. ბა-ლ'-ინა „დამსგავსება“ : ტინდ.: ბაგვ. ბა-ლ'-უმ : ჰამ. ბა-ლ'-უმბ : ახვ. ენ-ლ'-ჟლა „მსგავსი“ : კარ. ბა-ლ'-ჟ : „დამსგავსა“ ~ საკ. დიდ. ბი-ლ'-ა : ხვარ. ბა-ლ'-ა : ბეე. ენ-ლ'-ალ „დამსგავსება“.

2. ხუნდ. ლ'-ი ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ჰამ. ლ'-ი : ტინდ. ელ'-ი : ბაგვ. ლ'-ი : კარ.: ახვ. ლ'-ი ~ საკ. დიდ.: ხვარ. ლ'-ი („ჰინ“) : ჰინ. ლ'-ი („ჰინ“) : ბეე. ლ'-ი („ჰინ“ ნაცვალსახელის ერგ. და „ირიბ ბრუნვათა“ ფუძე).

3. ხუნდ. ლ'-ინ ~ ანდ.: ტინდ. ლ'-ინ : ბოთლ. ლ'-ინ(ი) : ლოდ.: კარ.: ახვ. ლ'-ინი : ჰამ. ლ'-ინ : ბაგვ. ლ'-ინ ~ საკ. დიდ. ლ'-ი : ჰინ. ლ'-ე : ხვარ. ლ'-ან (ინხ. ლ'-ონ) : ბეე. ლ'-ი (ჰუნხ. ლ'-ენ) „წყალი“.

4. ხუნდ. -(ა)ლ'ა ~ ანდ.: ბოთლ.: ლოდ.: ჰამ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ.: ახვ. -ლ'ა „ერგატივის ნიშანი“ ~ ჰინ. -ლ'ო : ხვარ. -ლ'ი : ბეე. -ლ'უ „წ. წ. ჩანართი ელემენტი (resp. ფუძის საწარმოებელი აფიქსი) სახელებში“.<sup>212</sup>

ბ.3.5. წინაველარული \*ზ. სპირანტი ზ, როგორც ცნობილია, ძირითადად ხუნძურსა (მეტწილად) და ანდიურ (იშვიათად) ენებში დასტურდება და აკუსტიკურ-არტიკულაციურად მაგარი ყრუ კორელატის (ზ) ტოლფარდია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 41].

<sup>212</sup> იხ. გულაფა 1964, 148; იმნაიშვილი 1963, 143-144.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ამოსავალი  $\mathcal{X}$ -ს პოსტულირებისას ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული ინტერპრეტაციები გვაქვს: ერთნი  $\mathcal{X}$ -ს ფუძენაში აღადგენენ [მიქაილოვი 1958, 79-81; ბოკარევი 1961, 57-68; გულაფა 1964, 148-150; ცერკვაძე 1965, 90; 1974, 136; თალიბოვი 1980, 322...], სხვანი მის თავდაპირველადობას უარყოფენ და უპირატესად  $\mathcal{M}$ -ს რეფლექსად მიიჩნევენ [ტრუბეცკოი 1987, 252; გიგინეიშვილი 1977, 120; ლომთაძე 1996, 23...].

უნდა აღინიშნოს, რომ ხუნძურში  $\ast\mathcal{M} > \mathcal{X}$  გადასვლის მართებულობის ეპიქვეშ დაყენება გამოწვეულია  $\mathcal{M}$ -ს ორგვარი რეფლექსაციით (ანდ.  $\ast\mathcal{M}$  : ხუნძ. ს,  $\mathcal{X}$ ),<sup>213</sup> რომელიც ფონოლოგიურად შეუპირობებელია [გულაფა 1964, 148].

ჩვენი აზრით, ხუნძ.  $\mathcal{X}$  : ანდ.  $\mathcal{M}$  ფონემათფარდობაში ამოსავალი  $\mathcal{X}$  უნდა იყოს.<sup>214</sup> თუ დავუშვებდით  $\mathcal{M} > \mathcal{X}$  ბგერათცვლილებას, მაშინ უნდა დაგვედგინა ის კომბინატორული ფაქტორები, რომლებიც აპირობებდნენ ამ პროცესს. ეს კი ვერ ხერხდება, ვინაიდან  $\mathcal{X}$ -ს დისტრიბუცია თავისუფალია და რაიმე ფონოლოგიური პოზიციით მისი შეზღუდვა არ შეინიშნება. პალატალიზაციის პროცესი ( $\ast\mathcal{X} > \mathcal{M}$ ), რომელიც გარდამავალ რგოლად ანწუხური დიალექტის ღვედიშის მეტყველებაში თავჩენილ პალატალიზებულ  $\mathcal{X}$ -ს გულისხმობს, ბუნებრივი ჩანს ხუნძურისთვისაც [მიქაილოვი 1958, 79-80] და ანდიური ენებისთვისაც [გულაფა 1964, 150].<sup>215</sup>

თუ ხუნძურში დუბლეტურ ფორმათა არსებობას გამოვიციტავთ, მაშინ აუცილებელი გარდუვალობით არქიფონემად უნდა დავუშვათ წინაველარული  $\mathcal{X}$ , რომელსაც დიდ. ენებში ეკვივალენტად  $\mathcal{M}$  ( $\mathcal{M} < \mathcal{X}$ ) ექნება. საერთო ამოსავლად ნავარაუდებ  $\mathcal{X}$ -ს, რომელიც თავს იჩენს ხუნძურსა და ზოგ ანდიურ (ბოთლ., კარ.) ენაში, დიდოურ ენებში  $\ast\mathcal{M}$ -ს რეფლექსაციისაგან რამდენადმე განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს — ზოგ ენაში ხშირად დასტურდება  $\mathcal{M} > \mathcal{M}$ . ამგვარ პროცესს სისტემური ხასიათი არ აქვს. რაც შეეხება მტკიცებას, რომ „ამოსავალ არამაგარ სპირანტთა გამჟღერების პროცესი დიდოურ ენებში წინ უსწრებდა ხუნძურ-ანდიური ერთობის დაშლას“ [გიგინეიშვილი 1977, 120], რელატიური ქრონოლოგიის მიხედვით, მართებულია და კარგად ცნობილიც [იხ. გულაფა 1964, 148-149; 1979, 208]. კორექტირება სჭირდება მხოლოდ დებულებას იმის შესახებ, რომ ამოსავალ  $\mathcal{M}$  და  $\mathcal{X}$  თანხმოვანთა თანხედენის შემდეგ მათი რეფ-

<sup>213</sup> ლაბიალურ ბგერათა წინ ანდიურ ენებშიც მეტწილად განსხვავებული ვითარებაა [გულაფა 1964, 150].

<sup>214</sup>  $\mathcal{X}$  რეკონსტრუირდება არა მხოლოდ ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ერთობისათვის, არამედ ლაკურ-დარგული და ლეზგიური ფუძენისთვისაც [თალიბოვი 1980, 322-323; აკიევი 1977, 112-114].

<sup>215</sup> ანალოგიური ბგერათცვლილება ახასიათებს ლაკურ-დარგულსაც [აკიევი 1977, 112].

ლექსების გარჩევა შეუძლებელია [გულავა 1979, 95]. ამოსავალ შ-ს დიდ. ენებში რეგულარულად შ შეესატყვისება, ხოლო \*ზ-ს — შ, ჟ.<sup>216</sup>

ამრიგად, ზ-ს შესატყვისობის ფორმულა ამგვარ სახეს მიიღებს:

	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკოდ.	ჰინ.	ხვარ.	ბევ.
ზ	ზ(ზ)	შ	შ(ზ)	შ	ჰ(შ)	ჰ(შ)	ჰ(ზ)	ჯ.შ(ზ)	შ	შ(ა)	შ(ა)	შ(ა)	შ(ა,ზ)

1. ხუნდ. როზ ~ ანდ. რეშა : ბოთლ.: ლოდ.: ახვ. რუშა : ჰამ. ტოშა : ტინ. როშა : კარ. როშა „ხე“ ~ საკ. დიდ. აჟუ : ჰინ. აჟე („ხე“) : ხვარ. აჟან „ბუჩქი“.

2. ხუნდ. სონ (ანწ. შონ) ~ ანდ. შენ : ბოთლ. სუნნი : ლოდ. შუნი : ჰამ. ჰუნ (ჰინ. ჰუნი) : ტინდ.: ჰუმურ : ბაგვ. ჰუნდი : კარ. სუნდი ~ საკ. დიდ.: ჰინ. ეჟი : ხვარ. იჟა : ბევ. იზო (< ტლად. იჟო, შდრ. ჰუნზ. იწჟუ „id“) „თესლი“.

3. ხუნდ. ზაგ ~ ანდ. ზოგი (ლად. ზაგი) : ბოთლ. ზაგი : ჰამ. ჩად(?) : ბაგვ. ზად : კარ. ზაგე : ახვ. შაგი ~ საკ. დიდ. შაგ : ჰინ.: ხვარ. შოგ : ბევ. შაგ (ბევ. შაგ) „ქვაბი“.<sup>217</sup>

4. ხუნდ. შილ ~ ანდ. ჩილ<sup>218</sup> : ბოთლ.: ლოდ.: ახვ. შილი : ჰამ. ში : კარ. შილა ~ საკ. დიდ. ჟენ-ტუ „აურკლი“.

დიდოურ ენათა ერთი რიგის მაგალითებში შ (< ზ) გამჟღერების ტენდენციას არ ამჟღავნებს:

1. ხუნდ. ზობ (< \*ზობ?) ~ ანდ. შებ : ბოთლ. სუმუ .: ლოდ. შებუ : ჰამ.: ბაგვ. ჰობ : ტინდ. ჰობა : კარ. სობო : ახვ. შობე ~ საკ. დიდ.: ხვარ. შედ : ჰინ. სუდ (< \*შედ) : ბევ. შუნა (ჰუნზ. შიმა) „საფლავი“.

<sup>216</sup> ე. ლომთაძე ხუნდ. ზ-ს შესატყვისად დიდ. ენებში ჰ-ს მიიჩნევს [ლომთაძე 1962, 290], რაც ფაქტობრივ შესატყვისობა კი არ არის, არამედ ზ-ს ტრანსლიტერაციას წარმოადგენს (ხუნდ. ტეჯ — დიდ. ტეჰ „წიგნი...“) და გვიანდელი მოვლენაა. რაც შეეხება ზ-ს შემცველ ზოგ სხვა სახელს („აველი“, „რდე“, „ხედვა“...), ისინი სხვადასხვა წარმომავლობის მეორეულ ზ-ს ვიჩვენებენ [ცერცვაძე 1948, 143; 1953, 300].

<sup>217</sup> ტ. გულავას შენიშვნა ამ ლექსების ხუნდ. ჩოგენ („თუჯი“, „ქვაბი“) ოდენობასთან კავშირის (იხ. ლომთაძე 1962, 289) უქონლობის შესახებ გასაზიარებელია, თუმცა დიდოურ ენებში მისი ნასესხობა აარადაამაჯერებელი. გარდა თანხმოვნებისა (ზ : შ, გ : ზ), იგი კანონზომიერ შესატყვისობას ხმოვნებშიც ვიჩვენებს (შდრ. გულავა 1979, 68-69).

<sup>218</sup> ხანდახან ჩ დიდოურ ენებშიც დაინდება: ხუნდ. როუნ (შდრ. რაჟა „აული“) ~ ანდ. როუნ — საკ. დიდ. როჩ : ბევ. რაჩ „საბელი“.

2. ხუნძ. ბოზანა ~ ანდ. ბუშიდუ („შელეზა“) : ბოთლ.: ღოდ. ბუშა : ბაგვ. ბიშა : კარ. ბუწუ „შემოგლისა“, „შელეზა“ ~ ბეჟ. თუშელა-„შელეზა“.<sup>219</sup>

შეინიშნება აგრეთვე თითო-ორიოლა მაგალითი, რომლებშიც, სხვადა-სხვაგვარი ფონეტიკური პროცესის ჩარევის გამო, შესატყვისობა ირღვევა, მაგ.: ხუნძ. წიბილ (ანწ. შიბილ) ~ ანდ. ისიბ : ბოთლ.: ჭამ.: ბაგვ. ესებ : კარ. ესებო : ახვ. ეშე „გვერდი“ ~ საკ. დიდ.: ჰინ. ჟიბრა : ხვარ. ჟებლა : ბეჟ. შებლო (ჰუნზ. შებლა) „ნეკნი“...

### 6.3.6. უკანაველარული სპირანტები.

ა. მუღერი სპირანტი \*ღ. ამოსავალი ღ, როგორც ცნობილია, ხუნძურ-ანდიურ ენებში ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი [გუდავა 1964, 145]. დილოურ ენებშიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთი წყების მაგალითებში („ჟული“ და მისთ.) შესატყვისობის დარღვევას, \*ღ, ფარინგალიზებულ ღ'-სთან ერთად, ბგერათიგივეობას გვიჩვენებს [შღრ. ლომთაძე 1998, 141-144]. საკ. დიდ. ენის ასახურ კილოკავში ღ > ჭ, შ [იმნაიშვილი 1963, 20].

სქემატურად:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ღოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ.დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ, ღ'	ღ, ღ'	ღ, ღ'	ღ

1. ხუნძ. მალ- (შღრ. მალა-ტა „საკულური“, ზედმიწ. „ჟულქვეშა“) ~ ანდ. მიდ- : ბოთლ.: ღოდ.: ჭამ.: ბაგვ.: ტინდ.: კარ. მილა : ახვ. მალა-ტიი („ჩვარი“) ~ საკ. დიდ. მაჭაი (<მახ'ი < \*მალი) : ჰინ. მიჭი (< \*მიჭაი < \*მილი)<sup>220</sup> : ხვარ. მი'ჭი (< \*მი'ჭაი < \* მი'ლი) : ბეჟ. მიდ „ჟული“, „ღღმა“.

<sup>219</sup> ამგვარსავე სახეცვლილებას განიცდის ნასესხებად მიჩნეული [გუდავა 1979, 68] სახელი ხუნძ. წაგ ~ საკ. დიდ. შაგ, შოგ „ქვაბი“.

<sup>220</sup> ე. ლომთაძე საეხებით სწორად ლატენტურ საფეხურად ჰ-ს ვარაუდობს [ლომთაძე 1998, 144; შღრ. გუდავა 1979, 89], თუმცა ხვარ. ლიჭილ < \*რილილ („ბარაყი“) სახელზე მსჯელობისას აცხადებს: „უცვლელობა, უმთავრესად, ღ-ს ეხება, ცვალებადობა კი — ღ'-ს“ [ლომთაძე 1998, 60]. მაშინ ლოგიკურად დაისმის კითხვა: საკ. დიდ. ღ'-ტუდი („ყვავი“) ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი, ხოლო ღ'-ტუა („ძალი“) სახელის ფარინგალიზებული ღ' (< \*ზ). ამგვარ შემთხვევაში როგორ უნდა მიესადაგოს სხვადასხვა წარმომავლობის ფარინგალიზებული ღ' ავტორის ზემოწარმოდგენილ დებულებას? ეს არათანამიმდევრულობა ამოსავალში ფარინგალიზებულ თანხმოვანთა დაშვებას უკავშირდება, რაც ნაკლებად სარწმუნოა.

2. ხუნძ. ღედო ~ ანდ. ღანნი (< \* ღანდი) : ბოთლ.: ღოდ.: ტინდ.: ღანდი : ჭამ. ღან : ბაგვ. ღანდუ : კარ. ღანდე : ახვ. ღა(ნ)დი ~ საკ. დიდ. ღ'უადი : ჭინ. ღ'უადე : ხვარ. ღადა (ინხ. ღ'ად) : ბეე. ღანდე (ჭუნზ. ღადე) „ყვავი“.

3. ხუნძ. ღუნი ~ ბოთლ.: ღოდ. ღუნი : ჭამ. ღუ<sup>ნ</sup> : ტინდ.: ახვ. ღობა ~ საკ. დიდ. ღ'ონ : ბეე. ღემე (ჭუნზ. ღემე, ღობემე) „ძნა“, „ზინი“, „ბულული“, „გროვა“.

4. ხუნძ. ღუალა ~ ჭამ. ღუა<sup>ნ</sup>-ცა : კარ. ღუალა : ახვ. ღოლი ~ საკ. დიდ. ღუნი : ჭინ. ღუინუ : ხვარ. ღუნე : ბეე. ღანე (ჭუნზ. ღელ) „ურქო ირემი“, „ურქო თხა“.

5. ანდ.: ბოთლ.: ღოდ. რედელ : ჭამ. მედილ : ბაგვ.: კარ.: ახვ. რედელ ~ საკ. დიდ ცოდ' : ჭინ. ოდ . ხვარ. ცედ,<sup>221</sup> ლიჰილ (ინხ. ლეჰელ < \*ლეღელ) : ბეე. მიღლა (ჭუნზ. რაღლა) „ბარძაყი“, „შორისი“.

6. ხუნძ. მულ ~ ანდ.: ბოთლ.: კარ. მიღულ : ბაგვ. მიღულ ~ ბეე. მალო (ჭუნზ. მეღუ) „ზურგი“, „ტანი“.

ბ. ყრუ არაინტენსიური სპირანტი \*ხ. ისტორიული ხ, რომელიც ხუნძ.-ში ჰდ იცვალა, ანდიურ ენათა ერთ წყებაში (ანდ., ბოთლ., ღოდ., ჭამ., ახვ.) ხ შემოგვენაბა უცვლელად, ხოლო მეორე წყებაში შემდეგნაირად მოდიფიცირდა: ხ > ჰ (ტინდ., ბაგვ., კარ.) [გულდავა 1964, 146].

ამოსავალ ხ-ს რეფლექსად ბეე. ენის ორსავე დიალექტში ჰ დაჩნდება, რომელსაც წყვილბაგისმიერი ჟ-ს წინ რედუქცია მოულის [ლომთაძე 1963, 21]. დიდოურ ენებში სპონტანური ფონეტიკური პროცესის გრადაციას ასე წარმოიდგინება: \*ხ > ღ > ჰ. ტ. გულდავას მოსაზრებით, ბეე.-ში \*ხ > ჰ, მაშინ საერთო-დიდოურში \*ხ-ს შესატყვისად ორი ფონემა (ღ, ჰ) უნდა გვეჩონოდა, რაც ნაკლებსაყარაუდოა. უფრო სარწმუნო ჩანს, საერთო-დიდოური ღ > ბეე. ჰ (შდრ. საკ. ბეე. ცოდ' > ჰუნზ. ცოჰ „ქერი“...).

\*ხ-ს ბგერათშესატყვისობის ფორმულა ამგვარია: ·

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ღოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჭინ.	ხვარ.	ბეე.
ხ	ჰ	ხ	ხ	ხ	ხ(ჰ)	ხ(ჰ)	ხ, ჰ	ხ	ხ	ღ, <sup>222</sup> ღ'(ჰ)	ღ,ღ'	ღ,ღ'(ჰ)	ჰ

<sup>221</sup> ხვარ. ცედ, საფიქრებელი, საკ. დიდ. ენისაგან იყოს ნასესხები. ხზოვანთა ურთიერთიმართების (ო:ე) საკითხი საძიებელია.

<sup>222</sup> საკ. დიდ. ენის ხუტრაბხუტ კილოკავში ზ-ში გადაღის როგორც ბირველად ღ. ისე მეორეული ღ (< \*ხ), რაც ნიშნავს: ღ > ჰ ქრონოლოგიურად შემდეგდროინდელი პროცესია.

1. ხუნძ. ჰჷე ~ ანდ. ზომ : ბოთლ. : ღოდ. : ჳამ. : ტინდ. : კარ. ზჷამ : ბაგვ. ზჷამ (თლის.), ჰჷამ (კვან.) : ახვ. ზჷე ~ საყ. დიდ. ღ'ჷამ : ჳინ. : ხვარ. ღ'ჷე : ბეყ. ჴო (< \*ჰჷო < \*ღჷო) „ძალი“.

2. ხუნძ. ჳობო ~ ანდ. იზობ : ბოთლ. ზჷაბე : ღოდ. : ტინდ. : ახვ. ზჷაბა : ჳამ. ზჷაბ : ბაგვ. ზჷაბ (თლის.), ჰჷაბ (კვან.) : კარ. ზაბუ (ტოქიტ. ჳობუ) ~ საყ. დიდ. ცაღ'ურ : ჳინ. ღ'ემერ : ხვარ. ღაბალ (ინხ. ღ'ობოლ) : ბეყ. ჳაბორ (ჰუნზ. ჳობურ) „წისქვილი“.

3. ხუნძ. რაჳანა ~ ანდ. არ-ზონ : ბოთლ. ზჷაბ-ღე : ღოდ. ზჷაბი : ჳამ. აზა<sup>6</sup> : ტინდ. ჴა-ზ(ჴ)ო<sup>6</sup> (ტოქიტ. რო-ჳა<sup>6</sup>) : ბაგვ. რუ<sup>6</sup>-ჳა : კარ. რუ-ჳა<sup>6</sup> (ანჩ. ა<sup>6</sup>-ზა) : ახვ. ა-ზ-არი „გაალო“, „გახსნა“ ~ საყ. დიდ. : ჳინ. რა-ღა : ხვარ. მა<sup>6</sup>-ღა : ბეყ. მ<sup>6</sup>-ჳალ „გაღება“.

4. ხუნძ. როჳელ ~ ანდ. ოზოდროო : ტინდ. რაზაჩო „განთიადი“, „დილა“ : ახვ. ზადა ~ საყ. დიდ. ღ'უდე : ჳინ. ღ'უდე : ხვარ. ღ'უადე : ბეყ. ჴოდო (< \*ჰჷოდო) (ჰუნზ. ჴა<sup>6</sup> < \*ჰჷა<sup>6</sup>) „ხეა“.

5. ანდ. \*ზორო- ~ საყ. დიდ. ღ'ურო : ჳინ. ღ'უერო : ხვარ. ღ'უალო : ბეყ. ჴარა (< \*ჰჷარა, შდრ. ჰუნზ. ჳორა) „ნახირი“, „ძროხა“.

ყურადღებას იქცევს რამდენიმე მაგალითი (1. „ამოღება“, „წართმევა“; 2. „ჳა“; 3. „შო<sup>6</sup>კედომა“), რომლებიც ერთგვარად ამოვარდნილია ამ შესატყვისობის ფორმულიდან [გულდავა 1979, 101-102; შდრ. ლომთაძე 1998, 142-144].

ზემოხსენებულ სახელებს, ე. ლომთაძის მართებული მოსაზრებით, სხვადასხვა ამოსავალი ფონემა მოეპოვებათ. კერძოდ, ხუნძ. ბა-ჳი-ზე (ჰიდ. ბა-ზ-ჴ) ~ საყ. დიდ. ბო-ღა („წართმევა“, „ამოღება“) ფორმათათვის ამოსავალი არის ჳ :

ჳ → ზ → ღ → ჳ,<sup>223</sup> ხოლო ხუნძ. ზჷეზე ~ საყ. დიდ. ე-ზჷა

(„შო<sup>6</sup>კედომა“) ფონემათფარდობისათვის კი — ჳ', რომელიც ახვანურმა დაიცვა: ახვ. ბუჳ'არათ (ეეჳ. ბუზარა) „მოკვდა“. როგორც ცნობილია, ამოსავალი ჳ' > ზ > ჳა (ხუნძ.), ჳ' > ზ > ჳ (ანდ.), ე. ი. მოხდა პირველად \*ზ და მეორეულ ზ (< \*ჳ') ფონემათა დამთხვევა [გულდავა 1964, 97, 140], რითაც არის შეპირობებული შემდგომი ცვლილებები და რეფლექსთა ერთგვაროვნობა, მაგ., „ცაცხვის“ გამომხატველი სახელის ჳ' (ხუნძ. ჳად ~ ანდ. ზო : ღოდ. ზარი : ახვ. ჳა ~ საყ. დიდ. : ჳინ. ღოდ. : ხვარ. ღოდა : ბეყ. ჳად) ამოსავალი ზ-ს ანალოგიურად ტრანსფორმირდება, რაც ექვემიუტანელს ზდის ტ. გულდავას დებულებას მათი ისტორიული ურ-

<sup>223</sup> ხუნძ. ჳ ~ ს-ანდ. ზ ბგერათშესატყვისობისას ანდ. ენებში ჳ სონანტის წინ ჳ > ზ > ზ არ ხდება, მაგრამ სხვა ფონოლოგიურ პოზიციაში, ეს, როგორც ჩანს, დასაშვებია.

თიერთთანხვედნის შესახებ, მაგრამ უგულებელყოფს დასკვნას, რომ ხუნძურში \*ჯ' > ხ > ჰ არ მომხდარა [შდრ. გულაფა 1964, 140].<sup>224</sup>

მართალია, ე. ლომთაძე ხუნძ. ხ ~ ს.-ანდ. ხ იდენტურ შესატყვისობას უწოდებს [ლომთაძე 1998, 144], მაგრამ ორივე ენის ხ-სთვის საერთო ამოსავალს ჯ' წარმოადგენს. ამდენად, იგი („შოკელომა“) ვერ გამოდგება საანალიზო შესატყვისობის საილუსტრაციო მაგალითად.

რაც შეეხება ხუნძ. ჯირუ ~ საკ. დიდ. ღ'ულ („ქვა“) ფორმათა შეპირისპირებას, აქ ხუნძ. ჯირუ შეიძლება ნახურ ენათაგან იყოს ნასესხები (შდრ. ჩიჩნ. ჯერა, ინგუშ. ჯერა, ბაცბ. ჯერ „id.“), თუ, რა თქმა უნდა, ეს სახელი გენეზისურად სხვა წარმომავლობისა არ არის [იხ. მარი 1917, 309; თაყაიშვილი 1966, 249-250].

გ. ყრუ ინტენსიური სპირანტი \*ხ. ძირეული ხა ხუნძურ-ანდიურ ენებში ბგერათიფიკაციით არის წარმოდგენილი, ხოლო დიდოურ ენებში ნეიტრალური ხ-ს საბით [გულაფა 1964, 146-147; 1979, 90-91]. საკ. დიდ. ენის ზოგ მაგალითში \*ხ, უკან გადაწევის შედეგად, ჰ-ს გვადღევს, რომელიც შუა რგოლად ფარინგალიზებულ ხ'-ს გულისხმობს: ხ > ხ' > ჰ [იმნაიშვილი 1963, 20 შდრ. ლომთაძე 1963, 36].

შესატყვისობის ფორმულა, რომლის საფუძველზედაც ხდება ხა-ს რეკონსტრუირება, ასე გამოიხატება:

•	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჰამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეე.
ხა	ხა	ხა	ხა	ხა	ხა	ხა	ხა	ხა	ხა	ხა, ჰა	ხ	ხ	ხ

1. ხუნძ. იხა („ნაკადი“) ~ ბოთლ.: ლოდ. ინხათ : ახვ. ეხა ~ საკ. დიდ. ეიხ'უ, ეიჰუ (დიალ. ვარ.) : ჰინ. ეიხუ : ხვარ. ეი'ხუ (ინხ. ეი'ხუ) : ბეე. ეი'ხუ<sup>225</sup> „ნაკადული“, „მდინარე“.

2. ხუნძ. ხაუნა ~ ბოთლ. ხა-უნ-დე : ჰამ. ხე-დ : ტინდ. ხა-უნ-ო „დალია“ ~ საკ. დიდ. ხ'ალ'უ-ა, ჰალ'უ-ა (დიალ. ვარ.) : ხვარ. ხილ'-ა : ბეე. ხულ'-ალ „სმა“, „ხერეა“.

3. ხუნძ. ხალათ-აბ ~ ანდ. ბე-ხაულ-ა : ბოთლ.: ლოდ. ბე-ხილ-ა : ჰამ. ბე-ხილ-აბ : ტინდ. ბე-ხალ-აბ : ბაგვ.: კარ. ბე-ხელ-აბ : ახვ. ბე-ხა-

<sup>224</sup> ასევეა „არყის ხე“ : ხუნძ. მახა||მამა ~ ანდ. ბეხუ : ახვ. ბეჭოლი რუმა (ხედმიწ. „არყის ხე“) ~ საკ. დიდ. მეგ (< \*შელი) : ჰუნზ. მიჰე. საკ. დიდოურში ხ > ჯ პროცესი ნასესხები მასალითაც მტკიცდება: ღამუთ (< ხამუთ) „ხამუთი“.

<sup>225</sup> იხ. ბურჟულაძე 1991, 25.

ლო-ბე ~ საკ. დიდ. ბე-სორა : შინ. ოსორუ : ხვარ. ესოლა : ბეყ. დისლო „გრძელი“.

4. ხუნდ. ხინკ<sup>226</sup> ~ ჳამ. ხინჳ : კარ. ხინკაჲ : ახვ. ხინკა ~ საკ. დიდ. ს'აკო, ჳაკო (დიალ. ვარ.) : შინ. ხაკო : ხვარ. ხიკო : ბეყ. სოკა „ხინკალი“.

5. ხუნდ. ხუტანა ~ ანდ.: ბოთლ. ბე-ხჳ : ლოდ. ბუ-ხონ : ჳამ. ბე-ხჳ<sup>ფ</sup> : ტინდ. ბუ-ხაო : ბაგვ.: კარ. ბუ-ხჳუ : ახვ. ბი-ხორი „დარჩა“ ~ საკ. დიდ. ლ'ე-ხჳ-ა<sup>227</sup> : ხვარ. ლ'უ-ხ-ა : ბეყ. შილ'-ხ-ალ (< \*ლ'ი-ხ-ალ) „დარჩენა“.

6. ხუნდ. ხერ (შდრ. ოხცერ <\*ოც+ხერ ზედმიწ. „ხარი“ + „ბალახი“ — „კიტრი“)<sup>228</sup> ~ ანდ. ბოხა ~ საკ. დიდ. ბინ : შინ. ბენ : ხვარ. ბახ (ინხ. ბონ) : ბეყ. ბონ (ჳუნზ. ბგზ) „ბალახი“.

### 6.3.7. ფარინგალური სპირანტების საკითხი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფარინგალური სპირანტები (ჟ, ჳ) საკვლევ ენებში გვიან არიან ჩამოყალიბებული და წარმოშობით სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობენ [მიქაილოვი 1958, 152; გულაეა 1964, 153-156; გიგინეიშვილი 1977, 116...].

მეტერი ფარინგალური სპირანტი ჟ მეტწილად ხუნძურში შეინიშნება და მისი დისტრიბუცია უმთავრესად ანლაუტით შემოიფარგლება, თუმცა თითო-ორჯერ სიტყვაში ინლაუტსა და აუსლაუტშიც იჩენს თავს. მასთან, ჟ-ს შემცველი სახელებიდან ბევრი არაბულიდან არის ნასესხები, მაგ.: შადათ „წეს-ჩვეულება“, საშათ „საათი“, შამალ „ხასიათი“, ვაბაყ „ქოლერა“. [ცერცვაძე 1965, 65-66].

ხუნდ. ჟ, რომელიც გენეზისურად ყ-ს არ უკავშირდება, ანდ. ენებში წარმოდგენილია შემდეგი რეფლექსებით: ა) ჳ : ხუნდ. შატ ~ ანდ. შატი „ცომი“, ხუნდ. მეჟერ ~ ანდ. მაჰარ „ცხვირი“, „მთა“; ბ) ჳ : ხუნდ. შაზო ~ ანდ. ცანზი „თოვლი“, ხუნდ. ტაცაშალ ~ ანდ. ტაცაჳალ „ბიძაშვილი“; და მისთ.

რაც შეეხება დილოურ ენებს, ჟ ანლაუტში წესისამებრ უკვალოდ იკარგვის და ხანდახან მის ადგილას მაგარი შემართვა გვაქვს, მაგ.: საკ.

<sup>226</sup> ტ. გულაეას მახვილგონივრული მოსაზრებით, ქართ. ხინკალი შეთვისებული უნდა იყოს ხუნძურისაგან მრავლობითი რიცხვის ფორმით, შდრ. ხუნდ. ხინკ-ალ „ხინკლები“ [გულაეა 1954, 703].

<sup>227</sup> საკ. დიდ. ხეც-ა ფორმობრივად და სემანტიკურადაც („დატოვება“, „გაშვება“ და არა „დარჩენა“) არ უკავშირდება ხუნდ.-ანდ. ენათა სათანადო ზმნას — იგი სხვა ფუძის მქონე ჩანს [შდრ. გულაეა 1979, 90].

<sup>228</sup> თუ ეს დაკავშირება [იხ. გულაეა 1964, 73] სწორია, მაშინ ანალოგიურ მოკლენას უნდა ჳქონდეს ადგილი სხვა ახლომონათესავე ენებშიც, მაგ.: ჳამ. ოხცელ (<\*ოხცელ), საკ. დიდ. ოხცერ (< ასახ. ოხცერ <\*ოხცერ, შდრ. ხვარ. ოხცერ) „კიტრი“, ზედმიწ. „ხარბალახა“.



დიდ. ცაქლუ (< ხუნდ. ჰაყლუ) „ჰკუა-გონება“, ბეე. ცადათ (< ხუნდ. მადათ)<sup>227</sup> „წეს-ჩეეულება“ და მისთ.

გარდა ზემოთქმულისა, მ მიღებულია არაინტენსიური ყ'-ს სპონტანური ცვლილებით (მ < \*ყ') [გუდავა 1958, 261, 265]. გავრცელებულია აგრეთვე თვალსაზრისი მ-ს ე. წ. ფარინგალიზებული („გლოტიზებული“) ხმოვნებისაგან წარმომავლობის შესახებ, რომლებიც ფუძეენაში გვქონდა [მიქაილოვი 1958, 90-91]. შ. მიქაილოვი განიხილავს ლ. ჟირკოვის არსებითად სწორ დებულებას ფარინგალიზებულ ხმოვანთა გენეზისის შესახებ და ასკვნის: „დაღესტნის მთის ენებში უვეულარული მ არის მათში ოდით-განვე არსებული „გლოტიზებული“ ხმოვნების<sup>230</sup> განვითარების შედეგი“ [მიქაილოვი 1958, 91]. ამავე აზრს ადგას ბ. გიგინეიშვილი [1977, 116]. არსებული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ ფარინგალიზებული ხმოვნის გახლეჩით წარმოქმნილა, ერთი მხრივ, სათანადო სადა ხმოვანი, მეორე მხრივ კი, მ, რაც ძნელად გასაზიარებელია.

ჩვენი ვარაუდით, უფრო თანამიმდევრულია ლ. ჟირკოვის დაკვირვება პ. უსლარის მასალებზე დაყრდნობით იმის შესახებ, რომ მ-ს მეზობლად სათანადო ხმოვნებმა შეიძინეს ფარინგალური ელფერი და, მ-ს რედუქციის შემდეგ, ფარინგალიზებულებად იქცნენ [ჟირკოვი 1955, 11; არდოტელი 1998, 104], მაგალითად: ხუნდ. მეგერ ~ ანდ. მაჰარ : ახვ. მიჰა ~ საკ. დიდ. მ' ლი (< მშალი < \*მშალი) „ცხვირი“, „მთა“.

ანალოგიურად, მ-ს (resp. აინის) საკომპენსაციო რედუქციის შედეგად,<sup>231</sup> უნდა წარმოქმნილიყო ფარინგალიზებული (resp. აინიზირებული) თანხმოვნები. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს მეორე დასკვნაც: თუ მ სპირანტი რედუცირებულია, რომლის ზემოქმედებითაც ფარინგალიზებული ბგერების ფორმირება მოხდა, მაშინ, ცხადია, ფარინგალიზებულთა მეორეულობა ექვემდებარებულ ფაქტად უნდა ვცნოთ.

დაახლოებით ანალოგიურად უნდა გადაწყდეს ჰა თანხმოვნის საკითხიც [გუდავა 1979, 201; თალიბოვი 1980, 326].

**6.3.8. ლარინგალური სპირანტი \*ჰ. მეტად პრობლემურია ხუნდურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში ჰ-ს დამაჯერებელი რეკონსტრუქცია. მაგალითები, რომლებიც ჰ-ს აღდგენისთვის არის საგულვებელი, ძალიან მცირეა და, მასთან, არაერთგვაროვანი. ჰ-ს აღდგენას აძნელებს ისიც, რომ იგი ხშირად სხვა ამოსავალი ფონემის რეფლექსად გვევლინება, თავს**

<sup>227</sup> თავის მხრივ, ეს სახელები ხუნდურში არაბული ენიდან არიან შემოსული.

<sup>230</sup> დიდ. ენებში ფონემური სტატუსით ოდენ თანხმოვნები (კ', ყ', ლ', ხ') დასტურდება, ფარინგალიზებული ხმოვნები ფონემურ მნიშვნელობას მოკლებულნი არიან.

<sup>231</sup> ამ შემთხვევაში ფარინგალიზაცია განიხილება, როგორც დამატებითი არტიკულაცია, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს ხმოვნებსაც და თანხმოვნებსაც. მასთან, ხმოვნებისათვის ფარინგალიზაცია ფარინგალიზებულ თანხმოვანთა ზეგავლენით მიღებული ელფერია, ხოლო თანხმოვნებისათვის — სეგმენტური ნიშან-თვისება.

იწენს აგრეთვე ნასესხებსა და ექსპრესიულ ლექსიკაში. იგი არცთუ იშვიათად ფშვინვიერი შემართვის ფონემიზაციითაც არის მიღებული.<sup>222</sup>

მიუხედავად ასეთი არაერთგვაროვანი სურათისა, დასტურდება რამდენიმე მაგალითი, რომელთა მიხედვითაც ჰ ბგერათიგვივობით არის წარმოდგენილი, რის გამოც, გარკვეული ალბათობით, შესაძლებლად მიგვაჩნია ჰს პოსტულირება:

1. ხუნძ. ჰორტო ~ ანდ. ჰოტა : ბოთლ.: ღოდ.: ბაგვ.: ტინდ.: კარ. ჰატოუ : ჰამ. ჰატოუ : ახვ. ატოუ (< \*ჰატოუ) ~ საყ. დიდ.: ჰინ. ჰილ'უ : ხვარ. ჰელ'უ >||ჰაელ'უ (ინხ. ჰელ'უ) : ბეყ. ჰელ'ო (ჰუნზ. ჰელ'უ) „სავარცხელი“, „საჩეჩელი“.

2. ხუნძ. მუჰ ~ ანდ.: ჰამ. მუჰუ : ტინდ. მუჰ : ახვ. მუჰი ~ საყ. დიდ. მუჰუმ : ჰინ. მუჰ : ხვარ. მუჰუ (ინხ. მუჰუ) : ბეყ. მუჰ „პურის მარცვალი“.

3. ხუნძ. ჰოლო ~ ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ტინდ.: კარ.: ახვ. ჰალი : ჰამ. ჰალ ~ საყ. დიდ. ჰილ : ჰინ. ჰილუ : ხვარ. ჰელ (< \*ჰელ) : ბეყ. ჰოლო (ჰუნზ. ჰელუ) „ლობიო“, „ცერცვი“.

4. ანდ.: ჰამ. ჰინ'ჰინ' <sup>223</sup> : ბოთლ. ჰინ'ჰინ' : ღოდ. ჰინ'ჰინ' : ჰამ. ჰინ'ჰინ' ~ საყ. დიდ. ჰენემ : ხვარ. ჰინ'ჰინ' : ბეყ. ჰინ' (ჰუნზ.) „მსხალი“.

5. ანდ. ჰარ-კუ : ბოთლ. ჰად <sup>224</sup> : ღოდ. ჰადი : ტინდ. ჰა-კად : ჰამ.: ბაგვ. ჰა-ჰა (< \*ჰა-ჰა) : კარ. ჰარ-ჰა : ახვ. კეჰა (< \*ჰეჰა) ~ ბეყ. ჰინდ (ჰუნზ. ჰარე) „თვალი“.

6. ანდ. ჰინ.: ბოთლ. ჰირი : ბაგვ. ჰერ : კარ. ჰერი.: ახვ. ჰინი ~ ბეყ. ჰინ' (ჰუნზ. ჰინ'დ) „სისხლი“.

7. ხუნძ. ჰაორ ~ ანდ.: ბოთლ. იჰურ : ჰამ. იჰრა : ბაგვ. ილჰა (<\*იჰლა) : კარ. იჰურ : ახვ. იჰორა „ტბა“.

<sup>222</sup> ჰს არ აღადგენენ არა მარტო საერთო-დაღესტნურში [ბოკარევი 1961, 58; 1981, 17-34; გიგინეიშვილი 1977, 124], არამედ ლეზგიურ ენათა ერთობის ხანისთვისაც [თაღობოვი 1980, 326].

<sup>223</sup> ფუძე რედუპლიცირებულია [გულაგა 1954, 706].

<sup>224</sup> ტ. გულაგას ეს სახელი ჰს სარეკონსტრუქციოდ მოჰყავს [1979, 200], მაგრამ, როგორც ჩანს, არ ითვალისწინებს ხუნძურისა (ზერ „id.“) და ზოგი ანდიური ენის (ანდ., ტინდ., ბაგვ., კარ., ახვ.) მონაცემებს [იხ. ბურჯულაძე 1986, 14], რომლებშიც „თვალი“ კომპოზიტი უნდა იყოს, მაგ.: ანდ. ჰარ-კუ < \*ზარ-კო < \*ზარ-კოლ, კარ. ჰარ-ჰა < \*ზარ-კალ (შდრ. ხუნძ. ბერკალ < ბერ-კალ ზედმიწ. „თვალ-პირი“). სემანტიკური გადააზრიანებისას „პირის“, „ლოყის“, „თვალის“ შინაარსისადმი შეთავსებას დიდი დაბრკოლება არ უნდა ხედებოდეს, ვინაიდან „თვალის“ სემანტიკაშიც შეიძლება გადაიწიოს, მაგ.: თორპილი < თოლ-პირი < თვალ-პირი „პირისასე“, „ლოყა“ [კინჭარაული 1960, 13]. ახვ. ენაში, თუ მეტათეზისი (კეჰა < ჰეჰა) არ გვაქვს, რაც, ზმოვანთა არაკანონობიერი ფარდობის გამო, ნაკლებსავარაუდოა, მაშინ მისი ახსნა ზემოწარმოდგენილის ანალოგიური ვერ იქნება. ხომ არ არის ამ ლექსემის პირველი მარცვალი კე-და („ორი“) რიცხვითი სახელიდან წარმოქმნილი: \*კედაზარ > \*კეჰარ > კეჰა?

## 6.4. ხონორები

6.4.1. ვიბრანტი \***რ**. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთობის ხანისათვის ამ ენათა ძირეული ლექსიკის შესადარებელ ერთეულთა გვი-ვალენტებად რეკონსტრუირდება ისტორიული ვიბრანტი \***რ**. იგი, თუ კომბინაციურ ცვლილებებს არ მივიღებთ მხედველობაში (**რ** > **ლ**, **რ** > **ნ**, **რ** > **მ**, **რ** > **ჟ**...), უცვლელად არის დაცული, ხვარშიულის გამოკლებით, რომელშიც **რ** კანონზომიერ და რეგულარულ შესატყვისად **ლ** ლატერალს (\***რ** > **ლ**) გვიჩვენებს<sup>235</sup> [მიქაილოვი 1958, 110-111; გულავა 1964, 51-54; 1979, 58].

საფიქრებელია, რომ ფუძენაში კლას-კატეგორიის ნიშნისეული **რ** (< \***ლ**) და საერთო-დადესტურის **რ** ერთმანეთს დაემთხვა. აქედან გამომდინარეობს, რომ \***ლ** > **რ** ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ამ ენათა დაშლას, ამიტომ ანლაუტში ეს შესატყვისობა რეგულარულია და, როგორც ტ. გულავა წერს: „...ყოველგვარი გამონაკლისი ექვს იწვევს“ [გულავა 1979, 58]. ფორმანტიბიდან შესატყვისობის მწყობრ სისტემას ამჟღავნებს კლასის ნიშანი, რომლის გენეზისი სპეც. ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი [ჩიქობავა 1979, 110].<sup>236</sup>

\***რ** პოსტულირდება შესატყვისობის ქვემომოყვანილი ფორმულის მიხედვით:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოლ.	ჟამ.	ტინდ.	ბაგ.	კარ.	ახვ.	საკ.	ლილ.	ჟინ.	ხვარ.	ბეუ.
რ	რ	რ	რ	რ	რ(ა, ჟ)	რ	რ	რ	რ	რ(ლ)	რ	რ	ლ	რ(ა)

1. ხუნძ. -**რა** (ანწ. -**რი**) : ~ ანდ. -**რ** : ახვ. -**რი**, -**რი** ~ საკ. ლილ.: ჟინ. -**რე** : ხვარ. -**ლა** : ბეუ. -**მა** (-**რო**) „აორისტისა და ნამყოს მიმღეობის სუფიქსი“.<sup>237</sup>

<sup>235</sup> მნიშვნელობა არ აქვს **რ** ფუძისეული მორფემის კუთვნილებათა (რაც იშვიათია), თუ ფორმანტისეულია, ხვარშიულში **რ** > **ლ**. სპორადულად გვხვდება გამონაკლისებიც, მაგ.: საკ. ლილ. ზირუ : ხვარ. ზარუ „მელა“, თუმცა შესაძლოა, ამ შემთხვევაში **რ** < \***ლ** [ბოკარევი 1981, 19; გიგინეიშვილი 1977, 69]. **რ** > **ლ** შეინიშნება ლაკურში, დარგულსა და არჩიბულში [გიგინეიშვილი 1977, 67]. ეგვეპ პროცესი ნიშანდობლივია საკ. ლილ. ენის თქმებისთვისაც [იმნაიშვილი 1963, 39], მაგ., სავ. ლ'ორი > ტლაც. ლ'ოლი „ომი“.

<sup>236</sup> კლასის ოდინდელი ექსპონენტი ასე იცვლება: **ლ** - **რ** < **ლ** [ჩიქობავა 1974, 50; შდრ. თოფურია 1949, 178-179]. **რ** > **მ** ნიშანდობლივია ჟამ. და ბეუ. ენებისთვის [ანდლულაძე 1968, 41], თუმცა ფაქულტატურად იგი ხდება საკ. ლილოურის ასახის თქმაშიც, მაგ., ხომ (შდრ. ჰუნზ. ხორ > ბეუ. ხომ „id“) „ცხვარი“. ა. ბოკარევი ამ ტიპის ბგერათფარდობას შესატყვისობად არ მიიჩნევს [1940, 57-58].

<sup>237</sup> ამ ფორმანტის გენეზისი ცნობილია [ტრუბეტკოვი 1987, 329-330; ალექსევი 1998, 101].

2. ხუნძ. რაკ ~ ანდ. რაკუო : ბოთლ.: ღოდ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ.: ახვ. რაკუა : ჭამ. ღაკუა (< რაკუა, შდრ. შიშ. რაკა) ~ საკ. დიდ. რაკუ : შინ. რაკუე : ხვარ. ღოაკუა (< \*რაკუა) : ბეყ. ღაკო (< ხამ. რაკო) (ჭუნზ. რაკუ) „გული“.

3. ხუნძ. რა-მანა („გაიგონა“) ~ ბოთლ. რე-ღა : ღოდ.: კარ. რი-ყა : ტინდ. რი-ღა : ახვ. რე-ყ'არი „გაიგეს“ ~ საკ. დიდ. რე-ყ'ა : შინ. რე-ყა : ხვარ. ღი-ყ'ა (ინზ.) : ბეყ. რი-ყალ „ცოდნა“, „ცნობა“.

4. ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ტინდ.: კარ.: ახვ. რიტო : ჭამ. ღიტო (< რიტო) : ბაგვ. რიტო ~ საკ. დიდ. რელ' : ხვარ. ღილ' „ხორცი“.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სიტყვის ანლაუტში რ-ს შესატყვისობის ეს მწყობრი სისტემა ყველა საკვლევ ენაში მკაცრად არის დაცული, თუმცა დილოურ ენათა ინლაუტსა და აუსლაუტში იგი ირღვევა — ძირეულ ლექსემათა ერთ წყებასა და მორფოლოგიურ ინვენტარში მოსალოდნელი რ-ს ადგილას ღ დაჩნდება [ლომთაძე 1963, 77]. აქედან გამომდინარე, ხსენებულ ფონოლოგიურ პოზიციებში სინქრონიულ დონეზე შესატყვისობის ორი ფორმულა: 1) საკ. დიდ. რ : შინ. რ : ხვარ. ღ : ბეყ. რ; 2) საკ. დიდ. რ : შინ. რ : ხვარ. ღ : ბეყ. ღ. წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს:

	საკ. დიდ.	შინ.	ხვარ.	ბეყ.		
1)	ჭერუ ცარ აღ'ურ ჭორუ	ქორო ცარა ღემერ ჭორუ	ქულა ცალ ღაბალ ჭოღ	ქურო ცარუ ჭაბორ ჭარუ	(> ქუწო) (> ცა'ღო) (> ჭაბოღ) (> ჭა'ღო)	„ხეობა“ „ღვია“ „წისქვილი“ „იღაყვი“
2)	გერ რორი ბერო ბე-ზორა	ქერ რორე ბორე ბო-ზორე	ქელ ლოღა ბეღო ბე-ზოღა.	ქიღ ჭაღო ბოღო ბი-ზოღო		„რკინა“ „ტერფი“ „ყინული“ „გრძელი“, „შაღალი“

დილოურ ენათა მკვლევრები, მართალია, რ : ღ შესატყვისობის კონსტატაციას ახდენენ, მაგრამ მისი დარღვევის (ე. ი. თუ რატომ არის ბეჟიტურში ხან რ : რ, ხან კი რ : ღ) მიზეზი დღემდე არ იყო გამოვლენილი [იხ. არდოტელი 1999, 86; შდრ. ღომთაძე 1998, 327].

ბუნებრივია, უნდა გაირკვეს: თუ ამ შესატყვისობის წვერები (რ : ღ) ერთი და იმავე არქიფონემისაგან მომდინარეობენ, მაშინ ბეჟიტური ენის მეორე რიგის მაგალითებში რით არის შეპირობებული რ ვიბრანტის ღ ლატერალში გადასვლა?<sup>238</sup>

<sup>238</sup> თეორიულად მოულოდნელია, ერთმა ამოსავალმა ფონემამ იდენტურ ფონოლოგიურ გარემოცვაში ერთ ქრონოლოგიურ დონეზე სხვადასხვა რეფლექტებ წარმოქმნას და, შესაბამისად, ორგვარი შესატყვისობით დაგვიდასტურდეს.

შინაგანი რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბეეტის თქმაში საერთო წარმომავლობის რ ინტერვოკალურ პოზიციაში ხან მ-ს სონანტს გვაძლევს, ხანაც — ჟ სონანტს, სხვა პოზიციებში კი ჩვეულებრივ მ-დ ტრანსფორმირდება, რასაც მოკლებულია მეორე რივის შესატყვისობის საერთო სავარაუდო ამოსავალი რ, მაგ.: ჰუნზ. ჰორუ > ბეე. ჰამო „იდაყვი“ (შდრ. ჰუნზ. ქალე : ბეე. ქალო „წული ღობე“).

რაც შეეხება დ კლასის ექსპონენტისაგან მომდინარე რ-ს, იგი ოდენ მ სონანტს გვაძლევს.

თუ ამ ჩვენებას გავითვალისწინებთ, აუცილებელი გარდუვალობით დასკვნის საკითხი 1) და 2) პუნქტებში წარმოდგენილ შესატყვისობათა ულოთიერობისპარტების შესახებ: გამოიყვანება მეორე პუნქტში წარმოდგენილი შესატყვისობა პირველისაგან, თუ მათ სხვადასხვა არქიფონემა უდევთ საფუძვლად?

ამოსავალი რ-ს რეფლექსაციის საკითხი განხილულ უნდა იქნეს საერთო-დადესტნურ დონეზე, ვინაიდან ანდიურ-დიდოურ ენებში რ და ლ წარმოდგენილია ზუსტი დისტრიბუციის გარეშე [გიგინეიშვილი 1977, 68].

ლაკურ-დარგულისა და ლეზგიურ ენათა სათანადო ბაზისურ ლექსიკასთან შედარება ცხადყოფს, რომ დიდოურ ენათა საკ. დიდ., ჰინ., ბეე. რ : ხვარ. ლ შესატყვისობის ფორმულაში საერთო ამოსავლად რ რეკონსტრუირდება. ზოგი სახელის ანლაუტში ხმოვნის წინ (მეტწილად) და აუსლაუტში (შედარებით ნაკლებად) დ თანზოვნისაგან მომდინარე რ დანდება („ვული“, „ხორცი“...), ხოლო ამავე ფონოლოგიურ პოზიციებში და ინლაუტში — საერთო-დადესტნური რ, რომელიც ხშირად ამა თუ იმ სახის ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის, თუმცა ორივე ფონემა, მათი ფონიური რაგვარობიდან გამომდინარე, ერთნაირ შედეგს გვაძლევს: \*დ > რ > ლ, \*რ > ლ. ქრონოლოგიურად \*დ > რ > მ სპონტანური ფონეტიკური პროცესი წინ უსწრებს \*დ > რ > ლ<sup>239</sup> პროცესს, ხოლო ბეე.-ში რ > მ შედარებით გვიანდელია. მართალია, ანლაუტში დ-სგან მომდინარე რ დანდება, მაგრამ ამავე პოზიციაში არ არის გამორიცხული საერთო-დადესტნური რ-ს არსებობაც, თუმცა მათი ჭეროვნად გამიჯნვა ძალიან ძირს [შდრ. გიგინეიშვილი 1968, 246].

რაც შეეხება საკ. დიდ., ჰინ. რ : ხვარ., ბეე. ლ შესატყვისობის საკითხს, მასში არქეტიპად ლ სონორი უნდა მივიჩნიოთ.<sup>240</sup> საერთო პროცესად ლ საკ. დიდოურსა და ჰინუზურში რ-ს გვაძლევს. ლ > რ პროცესი მართებულობას მხარს უჭერს ბეეტიური ენის დიალექტების სისტემაში — ბეეტის თქმაში ლ > მ არ ხორციელდება. გარდა ამისა, ამ პროცესის განხორციელების დამაჩერებლობას მატებს დადესტნის სხვა ენათა

<sup>239</sup> ამ პროცესის შესახებ ინტერვოკალურ გარემოებაში დ > რ > ლ, რაც წინა ნაწილში უკვე აღვნიშნავთ [ჯეჯეია 1959, 104].

<sup>240</sup> ეს პროცესი ანტიფიციური საშუალებაა ამოსავალ ლ და რ სონორთა უდრეკობის გააძვირებელი.

მონაცემებიც, რომლებშიც ლ-ს ეკვივალენტად ან იგივე ფონემა გვხვდება, ანდა სათანადო რეკონსტრუქცია ამოსავლად ლ-ს წარმოაჩენს.

გარდა ზემოთქმულისა, მეორე რიგის შესატყვისობა, რომელსაც თავდაპირველად ლ ელო საფუძვლად, მხოლოდ და მხოლოდ ინლაუტსა და აუსლაუტში დასტურდება.

ვარაუდობენ, რომ ანლაუტში საერთო-დადესტნური ლ არ არსებობდა [გიგინეიშვილი 1977, 68]. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ საერთო-დადესტნურმა \*ლ სონორმა სწორედ ინლაუტსა და აუსლაუტში — ისტორიულად მის კუთვნილ ფონოლოგიურ პოზიციებში — მოგვცა კანონზომიერი ფონემური შესატყვისობა.

**6.4.2. ლატერალი \*ლ.** ფუძეენისეული რეზონანტი ლ, როგორც ცნობილია, ხუნძურში შემონახულია ორი პოზიციური ვარიანტით: რ (ე-ს შემდეგ), ლ (ყველა სხვა პოზიციაში) [გიგინეიშვილი 1968, 243]. ტ. გუდავას შეხედულებით, ისტორიული ლ დიდ. ენებში ამავე სახით გვხვდება, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში იკარგება, ან რ ვიბრანტით იცვლება [გუდავა 1979, 59], რაც კორექტირებას საჭიროებს. \*ლ > რ (საქ. დიდ., შინ.), ხოლო სხვა დიდ. ენებში ამოსავალი ლ უცვლელად არის დაცული [არდოტელი 1999, 84-86].

შესატყვისობის ფორმულა, რომლის მიხედვითაც \*ლ-ს რეკონსტრუქციას ვახდენთ, ასე გამოიყურება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჟამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ანვ.	საკოდ.	შინ.	ხვარ.	ბეჟ.
ლ	ლ/რ	ლ/რ	ლ/რ	ლ/რ	ლ/რ	ლ/რ	ლ/რ	ლ/რ	ლ/რ	რ	რ	ლ	ლ

1. ხუნძ. ხალათაბ ~ ანდ. ბეხჟულა : ბოთლ. ბეხჟულა : ჟამ. ბეხჟულაბ : ტინდ. ბეხჟულაბ : ბაგვ.: კარ. ბეხჟულაბ : ანვ. ბეხჟულაბე (< \*ბეხჟულაბე) ~ საქ. დიდ. ბეხორა : შინ. ბოხორე : ხვარ. ეხორა : ბეჟ. ბიხალო (ჰუნზ. ბეხჟლ) „გრძელი“.

2. ხუნძ. -ალ ~ ანდ. -ოლ : ბოთლ.: ლოდ. -ლ : ბაგვ.: ანვ. -ლი : კარ. -ლ- ~ ხვარ. -ლე (ინხ. \*-ლა)<sup>241</sup> : ბეჟ. -ლა „მრავლობითი რიცხვის ერთ-ერთი ნიშანი“<sup>242</sup>.

<sup>241</sup> რელიქტურად არის შემონახული ზოგ სახელში, მაგ., ქო-ლა (შდრ. ქო „თმა“) „თმები“ [ლომთაძე 1960, 375].

<sup>242</sup> შ. ალექსევი ს.-ანდ.-ში \*-ლი ფორმანტს აღადგენს [ალექსევი 1988, 128]. მაშინ საკითხავია: რა კვალიფიკაცია მიეცემა ხუნძ. -ა- (-ალ) ~ ანდ. -ო- (ოლ) ხმოვნით ელემენტს, რომელიც კანონზომიერ შესატყვისობას გვიჩვენებს?

3. ხუნდ. ცა (< \*ცალ) ~ ანდ. სოლ : ბოთლ.: ტინდ.: ბაგვ. სალუ : ქამ. სალუ : კარ. სალი : ახვ. ჩილო ~ ხვარ. სელ (ინხ. სილა) : ბეე. სილა „ბილი“.

4. ანდ. ჟალა : ბოთლ. ჟოლა : ქამ. ზალა ~ საკ. დიდ.: შინ. ვიბრა : ხვარ. ეებლა : ბეე. შებლო (ხაშ. სებლო) „გვერდი“, „ნეკნი“.

5. ბოთლ.: ქამ.: ბაგვ.: კარ.: ახვ. ჰალა : საკ. დიდ. არა : შინ. ალი : ხვარ. ალა : ბეე. ალე (ჰუნზ. ალე) „ტოტი“.

6.4.3. ნაზალური \*შ. ამოსავალი მ რეალიზებულია ყველა ფონოლოგიურ პოზიციაში და ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი<sup>243</sup> [გუდავა 1979, 60]. საილუსტრაციო მაგალითები:

1. ხუნდ. ციმ/ცინ ~ ანდ.: ქამ.: ბაგვ. სიმ : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: ახვ. სიმი : კარ. სიმე ~ საკ. დიდ. სემი : ხვარ. სიმე : ბეე. სიმო „ნალველა“.

2. ხუნდ. მიწა ~ ანდ.: ბოთლ.: ახვ. მიწი : ლოდ.: ტინდ. მიცი : ქამ.: ბაგვ. მიწა ~ საკ. დიდ.: შინ. მეც : ხვარ.: ბეე. მიც „ენა“.

3. ხუნდ. ჩამჩან ~ ანდ. ჩომ : ბოთლ.: ლოდ.: ბაგვ.: ჩამუ : ტინდ. ჩანან (< \*ჩანა) : კარ. ჩამ : ახვ. ჩამა ~ საკ. დიდ.: ხვარ. შომო : შინ. სომო „რამდენი?“

4. ხუნდ. ტ'ომ (შიდ.) ~ ანდ. ტ'ომ : ლოდ. ლამ : ქამ. ცამ : კარ. ტ'ამე : ახვ. ტ'ამი ~ ბეე. ტამო (ჰუნზ. ტამე) „სახურავი“, „ბანი“.

5. ხუნდ. მემერ ~ ანდ. მაჰარ : ბოთლ.: ბაგვ. მიჰარ : ქამ. მარა : ახვ. მიმა ~ საკ. დიდ. მჰალი : შინ. მალუ : ხვარ. მჰანე : ბეე. მჰარჰ (ჰუნზ. მარუ) „ცხვირი“ > „გორი“ > „მთა“.

6.4.4. ნაზალური \*ნ. ამოსავალი ნ-ს დისტრიბუცია თავისუფალია და, თუ ნ:მ სუბსტიტუციას არ გავითვალისწინებთ, ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი [გუდავა 1979, 62]. საილუსტრაციო მაგალითები:

1. ხუნდ. წე (< \*წან) ~ ანდ. წიმა (< \*წინა) : ბოთლ.: წინალ'ი : ლოდ. წენალ'უ : ქამ. წინალ'ინჯ-წინოლ'ი ~ საკ. დიდ. ჩანმა : შინ.: ხვარ.: ბეე. ცან „თხა“.

2. ხუნდ. ნაწა ~ ანდ. ნოწი : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: ახვ. ნაწი : ქამ.: ბაგვ. ნაწა : კარ. ნაწე ~ საკ. დიდ ნოცი : შინ. ნოცე : ხვარ. ნუცა : ბეე. ნაცო „ტილი“.

ხშირად გვხვდება ისეთი მაგალითები, რომლებშიც რეზონანტი ნ, ნაწილობრივი რედუქციის შედეგად, ხმოვანთა ნაზალურობის ელემენტის სახით გარჩენილა:

<sup>243</sup> ხუნძურში, როგორც ცნობილია, აუსლაუტსა და ინლაუტში, თანბრუნის წინ, შ > ნ.

3. ხუნძ. იხა (< \*ნიხა) ~ ბოთლ.: ღოდ. იხხი : (< \*ნიხი) : ახვ. იხე (< \*ნიხე) ~ საკ. დიდ. იჰაუ (< \*ნიჰაუ) : ჰინ. იხუ (< \*ნიხუ) : ხვარ. ე<sup>5</sup> ხუ (< \*ნეხუ) : ბეჟ. ე<sup>5</sup> ხე (< \*ნეხე) „მდინარე“, „შენაკაილი“.

4. ხუნძ. ოც (< \*ნოც) ~ ანდ. უნო (< \*ნუსო) : ბოთლ.: ღოდ.: კარ. უნსა (< \*ნუსა) : ჰამ.: ტინდ.: ბაგვ. მუსა (< \*ნუსა) : ახვ. უ<sup>5</sup>ნა (< \*უნა < \*ნუნა) ~ საკ. დიდ. ის (< \*ნისჰ-) : ჰინ. უ<sup>5</sup>მ (< \*ნიშჰ-) : ხვარ. ე<sup>5</sup>ს (< \*ნეს) : ბეჟ. ო<sup>5</sup>ს (< \*ნოს) „ხარი“.

5. ხუნძ. წან || წამ ~ ანდ. წონ : ბოთლ.: ღოდ.: ტინდ.: ბაგვ.: კარ.: ახვ. წანი : ჰამ. წა<sup>5</sup> (< \*წა<sup>5</sup> < \*წანი) ~ საკ. დიდ. ციგო : ჰინ. ჩიგო : ხვარ. ც<sup>5</sup>გო (< \*ცინო) : ბეჟ. ცა<sup>5</sup> (< \*ცან) (ჰუნზ. ც<sup>5</sup> < \*ცონ) „მარილი“.

როგორც ზემოთხსენილი მაგალითები მოწმობენ, ხუნძურში, საკ. დილოურსა და ჰინუხურში დენაზალიზაციის პროცესი, თუ ამისი პირობები არსებობს, დასრულებულია, ხოლო სხვა ენებში ეს მოვლენა ჯერაც ცოცხალია.

## 6.5. სონანტები

6.5.1. ზოგადი. ე. წ. ნახევარხმოვნების — პალატალური ძ-სა და წყვილბაგისმიერი ჟ-ს — დისტრიბუცია განსაზღვრულია და ისინი რეალიზდებიან როგორც სონანტები, მაგ.: საკ. დიდ. ენიჟუ, ენიჟუ (დიალ. ვარ.) „დედა“, ხვარ. ლიყდოგუ > || ლიყდოჟ „მკოდნე“, ხუნძ. წაჟიხე „წურვა“ — წაჟი „გაწურე!“ და მისთ. როგორც ვარაუდობენ, ისტორიულად ძ და ჟ იმყოფებოდნენ ი და უ ხმოვნებთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში [გულავა 1964, 29; ფენრიხი 1971, 143-158]. თუ გავითვალისწინებთ საანალიზო სონანტების ახლანდელ განაწილებას, მაშინ ეს ინტერპრეტაცია მართებულად უნდა მივიჩნიოთ [არლოტელი 1997, 43-49].<sup>244</sup>

6.5.2. სონანტი \*ძ. ჩვენი მოსაზრებით, პალატალური ძ-ს პოსტულირება, როგორც იმთავითვე არსებული დამოუკიდებელი ფონემისა, დაბრკოლებას აწყდება. იგი დასტურდება მხოლოდ გრამატიკული კლასის ექსპონენტად (ძ < რ) და ი-ს ალოფონად (ძ/ჟ). სხვა ძირეულ მორფემებში მისი ისტორიული არსებობა სათუთა — ამგვარ პოზიციებში ძ ან

<sup>244</sup> არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს აზრი ყ', ყ > ძ, 0 პროცესის მართებულობის შესახებ [იმნაიშვილი 1963, 34]. ამ შემთხვევაში ხდება უ-ს სინკოპირება, რაც შედეგად გვაძლევს ამ ენათათვის უჩვეულო ჰიატუსს. სწორედ ხმოვნათა თავყრის სუპერაცია ძ-ს ჩართვით ხდება, მაგ.: საკ. დიდ. რ-იჟა (< \*რ-იჟა < \*რ-იჟა-ა, შდრ. ხვარ. რ-იჟა „id.“) „კოდნა“ „ცნობა“; ჰინ. ჩიგო (< \*ციო < \*ცინო, შდრ. ხვარ. ცი<sup>5</sup>გო < \*ცინო „id.“) „მარილი“ და სხვ.



ხმოვანთგამყარია, ანდა ფონეტიკური ვარიანტი რომელიმე ბგერისა (ა < რ, დ, ჰ,...).<sup>245</sup>

უნდა ვივარაუდოთ მ-ს ორგვარი წარმომავლობა: ა) ა < რ; ბ) ა/ო. გამომდინარე იქიდან, რომ რ > ა ფუძეენაში უკვე მომხდარი ფაქტია, მ-ს აღდგენა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთიანობის ხანისათვის საკვებით გამართლებულია. იგი, კლასნიშნიან ზმნათა გარდა, გაქვავებული სახით რელიქტურად დაჩნდება ზოგ სუბსტანტივშიც, მაგ.:

1. ხუნდ. ა-აჲ ~ ანდ.: ბოთლ.: ღოდ.: ტინდ.: კარ.: ახვ. ა-აჲთ : ჰამ. ა-აჲ : ბაგვ. ა-ას ~ საკ. დიდ. ესიმუ (< \*ა-ესიმუ): ჰინ. ესსუ (< \*ა-ესსუ) : ხვარ. ეს (< \*ა-ეს) : ბეჟ. ისი (< \*ა-ისი) „და“.

2. ხუნდ. ა-ას ~ ანდ. ა-ოში : ბოთლ.: ღოდ.: ბაგვ.: კარ.: ახვ. ა-აშა „ქალიშვილი“ ~ საკ. დიდ.: ჰინ. უჟი (< \*ა-უჟი) : ხვარ. უჟა (< \*ა-უჟა) : ბეჟ. ოჟო (< \*ა-ოჟო) „ვჟაჟი“ (ისტორიულად „ქალიშვილი“).<sup>246</sup>

რაც შეეხება მ-ს, როგორც ი-ს პოზიციურ ვარიანტს, იგი ფუძეენაში იმთავითვე უნდა არსებულიყო მისთვის კუთვნილ ფონოლოგიურ პოზიციებში — ა გვხვდება მხოლოდ ხმოვნის მეზობლად და ქმნის აღმავალსა თუ დამავალ დიფთონგებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამგვარ შემთხვევაში ა < ი [იზნაიშვილი 1963, 15; ლომთაძე 1963, 19], მაგ.: ჰინ. ესუ-ა (<\*ესუ-ი <\*ესუ-დი) „ძმამ“, ცოა (<\*ციოი <\*ციონი) „არწივი“ და ა. შ. ამ რიგის მაგალითებში მ-ს რეალიზაცია კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს მის სონანტურ ბუნებაზე.

**6.5.3. სონანტი \*ჟ.** ამოსავალი წყვილბაგისმიერი ჟ, მ-სგან განსხვავებით, უფრო ხელშესახებად არის წარმოდგენილი, ვინაიდან იგი დასტურდება, კლასნიშნის გარდა, თანხმოვანთა მიჯრითაც და წარმოქმნის ლაბიალიზებულ კომპლექსებს.<sup>247</sup> ც+ჟ მოდელის ლაბიალიზებული კომპლექსი უდრის ორი დამოუკიდებელი ფონემის არითმეტიკულ ჯამს, რომლის მეორე კომპონენტი ნაირგვარ პოზიციურ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის [გუდავა 1964, 27-28; არდოტელი 1997, 46-49].

მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ზემოხსენებული კომპლექსები მიღებულია ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ბიფურკაციით [იუშმანოვი 1937, 36; გუდავა 1956, 231-232; ლომთაძე 1998, 162-172...], ხოლო სპეციალისტთა მეორე ნაწილი ამ კომპლექსს ფუძეენისეულად მიიჩნევს [ფენრიხი 1971, 149-158; გიგინეიშვილი 1977, 34...].

<sup>245</sup> ტ. გუდავას ვარაუდი [1964, 161] ნაცვალსახელური ა ელემენტის ტრანსფორმაციის შესახებ (ა > ე, ჰ) არ მართლდება [შდრ. იზნაიშვილი 1963, 118, 142].

<sup>246</sup> ღიდ. ენებში უჟი (საკ. ღიდ.) ამჟამად ოდენ „აჟიშვილის“ აღმნიშვნელად გამოიყენება, მაგრამ ისტორიულად „ქალიშვილის“ (საკ. ღიდ. ჰიდ „id“). მეორეულია, შდრ. თურქ. ჰიდ „id“). გამოშხატველიც უნდა ყოფილიყო [გუდავა 1979, 97].

<sup>247</sup> ლაბიალიზებული კომპლექსები აკრძალულია აუსლაუტში, თუმცა ჰამ. და ბაგვ. ენათა ზოგ თქმაში მიინც ხდება ამგვარი თანხმოვანთგუფების შექმნა [გუდავა 1964, 27].

ჩენი შეხედულებით, ლაბიალიზებულ კომპლექსებშიც და მისთვის დასაშვებ სხვა პოზიციებშიც (# — v, v — v, c — v, v — #) უ რეკონსტრუირდება ფუძეენის ქრონოლოგიურ დონეზე და მისი შესატყვისობის ფორმულა ბგერათიგივეობის სახით წარმოგვიდგება.<sup>248</sup> საილუსტრაციო მაგალითები:

1. ხუნძ. \*ჟ-ამანა („მოისმინა“) ~ ბოთლ. ჟ-ელა („გაიგო“): ლოდ.: კარ. ჟ-იყა : ტინდ. ჟ-იმა : ახვ. ჟ-ეყ'არი „გაიგო“ ~ საკ. დიდ. ღ-ეყ'ა (< \*ჟ-ეყ'ა) : შინ. ღ-ეყ-ა (< \*ჟ-ეყ-ა) : ხვარ. ღ-იყ-ა (< \*ჟ-იყ-ა) : ბეე. ღ-იყ-ალ (< \*ჟ-იყ-ალ)<sup>249</sup> „ცოდნა“.

2. ხუნძ. ჰჟეე ~ ანდ. ხოე (< \*ხჟაე) : ბოთლ.: ლოდ.: ჰამ.: ტინდ.: კარ. ხჟაე : ბაგე. ჰჟაე : ახვ. ხჟე ~ საკ. დიდ. ღ'ჟაე : შინ.: ხვარ. ღ'ჟე : ბეე. ჟო (< \*ღჟო) „ძალი“.

3. ხუნძ. რაკ (< \*რაყჟა) ~ ანდ. როყჟო : ბოთლ.: ლოდ.: ტინდ.: ბაგე.: კარ.: ახვ. რაკჟა : ჰამ. მაყჟა ~ საკ. დიდ. როყუ (< \*როყჟი) : შინ. როყჟე : ბეე. მაკო (< \*მაყჟო) „გული“.

საგულისხმოა, რომ ე+ჟ მოდელის ლაბიალიზებული კომპლექსი ნა-სესხები მასალის ანლაუტში, ხოლო ძირეული ლექსიკის აუსლაუტში გამარტივების ტენდენციას ამჟღავნებს — იკარგვის ლაბიალიზებული ელემენტი (მეტწილად) ან ძირითადი თანხმოვანი (იშვიათად). ცნობილია, რომ ბეეიტური ენის ძირეულ სახელთა ანლაუტში ეჟ > ჟ [ლომთაძე 1963, 21].

დასასრულ, წარმოვადგენთ შესატყვისობათა ძირითადი ფორმულების სინოპტიკურ ტაბულას, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ამოსავალ რეფლექსებზე. დიალექტური და არაძირითადი პოზიციური ვარიანტები ცალკეულ ტაბულებში არის ასახული.

<sup>248</sup> ცხადია, აქ არ იგულისხმება კომბინაციური ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული ჟ.

<sup>249</sup> ინიციალური კლასის ნიშნით არის წარმოდგენილი „ჰჟა“, „ჟეეჟეილი“ და მისთ. [გულაია 1979, 56].





## VII თავი

### ფონეტიკური პროცესები თანხმოვნებში

7.1. დელატერალიზაცია. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კავკასიურ ენათა ლატერალები უძველესი ფორმაციის თანხმოვნებიაო [ვან-გინეეენი 1938, 25-26]. ეს თვალსაზრისი სამართლიანად იქნა უარყოფილი: „ლატერალები რომ თანხმოვანთა ძველისძველ სერიას წარმოადგენს კავკასიურ ენებში, სარწმუნო არ ჩანს“ [ჩიქობავა 1979, 75; იხ. აგრეთვე ახვლედიანი 1999, 414-415].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში მქდერი ლატერალების კვალი რელიქტის სახითაც არსად ჩანს,<sup>250</sup> თუმცა ზოგ მკვლევარს მათი პოსტულირება შესაძლებლად მიაჩნია [ტრუბეცკოი 1987, 244-245; შდრ. ცერცვაძე 1965, 53; კახაძე 1959, 311-312]. მქდერი ლატერალების არსებობა ფუძეენაში შეიძლება ვივარაუდოთ მარტოოდენ სისტემის სიმეტრიულობის გათვალისწინებით, სხვა ხელშესახები ფაქტები მათი რეკონსტრუქციისათვის არ მოგვეპოვება. არამცთუ საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურში, არამედ მქდერი ლატერალის არსებობა აღმოსავლურ კავკასიურ ფუძეენაშიც კი სარწმუნოდ არ მიიჩნევა [კახაძე 1959, 311].

საყურადღებო თვალსაზრისებია გამოთქმული ლატერალურ თანხმოვანთა ჩამოყალიბებისა და ევოლუციის შესახებ. გასაზიარებელი ჩანს ლატერალთა წარმოქმნა შესაბამისი ველარული თანხმოვნების გაპალატალების გზით [ტრუბეცკოი 1987, 243; გულდავა 1954, 61-65].

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკანაენისმიერთაგან ლატერალების წარმომავლობის შემთხვევაში ველარულ თანხმოვნებს მარტივი ლატერალი (ლ) ან მისი ტიპის რომელიმე თანხმოვანი ახლდა მეორე კომპონენტად, რომელთა შერწყმითაც შეიძლებოდა მიგველო ლატერალები (კ+ლ>ტ', ქ+ლ>ლ', ხ+ლ>ლ'). მიუთითებენ, რომ საკ. დიდ. ტაპო („თხევადი ნაკელი“) შეთვისებულია ქართულიდან (შდრ. ტაპო) [მეგრელიძე 1955, 230]. თუ ეს ვარაუდი სინამდვილეს შეეფერება, მაშინ ტა < ტლ. მართალია, ამ მაგალითში ტა გვიან წარმოქმნილია, მაგრამ საყურადღებოა ლატერალთა ფორმირების თვალსაზრისით.

სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია ლატერალური აბრუპტივი აფრიკატების გენეზისის დადგენის ცდა, რაც ასე გამოიხატება: ტ' < \*ჯ < კ [ლომთაძე 1962, 299], ტა < კა [გულდავა 1954ა, 55-61]. ყველა საკვლევე ენის მონაცემთა გათვალისწინებით, მთლიანი პროცესი ასე წარმოიდგინება: \*კ > \*ჯ > ტ' > ტა; \*კა > \*ჯა > ტა > ლ'. ანალოგიურად მოიზრება აფრიკატთა წყების ფშენიერი ლატერალების წარმოშო-

<sup>250</sup> არჩიულში მიუთითებენ მქდერ აფრიკატ გაზე, რომელიც ბგერათკომბინაციით არის მიღებული [კახაძე 1979, 42].

ბა, რომლებიც საბოლოოდ სპირანტებად გარდაიქმნებიან: \*ქ > \*ქ' > ლ' > ლ'; \*ქა > \*ქა' > ლ'ა > ლ'<sup>251</sup> (ლატერალთა გენეზისის საკითხები სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, რაც ჩვენი შრომის მიზანს სცილდება).

ერთი რამ ცხადია: ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სინამდვილეში დასტურდება ექვსი ლატერალი, რომელთა არსებობა ფუძეენაში ექვს არ უნდა იწვევდეს.<sup>252</sup>

ამჟამად თვალშისაცემია ლატერალთა მოშლის ტენდენცია, რაც სხვადასხვა ენებსა და თანხმოვანთა სხვადასხვა სერიებში არათანაბრად არის რეალიზებული [კახაძე 1979, 46-47]. ამ თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი უჭირავს ხუნძურს, საკ. ანდიურსა და დიდოურ ენებს, რომლებშიც ლატერალურ თანხმოვანთა ელიმინაცია სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესებით არის შეპირობებული.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დღესდღეობით ხუნძური ენის ხუნძახურ დიალექტში ოთხი ლატერალი (ლ', ტა, ლ', ლ'ა) დასტურდება, ხოლო კარულს არც ერთი მათგანი აღარ შერჩენია. ისტორიულად კი კარულ დიალექტში ხუთი ლატერალი (ლ', ლ'ა, ტა, ტ', ლ'ა) უნდა ყოფილიყო გარჩეული. ლატერალთა რღვევის მაგისტრალური ხაზი, როგორც ცნობილია, ხუნძახურიდან კარულისაკენ მიემართება [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 69].

**7.1.1. ლატერალურ აფრიკატთა დელატერალიზაცია.** ამოსავალი ინტენსიური ფშვინვიერი აფრიკატი ლ', რომელიც ოდენ ახვახურსლა შემოუნახავს, სხვა ენათა მეტ წილში სპირანტიზაციის საფუძველზე ლ'-დ ქცეულა და ამოსავალ ლ'-ს დამთხვევია. დიფუზური ლ' ხუნძურის დიალექტებში ოდინდელ ლ'-ს ანალოგიურ რეფლექსებს (ანწ. თ, ანდალ.-ყარახ. ლჰ, ლ, ჰ, კარ. ჰჰ, შ) გვიჩვენებს, ბოთლიხურ ენასა და ბაგვალურის ზოგ თქმაში ჰ, ლჰ რეფლექსებს გვაძლევს, ხოლო დიდოურ ენებში ლ' > ლ (ხვარ., ბეე.), მაგ.: ახვ. მილ'ო — ხუნძ. მალ' (ანწ. მათ, კარ. მაჰჰ), ბოთლ. ჰუმ („ჩლიქი“), ბაგვ. მიჰუ, ხვარ. მოლუ > მონუ (ინხ.), ბეე. მრლუ (ჰუნხ.) „ფრჩხილი“; ახვ. ლ'ეჟ — ანდ. ლ'ედერ, ბოთლ. ჰედირ, ბაგვ. ჰერერ „ხბო“, ხვარ. ლ'ედ, ბეე. ლედ „ირემი“, „შველი“ და სხვ.

გასაგები მიზეზების გამო, მეტი მდგრადობით გამოირჩევა მაგარი

<sup>251</sup> ე. ლომთაძე ტა და ლ' ლატერალთა სათვალის ერთ პრაფონემას (\*გ, ჯ) აღადგენს [ლომთაძე 1962, 304], რაც ექვს ბაღებს [იხ. ცერცვაძე 1965, 53].

<sup>252</sup> საფუძველს მოკლებულია რ. ლაფონის მტკიცება, თითქოს ახვახურში ფშვინვიერი ლატერალი ახალი მოვლენაა [ლაფონი 1963, 21]. ახვახური არქაიზმებით გამორჩეული ენაა და მისი განხილვა სხვა ანდიურ ენათაგან განსხვავებულად გაუმართლებელია [იხ. ტრუბეცკო 1987, 237].

ლატერალური აფრიკატი \*ლ', რომელიც ან დატულია უცვლელად (ანდ. ენები), ანდა სპირანტიზაციას განიცდის: \*ლ' > ლ' (დიდ. ენები). ამ მხრივ, გამონაკლისს კმნიან ხუნძურის სამხრული დიალექტები, რომლებშიც ლ' დაემთხვა ლ'ს სპირანტს (შიდ., ანდალ. ყარახ.) და ქარულში ორივე ლატერალმა (\*ლ', ლ' < \*ლ') შედეგად მოგვცა ჰჰჰჰ, ჰ, შ სახესხვაობები [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 67].

არამაგარი ტ'-ს დელატერალიზაციის პროცესი ნათლად არის წარმოდგენილი ანდიური ენის თქმებში: \*ტ' → ლც (დაღათლი)  $\begin{matrix} \swarrow \\ \searrow \end{matrix}$   $\begin{matrix} \text{ლ (ანდი)} \\ \text{ც (ზილო)} \end{matrix}$  [ცერცვაძე 1965, 47]. ანალოგიური ვითარება გვაქვს ხუნძური ენის ანდალალურ-ყარახულ დიალექტში. ამ პროცესებს, შ. მიქაილოვის დაკვირვებით, „აქვთ ერთი გენეტური საფუძველი“ [მიქაილოვი 1958, 94]. უპირატესად ამავე ხაზს მისდევს ანდიურ ენათა მეტი წილი [გუდავა 1964, 133]. ქარული დიალექტის თალურ თქმაში ტ' > კჰ, რაც არამაგარ (კჰ) და მაგარ (კჰჰ) რეფლექსთა შერწყმის შედეგია. ანწუხურ დიალექტში თავიჩენილი დელატერალიზაციის პროცესი (\*ტ' > ტ), რაც ფაქტობრივ დეზაფრიკატიზაციას უდრის, ნიშანდობლივია კარ. და ახვ. ენებისათვისაც.

ცნობილია, რომ ისტორიული ტ' დიდ. ენებში გადავიდა ტ-ში, რაც ქრონოლოგიურად \*ტჰ > ლ' პროცესის შემდეგდროინდელია. საკ. დიდოურში სპორადულად შეიმჩნევა ტჰ > კ, მაგ.: ხუნძ. ტ'ჰა<sup>5</sup> (შიდ.) ~ ახვ. ჟუტანა „წავიდა“ ~ შინ. რიტჰა : ხვარ. რი<sup>5</sup>ტჰა : ბეე. მე<sup>5</sup>ტჰა-ალ : საკ. დიდ. რიტჰა (საშ.), რიტჰა, რიტჰა (ქიდ.-ასახ.) „წასვლა“.<sup>253</sup>

საყურადღებოა, რომ ხვარშიულში შეინიშნება სემანტიკური დიფერენციაცია: რი<sup>5</sup>-ტჰა „წასვლა ქვევით“ — რა<sup>5</sup>-კა „წასვლა ზევით“. ლატერალმოშლილმა ფორმამ პირვანდელ ფორმასთან თანაარსებობისას შინაგანი ფლექსია განიცადა და სემანტიკურადაც გადაიწია.

გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში ტ'-ს ადგილს ტ იჭერს, რაც დელატერალიზაციის პროცესს (\*ტ' > ტჰ > ტ > თ) გულისხმობს, მაგ.: ხუნძ. ბოტჰ-იზე ~ ანდ. ჟიტღუ (< ჟიტ'ღუ) ~ ბეე. მატ-ალ (ჰუნზ. მატა) : საკ. დიდ. მეთა (< \*მეტა) „ნდომა“, „სიყვარული“.

ტ'-ს რეფლექსაციის თანამიმდევრული პროცესი ხუნძურსა და ანდ. ენებში ერთ კანონზომიერებას ექვემდებარება. მასთან, ანდიურ ენათა წყყებაში არ გვხვდება ისეთი რეფლექსი, რომელიც ხუნძური ენის დიალექ-

<sup>253</sup> ტჰ > კჰ > კ პროცესი თვალშისაცემია ქარულ დიალექტში, მაგ.: ბატ (ხუნძახ.) > ბატჰ (ვარ.) > ბაკ (ზაქ.) „წაწლი“; ტა (ხუნძახ.) > კათ (ვარ.) > კო (ზაქ.) „ხლი“ და სხვ.

ტებში არ იჩენდეს თავს და პირუკუ. ეს ერთგვაროვანი ბგერათცვლილება, გამოვლენილი გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან დაშორებულ ენებსა და დიალექტებში, უცილოდ საინტერესოა ენის თეორიის თვალსაზრისითაც.

ხუნძური ენის სამხრული დიალექტების არამდგრადი ბუნება, რაშიც ინტერფერენციულ პროცესებსაც უნდა ედოთ გარკვეული წილი, მკაფიოდ მჟღავნდება ტა-ს რეფლექსაციით. მაშინ, როცა იგი ანდიურ ენებში ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი, ხუნძური ენის ქარულ დიალექტში დელატერალიზაცია თვალსაჩინოდ არის გამოხატული: \*ტა > კა > კა.

**7.1.2. ლატერალურ სპირანტთა დელატერალიზაცია.** ლატერალური სპირანტის ინტენსიური კორელატი, როგორც წესი, ცვლილების ტენდენციას ნაკლებად ამჟღავნებს: ლ'ს (ხუნძ.-ანდ.) > ლ' (დიდ.). გამოხატულის კვლავ ქარული დიალექტი კმნის, რომელშიც ლ'ს > ჰჰჰჰ > შს > შ. ეჭვს გარეშეა, რომ ამგვარი შემთხვევის დროს უცხო (ლატერალის უქონელ) ენათა ზეგავლენის ხედრითი წილი დიდია.

რაც შეეხება ლატერალური სპირანტის არაინტენსიურ კორელატ ლ'ს, იგი ცვლილებისადმი მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებს. ამ ლატერალის რეფლექსების სიმრავლე ხუნძურის სამხრულ დიალექტებში დაჩნდება: ლ' → ლჰ → ლ (ანდალ.-ყარახ.), ლ' > ჰჰ, ლ' > ჰჰ > შ (ქარ.)

[ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 68].

დიდოურ ენებში \*ლ'ს გვივალენტად გვხვდება ლ, რ (საკ. დიდ., ჰინ.), ლ (ხვარ.), ჰ, ლ<sup>254</sup> (ბეც.). ისტორიული ლ'ს ევოლუცია და ფონეტიკურ გარდაქმნათა ჯაჭვი ასე წარმოგვიდგება: ლ' → ლჰ → ლ - რ.

ამრიგად, დელატერალიზაციის პროცესი ყველაზე რელიეფურად ხუნძური ენის ქარული დიალექტისთვის არის ნიშანდობლივი. ანდიურ ენათა სინამდვილეში იგი მეტ-ნაკლები ინტენსივობით იჩენს თავს, ხოლო დიდოურ ენებში ეს პროცესი გადაჭკვეულია სხვა სპონტანურ ფონეტიკურ პროცესებთან (ინტენსივობის კორელაციის მოშლა, არაინტენსიურ სპირანტთა გამჟღავნება და ა. შ.).

**7.2. სპირანტთა გამჟღავნება.** სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ამოსავალ ყრუ სპირანტთა არამაგარი კორელატები ხ, შ, ლ', ხ დიდოურ ენებში გამჟღავნების საფუძველზე გარდაიქმნენ შესაბამის ზ, შ, ლ, დ თანხმოვნებად [გუდავა 1979, 94]. არსებობს სხვა თვალსაზრი-

<sup>254</sup> ბეციურში ჰ და ლ პოზიციურად არიან შეპირბებული.



სიც, რომლის მიხედვით დიდოურ ენებში მჟღერდება ოდენ **ს** (**ს** > **ზ**),<sup>255</sup> ხოლო **ლ**, **ღ** თანმოვნები — არა [ლომთაძე 1998, 134, 137-138, 143]. ე. ლომთაძე ფიქრობს, რომ ხდება არა **ს-ს** გამჟღერება (**ს** > **ღ**), არამედ **ღ-ს** გაფშვინვიერება (**ღ** > **ჰ**), რისი გაზიარებაც კირს.

ზევით უკვე გვქონდა შესაძლებლობა გვეჩვენებინა ხუნძ.-ანდ. ენათა **ს**, **შ** სიბილანტური სპირანტების ტრანსფორმაცია **ზ**, **ჟ** სპირანტებად დიდოურ ენებში [იხ. 6.3.2.ბ; 6.3.3.ბ]. მასთან, \***ს-ს** შესატყვისობაზე დამყარებით ვივარაუდეთ, რომ გამჟღერების პროცესი (**ს** > **ზ**) საერთო-დიდოურის დიფერენციაციამდელია.

რაც შეეხება **ს:ზ** შესატყვისობის მიღმა მდგომ რამდენსამე სახელს („დათვი“, „მელა“..., იხ. 123 გვ.), ისინი საწყის ეტაპზე დუბლეტურ ფორმათა არსებობას უნდა გულისხმობდნენ [შდრ. გულავე 1979, 208]. თუ საერთო ამოსავლად **ც-ს** მივიჩნევდით, მაშინ დიდ. ენებში გამჟღერების პროცესი (**ს** > **ზ**) აღარ მოხდებოდა (შდრ. „ერთი“, „კბილი“, „მოყოლა“... იხ. 6.2.2.ბ). ამდენად, \***ც** > **ს** > **ზ** პროცესი შეიძლება გვევარაუდა ერთადერთ შემთხვევაში, თუკი ამოსავალი **ს** და მეორეული **ს** (<\***ც**) დიდ. ენებში ერთმანეთს დაემთხვეოდა. ეს კი, როგორც გარკვეულია, არ მომხდარა, რადგან გამჟღერების პროცესი (**ს** > **ზ**) ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა სპირანტიზაციის პროცესს (**ც** > **ზ**) [გულავე 1979, 208, შდრ. ლომთაძე 1998, 134-135].

გარდა ამისა, **ს** (<\***ც**) > **ზ** ბგერათცვლილება არც ხუნძურისთვის ჩანს ბუნებრივი, ვინაიდან ამ ენაში, ერთი მხრივ, განხორციელდა გასპირანტება-გაშიშინების (\***ც** > **ს** > **შ**), ხოლო, მეორე მხრივ, ოდენ გაშიშინების (\***ც** > **ჩ**) პროცესები, მაგ.: **ოც** → **ოს** → **ოშ**, **ოც** > **ოჩ** „ხარი“ (შდრ. **ცერ** > **სერ** > **შერ**, **ცერ** > **ჩერ** „მელა“).

ლატერალური **ლ** სპირანტის გამჟღერება შუა საფეხურად, ხუნძურის მსგავსად, **ლჰ** კომპლექსს გულისხმობს [იხ. 6.3.4.ა].

\***ს-ს** გამჟღერების შედეგად, ისტორიული \***ღ** და მეორეული **ღ** (<\***ზ**) დიდოურ ენებში ერთმანეთს დაემთხვენ და შემდგომ დიფუზურმა **ღ-მ** ზოგ ენაში (საკ. დიდ., ჰინ., ხვარ.) ფარინგალიზაცია ერთნაირად განიცადა, მაგ.: **ღ** < **ღ** (<\***ზ**) : ხუნძ. ჰტე (<\***ზ**ტე) ~ ანდ. ზოგ ~ საკ. დიდ. **ღ**ტაღ (<\***ღ**ტაღ) „ძალი“, შდრ. \***ღ** : ხუნძ. **ღედო** ~ ბოთლ. **ღანდი** ~ საკ. დიდ. **ღ**ტადი „ყვავი“.

გარდა ამისა, საკ. დიდ. ენის შაფ. და ასახ. თქმებში შეიმჩნევა **ღ-ს** გადასვლა მ ფარინგალურ სპირანტში, მაგ.: **ღ**აღ > **შაღ** „რძე“, **აღ**ურ > **აშურ** „წისკვილი“, **ოღ** > **ოშ** „ბარძაყი“ და მისთ. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფარინგალიზებული თანხმოვანი **ღ** წარმოადგენს გარდამა-

<sup>255</sup> დიდ. ენებში შეიმჩნევა ხშულთა გამჟღერების ფაქტებიც (საკ. დიდ., ჰინ. ათა, ხვარ. ა<sup>5</sup>თა, შდრ. ბეე. ადა „ტყინი“...), მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით სხვა დროს.

ვალ რგოლს ველარულიდან ფარინგალურისაკენ. არტიკულაციურად ღ-ს უკან გადაწევის პოზიციურად შეპირობებული პროცესი ხელშესახებად არის წარმოჩენილი.

**7.3. სისინა სიბილანტთა გაშიშინება.** არამაგარ სპირანტთა (ზ, ს) და აფრიკატთა (ც, წ) გადასვლას შესაბამისი შიშინებში (ჟ, შ, ჩ, ჰ) სისტემური ხასიათი აქვს ხუნძური ენის დიალექტებსა და ახვახურ ენაში [ტრუბეტკოი 1987, 257; ცერცვაძე 1948, 137-141; მიქაილოვი 1958, 98-99; გულავე 1964, 83].

სისინა სიბილანტთა გაშიშინების ფაქტებს ვხვდებით დიდოურ ენებშიც, რომლის კვალიფიკაციისას მკვლევართა შორის არაერთსულოვნებაა [ლომთაძე 1956, 378-379; ბოკარევი 1959, 260-262; იმნაიშვილი 1963, 38-39; მაღიევა 1965, 16; შდრ. გულავე 1979, 43-48].

ნიშანდობლივია, რომ ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტსა და ბათლუხურ კილოკავში  $ს > შ$ . სპირანტი  $ს$ , რომლის გაშიშინებაც ხდება ზემოხსენებულ დიალექტსა და კილოკავში, მიღებულია საერთო ამოსავალი  $შ$  შიშინა სპირანტისაგან ( $ს < *შ$ ), ე.ი. საერთო-ხუნძურ-ანდიურში უნდა მომხდარიყო  $*შ > ს$ , ხოლო შემდეგ ხუნძ. დიალექტებში  $ს > შ$ , მაგ.: ხუნძ. დახ  $>$  (ჰადაქ. დაშ), შდრ. ანდ. ფოშო, ბოთლ. დაშა „ქალიშვილი“; ხუნძ. ნუს-გო  $>$  (ჰადაქ. ნუშუ-გუ), შდრ. ანდ. ბეშო-ნუ-გუ, ბავგ. ბეშენ-და „ასი“ და სხვ. მისთ.

პირველადი  $ს$ -ს გაშიშინების რეგულარული პროცესი, ხუნძურის გარდა, დამახასიათებელია ახვ. ენისთვის, მაგ.: ხუნძ. სონ (ბათლ. შონ) ~ ანდ. სუნ : ახვ. შუნი „გუშინ“, „წელიწადი“; ხუნძ. სანი (ჰად. შანი) ~ ანდ. სონ : ახვ. შანი „კოწახური“...

გაშიშინების პროცესს, როგორც ცნობილია, ემორჩილება ც-სგან მომდინარე  $ს$  სპირანტიც ( $*ც > ს > შ$ ), მაგ.: ხუნძ. ოც (ხუნძახ.)  $>$  ოს (შიდ.)  $>$  ოშ (ჰადაქ.) ~ ანდ. უნსო ~ საკ. დიდ. ის „ხარი“; ხუნძ. ცა (ხუნძახ.)  $>$  სა (შიდ.)  $>$  შა (ჰადაქ.) ~ ანდ. სოლ ~ ხვარ. სელ „ჰბილი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ  $*შ > ს$  და  $*ც > ს$  პროცესები წინ უსწრებდა ხუნძურის დიალექტებში თავჩენილ  $*ს > შ$  პროცესს. როგორც ჩანს, მოხდა მეორეული  $ს$ -ს თანხედენა ამოსავალ  $ს$  სპირანტთან და საერთო  $ს$  გადავიდა შ-ში.  $*ც > ჩ$  ქრონოლოგიურად შემდეგ მომხდარი პროცესია.

რაც შეეხება ახვახურს, ამოსავალი ც-ს გაშიშინება ( $*ც > ჩ$ ) თანამდევია (თანადროულია) სპირანტიზაციისა ( $*ც > ს$ ), რომელიც რეალიზებულია სხვა ანდიურ ენებში. აქედან შეიძლება დავასკვნათ: ხუნძურ ენაში  $ც > ჩ$  (ბათლ.) პროცესი ახვახურ ენაში თავჩენილ ანალოგიურ პროცესზე ( $ც > ჩ$ ) გვიანდელია.

ზ სპირანტს, მართალია, ინტენსივობის კორელაცია არ მოეპოვება, მაგრამ იგი  $ს$ -ს ანალოგიურად იცვლება — ხუნძურის სამხრულ დიალექტებსა (ბათლ., ანწ.) და ახვახურ ენაში ზ მისთვის კუთვნილ ყველა ფონოლო-

გიურ პოზიციაში გაშიშინებას განიცდის,<sup>256</sup> მაგ.: ხუნდ. ზაზ (ხუნდახ.) > ჟა-ჟა (ანწ.) ~ ჰამ. ზაზა : ახვ. ჟაჟა „ეკალი“; ხუნდ. ზარ (ხუნდახ.) > ჟარ (ბათლ.) ~ ანდ. ზა : ახვ. ჟარი „მუშტი“...

აფრიკატთა წყების არამაგარი სისინა სიბილანტების (ც, წ) გაშიშინება ფართოდ არის გავრცელებული ზემოხსენებულ ენებში [ტრუბეცკოვი 1987, 257; მიქაილოვი 1958, 99; გულაევა 1964, 85]. მასთან, ც-ს ორგვარი ცვლილება (გაშიშინება, სპირანტიზაცია) განუცდია: ც > ჩ (ბათლ., ახვ.), ც > ს (ანდ. და დიდ. ენები), მაგ.: ხუნდ. ცო (ხუნდახ.) > ჩო (ბათლ.) ~ ანდ. ხეპ : ახვ. ჩეპ-ე „ერთი“; ხუნდ. ბიცინე (ხუნდახ.) > ბიჩინე (ბათლ.) ~ ანდ. ბოსინეუ : ახვ. მაჩუნულა „მოყოლა“, „თხრობა“ და სხვ.

ამოსავალი ც-ს ტრანსფორმაცია სქემატურად ასე გამოისახება:

$$\begin{array}{ccc} *ც & \rightarrow & ს \\ \downarrow & & \downarrow \\ ჩ & & შ \end{array}$$

ამოსავალი არამაგარი წ-ს გადასვლა ჭ-ში აგრეთვე ხელშესახებად არის გამოხატული ახვ. ენასა და ხუნძურის ზემოხსენებულ დიალექტებში, მაგ.: ხუნდ. ბაწ (ხუნდახ.) > ბაჭ (ბათლ., ჰადაქ.) ~ ანდ. ბოწი : ბოთლ. ბაწი : ახვ. ბაჭა „მგელი“; ხუნდ. ანწ-გო (ხუნდახ.) > ანჭ-გუ (ანწ.) ~ ჰამ. აწა-და : ახვ. აჭა-და „ათი“ და სხვ. მრ.

სისინა-შიშინათა მონაცვლეობით თავისებურებას ამჟღავნებენ დიდოური ენები, რომლებშიც ეს პროცესი არარეგულარული ბუნებისაა და ხშირად პოზიციურად არის შეპირობებული [ლომთაძე 1963, 62; ჰამზათოვი 1975, 17].<sup>257</sup>

ზ/ჟ, ს/შ, ც/ჩ, წ/ჭ თანხმონათა წყვილთა ალტერნაცია არაერთგვაროვნად და სხვადასხვა ლექსიკურ მასალაში შეინიშნება, რაც გარკვეულწილად ართულებს არქეტაპების რეკონსტრუქციას.

სპეციალისტების თვალსაზრისით, საკ. დიდოურის შიშინა და ჰინუხურის სისინა სიბილანტებს შორის დადასტურებულ ფონემათფარდობაში ამოსავლად შიშინა თანხმონათები მიიჩნევა, ხოლო შებერუნებულ ბგერათმიმართებაში — სისინა სიბილანტები [მეგრელიძე 1955, 234-235; იმნაიშვილი 1963, 38-39; ლომთაძე 1963, 72-76].

დიდოურ ენაში დაცულ ამოსავალ სისინა სიბილანტებს ჰინუხურში

<sup>256</sup> ზ ცვლილების იმგვარსავე კანონზომიერებას ავლენს, როგორსაც, საზოგადოდ, არაინტენსიური სისინა სიბილანტები. ეს იმის მაუწყებელია, რომ აკუსტიკურ-არტიკულაციურად სადა თანხმონათი უფრო ახლოს დგას არაინტენსიურ კორელატთან, ვინემ ინტენსიურ სახეობასთან [ჩიქობავა, ეგრეცაძე 1962, 71-72].

<sup>257</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ სისინათა გაშიშინება ხდება მაშინ, როდესაც მათ წინ დგას წინა წარმოების ხმოვნები: ი, ი<sup>0</sup>, მ, ე [ლომთაძე 1963, 62; გულაევა 1979, 46]. უნდა შევნიშნოთ, რომ პალატალიზაციას უკანამავალი ი და ე ხმოვნებიც იწვევენ, მაგ.: ჰი (ჰინ.) < წი (საკ. დიდ.) „ცეცხლი“, ჩიმა (ჰინ.) < ციმა (საკ. დიდ.) „მარილი“, ჟილა (ჰინ.) < ზილიმა (საკ. დიდ.) „თიკრუნი“, „ტყავის ერთგვარი ტომარა“ და მისთ.

ეკვივალენტად შიშინა სიბილანტები მოეპოვება. სისინა თანხმონებთან პირველადობა დამაჩერებლად მტკიცდება ახლომონათესავე ენათა მონაცემებთან შედარებისას [ბოკარევი 1959, 161-162; გულავე 1979, 47], სახელდობრ: 1) ზ (< \*ხ) > ძ : საკ. დიდ. იზუ, შინ. იჟუ, ხვარ. ეზუ, ბეჟ. ოზო (შდრ. ხუნდ. ნისუ, ანდ. ისო „id.“) „ხაჟო“, „მოუხდელი ყველი“; საკ. დიდ. ოზური, შინ. უჟეჟ, ხვარ. ეზალ „თვალ“...; 2) ხ (< \*ც) > შ : საკ. დიდ. ის, ოს (დიალ. ვარ.), შინ. უშე, ხვარ. ეხ, ბეჟ. ოხ „ხარი“...; 3) ხ (< \*ზ) > ძ : საკ. დიდ. ისი, შინ. იშე, ხვარ. ეხა; ბეჟ. ოხ (შდრ. ხუნდ. მაზო, ანდ., კარ. ანზი „id.“) „თოვლი“...; 4) ც (< \*წ) > ჩ : საკ. დიდ. ციტორი, შინ. ჩიტო, ხვარ. ცეტონ, ბეჟ. ცოტა (შდრ. ხუნდ. წონო, ბოთლ., ბაგვ. წუნი, ტინდ. ცუნი „id.“) „ქიპი“...; 5) \*წ > ჭ : საკ. დიდ. ბი-წა, შინ. ბი-ჭა, ხვარ. ბე-წა, ბეჟ. გო-წალ (შდრ. ხუნდ. წა-უნა, ანდ. ბი-წი „აავსო“) „ავესება“; საკ. დიდ. წი, შინ. ჭე, ხვარ. წა, ბეჟ. წო (შდრ. ხუნდ. წა, ანდ., ბოთლ. წაჟ „id.“) „ცეცხლი“.

ც და ხ სიბილანტთა გაშიშინების ფაქტები სპორადულად ხვარაული შიშინებში გვხვდება<sup>258</sup> [ლომთაძე 1998, 135-136], მაგ.: საკ. ხვარ. ჩიკი <\*ციკი (შდრ. საკ. დიდ. ცეკი) „თიკანი“, საკ. ხვარ. ნისსუ — სანტლ. ნიშშუ „წერილი“ და მისთ.

ბეჟიტური ენის დიალექტებსა და თქმებში უპირატესად შიშინათა გასისინება ხდება, თუმცა აქა-იქ საპირისპირო პროცესიც შეიმჩნევა [ლომთაძე 1956, 378; მადიევა 1965, 16], მაგ.: სიკო (ბეჟ.) > შიკუ (შუნზ.) „პირი“, სუკო-ხ (ბეჟ.-ხაშარ.) > სუკო-შ (შდრ. საკ. დიდ. ეჟუ-ხ „id.“) „აკის“, ქილო-ხ (ბეჟ.) > ქილო-შ (ტლად.) „რკინის“ და სხვ.

ზ > ძ > ჟ გავრცელებულია ხვარაულსა და საკ. დიდოურ ენებში [იმნაიშვილი 1963, 37]: საკ. დიდ. -ზო : ხვარ. -ჟო > -ჟო (ინხ.) „მადიექტივებელი ფორმანტი“; საკ. დიდ. აზდაჰუ (მოყ.) > აჟდაჰა (ქიდ.) > აჟდაჰა || აჟდაჰა (ხიბ.) „ურჩხული“ და სხვ. მისთ.

**7.4. შიშინა სიბილანტთა გასისინება.** გარდა სისინა სიბილანტთა გაშიშინებისა, საკვლევ ენათა ერთ ნაწილში თავს იჩენს მაგარ თანხმონებთან ცვლის საპირისპირო ტენდენცია, რომელიც ენათა და დიალექტთა მიხედვით სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი [ტრუბეტკოვი 1987, 258; მიქაილოვი 1958, 100-102; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 72-75; გულავე 1964, 88-93].

ცნობილია, რომ ხუნძურის სამხრულ დიალექტებში ინტენსიური შიშინები, მჟღერი სპირანტის (ჟ) გამოკლებით, შესაბამის სისინებში

<sup>258</sup> საკ. დიდ.-ში გვხვდება ც > ჩ პროცესის ერთი შემთხვევა, მაგ.: ხუნდ. წე (< \*წან-):

შინ, ხვარ., ბეჟ. ცან : საკ. დიდ. ჩანიჟ (< \*ცანიჟ, შდრ. ცან-ი-ლუ „წალი“) „თხა“. ტ. გულავე საკ. დიდ. ჩანიჟ („თხა“) ფორმას ხუნდ.-ანდ. ჩან („ნადირი“) სახელთან აიგივებს [გულავე 1979, 45]. ჩან იმავე მნიშვნელობით საკ. დიდ. ენაშიც დასტურდება, ამიტომ ეს ვარაუდი სარწმუნო არ ჩანს.

გადადიან [ცერცვაძე 1948, 138-139], რაც გამოწვეულია მაგარ შიშინათა საარტიკულაციო თვისებებით (არტიკულაციის გადახრით). ანდიურ ენათა სინამდვილეში ანალოგიური ალტერნაცია ნიშანდობლივია აზვახურისა და ჰამალურისთვის. მეტადრე ჰამალური იქცევს ყურადღებას, რადგან მასში მჟღერი შიშინა სპირანტის გასისინება რეგულარულად ხდება.<sup>259</sup>

საილუსტრაციო მაგალითები:

1) \* $\vartheta > \vartheta$ :

ხუნძ.	ანდ.	ჰამ.	
რაჟი	რაჟი	ლაზი	„ნიორი“
ბოჟანა	ბუჟუ	ბოზა	„დარწმუნდა“
—	ჟალა	ზალა	„ნეკნი“

2)  $\vartheta > \text{ს}$ :

ხუნძახ.	ანწ.	ანდ.	ჰამ.	აზვ.
შო-გო	სო-გუ	იშდუ-გუ	ი <sup>ნ</sup> სო-და	ი <sup>ნ</sup> შათუ-დაბე <sup>260</sup>
ბესანა	—	ბეში	ისა	„ხუთი“ გოსჟერი „მოქსოვა“

სიმპტომატურია, რომ ხუნძურში მეორეული არამაგარი \* $\text{ს}$  გაშიშინებას განიცდის: ანდ. რეშინ, ლოდ. რეში — ხუნძ. სონ (შდრ. ანწ. შონ „id.“) „წელიწადი“; ანდ. ჟოშო, ბოთლ. ჟაშა — ხუნძ. ჟას (შდრ. ანწ. ჟაშ „id.“) „ვაჟი“ და ა. შ.

3) \* $\text{ჩ} > \text{ც}$ :

ხუნძახ.	ანწ.	კარ.	ჰამ.	აზვ.
ჩოუთ	ცოუთ	ჩან-ჩო	—	კან-ცარა
ბიჩანა	ბიცანა (ბათლ.)	ბიჩე	ბიცოუბ	„ხვლიკი“ ბიცჟური „დანესტა“, „დაასველა“

4) \* $\text{ჭ} > \text{წ}$ :

ხუნძახ.	ანწ.	კარ.	ჰამ.	აზვ.
მიჭა	მიწა	მიჭი	მიწაჟ	მიწი
ჭეზე	წელეი	ჭერჭე (ნამყ.)	ბიწალა	„კინჭარი“ ჭეჭურულ <sup>261</sup> „გაჩერება“, „დგომა“

<sup>259</sup> შეიძლება ითქვას, რომ  $\vartheta$  ჰამალურში ინტენსიური კორელატის თვისებებს ამჟღავნებს.

<sup>260</sup> აზვ.-ში ეს პროცესი ( $\vartheta > \text{ს}$ ) ირღვევა [იხ. გულაძე 1980, 206].

<sup>261</sup>  $\text{ჭ} > \text{წ}$  პროცესი ამ მაგალითში არ განხორციელებულა, რისი მიზეზიც არ ჩანს.

შიშინა სიბილანტთა სათანადო ცვლილებებს თანხმოვანთა სისტემაში კარდინალური ძვრები გამოუწვევია, რის შედეგადაც შიშინათა წყებაში შემოგვრჩენია ოდენ არაინტენსიური კორელატები.

ახლა ვნახოთ, ამ თვალსაზრისით, როგორი ვითარებაა დიდოურ ენათა ქვეჯგუფში, რომელიც, მართალია, სიბილანტთა ინტენსიურ და არაინტენსიურ კორელატებს მოკლებულია, მაგრამ შიშინა სიბილანტთა გარდაქმნა შესაბამის სისინებად არც ამ ენათა სინამდვილისთვის არის უცხო [შეგრელიძე 1955, 234-235; ბოკარევი 1959, 262; იმნაიშვილი 1963, 38; ლომთაძე 1956, 379; 1963, 72; გულავა 1979, 43-47; ხალილოვი, რამაზანოვი 1992, 71].

შენიშნულია, რომ ჰინუხურ ენასა და ბეუტის თქმაში სისინა სიბილანტებს სხვა დიდოურ ენებში (ჩს-ს გამოკლებით) შეეფარდება შიშინა სიბილანტები. ამ ბგერათშესატყვისობაში, რომელიც არარეგულარული ხასიათისაა, ამოსავალი ვითარება დიდოურ ენათა უმრავლესობას დაუცავს [ლომთაძე 1963, 73; იმნაიშვილი 1963, 39; შდრ. ბოკარევი 1959, 262]. მაგალითები:

## 1) შ &gt; ზ:

შინ.	საკ. დიდ.	ხეარ.	ბეუ.	
ზოკ-ა	შეკუ-ა	შეკუ-ა	ზეკალ	„ცემა“
ზოკლო	შეკდა	—	ზეკლა	„წისქვილში მარცვლის ჩასაყრელი ყუთი“
ეფი <sup>262</sup>	ეფი	იფი	იზო	„თესლი“

## 2) შ &gt; ს:

სომო	შომო	შომო	ლა-სო	„რამდენი?“
სე	შებ	ჰიბა (<შიბა)	სიდო	„რა“
—	შილუ	შელუ	სელო	„რქა“

## 3) ჩ &gt; ც:

მეჩა	მეჩა	მიჩ	მიც	„ქინჭარი“
ოჩორდიფუ	ეჩრუ	იჩლა	იცილო	„მოხუცი“ (< „ძველი“)

## 4) ჭ &gt; წ:

კონწუ	კონჭუ	კონჭე	—	„წევი“, „ქანჭი“ (ქართ. კანჭი)
ყიმაწ	კენაჭ	კიმაჭ	წემუწ	„ვერცხი“
წიქაძ	ტიქაძ	—	წიქა	„სარკე“, „მინა“ (< ქართ. ჰიქა“)

<sup>262</sup> ჰინუხურში ეს ფორმა შესაძლოა დიდოურისაგან იყოს ნასესხები.

სპეციალურ ლიტერატურაში საესებით მართებულად მიუთითებენ, რომ ამოსავალი ოდენობანი საკ. დიდურში, ხვარშიულ ენასა და ჰუნზი-ბურ დიალექტში არის დაცული [ლომთაძე 1963, 73; იმნაიშვილი 1963, 39; გულავა 1979, 47; შდრ. ბოკარევი 1959, 262].

ამ რიგის ბგერათმონაცვლეობაში შიშინა სიბილანტთა პირველადობა ექვემდებარება მტყიცდება დიდურ ენათა ფარგლებიდან გაუსვლელობა, ვინაიდან არქტიპები ცალკეულ ენებსა და დიალექტებში არის დაცული. კერძოდ, ბეიტურსა და ხაშარხოტულ თქმებში დასტურდება ზიზალ „შეწვა“. იმავე მნიშვნელობით ჰუნზ. დიალექტსა (ეგეა) და ტლად. მეტყველებაში (ეიეა) არქაული ფორმები დაჩნდება (შდრ. ხუნდ. ბეენა, ანდ. ბეეა „მოხრაკა“, „შეწვა“) [შდრ. მადიევა 1965, 16]. ხაშ. სელო < ბეე. შელო („რქა“) და ბეე. მიც < ჰუნზ. მიჩ („ჰინჭარი“) ფორმებისათვის შიშინა ნაირსახეობები რეკონსტრუირდება:  $s < \bar{s}$ ,  $c < \bar{c}$  <  $\bar{c}$ . შიშინა სახესხვაობათა პირველადობას ხუნდ. ანდ. ენათა მონაცემებთან შედარება და შესაბამისი სიბილანტის ისტორიის გათვალისწინებაც ასაბუთებს. ბეე. თქმაში დადასტურებული წიქე („რწყილი“) სახელს სხვა ენებში ჰ-ს შემცველი ფორმები შეესატყვისება:<sup>263</sup> ხუნდ. ჰეტ ~ ბოთლ.: ბაგვ. ჰანტ : ლოდ. ჰანტი „id“.

მიუთითებენ, რომ ნასესხებ მასალაში სისინა და შიშინა სიბილანტთა კანონზომიერი ცვლილებები ხდება [ლომთაძე 1963, 73; გულავა 1979, 47].

ბეიტურში შიშინათა გასისინება, ჰინზხურთან შედარებით, უფრო პროდუქტიულია, თუმცა იგი ვერ გაუთანაბრდება ხუნდურის სამხრულ დიალექტებსა და ზოგ ანდიურ (ჰამ., ახვ.) ენაში მომხდარ ცვლილებებს, რომლებშიც ბგერათფარდობა კანონზომიერი და რეგულარული შესატყვისობის სახეს იღებს.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მკვლევართა მიერ ამ ტიპის ბგერათფარდობას სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლევა: ერთნი მას ბგერათშესატყვისობად მიიჩნევენ [ბოკარევი 1959, 260; ლომთაძე 1963, 72; იმნაიშვილი 1963, 38], სხვანი ჩვეულებრივ კომბინაციურ პროცესს უთანაბრებენ [მადიევა 1965, 16; ჰამზათოვი 1975, 17; გულავა 1979, 46]. მასთან, შემჩნეულია, რომ სისინა სიბილანტთა გარდაქმნა შიშინა სიბილანტებად ხდება მაშინ, როცა მათ წინ გვხვდება პალატალური (ი, ე) ხმოვნები და ჯ სონანტი. გარდა ამისა, ხსენებულ პროცესს უკანამავალი პალატალური ხმოვნებიც იწვევენ. რაც შეეხება შიშინა სიბილანტთა გასისინებას, გასაგები მიზეზების გამო, ეს პროცესი თავს იჩენს ყველა სახის ხმოვანთან, მაგ.: ჰინ. ცოცოტუ < \*ცოცოჩუ (შდრ. საკ. დიდ. ცონოჩუ) „ქათამი“; ბეე. წიწინა < \*ჭიჭინა (შდრ. ხვარ. ჰეჭენუ) „წვერი“ და მისთ.

<sup>263</sup> ჰ აფრიკტიანი ნასესხობა გვხვდება ქართული ენის მთის დიალექტებშიც: ჰატი (< ლდ. ჰიტი) „რწყილის ყვრცხები“, „პატარა რწყილი“ [ხვიდაური 1997, 102]. დიდურისგანვე უნდა ჰქონდეს ხეცურულს შეთვისებული: ლოტი (< ლდ. ლოტი „ნაკლი“) „ჰუჰაჰ“, ხეს. ჯუმბურა (< ლდ. ჰობორა) „ერთგვარი ყუთი წისქვილში, რომელშიც მარცვლულს ყრიან დასაფუკავად“. მაშასადამე, ლდ. ჰ > ქართ. ჰ.

პირველი წესი უგამონაკლისოა იმდენად, რამდენადაც სისინა სპირანტთა და აფრიკატთა გაშიშინების შემთხვევები *ე*, *ე* ხმოვანთა და *ჰ* „ნახევარხმოვნის“ გარეშე არ გვხვდება. ეს კი, როგორც ცნობილია, შეპირობებულია არტიკულაციის შესუსტებით [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 74], რაც გამოიხატება უფრო ვიწრო ნაპრალის მქონე სისინათა უფრო ფართო ნაპრალის მქონე შიშინებში გადასვლით: „ს ბგერის შ ბგერად გარდაქმნა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნაპრალის გაფართოება და ხახუნის მოცულობის გაზრდა ისევე, როგორც არტიკულაციის თავისებური „შესუსტება“ [ტრუბეტკოი 1987, 259].<sup>264</sup>

ისმის კითხვა: სისინა და შიშინა სიბილანტთა დადასტურებული მონაცვლეობა ჩაითვლება ბგერათშესატყვისობად თუ არა?

ცნობილია, რომ ბგერათშესატყვისობას წარმოადგენს ისეთი ბგერათფარდობა, რომლის დროსაც ერთი ფონემა, პოზიციისდა მიუხედავად, კანონზომიერად იცვლება სხვა ფონემით. ამგვარი ვითარება დიდი რაოდენობით არ გვაქვს. შინუხურსა და ბეეიტურში გამოვლენილი ბგერათმონაცვლეობა კომბინაციური ხასიათისაა, თუმცა შეინიშნება მისი სპონტანური ფონეტიკურ პროცესად ქცევის ტენდენცია, რაც აყალიბებს ბგერათშესატყვისობას. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შიშინათა გასისინება, გარდა წინა რიგის ხმოვნებისა, უკანა რიგის ხმოვნებთანაც. ამგვარი ბგერათცვლილებების, როგორც ამას ტ. გულდავა აღნიშნავს [1979, 48], ქართულურ ენათა სიბილანტების შესატყვისობასთან პარალელის გავლება გაუმართლებელია. გარდა ამისა, ქრონოლოგიურად ამგვარი მონაცვლეობა, სხვა პროცესებთან შედარებით, ყველაზე ახალი ჩანს, ცალკეულ ენებში დამოუკიდებლად იკიდებს ფეხს და ინტერესს იწვევს ბგერათშესატყვისობის ფორმირების თვალსაზრისით.

**7.5. დეფარინგალიზაცია.** ხუნძურ-ანდიურ-დიდიურ ენათა საერთო სავარაუდო ფარინგალური სამეულის (*ფ*, *ჭ*, *ყ*) გამარტივება, რაც, სისტემის სიმეტრიულობისა და ზოგი დადესტურული ენის ჩვენების მიხედვით, ძველისძველი კონსონანტიზმის კუთვნილებად მიიჩნევა, შეპირობებულია როგორც შინაგანი განვითარების ძირითადი ტენდენციით, ისე გარეგანობრივი ფაქტორების ზეგავლენითაც [ჩიქობავა 1979, 71]. მასთან, ამ რიგის ცვლილებები ძირითადად სპონტანური ხასიათისაა [ახვლედიანი 1949, 311; როგავა 1946, 5].

ენათა სტრუქტურული ტიპოლოგიის მიხედვით, ფარინგალური რიგისათვის არ დასტურდება ისეთი სისტემა, რომელიც შეიცავდეს მჟღერ წვერს და ყრუ წვერები არ მოგვეპოვებოდეს [ნებიერიძე 1991, 301]. აქედან გამომდინარეობს, რომ მჟღერობა ვერ ეგუება ფარინგალობას (resp. უკანა არტიკულაციას), რაც ფარინგალთა ძირეული ცვლილებით მთავრდება. ამ წესის სისწორეს მრავალი ენის მონაცემები ცხადყოფს, რომელ-

<sup>264</sup> საკითხავია, *ე* და, მით უფრო, *ე* როგორ იწვევენ ხს ასიმილაციას, რაც შედეგად გვაძლევს *ხ > შ*?



თა ფონოლოგიური სისტემაც ფარინგალურთა სამეულის მქლერსა და ხანდახან ფშვინვიერ წვერსაც მოკლებულია [არდოტელი 2000, 39].

ამ მხრივ ხუნძურ-ანდიურ-დილოური ენები გამონაკლისს არ ქმნიან — აფრიკატთა მეოთხე რიგს დაკარგული აქვს მქლერი წვერი და მისი რეკონსტრუქცია ფუძეენაში ვერ ხერხდება. მიუთითებენ, რომ იგი (ფ) უნდა გარდაქმნილიყო მქლერ (ღ) სპირანტად [გუდავა 1958, 259; 1959, 265; დეშვილ 1971, 36].

რაც შეეხება ჳ-ს, იგი ძირითადად ერთგვაროვანი ტრანსფორმაციის ტენდენციას ამჟღავნებს და, უპირატესად, უკანა წარმოების თანხმოვანთა წინ გადაწევის მაგისტრალურ ხაზს მისდევს.

ცნობილია, რომ ფუძეენისეული ფარინგალური ჳ-ს არაინტენსიური კორელატი შემონახულია მხოლოდ აზვ. ენის ჩრდილოურ დიალექტში, ხოლო ისტორიულად დადასტურებულ სხვა ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში იგი, ქართველურ ენათა ანალოგიურად, ჰ სპირანტად გარდაიქმნება. ზოგ ანდიურ-დილოურ ენაში (ტინდ., ბაგვ., კარ., ხვარ., ბეჟ.) ჳ-სგან მომდინარე ჰ > ჰ. ეგევე პროცესი (\*ჳ > ჰ > ჰ) ბუნებრივია დილოურ ენათა ინტენსიური კორელატისთვის, თუმცა მისი ლარინგალიზაცია არ ხდება. მაშასადამე, ჳ-ს ფონემათა ოპოზიციის ნეიტრალიზაცია მთლიანად დასრულებულია დილოურ ენებში, ხოლო ანდიურ ენათა წყებაში ეს პროცესი ოდენ არაინტენსიურმა კორელატმა განიცადა.

ცვლილებისადმი შედარებით ნაკლებ მიდრეკილებას ამჟღავნებს ყ, მაგრამ მისი არაინტენსიური კორელატი, როგორც მოსალოდნელი იყო, რეფლექსთა სიმრავლით გამოირჩევა: ყ' > მ (ხუნძ.), ყ' > ღ (ბოთლ.), ყ' > ც (ლოდ., ჳამ., ტინდ., ბაგვ., კარ.).

**7.6. სპირანტიზაცია.** სპირანტიზაცია საკვლევ ენებში მეტად გავრცელებული და, იმავდროულად, ძველისძველი სპონტანური ფონეტიკური პროცესია. იგი მოიცავს როგორც აფრიკატებს (მეტწილად), ისე ხშულ-მსკდომებსაც (შედარებით ნაკლებად). მიზანშეწონილად გვესახება გამოიყოს სპირანტიზაციის ორი სახეობა: ა) **უშუალო სპირანტიზაცია**, რომლის დროსაც ესა თუ ის ფონემა, ლატენტური საფეხურის გარეშე, პირდაპირ გადადის სპირანტში. ცვლილების ეს სახეობა აფრიკატთა წყებისთვის არის ნიშანდობლივი; ბ) **შუალობითი სპირანტიზაცია**, რომელიც ხდება აფრიკატიზაციის საფეხურის გავლით. ეს პროცესი ძირითადად ხშულ-მსკდომებში ხორციელდება. მართალია, ზემოხსენებული პროცესები შედეგის მიხედვით ერთგვაროვანია, თუმცა ფონეტიკურ ცვლილებათა გრადაციით — განსხვავებული.

**7.6.1. არაინტენსიურ აფრიკატთა სპირანტიზაცია.** ისტორიულად ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში სპირანტიზაციის ტენდენცია ძლიერი უნდა ყოფილიყო, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე კონსონანტიზმის ჩამოყალიბებაში. მასთან, როგორც მიუთითებენ,

სპირანტიზაციის პროცესები ენებსა და დიალექტებში სხვადასხვადროულად მიმდინარეობდა [გულდავა 1964, 94].<sup>265</sup>

ისტორიულად ყველა არამაგარი ფშინვიერი აფრიკატი სათანადო სპირანტად გარდაიქმნა: 1) ც > ს (ხუნდ. [ანწ., ჰიდ.],<sup>266</sup> ყველა ანდ.-დიდ. ენა, ახვახურის გამოკლებით) [მაგალითები იხ. 6.2.2.ბ]; 2) ჩ > შ (კამ., დიდ. ენები) [მაგალითები იხ. 6.2.3.ბ]; 3) ლ' > ლ' (ყველა ხუნდ.-ანდ.-დიდ. ენაში, ახვახურის ჩრდ. დიალექტის გამოკლებით) [მაგალითები იხ. 6.2.4.ბ]; 4) ჯ' > ხ (ანდ., ბოთლ., ლოდ., კამ.), ჯ' > ხ > ჰ (ხუნდ.), ჯ' > ხ > ჰ (ტინდ., ბაგვ., კარ., ახვ., ბეფ.) [მაგალითები იხ. 6.2.5.ბ].

არაინტენსიური მკვეთრი აფრიკატები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყ' > შ (ხუნდ., კარ.) გარდაქმნას, სხვა მხრივ სპირანტიზაციისაყენ მიდრეკილებას არ ამჟღავნებენ. მართალია, შემჩნეულია წ' > ზ (კამ.), ყ > ლ (ანდ., ბოთლ.), მაგრამ, ტ. გულდავას მართებული მოსაზრებით, ამ რიგის ცვლილებები გამოწვეულია კომბინაციური ფონეტიკური პროცესებით [გულდავა 1964, 103].

**7.6.2. ინტენსიურ აფრიკატთა სპირანტიზაცია.** ფშინვიერი ინტენსიური აფრიკატების სპირანტიზაციის სურათი ასე წარმოგვიდგება: 1) ც > ს (ხუნდ. [ანწ., ჰიდ.], ბაგვ.), ც > \*ს > ხ (დიდ.) [მაგალითები იხ. 6.2.2.გ]; 2) ჩ > შ (ხუნდ. [ჰიდ.], ბაგვ.), ჩ > \*შ > შ (დიდ.) [მაგალითები იხ. 6.2.3.გ]; 3) ლ' > ლ' (ხუნდ., ბაგვ.), ლ' > \*ლ' > ლ' (დიდ.) [მაგალითები იხ. 6.2.4.გ]; 4) ჯ > \*ხ > ხ (დიდ.) [მაგალითები იხ. 6.2.5.გ].

არაინტენსიური მკვეთრი აფრიკატების გასპირანტება შეზღუდულია. მეტადრე ეს ითქმის ინტენსიური კორელატების (წ, ჰ, ტ, ყ) შესახებ, რომელთა არტიკულაციისას ზოგ ანდ. ენაში (კამ., ბაგვ., კარ.) შეინიშნება სპირანტული ელემენტები, თუმცა მათი ეს თვისება ფონოლოგიურად ირელევანტურია [გულდავა 1964, 98]. შეიძლება ითქვას, რომ სპირანტიზაციის ესოდენ გავრცელებული პროცესი არც ინტენსიურ აბრუპტივებს ახასიათებს.

რით უნდა აიხსნას ეს?

ტ. გულდავას ვარაუდით, არამაგარ მკვეთრებთან ეს გამოწვეულია იმით, რომ არაინტენსიური მკვეთრი სპირანტები ამ ენებში არა გვაქვს [გულდავა 1959, 271].

თუ კარგად დავაკვირდებით ფშინვიერ აფრიკატთა სპირანტიზაციის პროცესს და, აქედან გამომდინარე, მათ რეფლექსებს, შევამჩნევთ, რომ არაინტენსიური აფრიკატები გარდაიქმნებიან არაინტენსიურ სპირანტებად, ინტენსიური კორელატები კი გადადიან შესაბამის სპირანტებში. ეს

<sup>265</sup> სპირანტიზაციის პროცესისათვის გვერდი აუვლია ახვახურს [გულდავა 1959, 268], რაც სისინათა და შიშინათა მონაცემებით უნდა იყოს გამოწვეული. ამ ენაში მხოლოდ ლ > ლ' (ცეპ., ტან.) [მაჰომედბეკოვა 1967, 16].

<sup>266</sup> დიალექტური ერთეულები კვადრატულ ფრჩხილებშია მოქცეული.

ნიშნავს, რომ აფრიკატების შენაცვლება ჰომორგანული სპირანტებით საცე-  
ბით კანონზომიერია, ვინაიდან ყრუ სპირანტებიც (ხ — ხა, შ — შა, ზ — ზა)  
ასპირატები არიან [ახელედიანი 1999, 88]. ამიტომ სპირანტთა წყებაში,  
„აბრუპტივების უქონლობის გამო“<sup>267</sup> შეუძლებელია როგორც ინტენსიურ,  
ისე არაინტენსიურ მკვეთრ აფრიკატთა სპირანტიზაცია, რაც ფაქტობრივ  
არც დასტურდება.

**7.6.3. ხშულ-მსკდომთა სპირანტიზაცია.** ღირსსაცნობი ფაქტია,  
რომ ხშულთა გადასვლა სპირანტებში პირდაპირ კი არ ხდება, არამედ  
აფრიკატიზაციის საფეხურის გავლით. ეს გასაგებიცაა, რადგან წმინდა  
ხშულები სპირანტული ბუნებისანი არ არიან, სამაგიეროდ აფრიკატებს  
აქვთ ხშულობის ელემენტიც და ნაპარალოვნობისაც, რის საფუძველზეც  
იქმნება ამგვარი ტრიადა: ხშულ-მსკდომი — აფრიკატი — ნაპარალოვანი.  
ორბუნებოვნობა ხდის აფრიკატს ხშულობიდან ნაპარალოვნობისაკენ  
გარდამავალ რგოლად:  $გ > ჯ > ჯ > ჟ$ .

შენიშნულია, რომ თავდაპირველად პალატალიზაციის საფუძველზე  
ხდება აფრიკატიზაცია, შემდეგ კი — სპირანტიზაცია [გულაფა 1964, 93].  
პალატალიზებული აფრიკატებიდან სპირანტიზაციას განიცდიან ოდენ  
მჟღერი სახეობები, მაგ.: ქამ. აჟაბ (< აჯაბ) : ტინდ. აჯაბ (< \*აჯაბ) „ეს  
(ქვევით)“; ბაგვ. ჟარ (თლის.) < \*ჯარ < ჯარ (თლონ.) < გარ (შდრ.  
ხუნდ. გაბურ) „ისერი“; რიქვ. ჟი < ჯი < გი „არის“...

ანალოგიური პროცესი ( $გ > *ჯ > ჟ$ ) მიკვლეულია დიდოურ ენებ-  
შიც [იმნაიშვილი 1963, 36; ლომთაძე 1998, 127], თუმცა ანდიურ ენებში  
ხელშესახებად წარმოდგენილი პალატალიზაციის საფეხური არ ჩანს და  
ისტორიულად მჟღერი აფრიკატების არსებობის საკითხიც სარკვევია, მაგ.:  
უ<sup>რ</sup>ჟ (საკ. ხვარ.) < \*ონჯ < ო<sup>რ</sup>ჯ (ინხ., ბეყ.), ოჯ (შინ.) „კული“ (შდრ.  
ჩენ. დიჯ „id.“); ჟუ (ინხ.) < \*ჟუ < \*გუ (შდრ. ბეყ. ჰუ-გი, ჰუნხ. ცო-გუ  
„id.“) „ის“ და მრ. სხვ.

შემჩნეულია მეორე პროცესიც ( $დ > *ძ > ზ > ჟ$ ), რომლის საი-  
ლუსტრაციოდ ინსტრუმენტალისის ნიშანს ასახელებენ [იმნაიშვილი 1963, 36;  
შდრ. ლომთაძე 1998, 125]: -დ(ი) (ხვარ.), -დ (სანტლ.) > \*-ჯ > -ჯ (საკ.  
ინხ.). ამ პროცესის სარწმუნო მაგალითს საკ. დიდოურში ვპოვებთ: ემაღუ  
(საჰ., მოყ.) > ემაძუ(?) > ემაჯუ (ვიწ.) > ემაჟუ (ხუტრ.) „ზლაპარი“.

**7.7. აფრიკატიზაცია.** პალატალიზაციის საფუძველზე უკანაენისმი-  
ერ ხშულთა (გ, ქ, კ) შიშინა აფრიკატებში გადასვლაზე გაკვრით ზემოთ


<sup>267</sup> ზოგ ანდიურ ენაში (მაგ., ქამ.-ში) გვხვდება წა, ჰა აფრიკატები, რომლებიც  
სპირანტულ თვისებებს ამჟღავნებენ და გენეზისურად მეორეული ბგერებია [გულაფა 1971,  
13-14]. ეჭვარეშია, ამ აბრუპტივების მიერ სპირანტული ბუნების შექმნა სპირანტიზაციის  
პროცესთან შედარებით გაცილებით გვიანდელი მოვლენაა.

უკვე ვილაპარაკეთ (იხ. 7.6.3). ანდიურ ენებში, როგორც აღნიშნულია [ცერცვაძე 1953, 277; გულაბა 1964, 79], უკანაენისმიერ ზშულთა პალატალიზაცია ყრუ არაინტენსიური კორელატებისათვის დასრულდა აფრიკატიზაციით, ხოლო ინტენსიური კორელატების ევოლუციის პროცესი უფრო შორს წავიდა და, აფრიკატიზაციის შემდეგ, მოხდა მათი გასისინება:<sup>268</sup>  $\text{ქ} > \text{ჩ} > \text{ც}$ ,  $\text{კ} > \text{ჭ} > \text{წ}$ , მაგალითად: ტინდ.  $\text{ჰაკი} > \text{ანდ. ჰორქი}$  (< \*ჰარქი)  $\text{ჰამ.} > \text{ხაწი}$  (შიშ.)  $> \text{ჰაწი}$  (ჰაქვ.) „დედალი“  $> \text{„ცოლი“}$ ; ხუნდ.  $\text{ქუნა} - \text{ბოთლ. ბიქუ} > \text{ტინდ. ბი-ქა} > \text{ანდ. ბი-ჩი} > \text{ჰამ. ბიც}$  (< \*ბიცი < \*ბიჩი < \* ბიქი) „დაიქირა“, „დაიკავა“.

ინტერესს იწვევს პირველი მაგალითი, რომლის ფუძისეულ მორფემას ( $\text{ქ}$ ) დიდოურ ენათა ამავე სემანტიკის სახელში ვ შეესატყვისება. აქ ხუნდ.-ანდ. ენათა ინტენსიური  $\text{ქ}$ , როგორც მახვილგონივრულად შენიშნავენ, მიღებული უნდა იყოს ყა-სგან [გულაბა 1979, 175]. ეს დაჩნდება ჰამალურის ერგატივსა და „ირიბ ბრუნვათა“ ფუძეში: სახ.  $\text{ჰაწი}$  (< \*ჰაკი) „ცოლი“ — ერგ.  $\text{ჰაყუ-ღ}$  (< \*ჰაყუ-ღ). სწორედ ეს მაგარი კ-ს მონაცვლე \*ყ მოგვეცემა ვა ფარინგალს, რომელმაც დიდ. ენებში ნეიტრალიზაცია განიცადა:  $\text{ჭ} > \text{ტ}$ .

წინაველარული ზშულ-მსკდომებიდან თავისებურებას იჩენს  $\text{ქ}$ , რომელიც სპირანტიზაციის უნარს ამჟღავნებს:  $\text{ქ} > \text{ჯ}$  (ხუნდ., კარ., ახვ.),  $\text{ქ} > \text{ჯ} > \text{შ}$  (ტინდ.),  $\text{ქ} > \text{ხ} > \text{ხ}' > \text{ჰ}$  (დიდ.).

ჩანს, აფრიკატიზაციის პროცესი ( $\text{ქ} > \text{ჩ}$ ,  $\text{კ} > \text{ჭ}$ ) ქრონოლოგიურად სპირანტიზაციის მოვლენაზე გვიანდელია ისევე, როგორც, აფრიკატიზაციასთან შედარებით, მეორეულია გასისინების პროცესი ( $\text{ქ} > \text{წ}$ ,  $\text{ჩ} > \text{ც}$ ). პირიქით რომ მომხდარიყო, მაშინ  $\text{ჭ}$  (<  $\text{კ}$ ),  $\text{ჩ}$  (<  $\text{ქ}$ ) აფრიკატებს დიდოურ ენებში უნდა მოეცა შესაბამისად  $\text{ჩ}$  (<  $\text{ჭ}$ )  $> \text{ჩ}$ ,  $\text{ც}$  (<  $\text{წ}$ )  $> \text{ც}$  რეფლექსები, რაც რეალურად არ დასტურდება. ამიტომ, საკვლევ ენათა მიხედვით, ერთმანეთისაგან რელიეფურად დაცილებულია ერთი ფონემის ორი მიმართულების პროცესი, რაც სქემატურად ასე გამოიხატება:



<sup>268</sup> სხვათა შორის, ველარული რიგის არამაგარი და მაგარი კორელატების ერთმანეთის მსგავსი პალატალიზაცია დამატებით ამტკიცებს მთ ზშულ-მსკდომობას.

<sup>269</sup> \*კ > ტ, \*ქ > ლ<sup>269</sup> პროცესები, ლატერალთა წარმოქმნის კუთხით, საინტერესო ჩვენებას იძლევიან.

**7.8. დეზაბრუპტივიზაცია.** ეს პროცესი მეტწილად ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატებისათვის არის ნიშანთვისებრივი [გულდავა 1964, 103-104]. დეზაბრუპტივიზაცია ხუნძ.-ანდ. ენებში სპორადული ბუნებისაა, ხოლო დიდ. ენებში მწყობრი და დასრულებული სახით წარმოგვიდგება. მასთან, ხუნძ.-ანდ. ენებში ამ პროცესს ყველა აბრუპტიული აფრიკატი (მაგ., ტა, ყა) არ განიცდის: წა > ცა, ჭა > ჩა (ხუნძ., ლოდ., ტინდ.). დიდ. ენებში დეზაბრუპტივიზაცია აფრიკატთა წყების ყველა მაგარ კორელატს ეხება: წა > \*ცა > ც, ჭა > \*ჩა > ჩ, ტა > \*ლა > ლ', ყა > \*ჭა > ჭ, [მაგალითები იხ. 6.2.2.ე; 6.2.3.ე; 6.2.4.ე; 6.2.5.ე].

ტ. გულდავს არსებითად სწორი დებულებით, ტა და ყა მკვეთრები დეზაბრუპტივიზაციას არ ემორჩილებიან იმიტომ, რომ ამ პროცესის მიმდინარეობისას ინტენსივობის მიხედვით თანზომუნათა ნეიტრალიზაცია უკვე დამთავრებული იყო [გულდავა 1959, 272; 1964, 106-107].

დიდოურ ენებში დეზაბრუპტივიზაცია განიცადა განურჩევლად ყველა მკვეთრი აფრიკატის ინტენსიურმა კორელატმა მაშინ, როცა ინტენსივობის კორელაცია ფონოლოგიურად რელეევანტური იყო, ე. ი. დეზაბრუპტივიზაცია წინ უსწრებდა მაგარ თანზომუნათა მოშლას [შდრ. გულდავა 1959, 272].

ირაკვევა, რომ აბრუპტიულ აფრიკატებში სპირანტიზაციის ტენდენციის ხვედრითი წილი მცირეა, ხოლო დეზაბრუპტივიზაციის პროცესი წარმოდგენილია ხელშეისახებად. ამისი ფიზიოლოგიური მიზეზი მათ საარტიკულაციო თავისებურებაში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, აბრუპტივთა წარმოქმნა ხდება ზესადგამ მილში არსებული ჰაერნაკადით, ვინაიდან ყია და ხრტილებშუა ნაპრალი დაკეტილია ექსპირაციისათვის [ახვლედიანი 1999, 27-28]. ბუნებრივია, რომ საფონაციო ჰაერნაკადის არსებული მარაგი განსაკუთრებით უკმარი უნდა ყოფილიყო ინტენსიური აბრუპტივებისათვის, რომელთათვისაც ხშვა ხანგრძლივი და ძლიერია. ურესპირაციო ბგერათწარმოქმნა შეუძლებელი შეიქმნა და ამ სიძნელის სუბერაციისათვის ხრტილებშუა ნაპრალი უნდა გახსნილიყო, რაც აფრიკატთა გაფშინიერებას გამოიწვევდა. როგორც ჩანს, ინტენსიური კორელატებისათვის, მათი სუსტი ფონაციიდან გამომდინარე, ეს საჭირო არ გამხდარა.

ტ. გულდავა აფრიკატთა სპირანტიზაციასაც ამ მოვლენას უკავშირებს [გულდავა 1959, 273], მაგრამ ეს ტენდენცია შეპირობებულია აფრიკატთა ბუნებით — მათი რეკურსია სპირანტისებურია და იოლია მათი გასპირანტება. რაც შეეხება ბავგალურის, ჰამალურისა და კარატაულის ვითარებას, აქ ინტენსიურ აბრუპტიულ სპირანტებს ფონემიზაციაც კი არ განუცდია, რის გამოც, ნაპრალის გაჩენასა და, აქედან გამომდინარე, არტიკულაციის შესუსტებაზე საუბარი ნაკლებსარწმუნოა.

**7.9. დეინტენსივიზაცია.** ინტენსიური (resp. მაგარი) თანზომუნები, რომელთაც ახასიათებს უფრო მეტად დაკიმული და დაყოვნებული არტიკულაცია, ვიდრე მათ საოპოზიციო ერთეულებს, ამჟამად ნიშანდობლივია ოდენ ხუნძურ-ანდიური ენებისთვის [ტრუბეცკოი 1987, 289; გულდავა 1953,

342; შდრ. შორი 1935, 137].

ვარაუდობენ, რომ ინტენსიური თანხმოვნები გენეზისურად მეორეული წარმომავლობის ფონემებია [ჩიქობავა 1979, 64; ბურჯულაძე 1991, 9-10...]. მასთან, ამ რიგის თანხმოვნები ერთმანეთს უპირისპირდებიან რაგვარობითაც და ლოკალური რიგითაც. ამ თვალსაზრისით ერთი გარემოება არის თვალშისაცემი: თანხმოვანთკომპლექსებით ღარიბ ენებში (დაღესტნური) ინტენსიურ თანხმოვანთა სიმრავლეა, ხოლო კომპლექსთა სიმრავლით გამორჩეულ ენებში (ნახური და აფხაზურ-ადიღური) მაგარ თანხმოვანთა რიცხვი საგრძნობლად შეზღუდულია. ხსენებული ენების მონაცემთა ამგვარი წონასწორობა ბადებს კითხვას: ხომ არ არის ინტენსიური კორელატები თანხმოვანთა შერწყმისა და ფონემიზაციის შედეგად მიღებული? რამდენადაც ინტენსივიზაცია ბგერის გაძლიერება-გახანგრძლივებას ნიშნავს, ხომ არ არის იგი გემინაციის მოდიფიკაციით წარმოქმნილი?

სინქრონიულად გემინირებული (resp. გაორმაგებული) და ინტენსიური თანხმოვნები ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდებიან: პირველი წარმოადგენს ორი ფონემის შემქვიდროებულ არითმეტიკულ ჯამს, ხოლო მეორე, ფონოლოგიური სტატუსის მქონე, დამოუკიდებელ თანხმოვანს.<sup>270</sup> ამ მხრივ, მეტად საგულისხმო ჩვენებას გვაწვდის ანდ. ენის რიკვანის თქმა, რომელშიც შენიშნულია თანხმოვანთა ინტენსივიზაცია: „ეს ფონეტიკური პროცესი დაკავშირებულია თანხმოვნის მოძვენო ხმოვნის რედუქციასთან“ [ცერცვაძე 1965, 42], მაგ.: ბიხილუ (ანდ., ღალ.) > ბიხლუ (რიკვ.) „აღება“ > „ყიდვა“, ვუყ'ილუ (ანდ.) > ვუყლუ (რიკვ.) „მოსვლა“...

ანალოგიური პროცესი გავრცელებულია დიდ ენებშიც იმ განსხვავებით, რომ თანხმოვანთა გემინაცია ინტენსივიზაციაში აღარ არის გადაზრდილი [ლომთაძე 1963, 64-65; 2000, 131-134]. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ამ პროცესის მოქმედების დროს დიდ ენებში ინტენსივობის კორელაცია უკვე მოშლილი იყო.<sup>271</sup>

ისტორიულად ინტენსიური კორელატები უცილოდ ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო არა მარტო ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ფუძეენისთვის [გულდავა 1974, 139], არამედ დაღესტნურ ენათა ერთიანობის ხანისთვისაც [ტრუბეცკოი 1987, 322; ბოკარევი 1981, 26-34; შდრ. აბაშია 2004, 8]. ამ ძველისძველი კორელაციის გარეშე საკვლევ ენათა კონსონანტიზმის ისტორია მეტწილად გაუგებარი იქნებოდა, რადგან იგი რაოდენობრივადაც მო-

<sup>270</sup> გემინაცია უნდა გაირჩეს ინტენსივიზაციისაგან. გემინატი (resp. გემინირებული, ლათ. geminare „გაორკეცება“) წარმოადგენს ორმაგ თანხმოვანს, რომელიც მიღებულია მსგავს თანხმოვანთა შეერთებით [ახელუღანი 1999, 104]. ინტენსიური თანხმოვანი, გემინანტისაგან განსხვავებით, არის არა ორი ერთგვარი თანხმოვნის მქვიდროდ დაკავშირებული ჯამი, არამედ სრულიად განსხვავებული არტიკულაციის მქონე ცალმაგი თანხმოვანი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 49]. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ინტენსიურ ფონემების მიჩნევა გაორმაგებულ თანხმოვნებად და მათი გათანაბრება გემინანტებთან, რასაც არცთუ იშვიათად ვხვდებით, გაუმართლებელია.

<sup>271</sup> რიგ შემთხვევაში ინტენსიურ თანხმოვანთა ფორმირებაში, საფიქრებელია, ექსპრესიულ გემინაციას ელო წილი (ამის შესახებ დაწერილებით სხვა დროს).

მცველია და ევოლუციის თვალსაზრისითაც მეტად საინტერესო.

ზემოხსენებული ფონოლოგიური დაპირისპირება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო შემდეგი აფრიკატებისა (ც — ცა, წ — წა, ჩ — ჩა, ჭ — ჭა, ლ' — ლ', ტ' — ტა, ვ' — ვა, ყ' — ყა) და სპირანტებისათვის (ს — სა, შ — შა, ლ' — ლ'ა, ხ — ხა). ხშულ-მსკდომთა ქვესისტემაში მაგარი და არამაგარი წყვილები ოდენ წინაველარულთა რიგში იჩენს თავს: ჭ — ჭა,<sup>272</sup> კ — კა [შდრ. ტრუბეცკოი 1987, 248; ჟირკოვი 1936, 145].

ამ ისტორიული სინამდვილის გათვალისწინება აუცილებელი ხდება ყველა დიდ. ენის ფონოლოგიური სისტემისთვის, რომლებშიც კორელაცია „ინტენსიური — არაინტენსიური“ მთლიანად მოიშალა. ინტენსიური ოპოზიციის ნეიტრალიზაცია უნდა განხორციელებულიყო დიდოურ ფუძეენაში [ლომთაძე 1962, 287; გუდავა 1979, 54-55]. ზოგ ხუნძ.-ანდ. ენაში (ცალკეულ დიალექტებში) ზემოხსენებულმა ფონოლოგიურმა დაპირისპირებამ სრული ან ნაწილობრივი ელიმინაცია განიცადა, რაც გვიანდელი მოვლენა ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 53].

უნდა ითქვას, რომ ინტენსივობის ამოსავალი კორელაციის მოშლა და, შესაბამისად, ფონოლოგიური სისტემის გამარტივება, რაც ხუნძური ენის დიალექტებში ამ დაპირისპირების ელიმინაციის ყოველი საფეხური თვალნათლივ დაჩნდება, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დიდოურ ენათა კონსონანტიზმის თანამედროვე სახეს.

რიგ შემთხვევაში ფონოლოგიური ნეიტრალიზაცია შეპირობებული უნდა იყოს სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის სპონტანური ფონეტიკური პროცესებით: 1) სიბილანტთა ტრანსფორმაცია: არაინტენსიური სისინები იცვლებიან შიშინებით, ხოლო ინტენსიური შიშინები შესაბამისი სისინებით, რაც შედეგად სისინა-შიშინა სიბილანტების მოშლას იწვევს. სქემატურად:

საერთო ამოსავალი	პროცესი	შედეგი
შ — შა	შა → სა	შ
ჩ — ჩა	ჩა → ცა	ჩ
ჭ — ჭა	ჭა → წა	ჭ
ს — სა	ს → შ	—
	სა → ს	
ც — ცა	ც → ჩ	—
	ცა → ც	
წ — წა	წ → ჭ	—
	წა → წ	

<sup>272</sup> ტნდ. და ლოდ. ენების მიხედვით ჭა ხშულად (resp. ხშულ-მსკდომად) მიიჩნევა [ბუღავა 1953, 344-345].

ზემოწარმოდგენილი პროცესების შედეგად, როგორც ცნობილია, მაგარი სისინები, სათანადო არამაგარი კორელატების უქონლობის გამო, ფონოლოგიურად თანდათანობით ნეიტრალურები გახდნენ, თუმცა ფონეტიკურად ინტენსივობა მეტ-ნაკლებად შემოინახეს. ინტენსიურ შიშინა სიბილანტთა ანალოგიურ სისინა სიბილანტებად გარდაქმნის შემდეგ, ეს უკანასკნელები ამოსავალ ინტენსიურ სისინებს დაემთხვენ, არაინტენსიური შიშინები კი უკორელაციოდ დარჩნენ.<sup>273</sup>

დიდ. ენებში სისინა და შიშინა სიბილანტთა ცვლილებები, მართალია, ერთი შეხედვით ზემომოყვანილ პროცესებთან პოულობს პარალელს (საკ. დიდ. ხ > შინ. შ, საკ. დიდ. ც > შინ. ჩ...), მაგრამ აქ ეს პროცესი ოდინდელ მაგარსაც და არამაგარსაც ერთნაირად შეეხება, რაც სისინათა გაშიშინებას ინტენსივობის კორელაციის მოშლის შემდეგდროინდელ მოვლენად მიგვაჩნევენებს.

2) მაგარ აბრუპტივთა დეზაბრუპტივიზაცია, რომელიც რელიზებულია ხუნძურის ზოგ თქმაში (ბაწადა, შუნთიბი...), ლოდამერიულსა და ტინდიურში: წა > ცა, ჭა > ჩა, კა > ქა.

დიდ. ენებში ფშვინვიერ აფრიკატად იცვალა ყველა შესაბამისი აბრუპტივი, ხოლ ხშულებიდან — ოდენ კ (ჭს წინა პოზიციის გარდა) [შდრ. გუდავა 1974, 142].

3) მაგარ აფრიკატთა სპირანტიზაცია (ცა > სა, ჩა > შა), რაც უკორელაციოდ დარჩენილ არაინტენსიურ აფრიკატთა ნეიტრალიზაციით დასრულდა.

4) ინტენსივობის კორელაცია, როგორც მიუთითებენ, შეიძლება მოშლილიყო ცალკეულ ლოკალურ რიგებში გაერთიანებულ საპირისპირო წყვილთა თანდათანობითი შესუსტება-გაქრობის გზითაც [გუდავა 1974, 143]. ეს, უპირველესად, უნდა შეხებოდა მათ ფონეტიკურ მხარეს, რაც თვალსაჩინოდ არის გამოხატული ხუნძ. ენის სამხრულ დიალექტებში. კერძოდ, შ. მიქაილოვის დაკვირვებით, სწორედ სამხრულ დიალექტებში ინტენსივების წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოთა დაქიმულობა უფრო შესუსტებულია, ხოლო ნაპრალი გაფართოებული, რაც არტიკულაციის გამარტივებას ნიშნავს [მიქაილოვი 1958, 37]. ამ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს ეკონომიის პრინციპი [სოსიური 1977, 180-181].

გარდა ზემომოყვანილი ფაქტორებისა, გამოსარიცხი არ არის ინტენსიურ თანხმოვანთა მოშლა გარეენობრივი ფაქტორების ზემოქმედებით, რაც გარკვეულწილად ინტერფერენციულ პროცესებს გულისხმობს. ხუნძური ენის დიალექტების მიხედვით, ინტენსივობის კორელაციის მოშლის ტენდენცია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ძლიერდება: ხუნძურ დიალექტში 10 საკორელაციო წყვილი გვაქვს, ხოლო ქარული დიალექტის ზოგ თქმაში (ბელაქ., თალ.) ინტენსივთა სისტემა სავსებით ელიმინირებულია. საანალიზო კორელაციის მოშლა რომ ამ ენათა მარგინალური ნიშა-

<sup>273</sup> საფიქრებელია, რომ ამგვარი კორელატები ფონეტიკურადაც არ იყვნენ სადა სიბილანტების იდენტური და, ამდენად, განეიტრალება, კორელაციის მოშლის შემდეგ, მათაც დასპირდებოდა [შდრ. ლომთაძე 1962, 310].



ნია, ამას ადასტურებენ აგრეთვე დიდოური ენები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან ანალოგიურ თანხმოვანთა უქონელ ქართულ ენას (sic!). ცხადი ხდება, რომ გარდა იმანენტური ფაქტორებისა, რაზედაც ზემოთ შოკლედ ვისაუბრეთ, ინტენსიურ ფონემათა სერიის მოშლა გარეენობრივი მიზეზებითაც უნდა იყოს გამოწვეული [ჩიქობავა 1979, 73].

**7.10. ლაბიალიზაციის საკითხისათვის.** ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენებში დასტურდება  $c + \text{ჟ}$  ტიპის ლაბიალიზებული კომპლექსები, რომლებიც წარმოადგენენ ფაქტობრივად ორი დამოუკიდებელი ფონემის ჯამს და, აქედან გამომდინარე, თვალსაჩინოდ განსხვავდებიან აფხაზურ-ადილურ ენათა დახურული ლაბიალიზებული  $g^{\circ}, \text{ქ}^{\circ}, \text{კ}^{\circ}$  და ზოგი დაღესტნური ენის (თაბასარანული, დარგუული...) ე. წ. დენტოლაბიალიზებული  $\text{g}^{\circ}, \text{ჩ}^{\circ}, \text{კ}^{\circ}$  თანხმოვნებისაგან, რომლებსაც ფონოლოგიური ღირებულება აქვთ.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია  $c + \text{ჟ}$  მოდელის ლაბიალიზებული კომპლექსის (resp. ბილაბიალიზებული თანხმოვნის) სამგვარი ინტერპრეტაცია, რომელთაგან ყველაზე მეტად დამაჩერებელი ჩანს თეზისი მისი ბიფონემური ბუნების შესახებ [ჩიქობავა, ცერცვაძე<sup>274</sup> 1962, 81; ლომთაძე 1963, 20; გუდავა 1979, 28; გიგინეიშვილი 1977, 42; ბარნოვი 1983, 97; შდრ.: ტრუბეცკოი 1987, 313; დეეტერსი, სოლთა, ინგლისიანი, 1961, 21; მიქაილოვი 1958, 29; ბოკარევი 1959, 67, 112, 145; ბურქულაძე 1993, 9; მაჰომედოვა 1999, 413 და სხვ.].

ლაბიალიზებული კომპლექსის დისტრიბუცია სინქრონიულ დონეზე ანლაუტით ( $\#-V$ ) და ინლაუტით ( $C-V, V-V$ ) შემოიფარგლება. მასთან, საანალიზო კომპლექსის წინამავალ კომპონენტად მეტწილად უკანაენის-მიერი და ფარინგალური თანხმოვნები გვხვდება. იგი თავს შედარებით იშვიათად იჩენს წინაენისმიერ ხმოვნებთან და სპირანტებთან. ხანდახან ინლაუტში  $\text{h}$  სონორიც შეიმჩნევა. გასაგები მიზეზების გამო,  $\text{ჟ}-\text{h}$  წინამავალ კომპონენტად არ დასტურდება  $\text{მ}, \text{ნ}, \text{ლ}$  სონორები,  $\text{ბ}, \text{ფ}, \text{პ}$  ბაგისმიერი ხშულები და  $\text{ჯ}, \text{წ}$  სონანტები [გუდავა 1956, 215; მიქაილოვი 1958, 29-33; არდოტელი 1997, 43...].

საანალიზო ლაბიალიზებული კომპლექსის ( $c + \text{ჟ}$ ) ბიფონემურობა ექვემოტანლად მტკიცდება როგორც  $\text{ნ}$ . ტრუბეცკოის (1960, 63-68) ბგერათა ფონემური კლასიფიკაციის — მონოფონემის დადგენის წესების — მიხედვით, ისე კომბინაციური ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებითაც [გუდავა 1956, 216; არდოტელი 1997, 43-49].<sup>275</sup>

<sup>274</sup> ილ. ცერცვაძეს მოგვიანებით გამოთქმული აქვს სხვა მოსაზრება [1972, 217].

<sup>275</sup> აქედან გამომდინარე, დელაბიალიზაციის საკითხი კი აღარ დაისმის, არამედ ლაბიალიზებული კომპლექსის მეორე კომპონენტის (resp. ლაბიალური ელემენტის) რედუქციის საკითხი, მაგ.: ხუნძ. რა-კ (< \*რა-კუ-ა, შდრ. ანდ. რო-კო) ~ დიდ. როკუ < \*რო-კუ-ი (შდრ. ჰინ. რო-კუ-ე) „ჟული“ და მისთ.

ამ მხრივ, საგულისხმო ჩვენებს გვაწოდის ხუნძახური დიალექტის აულ ტანუსის მეტყველება, რომელშიც „ჟული“ აღსანიშნავად გვხვდება რაჟუ < \*რაჟუ [გუდავა 1956, 230].

ისმის კითხვები: ისტორიულად დადასტურებული  $c + \text{ჟ}$  ტიპის კომპლექსები ოდინდელ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა ბიფურკაციის ( $c^0 > c + \text{ჟ}$ ) შედეგია თუ მათი ( $c + \text{ჟ} > c^0$ ) შერწყმისა? შეიძლება თუ არა ხუნძურ-ანდიურ-დიდორე ფუძეენაში ლაბიალიზებულ თანხმოვანთა პოსტულირება?

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ კორელაცია „ლაბიალიზებული — არალაბიალიზებული“ ისტორიულად ნიშანდობლივი იყო დალესტური ფუძეენისათვის (ნ. ტრუბეცკოი 1987, 322). ნ. ტრუბეცკოიდან მოყოლებული ამ შეხედულებას ავრცელებს სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მიმართაც და სათანადო არგუმენტაციის გარეშე იზიარებს ამ ენათა ზოგი მკვლევარი [იუშმანოვი 1937, 36; ელენტი 1941, 185; ლომთაძე 1952, 34-35; 1997, 17-20; 1998, 162-172; გაფრინდაშვილი 1954, 16-19; გუდავა 1956, 231-232; მიქაილოვი 1958, 33; იმნაიშვილი 1963, 15, 21; ჭივანაშვილი 1966, 355-357; მაპოპეტოვი 1974, 169-176; თალიბოვი 1980, 227-246...]. მათი აზრით,  $c + \text{ჟ}$  ლაბიალიზებული კომპლექსი წარმოქმნილია ამოსავალ ლაბიალიზებულ ფონემათა შემადგენელ ელემენტებად დაშლის ( $c^0 > c + \text{ჟ}$ ) შედეგად.

ქ. ლომთაძემ ქართველურსა და აფხაზურ-აბაზურ ენებში დამატებლად დაასაბუთა ერთი რიგის ლაბიალიზებულ კომპლექსთა და ფონემათა მეორეული წარმომავლობა [1968, 69-73; 1976, 222-225]. ამის შემდეგ ჰ. ფერნისმა [1971, 149-158] და ბ. გიგინეიშვილმა (1977, 140-141) სავსებით სამართლიანად ივარაუდეს, რომ საერთო-დალესტურში ფუძისეული მორფემის ანლაუტი  $c + \text{ჟ}$  ლაბიალიზებული კომპლექსის შემცველი იყო. საანალიზო კომპლექსის მეორე კომპონენტი  $\text{ჟ}$  იმთავითვე წარმოადგენდა დამოუკიდებელი სონანტური ფონემის უმარცვლო ალოფონს [გიგინეიშვილი 1977, 34].

უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული  $\text{ჟ}$  კომპონენტი იმის მიხედვით, თუ რა ფონოლოგიურ გარემოცვაშია მოქცეული, მართლაც ამქავენებს სონანტურ ბუნებას, ვინაიდან იგი  $\text{ჟ}$ -სთან არის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში, მაგ.: დიდ. ესიდუ, ესიჟუ (დიალ. ვარ.) „ძმა“, „და“, ზეყ $\text{ჟ}$ , ზეჟს (დიალ. ვარ.) „იყო“; შინ. რეჟუე (სახ.) „ჰატი“ — ერგ. რეჟუე; ხუნძ. სჟიზე „დაქრა“ — სუჟ! „დაქერი!“ და სხვ. მისთ.

იმ მკვლევართაგან, ვინც საერთო-დალესტურ ქრონოლოგიურ დონეზე ლაბიალიზებულ ფონემათა რეკონსტრუქციას ახდენს, არავინ ასახელებს ფუძეენაში ისტორიულად სავარაუდებელ ამ ტიპის თანხმოვანთა ზუსტ რიცხვს და არავინ განსაზღვრავს მათ რაგვარობას სათანადო ტაბულებაში.<sup>276</sup> ჩვეულებრივ გამოყოფენ უკანაენისმიერებსა და ფარინგალურ თანხმოვნებს. ის ფაქტი, რომ წყვილბაგისმიერმა  $\text{ჟ}$  სონანტმა ლაბიალიზებული კომპლექსი შეიძლება შექმნას ყველა თანხმოვანთან, მ, ნ, ლ სონორების, ბ, ფ, პ ბაგისმიერი ხშულებისა და ჟ,  $\text{ჟ}$  სონანტების გარდა, თავისთავად ექვეყემ აყენებს მათი ფუძეენაში არსებობის საკითხს.

<sup>276</sup> ე. ლომთაძე თავდაპირველად სამ ლაბიალიზებულ თანხმოვანს ასახელებს [1952, 34], ხოლო შემდეგ მათ რიცხვს საგრძნობლად ზრდის (1998, 162). რ. შარაფუტდინოვასა და რ. ლეიხნას, მართალია, ხვარშიული ენის თანხმოვანთა ტაბულაში შეაქვთ 13 ლაბიალიზებული თანხმოვანი, მაგრამ მათ ფრჩხილებში ათავსებენ [იხ. გუდავა 1979, 91]. როგორც ჩანს, ხვარშიულში  $\text{ჟ}$ -ს შეგუება-შერწყმის ხარისხი ძირითად თანხმოვანთან არ არის იმ დონისა, რომ სათანადო ბევრები დამოუკიდებელ ფონემებად მივიჩნიოთ.

ჩვენი ვარაუდით, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში არც ამჟამად გვაქვს და, მით უფრო, არც ისტორიულად უნდა გვქონოდა ლაბიალიზებული თანხმოვანთა კორელაცია. შევეცდებით ამ მოსაზრების დასაბუთებას ბგერათმეცნიერების საფუძველზე.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ უკანაენისმიერთა ლოკალურ რიგებში წარმოდგენილ თანხმოვანთა სადა და შესაბამისი ლაბიალიზებული კომპლექსები იდენტურ ბგერათმეცნიერობებს გვიჩვენებენ:

საერთო ამოსავ.	ხუნძ.	ანდ.	დიდ.	
*ქ	ქ ქჰ ( <sup>&lt;</sup> *ქაქა)	ქ ქოქა	ქ ქიქი	„ძუძუ“
*ქ <sup>277</sup>	ქწ ქან ( <sup>&lt;</sup> *ქწან)	ქწ ქწანი (ბოთლ.)	ქწ ქწა	„კვარი“
*კ	კ —	კ ცეკირ	კ ცეკი	„თიყანი“
*კწ	კწ რაკ ( <sup>&lt;</sup> *რაკწა)	კწ როკო ( <sup>&lt;</sup> *როკწო)	კწ როკუ ( <sup>&lt;</sup> *როკწი)	„გული“
*ღ	ღ —	ღ რეღილ	ღ ცოღ'	„ბარძაყი“
*ღწ	ღწ ღლო ( <sup>&lt;</sup> *ღწელო)	ღწ ღანნი ( <sup>&lt;</sup> *ღწანდი)	ღწ ღწალი	„ყვავი“

გარდა ამისა, დასტურდება არაიდენტური შესატყვისობანი, რომელთა ერთმანეთის მიმართ კორელატებად მიჩნეული სახესხვაობანი ენათა მიხედვით ერთგვაროვნებას ამჟღავნებენ და მწყობრ სისტემას ქმნიან:

საერთო ამოსავ.	ხუნძ.	ანდ.	დიდ.	
*ჟ	ჟ ჟო-გო	ჟ ჟნ-ღუ	ჟ ჟუ	„ოცი“
*ჟწ	ჟწ ბა-ჟწაზე	ჟწ ბე-ჟწ-ღუ (ბე-ჟწ-იღუ)	ჟწ ჟუწა ( <sup>&lt;</sup> *ბე-ჟწა)	„გაშრობა“
*წ	წ მაწა	წ მიწა	ც <sup>278</sup> მეც	„ენა“
*წწ	წწ წწა	წწ წა ( <sup>&lt;</sup> *წწა)	ცწ ცა ( <sup>&lt;</sup> *ცწა)	„ვარსკვლავი“

<sup>277</sup> \*ქწ და მისი ანალოგიური კომპლექსები საერთო ამოსავლად ბირობითად არის დასახელებული.

<sup>278</sup> დიდოურ ენებში ინტენსიურობის კორელაცია მოშლილია.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, მარტივ თანხმოვანსა და მის ისტორიულად სავარაუდო ლაბიალიზებულ კომპლექსს (resp. ბილაბიალიზებულ თანხმოვანს) შორის ერთგვაროვანი ბგერათშესატყვისობები იჩენს თავს. განსხვავებას ქმნის ბილაბიალური ჟ, რომლის მიხედვით შორსმიშვავალი დასკვნები კეთდება.<sup>279</sup>

ჩვენი თვალსაზრისით, გასაზიარებელი ჩანს ჰ. ფენრიხის [1971, 149-158] მოსაზრება დაღესტნურ ფუძეენაში ჟ სონანტის არსებობის შესახებ. თავად ჟ-ს დისტრიბუცია (#-V, V-V, C-V, V-#) მის სონანტურ ბუნებაზე მიგვანიშნებს — იგი სონანტისათვის დამახასიათებელ ფონოლოგიურ გარემოცვაში რეალიზდება.

ყურადღებას იქცევს არნ. ჩიქობავას მიერ „გულის“ გენეზისის რკვევისას წამოყენებული საგულისხმო მოსაზრება: „ძირეულ თანხმოვანს (გლკ) („გულის“ აღმნიშვნელს — ნ.ა.) მოსდევდა თუ არა ლაბიალური ელემენტი, რომელიც აფხაზურ-ადიღურ, ქართველურ და ანდიურ-დიდოურში გვაქვს, აგრეთვე არჩიბულში?“ — სვამს მნიშვნელოვან კითხვას ავტორი და მას დადებითად უპასუხებს, რაც მართებული ჩანს [ჩიქობავა 1974, 51].

იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა დაეუშვათ, რომ მარტივმა თანხმოვანმა და მისმა ლაბიალიზებულმა კორელატმა იღენტური შესატყვისობები ჩამოიყალიბეს და ამჟამად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლაბიალურ კომპონენტს, შესატყვისობის ერთნაირი ფორმალებით გვხვდებიან?

ვფიქრობთ, ამგვარი თეორიული ვარაუდის დაშვებას ეწინააღმდეგება კორელაციის წყვილთა (მაგ., ინტენსიური — არაინტენსიური) არაერთგვაროვანი ტრანსფორმაციის თვალშისაცემი სურათი: ინტენსიური კორელატი უპირატესად ნულოვანი რეფლექსაციით არის წარმოდგენილი, არაინტენსიური კორელატი კი სხვადასხვაგვარ სპონტანურ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის. ამას ცხადს ხდის შესატყვისობის შემდეგი ფორმულები: ს.-ამოს. \*ზ > ხუნძ. ზ : ანდ. ზ : დიდ. ზ, შდრ. ს.-ამოს. \*ზ > ხუნძ. ზ : ანდ. ზ : დიდ. ზ [გუდავა, 1979, 90, 100]. აქედან გამომდინარე, ლაბიალიზებულსა და არალაბიალიზებულ სახეობებს, თუ ამოსავალში ისინი არსებობდნენ, კანონზომიერებით სხვადასხვა შედეგი უნდა მოეცა.

ე. წ. დენტოლაბიალიზებულ ფონემათა მეორეულობა ცხადი გახდება, თუ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა მონაცემებთან შევადარებთ თაბასარანული ენის საანალიზო თანხმოვანთა შემცველ ფუძეებს, მაგ.: ხუნძ. წარ ~ ანდ. წჟრ, ბოთლ. წჟრი ~ დიდ. ცი, ბეე. ცარო ~ თაბ. ცურ, ჩჟურ (დიალ. ვარ.), აღ. თჟურ, ლეზგ. ტარ, ტჟარ (დიალ. ვარ.) „სახელი“. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში ძირეულ მორფემად გვაქვს წა (ხუნძ.-ანდ.), ც (დიდ.), რომლისთვისაც ფუძეენაში წაჟ ოდენობის

<sup>279</sup> სრულხმოვნობის ფაქტორს ეწვეა განსაკუთრებული ანგარიში, რაც ანლატში თანხმოვანთა თავყრას გამორიცხავს, თუმცა უყურადღებოდ რჩება  $c + ჟ$  კომპლექსის სტრუქტურული მოდელი, რაც ფაქტობრივ კონსონანტისა (C) და სონანტისაგან (S) შედგება.

აღდგენას სირთულეები ხვდება [გუდავა 1979, 156]. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ დენტოლამბიალიზაცია თაბასარანულსა და ზოგ მის ახლომონათესავე ენაში (დარგუული, ლაკური...) მეორეული მოვლენაა. მასთან, დენტოლამბიალიზებულ და ბილაბიალიზებულ ფონემა-კომპლექსთა ურთიერთმონაცვლეობა [მაჰომეტოვი 1974, 174] გენეზისურად მათ კავშირსაც ცხადყოფს.<sup>280</sup>

ამრიგად, ლამბიალიზებული თანხმოვნები ფონემატქმანდობის მაგისტრალურ ხაზს მისდევენ — ლამბიალური ჟ ელემენტის ძირითად თანხმოვანთან შეგუება-შერწყმის ხვედრითი წონა პირდაპირპროპორციულია ამ ტიპის ფონემათა რელევანტურობისა [არდოტელი 2000, 258]. ლამბიალიზებულ თანხმოვანთა ფონემური არაერთგვაროვნება, რომელიც გამსჭვალავს იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირეულ ლექსიკას, შეპირობებული უნდა იყოს ჟ სონანტის მეზობელ ძირითად თანხმოვანთან მეტნაკლებად შერწყმით,<sup>281</sup> ე.ი. ყ და ყჟ ოდენობებს შორის განსხვავება ლამბიალიზაციის ხარისხში უნდა ვეძიოთ. იმ ენებში (თაბასარანული, დარგუული...), რომლებშიც ლამბიალიზებულ თანხმოვნებს მონოფონემური სტატუსი აქვთ, ლამბიალიზაცია ანალოგიურად (ყჟ > ყ) ჩანს წარმოქმნილი.

**7.11. ფარინგალიზებული თანხმოვნების შესახებ.** ფარინგალიზებული თანხმოვნები დასტურდება საკ. დიდოურში, ჰინუხურსა<sup>282</sup> და ხვარშიული ენის ინოვაციურ დიალექტში.<sup>283</sup> ფარინგალიზებულ თანხმოვნებს მოეპოვებათ ფონემური სტატუსი, რაც იმავე რიგის არაფარინგალიზებულ თანხმოვნებთან სემანტიკური დაპირისპირებით მჟღავნდება, მაგ.: საკ. დიდ. ჳ'აბა „შავი“ — ჳაბა „თიხის თუნგი“, ჳ'უ „სახნისი“ — ჳუ „ოცი“, რეყ'ა „ცოდნა“ — რეყა „სამიზნე“, „სერი“...; ხვარ. ყ'უყ'აბ „მოზღვა“ — ყუყაბ „გირჩის თესლი“, ყ'ელე „ხორთუმი“ — ყელე „ხიშტი“ და ა. შ.

ისმის კითხვა: ისტორიულად გვექონდა თუ არა ეს ფონემები ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში?

არსებულ ლინგვისტურ ლიტერატურაში ამ თანხმოვანთა გენეზისის შესახებ ძირითადად ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი არის გამოთქმული: მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ბგერები ფუძეენის დი-

<sup>280</sup> ნ. ტრუბეცკოს მოსაზრებაზე დამყარებით, ა. მაჰომეტოვი ხუნძურსა და თაბასარანულ ენებში ლამბიალიზებულ/არალამბიალიზებულ თანხმოვანთა შესატყვისად განსხვავებულ რეფლექსებს წარმოგვიდგენს [მაჰომეტოვი 1974, 175]. სინამდვილეში ც > ჩ პროცესი პოზიციურად ჩანს შეპირობებული [იხ. გიგინეიშვილი 1977, 106].

<sup>281</sup> სუფიქსიეული ჟ-ს ძირითად თანხმოვანთან შერწყმით ახალი ფონემის წარმოქმნა ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში [როგავა 1980, 107].

<sup>282</sup> ს. კოძასოვი ჰინუხურში ფარინგალიზაციის არსებობას უარყოფს [კოძასოვი 1986, 25-26].

<sup>283</sup> მართალია, ბევ. ენის ბეჟეტის თქმავში გამოყოფენ ფარინგალიზებულ თანხმოვნებს [ხალილოვი 1995, 390], მაგრამ მათი გამოყენება მეტად სპორადულია და ისინი ფონოლოგიურად ირელევანტურნი უნდა იყვნენ [იხ. კოძასოვი 1986, 25].

ფერენციაციამდელი ვითარების ამსახველია [ტრუბეცკო 1987, 322; ლომთაძე 1955, 423-430; 1963, 45; 1998, 44-61; იმნაიშვილი 1963, 20, 32; იბრაჰიმოვი 1974, 193...], სხვანი ფარინგალიზაციას დილოურ ენათა ინოვაციად მიიჩნევენ [გულავე 1979, 39; რაჭაბოვი 1997, 107; არლოტელი 1998, 104...].

1) ფარინგალიზებულ მედერ სპირანტ ლ'ს ხუნძურში კანონზომიერად და რეგულარულად ჰ შესატყვისება, ანდიურ ენათა დიდ ნაწილში — მისი ისტორიული სახეობა ზ [ბოკარევი 1981, 26; ლომთაძე 1962, 296; გულავე 1964, 112, 146], რომლის რეფლექსაცია გარკვეულია. ამოსავალ \*ზს შესატყვისად ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში ჰ მოგვეპოვება (\*ზ > ლ > ჰ),<sup>284</sup> რომელსაც ბილაბიალური ჟს წინ რელექტია მოუდის [ლომთაძე 1963, 21] [იხ. მაგალითები 6.3.6.ბ].

მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ლ'ს რეკონსტრუქცია ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ფუძეენაში შესაძლებელია [ლომთაძე 1962, 296-297; იმნაიშვილი 1963, 20]. კერძოდ, ე. ლომთაძის აზრით, დიდ. ენათა ფარინგალიზებულ ლ'ს ხუნძურ-ანდიურ ენებში ზ შესატყვისება, არაფარინგალიზებულ ლ'ს კი — ჰ [ლომთაძე 1962, 297; 1998, 142], რასაც სერიოზული დაბრკოლებები ხვდება. მართალია, ერთი მხრივ, ხუნძ. ჰ : ს.-ანდ. ზ : ს.-დიდ. ლ შესატყვისობის, ხოლო, მეორე მხრივ, ხუნძ. ლ : ს.-ანდ. ლ : ს.-დიდ. ლ ბგერათიგივეობის მაგისტრალური ხაზიდან ცალკეულ გადახრებს ვხვდებით, მაგრამ ეს ნაირგვარობა კომპინაციური ბგერათცვლილებებით არის შეპირობებული.

იმის დასასაბუთებლად, რომ ისტორიულად დიდ. ლ' და ლ ერთმანეთისგან არ განირჩეოდა, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ა) ხუნძ. ჰჟე ~ ანდ. ზოჲ : ბოთლ. ზჟჲ ~ საკ. დიდ. ლ'ჟჲ : ხვარ. ლ'ჟე „ძალი“ (ასეთივეა: „გაღება“, „წისკელი“...); ბ) ხუნძ. ლედო ~ ანდ. ლანნი : ბოთლ. ლანდი ~ საკ. დიდ. ლ'ჟადი : ხვარ. ლ'ად „ყვავი“ (ასეთივეა: „ბარძაყი“, „პატარა ზვინი“ და მისთ.).

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: თუ დიდ. ლ' ამოსავალია, მაშინ როგორ მოხდა პოსტულატად აღებული \*ლ'ს არაერთგვაროვანი რეფლექსაცია?

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ლომთაძე ზემოწარმოდგენილ შესატყვისობათა მართებულობას იზიარებს [ლომთაძე 1962, 296; 1998, 145], მაგრამ პირველ შესატყვისობაში (ხუნძ. ჰ : ს.-ანდ. ზ : ს.-დიდ. ლ) ფონეტიკური პროცესი ასე წარმოუდგენია: ლ' > ზ > ჰ, რაც სარწმუნო არ ჩანს [იხ. თალიბოვი 1988, 155]. თავისთავად ფაქტის კონსტატაცია, რომ ლ' შეიძ-

<sup>284</sup> ს.-დიდ.-ში ლ > ჰ უნდა მომხდარიყო ლ'ს ფარინგალიზაციამდე. ტ. გულავე ფიქრობს, რომ \*ზ > ჰ. მაშინ საკითხავია: ს.-დიდ.-ში \*ზს შესატყვისად ორი ფონემა უნდა გვექონოდა?

უფრო სარწმუნო ჩანს ლ > ჰ [ლომთაძე 1962, 296; 1963, 78]. მით უფრო ბევ. ენის დიალექტებში ამგვარი ფონეტიკური პროცესი ამაჟამადც ხელშესახება, მაგ.: ცრ'ლ > ჰუნზ. ცრჰ „ქერი“, საკ. ბევ. ბუღორო > ჰუნზ. ბუჰორო „მიცვალებული“...

ლება იყოს როგორც ერთი შესატყვისობის, ისე მეორე შესატყვისობის წევრი, მის მეორეულ წარმომავლობას ექვემდებარება ხდის.

2) რაც შეეხება მეორე ფარინგალიზებულ **ხ'** სპირანტს, რომელიც მარტოოდენ დიდოური ენის ზოგ თქმაში (მოყოფი, ხეთოხი...) შეინიშნება, მისი გენეზისის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: დ. იმნაიშვილი ფარინგალიზებულ **ხ'**-ს მიიჩნევს ამოსავლად [1963, 30], რ. რაქაბოვი კი ჩვეულებრივ **ხ**-ს ადადგენს [1997, 103].

უნდა აღინიშნოს, რომ დიდოურ ენებში სამი განსხვავებული წარმომავლობის **ხ** დასტურდება, რომელთა ერთმანეთისაგან მკაფიოდ გარჩევა ყოველთვის ვერ ხერხდება მიუხედავად იმისა, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში სხვადასხვა რეფლექსები აქვთ: \***ხ** > **ხ**, \***ჯ'** > **ხ**, \***ჯ** > **ხ** [გულაია 1979, 120, 126].

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სათანადო მონაცემების ურთიერთშედარებით ირკვევა, რომ დიდოურ ენათა ერთ-ერთი ფარინგალიზებული **ხ'** მიღებულია ინტენსიური **ხა**-ს ტრანსფორმაციით (**ხა** > **ხ'** > **ჰა**), მაგ.:

1. ხუნდ. ხუნა „შეხვრია“ ~ ბოთლ. ხუნდუ- : ქამ. ხედ : ტინდ. ხაჟო „შესვა“ ~ საკ. დიდ. ხ'ალ'ჟა, ჰალ'ჟა (დიალ. ვარ.): ხვ. ხილ'ა, ინხ. ხულ'ა : ჰუნზ. ხულ'ა, ბეყ. ხულ'ალ „ხვრება“, „სმა“.

2. ხუნდ. იხა ~ ახვ. ინხეინხე „ნაკადი“ ~ საკ. დიდ. იჰაუ, იხ'უ (დიალ. ვარ.): ჰინ. ციხუ : ხვ. ცი'ხუ (ინხ. ცუ'ხუ) : ბეყ. ცუ'ხე „მდინარე“.

3. ხუნდ. ხინჯ ~ ქამ. ხინჟ (< \*ხინჯ) : კარ. ხინჯა ~ საკ. დიდ. ხ'აკო, ჰაკო<sup>285</sup> (დიალ. ვარ.): ჰინ. ხოკო : ხვარ. ხიკო : ბეყ. ხოკა (ჰუნზ. ხანკ-ალ) „ხინკალი“.

დასტურდება რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც, საფიქრებელია, **ხ'** < \***ხ** : ხუნდ. მეჰედ ~ ბოთლ.: ღოდ. ნიხი : ქამ. ნიხ : ტინდ. მიჰი : კარ. ნიხე ~ საკ. დიდ. ხ'ამორი, ჰამორი (დიალ. ვარ.) : ჰინ. ხემა- (შდრ. ხე-მაროკუ ზედმიწ. „მკერდ-გული“) : ხვარ. ჰუმან- (შდრ. ჰუმან-ლოკო ზედმიწ. „მკერდ-გული“) : ბეყ. ღემო (ჰუნზ. ღერუ) „მკერდი“. ანალოგიურ შემთხვევებში \***ხ**-ს ცვლილების გზა ასე წარმოიდგინება: \***ხ** > **ხ'** > **ჰ** (საკ. დიდ.), \***ხ** > **ღ** (ბეყ.), \***ხ** > **ჰ** (ხვარ.).

არცთუ იშვიათად ფარინგალიზებული **ხ'** ისტორიულად უცვლელ ღ-ს უკავშირდება.<sup>286</sup> ხუნდ. მად ~ ბოთლ.: ღოდ.: ქამ.: ბაგვ. მილა ~ საკ. დიდ. მახ'ი, მაჰაი (დიალ. ვარ.) : ჰინ. მიჰი : ხვარ. მი'ჰი<sup>287</sup> (ინხ. მიჰე) : ბეყ. მიღ (ჰუნზ. მიღ) „კული“, „ღუმა“.

<sup>285</sup> ჰაკო < ხ'აკო [იმნაიშვილი 1963, 30].

<sup>286</sup> ამას არც ე. ლომთაძე უარყოფს [1998, 144].

მაშასადამე, დიდოურ ენაში თავჩენილი ზ'-ს სხვადასხვა არქიფონემა უღვეს საფუძვლად, რაც იმის მათყუებელია, რომ იგი წარმოქმნილია გვიან და დიდოური ენის ფარგლებს არ სცილდება.

3) ახვახურ ენაში დაცულ, ამოსავალ \*ჭ'-ს ხუნდურში ზ შეესატყვისება, დიდოურში — ჰ, ზ [ტრუბეცკოი 1987, 256; ლომთაძე 1962, 292; გულავა 1979, 120-121].<sup>287</sup>

ე. ლომთაძის შეხედულებით, ამ ბგერათშესატყვისობისათვის არქიფონემად დიდ. ენათა ფარინგალიზებული ჳ' არის მიჩნეული და ახვახურ ჳ'-ს გათანაბრებული [ლომთაძე 1962, 292].

ვეფქრობთ, რომ ფარინგალიზებული ჳ' დიდ. ენებში, თავისი ლოკალური რიგის სხვა თანხმოვანთა მსგავსად, მეორეული წარმომავლობისა ჩანს. კერძოდ, იგი გენეზისურად ს.ხუნდ.-ანდ. ყა-ს უკავშირდება, მაგ.: ხუნდ. ყუბ ~ ბოთლ. ყუბუ : ქამ. ყაბ : ახვ. ყაბე ~ საკ. დიდ. ჳ'უ „ხის კავი“, „ოქოქა“; ხუნდ. ეა-ყა ~ საკ. დიდ. ეა-ჳ'ულ' „დღეს“, შდრ.: ხუნდ. ყუდ ~ ბოთლ. ყონდა : ახვ. ყუ'და ~ საკ. დიდ. ჳილო : ხვარ. ჳოდ „კედელი“.

ფარინგალიზებული აფრიკატები ჳ', ყ' არაიშვიათად ნასესხებ მასალაშიც დაჩნდება, რაც აგრეთვე მათ მეორეულ წარმომავლობას უქერს მხარს. საილუსტრაციო მაგალითები: საკ. დიდ. : ჳ'ალ (< ხუნდ. ჳალ) „ხის ქერქი“, ჳ'აჳაჳ (< ხუნდ. ჳაჳაბ) „გამოფიტული“, ჳ'ანჩ (< სომხ. ჳანჩ) „ჯვარი“, ნაყ'იშ (< თურქ. ნაყიშ) „მობატულობა“, „ნახჭი“, ყ'აჳოზი (< ხუნდ. ყაჳაზე) „მომზადება“ და სხვ. მრ.

4) ფარინგალიზებულ ყრუ აბრუბტივ ყ'-ს ხუნდურში შ შეესატყვისება, ხოლო ანდიურში — ყ, ღ, ქ, შ. საერთო ამოსავალი ყ' დაცულია ახვახურ ენაში [გულავა 1979, 136; შდრ. ბოკარევი 1981, 34].

საერთო ამოსავალი	ხუნდ.	ანდ.	დიდ.	
ყ'	შ	ყ'	ყ'	
	რაშიზე	ბიყ'არი	რეყ'ა	„ცოდნა“
	მეზე	ბიყ'უ	ბაყ'უ	„ბევრი“
	უნშ-გუ	ბო-ყ'ო-გუ	უყ'ყ'უენ	„ოთხი“
	მაჳო	მოყ'ო	მოყ'უ	„ცრემლი“
	მაშ	ბიყ'ე	მეყ'	„ალურსმანი“

<sup>287</sup> ცხადია, ტაჯ' („დანა“) და სხვა მისთანა ლექსემებში ჳ' სულ სხვა წარმომავლობისაა, ვინაიდან ამოსავალი ჳ', რომელიც ახვახურმა დაიცვა, დიდ. ენებში ზ-ს სახით არის წარმოდგენილი [გულავა 1979, 121].



ზემოწარმოდგენილი შესატყვისობის გვერდით დასტურდება მეორე რიგის შესატყვისობა: ხუნძ. ანდ. კა : დიდ. ყ', მაგ.: ხუნძ. ზუნკა ~ ანდ.: ბოთლ. ჰინკაჟა ~ საკ. დიდ. აყ'უ, „თავი“; ხუნძ. როკუნ ~ ბოთლ. მაკაჟ-ჲ ~ ხვარ. ბუყ'ონ „ნემსი“.

დიდოურ ენებში ფარინგალიზებული ყ'-ც და მისი კორელატიც (ყ) ბგერათიგიეობას გვიჩვენებს.<sup>228</sup>

ამ შესატყვისობათა შეპირისპირებიდან ცხადი ხდება, რომ ყ' ორგვარი გენეზისისაა (ყ' < აზვ. ყ'; ყ' < კა), რაც აგრეთვე მის გვიანდელ წარმოქმნას ადასტურებს.

ამრიგად, არნ. ჩიქობავას ცნობილი დებულება, რომ „ფარინგალიზებული ფონემების... მეორეულობა სათანადო ენათა ფონემატურ სისტემაში ეპეს არ უნდა იწვევდეს“ [ჩიქობავა 1979, 63], დიდოური ენების უკანაველარულ სპირანტთა (ღ, ხ) და ფარინგალურ აფრიკატთა (ჭ, ყ) ფარინგალიზებული კორელატების გენეზისის ჩვენებითაც მტკიცდება. აქედან გამომდინარე, დიდოური ენები ინოვაციით გამოირჩევიან — ფარინგალიზებული ფონემები აინის (ან მისი მჟღერი ჰ ვარიანტის) საკომპენსაციო რედუქციით ჩანან ჩამოყალიბებული [არდოტელი 1998, 104]. საანალიზო თანხმოდენები დიდოურ ენათა ერთი წყების კუთვნილებაა და მათი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში არსებობის მტკიცება საფუძველს მოკლებულია.

<sup>228</sup> ანდოურ თქმაში ინტერვოკალური ყ' > ზ [იზნაიშვილი 1963, 20].

ზემოგანხილული ფონეტიკური პროცესების მიხედვით, საერთო-ხუნ-ძურ-ანდიურ-დიდოური კონსონანტური სისტემის თანდათანობითი ცვლი-ლებების ქრონოლოგიზაციის სურათი სქემატურად ასე გამოიხატება:<sup>289</sup>

**ფონეტიკური პროცესების ქრონოლოგიური ტაბულა**

	I საფეხური: არაინტენსიურ სპირანტთა გაფუფრება	II საფეხური: ხშულთა სპირანტიზაცია. სისინა და შიშინა სიბილანტთა მონაცვლეობა (ზუნძ., კამ., ახვ.)	III საფეხური: ინტენსიურ აბრუბტუთა და ხშულ-მსკდომთა დეზაბრუბტუიზაცია (resp. გაფუფინეფრება)	IV საფეხური: ინტენსივობის კორელაციის მოშლა	V საფეხური: ფარინგალიზაცია დილურ ენებში
*	1	2	3	4	5
ქა	ქა	→ ხა		→ ხ	→ ხ'
კა	კა	→ კა	→ კა	→ კა	→ კა
ც	ც	↘ ს(ჭშ) <sup>290</sup> ↘ (ჩ)	→ ს	→ ს	→ ს
ცა	ცა	→ სა	→ სა	→ ს	→ ს
წ	წ	→ წ	→ წ	→ წ	→ წ
წა	წა	→ წა	→ ცა	→ ც	→ ც
ჩ	ჩ	→ მ	→ მ	→ მ	→ მ
ჩა	ჩა	↘ შა ↘ (ცა)	→ შა	→ მ	→ მ
კ	კ	→ კ	→ კ	→ კ	→ კ
კა	კა	→ კა(ჭწ)	→ ჩა	→ ჩ	→ ჩ
ტ'	ტ'	→ ტ'	→ ტ'	→ ტ'	→ ტ'
ტ	ტ	→ ტ	→ ტ	→ ტ	→ ტ
წ	წ	→ წ	→ წ	→ წ	→ წ

<sup>289</sup> სიმარტივისათვის მოგვყავს მხოლოდ ის თანხმუნები, რომელთაც ესა თუ ის ცვლილება (ძირითადად, სპორტანური) განიცადეს.  
<sup>290</sup> ფრჩხილებში მოთავსებული რეფლექსები ზუნძურ, კამალურ, კარატაულ და ახვახურ ენათა მონაცემებია.

	1	2	3	4	5
რ <sup>1</sup>	რ <sup>1</sup>	1 რ <sup>1</sup>	რ <sup>1</sup>	1 რ <sup>1</sup>	რ <sup>1</sup>
რ <sup>2</sup>	რ <sup>2</sup>	1 რ <sup>2</sup>	რ <sup>2</sup>	1 რ <sup>2</sup>	რ <sup>2</sup>
რ <sup>3</sup>	რ <sup>3</sup>	1 რ <sup>3</sup>	რ <sup>3</sup>	1 რ <sup>3</sup>	რ <sup>3</sup>
რ <sup>4</sup>	რ <sup>4</sup>	რ <sup>4</sup>	რ <sup>4</sup>	რ <sup>4</sup>	1 რ <sup>4</sup>
რ <sup>5</sup>	რ <sup>5</sup>	რ <sup>5</sup>	1 რ <sup>5</sup>	1 რ <sup>5</sup>	1 რ <sup>5</sup>
რ <sup>6</sup>	რ <sup>6</sup>	რ <sup>6</sup> ( $>3$ )	რ <sup>6</sup>	რ <sup>6</sup>	რ <sup>6</sup>
რ <sup>7</sup>	რ <sup>7</sup>	რ <sup>7</sup>	რ <sup>7</sup>	რ <sup>7</sup>	რ <sup>7</sup>
რ <sup>8</sup>	რ <sup>8</sup>	რ <sup>8</sup> ( $>3$ )	რ <sup>8</sup>	1 რ <sup>8</sup>	რ <sup>8</sup>
რ <sup>9</sup>	რ <sup>9</sup>	რ <sup>9</sup> ( $>3$ )	რ <sup>9</sup>	რ <sup>9</sup>	რ <sup>9</sup>
რ <sup>10</sup>	1 რ <sup>10</sup>	რ <sup>10</sup>	რ <sup>10</sup>	1 რ <sup>10</sup>	რ <sup>10</sup>
რ <sup>11</sup>	რ <sup>11</sup>	რ <sup>11</sup> ( $>3$ )	რ <sup>11</sup>	1 რ <sup>11</sup>	რ <sup>11</sup>
რ <sup>12</sup>	რ <sup>12</sup>	რ <sup>12</sup>	რ <sup>12</sup>	1 რ <sup>12</sup>	რ <sup>12</sup>
რ <sup>13</sup>	1 რ <sup>13</sup>	რ <sup>13</sup>	რ <sup>13</sup>	რ <sup>13</sup>	1 რ <sup>13</sup>
რ <sup>14</sup>	რ <sup>14</sup>	რ <sup>14</sup>	რ <sup>14</sup>	1 რ <sup>14</sup>	რ <sup>14</sup>
რ <sup>15</sup>	რ <sup>15</sup>	რ <sup>15</sup>	რ <sup>15</sup>	1 რ <sup>15</sup>	რ <sup>15</sup>

<sup>291</sup> ფარინგალიზაცია და არაინტენსიური კორელატი ტრადიციულად ერთი დიაკრიტიკული ნიშნით (') გამოიხატება.

## მესამე ნაწილი

### სახელისა და ზმნის ფონემატური სტრუქტურა

#### VIII თავი

### სახელურ და ზმნურ ძირ-ფუძეთა ფონემატური სტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ძირეული ლექსიკის ფლექსია-დერივაციის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელურ ძირ-ფუძეთა და ფორმანტთა ამოსავალი ტიპი მეტწილად განსხვავებული უნდა ყოფილიყო ამჟამინდელი ვითარებისაგან [ჩიქობავა 1974, 51]. მარტივი ძირეული მორფემა უნდა გართულებულიყო სათანადო სადეტერმინაციო ელემენტების დართვით,<sup>292</sup> ძირთა შერწყმა-ჩედუბლიკაციით, ცალკეულ - თანზმოვანთა შეჭრა-შეთავსებით, გრამატიკული კლასის ნიშანთა ძირთან შეხორცებით<sup>293</sup> და ა. შ. [ლომთათიძე 1976, 248-250].

ამ თვალსაზრისით, დაახლოებით ანალოგიურ სურათს ვაწყდებით ინდოევროპულ ენებშიც [შეიე 1938, 191-199; ბლუმფილდი 1968, 228-269; გამყრელიძე, ივანოვი 1984, 215-219].

ისტორიულად ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძენაში სახელს, როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდვილიდან კარგად არის ცნობილი [ჩიქობავა 1942; როგავა 1956; აბდულაევი 1981, 38-57; ბურკულაძე 1983, 298-314...], უნდა ჰქონოდა ასეთი მორფოლოგიური სტრუქტურა: **გრამატიკული კლასის ექსპონენტი<sup>294</sup> + სახელის ძირი + სადეტერმინაციო სუფიქსი (resp. ფუძის ფორმანტი) + დერივაციული და რე-**

<sup>292</sup> ერთი ენის მარტივ ძირს სხვა ენაში გვევალენტად რთული მონაცემი მოეპოვება, რაც ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი მოგვიანებით არის გართულებული.

<sup>293</sup> ფუძედ განიხილება სახელის ის მონაცემი, რომელსაც ჩამოშორებული აქვს კლასის (თანზმობები ხმოვნიურთ), როცხვისა და ბრუნვის ნიშნები [მდრ. გლდავა 1959, 50; ლომთაძე 2000, 44-45]. ფუძისაგან განსხვავებით, ძირი, რომელიც რეალიზებულია ფლექსია-დერივაციის ერთიან სისტემაში, ე. წ. ჩანართ ელემენტებს (resp. დეტერმინანტ-სუფიქსებს) არ შეიცავს. აქედან გამომდინარე, CVCSტრუქტურის ძირი, რომელშიც კლასნიშანი ელიმინირებულია, ფუძეს ეთანაბრება.

<sup>294</sup> ფუძის წინამავალი კომპონენტის (კლას-ნიშნის) უმთავრესი ფუნქცია, თუ იგი ნამდვილად გამსჭვალავდა სუბსტანტივთა სტრუქტურას, ჩანს, სოციალური ღირებულების მიხედვით დაგუფებულ სახელთა კლასზე მითითება იყო, ხოლო დეტერმინანტიული სუფიქსი ფუძეთკმნადობის პარაცესში დეიქტური ნაწილაკის ფუნქციას ასრულებდა [ჩიქობავა 1942, 111]. ამჟამად კლას-ნიშანი მეტწილად სხვადასხვაგვარად არის მოდიფიცირებული — დაკარგულია ან შეხორცებულია ფუძეს ყოველგვარი ფუნქციური რეინტერპრეტაციის გარეშე. რაც შეეხება კლასის ექსპონენტის თანზმობებს ხმოვანს, მისი ფუნქციის დადგენა ჰერს, თუმცა სპეციალური ლიტერატურაში მის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს ვხვდებით [ჩიქობავა 1942, 169; ბურკულაძე 1983, 306-307; თოფურია 1987, 193 და სხვ.]. ხმოვნის თანზმოვნისათვის მიკუთვნება ფორმოზრივ სახესხვაობებს აჩენს, რაც ერთი ფუნქციის გამოსახატავად უცხოა. საფიქრებელია, იგი ანლაუტში თანზმოვანთა თავყრის სუბერაციისათვის ფონოლოგიურად იყოს შეპირობებული.

ლაციური მორფემები. ეს ფორმულის სახით ასე ჩაიწერება:  $A_F + R + A_D + A_F$  (resp.  $A_D$ ). სახელის ფუძის ფორმულა შეიძლება ასეც ჩაიწეროს:  $A_F + St + A_F$  (resp.  $A_D$ ). ამგვარი ძირითადი კანონიკური მოდელი შესაძლოა ყველა სახელისათვის არც იყო ობლიგატორული. იმ სიტყვაფორმებს, რომელთაც ძირი და ფუძე დიფერენცირებული არ აქვთ,<sup>295</sup> მათი მორფოლოგიური სტრუქტურის ფორმულა სიმარტივით ხასიათდება: კლასის ექსპონენტი + ძირი (resp. ფუძე):  $A_F + R$  (resp.  $St$ ).

ცნობილია, რომ სიტყვაფორმას ანაწევრებენ ძირეულ ( $R$ ) და აფიქსურ ( $A$ ) მორფემებად, ხოლო აფიქსურ მორფემებს, თავის მხრივ, ყოფენ: ა) ფლექსიური ( $A_F$ ) და ბ) დერივაციულ ( $A_D$ ) მორფემებად<sup>296</sup> [ბლუმფილდი 1968, 228-269...]. ამ დებულებიდან გამომდინარეობს ის, რომ ფუძეთა წარმოქმნა განეკუთვნოს სიტყვაწარმოებას, რაც დაზუსტებას საჭიროებს. ძირისაგან ფუძის წარმოქმნა ყოველთვის არ ნიშნავს ლექსიკური მნიშვნელობის ცვლას (Sic!), რაც მრავლობითი რიცხვის წარმოებაშიც ნათლად აისახება. ჩვენ სწორედ მრავლობითი რიცხვისა და ე. წ. ირიბ ბრუნვათა ჩვენების საფუძველზე აღვადგენთ ძირ-ფუძეთა არქეტიპებს საკვლევ ენებში, თუმცა იშვიათად სიტყვაწარმოებასაც მივმართავთ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფილია სახელის ფუძის ხუთი ძირითადი ტიპი [ცერცვაძე 1954, 22; მიქაილოვი 1964, 32-33]. ჩვენ კლასის ექსპონენტებს დამაკავშირებელი ხმოვნითურთ ფუძის სტრუქტურიდან გამოვრიცხავთ და, აქედან გამომდინარე, სამ ტიპს (დეტერმინანტიანი, უდეტერმინანტო, ოდენდეტერმინანტიანი) გამოვყოფთ, რომლებსაც განვიხილავთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

### I. დეტერმინანტიანი ფუძეები:

1. „სიმამრი“ : ხუნდ. ჟა-ტა-ად, ანდ. იმა-ტა-ურ||-ორ, ბოთლ., ლოდ. იმა-ტა-ურ, ბავკ., ქამ., ტინდ. იმა-ტა-არ, კარ. იმა-ტა-ელ||-ერ, ახვ. იმა-ტა-ე. დიდოურ ენებში შესატყვისი არ ჩანს და ამ სახელის აღსანიშნავად აღწერითი ფორმა გამოიყენება (ხედიფუს ბაბიფუ ზედმიწ. „ქმრის მამა“). ნათესაობის ზემომოყვანილ ლექსემას ეტიმოლოგიურად ხუნდ. ბა-ტა-ინე („ნდომა“, „სიყვარული“) ზმნას უკავშირებენ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 87]. ინიციალური ჭ მსლებელი ხმოვნითურთ კლასის მოქმედი ნიშანია (მდრ. ბა-ტა-ად „სიდდრი“), ტა ცალთანხმოვნია ძირია, ხოლო -ად დეტერმინანტ-სუფიქსს წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ამ სახელში გამჭირვალედ მოჩანს ძირ-ფუძეთა ჩამოყალიბების პროცესი.

საყურადღებოა ანდიურ ენათა მონაცემები, რომლებშიც კლას-კატე-

<sup>295</sup> იგულისხმება, რომ ამ რიგის სახელებს ფუძეთა დერივაცია იმთავითვე არ განუცლა, თუმცა რიგ შემთხვევაში ძირ-ფუძეთა ურთიერთთანხლებლა შეიძლება მეორეული მოვლნაც იყოს — ფუძის გამარტივების შედეგი [შანიტი 1980, 387; ჭობენაძე 1980, 118-193].

<sup>296</sup> გრამატიკული და ლექსიკური დერივაციის გამოიყენებისათვის [იხ. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972, 196].

გორიის პრეფიქსული ნიშანი გაუჩინარებულია, ხოლო საანალიზო სახელი კომპოზიტად არის ქცეული: იმა, ილა (შესაბამისად — „მამა“, „დედა“) პროკლიტიკად ერთვის ძირეულ მორფემას, რომელსაც ემატება -ად სუფიქსის ბადალი ელემენტები (-ერ, -ელ, -ურ||-ორ, -არ) და ძირს ფუძედ აყალიბებენ. შესაძლოა, ფუძის საწარმოებელი ფორმანტის თანხმონითი ელემენტის ფონეტიკურ ცვლილებათა გრადაცია ასე წარმოვიდგინოთ: დ > რ > ლ. ახვანურში თავჩენილი ოდენ -ე (< \*-ერ) დეტერმინატივის ნაშთს უღრის და ზოგ ხმოვანზე დასრულებული სახელის ასახსნელად კარგ საბუთს წარმოადგენს.

საბოლოოდ სახელის ამოსავალ სახეობად რეკონსტრუირდება \*ჟ (\*ჟ-ი) -ა-ტა-ად, რომელშიც ტა- ძირეული მორფემაა, ხოლო ტაად — ფუძე.

2. „ქვალი“: ხუნძ. რა-ტა-ა, ანდ. რო-ტა-ი, ბოთლ. რა-ტა-ირ, რა-ტა-ილ (დიალ. ვარ.), ლოდ. რა-ტა-ი<sup>5</sup> (< \*რა-ტა-ინ), ჰამ. მა-ტა-ულ, რა-ტა-ილ (დიალ. ვარ.), ტინდ. რა-ტა-ი/ე, ბაგვ. რა-ტა, კარ. რა-ტა-ე, ახვ. რა-ტა-ი, საკ. დიდ. ლ'-უ-ზა, ჰინ. ლ'-ჟ-ჟემ, ხვარ. ლ'-ა-ზალ, ბეჟ. ლ'-ჟ-ჟ-ა, ლ'-ორ-ა (დიალ. ვარ.).

როგორც ცნობილია, ხუნძურ-ანდიურ ენებში ამ სიტყვის ანლაუტში -დაჩნდება კლასის გაქვავებული ექსპონენტი [დემილ 1971, 114; გუდავა 1979, 178], რომელიც დიდოურ ენებში გაუჩინარებულია. ზოგ ენაში ნაწილობრივ, ან მთლიანად შემონახულია დეტერმინატივი. დიდოურ ენათა აბსოლუტურ აუსლაუტში ა გვინდელი დანართი ჩანს, ხოლო ბეჟიტურში მისი წინამავალი ნახევარხმოვანი ჟ ინტერვოკალურ პოზიციაში, რს ნაწილობრივი რედუქციის შემდეგ, არის განვითარებული. საგულისხმოა, რომ ბაგვალურში ფუძის ფორმანტი მთლიანად დაკარგულია.

მაშასადამე, რეკონსტრუირებული ფუძე იქნება \*ტ-ა-ტა-არ.<sup>297</sup>

რაც შეეხება ხუნძურსა და ზოგ ანდიურ (ანდ., ტინდ., კარ., ახვ.) ენას, სუფიქსის თანხმონითი ელემენტი მარცვალთლიაობის ტენდენციის საფუძველზე რედუცირებულია (შდრ. ხუნძ. რა-ტა-ად-ულ „ქელის“).

3. „ზღვა“: ხუნძ. რა-ლ'-ად, ანდ. რე-ლ'-ო, ლოდ., ტინდ., კარ., ახვ. რე-ლ'-ა, ჰამ. მე-ლ'-ა, ბოთლ. ბაგვ. რე-ჰა (< რე-ლ'-ა).<sup>298</sup>

ინიციალური რ მომდევნო ხმოვანითურთ კლასის გაქვავებულ ნიშნად მიიჩნევა, ხოლო -ად (>ა) — სადეტერმინაციო სუფიქსად (შდრ. არჩ. ათ, ად. -ულ...) [დემილ 1971, 190].

4. „გველი“: ბო-რო-ზ (< \*ბო-ზ-ორ, \*ბო-ქ-ორ), ანდ. ბე-რ-ჩა (< \*ბე-ჩ-არ, \*ბე-ქ-არ), ტინდ., ბაგვ. ბე-ქ-ა, ბოთლ., ლოდ. ბე-რ-ქ-ა (< \*ბე-ქ-არ),

<sup>297</sup> ს. სტაროსტინი აღადგენს ლაბიალიზებულ ფუძისეულ თანხმოვანს [1995, 49], რაც ნაკლებსარწმუნოა.

<sup>298</sup> ყველა დიდოურ ენაში დასტურდება ხუნძურის ანალოგიური ფორმა (რალ'ად „id“), რაც მის ნასესხობაზე მიგვანიშნებს.

საკ. დიდ. ბი-ქ-ორ-ი, ჰინ. ბუ-ქ-ორ-ე, ხვარ. ბე-ქ-ალ, ბე-ქ-ოლ (დიალ. ვარ.), ბეე. ბე-ქ-ელ-ა, ბე-გ-ალ-ა (დიალ. ვარ.).

ხუნძურ-ანდიურ ენებში **რ** სონორის მეტათეზის დილოურ ენათა ჩვენება ცხადყოფს. ბV- გენეზისურად შესაძლოა კლასის ოდინდელ ნიშანს („გველი“ III კლასში ერთიანდება) დაუკავშირდეს [შდრ. დეშილ 1971, 151]. ამოსავალი ძირეული **ქ**, რომელიც ბეჭიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში **გ**-დ ტრანსფორმირდება, ხუნძურში **ჯ** სპირანტში გადადის, ანდიურ ენათა ერთ წყებაში კი (ანდ., ჰამ., ბაგვ.) **ჩ** აფრიკატს გვაძლევს.

რაც შეეხება აუსლაუტის -V<sup>რ</sup>, -V<sup>ლ</sup> კომპონენტებს, ისინი ფუძის მარკერად გველინებიან. მასთან, არქეტიპად -v<sup>ლ</sup> რეკონსტრუირდება [დეშილ 1971, 152; არდოტელი 1999, 82-86].

5. „წელიწადი“ : ხუნძ. ს-ონ, ანდ. რე-შ-ინ ბოთლ., ლოდ. რე-შ-ი, ტინდ. რე-შ-ენ, ბაგვ., კარ. რე-შ-ინ ახვ., რე-შ-ე.

რე-პრეფიქსია, -შ- ძირი, -ო (<\*-ინ), -ენ — დეტერმინანტი-სუფიქსი [დეშილ 1971, 182].

6. „შეკრდი“ : ხუნძ. მე-ჰ-ედ, კარ. ნი-ხ-ე, ბოთლ., ლოდ., ტინდ. ნი-ხ-ი, ჰამ. ნი-ხ, ბაგვ. ნი-ჰ.

ეს ლექსემატ ანალოგიური ყალიბისაა: მე-, ნე- კლასის ოდინდელ ნიშანს ეთანაბრება, ხ (< ჰ) ძირეული მორფემაა, -ედ, -ო (<\*-იდ) ფუძის საწარმოებელი ოდენობა ჩანს (შდრ. დარგ. მი-ჯ-ირ, არჩ. მუ-ხ-ორ „id“).

7. „მთა“, „ცხვირი“ : ხუნძ. მე-შ-ერ, ანდ. მა-ჰ-არ, ლოდ. მი-ჰ-არ, ჰამ. მჰა (< \*მა-შ-არ-ი), ტინდ. მი-მ-არ (< \*მი-შ-არ), ახვ. მი-შ-ა, საკ. დიდ. მ-შ-ალ-ი, ჰინ. მ-ალ-უ, ხვარ. მ-ან-ი/ე; ბეე. მ-ჰ<sup>5</sup>, მ-არ-ო (დიალ. ვარ.).

სპეციალურ ლიტერატურაში ბV- ოდინდელ პრეფიქსად მიიჩნევა, ხოლო ჰ, შ, ც თანხმონები — ძირეულ ელემენტებად [დეშილ 1971, 120]. მ. ხაიდაყოვი ძირეულ მორფემად ანლაუტურ მ-ს გამოყოფს [ხაიდაყოვი 1973, 39].

ჩვენი აზრით, ხუნძურ-ანდიურ ენათა ძირეული ელემენტი ჰ (ც, შ) რედუცირებული ჩანს როგორც დილოურ ენებში (ხუნძ. მეჰერ > საკ. დიდ. \*მVჰარ > \*მVჰალ > \*მVჰალი > მჰალი, შდრ. ჰინ. მალუ „id“), ისე ნახურ ენებში (ჩაინ. მარ-ა < \*მV-ჰ-არ-ა). დილოურ ენათა აუსლაუტ-ში ხმონითი ელემენტი გვიანდელი დანართი უნდა იყოს.

8. „სახელი“ : ხუნძ. წ-არ, ანდ., ბაგვ. წ-ერ, ბოთლ., ლოდ., კარ., ახვ. წ-ერ-ი, ჰამ. წ-ე (< ჰიჰ. წ-ერ-ი), საკ. დიდ. ც-ი (< \*ც-ირ, შდრ. მრ. რ. ცირ-ა-ბი), ჰინ. ც-ე, ხვარ. ც-ო<sup>6</sup>, ც-ა<sup>6</sup> (დიალ. ვარ.),<sup>299</sup> ბეე. ც-არ-ო, ც-ო<sup>6</sup> რ-უ (დიალ. ვარ.).

<sup>299</sup> ე. ბოკარევი ძირითადად ინზოვარული დიალექტის ფორმას იყენებს [სკარბე 1967, 224; 1959, 149], თუმცა დამოწმებული აქვს საკ. ხვარ. ფორმაც ცან [ბოკარევი 1959, 232; შდრ. გულაბა 1979, 59].

ამგვარივე ფონოლოგიური სტრუქტურა მოეპოვება ზოგ სხვა სახელსაც („თავი“, „წვერი“, „აუღი“, „გრძელი“...).

ზემომოყვანილი მოდელის ზოგი სახელის ფუძეში ხელშესახებია პრეფიქსული ელემენტის (resp. ოდინდელი კლას-ნიშნის) გამარტივების (რედუქცია, მეტათეზისი და მისთ.) ტენდენცია,<sup>300</sup> მაგ.:

ხუნძ. შა-ზო (< \*ნა-ზო), ანდ., ბოთლ., ტინდ., კარ. ან-ზი (< \*ნა-ზი), ახვ. ან-ჟი (< \*ნა-ჟი), საკ. დიდ. ი-სი (< \*ნი-სი), ხვარ. ენ-სა (< \*ნე-სა), ბეჟ. ონ-ზ (< \*ნო-ზ) „თოვლი“.

ხუნძ. ზ-არ, ანდ., ტინდ. ზა (< \*ზ-არ), ახვ. ჟ-არი, საკ. დიდ. ბე-სი, შინ. ბე-ში, ხვარ. ბე-სა, ბეჟ. ბი-ზა „მუშტი“.<sup>301</sup>

## II. უდეტერმინანტო „ფუძეები“ (resp. ძირები):

1. „ძმა“, „და“ : ხუნძ., ქამ. ჟ(ა)ა-ცა,<sup>302</sup> ანდ. ჟ(ა)ო-ცო, ბოთლ., ლოდ., ტინდ., კარ., ახვ. ჟ(ა)ა-ცო, ბაგვ. ჟ(ა)ა-სა, საკ. დიდ. ე-სი-აჟ||-ჟ,<sup>303</sup> შინ. ე-სს-ჟ (< \*ე-სი-ჟ), ხვარ. ეს, ის (დიალ. ვარ.), ბეჟ. ი-ს („ძმა“), ი-სი („და“).

ანლაუტში რელიქტურად შემონახულია კლასის მოქმედი ექსპონენტი, რომელიც დიდოურ ენებში წესისამებრ იკარგვის და იწვევს ომონიმიას [ბოკარევი 1959, 227; გუდავა 1979, 122].<sup>304</sup> უყურადღებოდ რჩება ძირეული თანხმოვნის (ც > ს > ხ) უკანამავალი ხმოვანი ი, რომელიც, ანდიურ-დიდოურ ენათა გარდა, დაჩნდება ზოგ სხვა დაღესტურ (დარგ., უდ., კრიწ...) ენაში.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: ხმოვანი ძირისეულია თუ დეტერმინანტ-სუფიქსისეული, რომელიც ეტიმოლოგიურად უნდა რეკონსტრუირდეს? შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ არნ. ჩიქობავა ამ ფუძის ანალიზისას ძირეულ ოდენობად -ცაი სეგმენტს გამოყოფს [ჩიქობავა 1979, 81].

მართლაც, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ცაი ბაზისური მორფემის შემადგენელ ელემენტებად დაშლა არ ხერხდება არც „ირიბ“ ბრუნვათა და არც მრავლობითი რიცხვის ფუძის ჩვენების მიხედვით, ვი-

<sup>300</sup> ტ. გუდავა კლასიფიკატორის ორი სახის მოდელს გამოყოფს: ა) თანხმოვანი + ხმოვანი და ბ) ხმოვანი + თანხმოვანი [გუდავა 1959, 12].

<sup>301</sup> ეს მავალითი ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორ შეიძლება ძირთა ერთიანობის პირობებში ენათა ერთმა წყებამ პრეფიქსაცია მოიშალოს (ხუნძ.-ანდ.), ხოლო მეორე წყებამ (დიდ.) იგი დაიცვას.

<sup>302</sup> ფრჩხილებში ჩასმული მ სონანტის დართვით „და“ აღინიშნება.

<sup>303</sup> „დას“ „ძმისაგან“ განასხვავებს ოდენ კლასის (მ) ნიშანი, რომელიც დიდ. ენებში, პრეფიქსულ კლას-ნიშანთა მოშლის საერთო ტენდენციის გამო, გაუჩინარებულია და, შესაბამისად, „და-ძმის“ ფორმობრივი გარჩევა (აგრეთვე „აჟი-ვილისა“ და „ქალიშვილისა“) შეუძლებელია. სემანტიკური გარჩევა ხდება ან კონტექსტით, ანდა აღიქვითური სახელის დართვით.

<sup>304</sup> ტ. გუდავა ფუძედ ა-ცა-ი ოდენობას მიიჩნევს, ე.ი. ფუძიდან კლასის ნიშანს გამორიცხავს, მაგრამ მის თანხმობას ხმოვანს ფუძეში აერთიანებს [გუდავა 1979, 122]. თუ მკაცრად ვიშვებებით, ა არც ფუძის კუთვნილებაა და არც კლას-ნიშნისა.



ნაიდან არ გამოვლინდება ე. წ. ჩანართი თანხმოვნითი ელემენტები.<sup>305</sup> ძ-ვერც დამაკავშირებელ ხმოვნად მივიჩნევთ, რადგან უამხმოვნოდ იბრუნვის სახელი და იწარმოება მრავლობითობა (მაგ., ხუნძ.: სახ. უცა, შდრ. ნათ. უცა-ასა-ულ, მრ.რ. უცა-ალ).

ხუნძურ ენაში საანალიზო ლექსემის აუსლაუტი გამარტივებული ჩანს: უცა < \*უცაი. ეს შეპირობებული უნდა იყოს ამ ენის დახურული მარცლისაკენ მისწრაფებით.<sup>306</sup> ანდიურ ენაში პალეოერგატიული ფუძის მარკერად დასტურდება კლასის ექსპონენტები [თოფურია 1995, 91], რომელთა წინამავალი უ ხმოვნის გავლენით ძირისეული ი უნდა იყოს რედუცირებული.

მაშასადამე, საერთო ამოსავალი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურში უნდა ყოფილიყო \*უა-ცაი, რომელშიც უ კლასის ექსპონენტი, ა თანხმოვანთ-გამყარი ხმოვანია, ხოლო ცაი — ბაზისური მორფემა (შდრ. აფხ. ა-და-შა „id“).<sup>307</sup>

2. ანალოგიური ფუძე დასტურდება „ვაფიშვილის“ („ქალიშვილის“) აღმნიშვნელ სახელში: ხუნძ. უ(ა)ა-ს (< \*უა-სა),<sup>308</sup> ანდ. უ(ა)ო-შო, ბოთლ., ლოდ., ბაგვ., კარ., ახვ. უ(ა)ა-შა, ჭამ., ტინდ. უ(ა)ა-შა || უ(ა)ა-შა, საკ. დიდ., შინ. უ-ჟი, ხვარ. უ-ჟა, ბეჟ. ო-ჟო.

3. „მწყემსი“ : ხუნძ. უე-ხ (< \*უე-ხუა), ჭამ., ტინდ., ბაგვ. იჰუა, კარ. ი-ხ უა, ახვ. ი-შუა, საკ. დიდ. ა-ხ'ო, ხვარ. ი-ჰო, ბეჟ. უე-ხა, უე-ჟა.<sup>309</sup>

ანდიურ-დიდოურ ენებში პრეფიქსაცია მოშლილია, შემოგვრჩენია ოდენ ხმოვნითი ელემენტი. ხუნძურში ბოლოკიდური ხმოვანი წინამავალი მარცლის მახვილის გავლენით რედუცირებულა, რასაც შეუქმნია ხელსაყრელი გარემოცვა უა დაკარგვისათვის (c+w კომპლექსი აუსლაუტში აკრძალულია: ხუნძ. ბაყ < \*ბაყუ, შდრ. ბაყუა-ზე „გამხევება“ > „გაშრობა“).

<sup>305</sup> ზოგი მკვლევარი ცდილობს CV სტრუქტურის ბაზისური მორფემის ხმოვანი ფუძის საწარმოებელ ელემენტად გამოაცხადოს [საიდოვა 1985, 11; ალექსევი 1988, 75-77], რაც გარკვეულ წინააღმდეგობას აწუღებს და დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

<sup>306</sup> უცნაურობას ამჟღავნებენ ბაგვ. და ჭამ. ენები, რომლებშიც აგრეთვე ხმოვანდაკარგული ფორმები (უასა < \*უასი, უაცა < \*უაცი) გვხვდება [გულავე 1971, 84; დემილ 1971, 128].

<sup>307</sup> ყურადღებას იქცევს აფხ. ფორმაჲ, რომელშიც ძირეულ მორფემად -შაჲ გამოყოფენ [ლომთათიძე 1976, 80; მელიქიშვილი 2000, 57]. ქ. ლომთათიძე აფხაზურ-აბაზურ ენების მასალაზე დაყრდნობით უშვებს CV სტრუქტურის ძირთა არსებობას [ლომთათიძე 1976, 250; შდრ. როგავა 1956, 116], თუმცა ზოგ მაგალითს, სახელდობრ, ა-შ-ცა („კეცხლი“) ლექსემაში -ცა ოდენობის ძირეულ მორფემად გამოყოფას დადესტრუქციური ენები არ უპერენ მხარს [გულავე 1979, 130-131; ბურჭულაძე 1986, 17-18; შდრ. ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994, 354-355].

<sup>308</sup> ხუნძურში არქეტპი უაჲა წარმოჩნდება მიმართვის ფორმაში [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 29].

<sup>309</sup> ჰუნზ. უე-ხა ხუნძურიდან ახალი ნასესხობაა, ხოლო ბეჟ. უე-ჟა შედარებით ძველი (ხ > ქ). საკუთრივ ბეიტურ ფორმას ეპოვებთ კომპოზიტში უადა-ლა-ჟო „მწყემსი“ (ზედმიწ. „ძროხის მწყემსი“).

დასტურდება ისეთი სახელებიც, რომელთა შედგენილობაში თავს იჩენს ფუძეს შეზორცებული კლას-კატეგორიის ექსპონენტები. მათი გამოყოფა რეკონსტრუქციის საფუძველზე ხდება:

1. ხუნძ. მ-ა-წა, ანდ., ბოთლ., ახვ. მ-ი-წა, კარ. მ-ა-წა-ი, საკ. დიდ. შინ. მ-ე-ც, ხვარ. მ-ი-ც „ენა“.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავკიდური მ-კლასის ნიშანია [ჩიქობავა 1974, 51], ხოლო ანდიური ენათა  $\sigma$  (< ა) — დამაკავშირებელი ხმოვანი [გუდავა 1979, 154]. გარდა ამისა, ხუნძურსა და დიდიურ ენებში ბოლოკიდური  $\sigma$  რედუცირებული ჩანს.

2. ხუნძ. რ-ა-კ (< \*რ-ა-კჷა), ანდ. რ-ო-კჷო||რო-კ-ო, ბოთლ., ტინდ., ბაგვ., კარ., ახვ. რ-ა-კჷა, ჰამ. მ-ა-კჷა, ხვარ. ლ-ო-კჷა (< \*რ-ო-კჷა), ბეჟ. მ-ა-კ-ო (< \*რ-ა-კჷო) „გული“.

3. ხუნძ. ბ-ა-ყ (< \*ბ-ა-ყჷ), საკ. დიდ., შინ., ხვარ. ბ-უ-ჟ (< \*ბ-ე-ჟჷ), ბეჟ. ბ-ო-ჟ (< \*ბ-ი-ჟჷ) „მზე“.

4. ანდ., ბოთლ., ლოდ., ტინდ., ახვ. რ-ი-ტა-ი, ჰამ. მ-ი-ტა, ბაგვ. რ-ი-ტა, საკ. დიდ. რ-ე-ლ', ხვარ. ლ-ი-ლ' (< \*რ-ი-ლ') „ხორცი“.

ანდიურ ენებში  $\sigma$  ფონეტიკური დანართი ჩანს. არქეტიპად აღადგენენ ბაგვ. რ-ი-ტა- ფორმას [გუდავა 1979, 183].

5. ხუნძ. ნ-უ-წა-ა, ანდ., ბოთლ. შინ-წა-უ (< \*წი-წა-ო), ლოდ. შინ-ცა-უ, ჰამ. შინ-წა, შინ-წაჷ (დიალ. ვარ.), ბაგვ. შუ-წა, საკ. დიდ., შინ. ცა-ც, ხვარ. ა-ნ-ც, ბეჟ. ა-ნ-ც, ა-ნ-ც-უ (დიალ. ვარ.)<sup>310</sup> „ჰარი“.

იჩვენება, რომ ისტორიულად ძირეულ თანხმოვან წა-ს მოსდევდა უ, რომელიც, ცხადია, ცვლიდა ინლაუტისა და აუსლაუტის ხმოვნებს. ხუნძურში პრეფიქსული ნ-უ- (< \*წი-) ჟ-ს გავლენით: ნუწა (< \*წიწაჷ) [შდრ. ალექსეევი, 1988, 124]. ანდიურ ენათა შ ფონეტიკური შემართვის ფონეტიკის შედგენილება, რაც უნდა მომხდარიყო თავკიდური წა-ს მეტათეზისის შემდეგ. დიდ. ენებში შ-ს ადგილას მაგარი შემართვა გვაქვს, ხოლო ნ აქაც მეტათეზირებულია: ა-ნ-ც < \*წა-ც.

ანალოგიური სტრუქტურა მოეპოვება ზოგ სხვა სახელსაც, რომელთა მასალობრივი ერთიანობა ექვს არ იწვევს.

ძირ-ფუძეთა სტრუქტურის კვლევისას ხანდახან ყურადღებას იპყრობს მათი სინკრეტიზმი, რაც ფორმობრივი თანხვედრით მქლავდება და ერთგვარად ძნელებს მათ ცალ-ცალკე განხილვას. ჩვენული ინტერპრეტაციით, ძირეული მორფემა მისი დერივატისაგან (reps. ფუძისაგან) მარტოოდენ ფუძის მარკერის უქონლობით განსხვავდება. პრეფიქსული გრამატიკული ელემენტი - კლასის ნიშანი მომდევნო ხმოვნითურთ მხედველობაში არ მიიღება. იმ შემთხვევაში, როცა ფუძის საწარმოებელი აფიქსი და კლასის რელიქტური ექსპონენტი არ დასტურდება, ფუძე ძირს ემთხვევა და ქმნის ძირ-ფუძეთა სავსებით კანონზომიერ ომონიმიას. ამ ენობ-

<sup>310</sup> დაწვრილებით იხ. ბურკულაძე 1986, 38.

რივი რეალობიდან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად ითვლება დეტერმინანტი-სუფიქსი (reps. ფუძის მავრცობი), რომელიც კარგად არის ცნობილი ინდოევროპულ ლინგვისტიკაში [მეიე 1938, 191-199; ბენვენისტი 1955].

სიტყვის ასეთი ორი კარდინალური მონაცემის ანალიზი, როგორცაა „ძირი“ და „ფუძე“, უნდა ხდებოდეს დიფერენცირებულად. ფუძე ძირს ემთხვევა ან მაშინ, როცა იგი ფონეტიკურად მოდიფიცირებულია, ანდა მაშინ, როცა ძირი ისტორიულად საერთოდ არ გავრცობილა. მეორე შემთხვევაში ფუძის არსებობაზე ლაპარაკი პირობითია, ვინაიდან ბაზისურ მორფემებში მათ შორის ტოლობის ნიშანი დაისმის.

არავინ დაობს იმაზე, რომ ფუძეს ძირი უდევს ამოსავლად და ფუძე ძირს (გამარტივებულს თუ სრულს) მთლიანად მოიცავს. აქედან გამომდინარე, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სახელის მონაცემების გათვალისწინებით შევეცდებით ძირთა ამოსავალი სტრუქტურების პოსტულირებას.

უნდა დავუშვათ a priori, რომ ენაში ძირთაქმნადობის პირველ საფეხურზე სახელს არ უნდა ჰქონოდა ერთი რომელიმე არქეტიპი. ფონემის არქეტიპისაგან განსხვავებით, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ და მხოლოდ ერთ ამოსავალ ოდენობას გულისხმობს, ძირთა სტრუქტურული მოდელი რამდენიმე უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, ენა ესწრაფვის მრავალფეროვნებას და, ამისდა კვალად, აყალიბებს ძირეულ მორფემებს. ისტორიულად ოდენკონსონანტური სტრუქტურული ტიპის არსებობის დაშვებაც ეკვის საფუძველს გვაძლევს, ვინაიდან ენაში არსებულ ფონემათა ჯამს დიდად სჭარბობს აღსანიშნ საგანთა და მოვლენათა რაოდენობა. მხოლოდ ცალთანხმოვნიან ძირთა ჩამოყალიბება აუცილებელი გარდუვალობით გამოიწვევდა მათ უსასრულო ომონიმიას, რაც ენას არ მისცემდა ბუნებრივად განვითარების შესაძლებლობას. ომონიმიის სრულად დაძლევა ვერც აფიქსური დერივაციით გახდებოდა შესაძლებელი მიუხედავად იმისა, რომ ომონიმიის სუბერაცია ნაწილობრივ ამ გზითაც ხდება.<sup>311</sup>

ა. სახელის ძირის მონოკონსონანტური მოდელი, რომელიც დიდ გასაკანს განსაკუთრებით ზმნათა სტრუქტურაში პოვებს, სახელში რთულ, მაგრამ მწყობრ კანონზომიერებას ავლენს.<sup>312</sup> ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში ძირეული მორფემის ერთ-ერთი ძირითადი კანონიკური მოდე-

<sup>311</sup> ავილოთ, ერთი მხრივ, ხუნძ. მოწა („მთვარე“), მეორე მხრივ, ნაწა („ტილი“), რომლებიც, ცხადია, ერთმანეთს გენეზისურად არ უკავშირდება. თუ ამ სახელებს ისტორიულ კრილში განვიხილავთ, მაშინ შო-, ნა- ოდენობები პრეფიქსულ ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო წა- ძირთა ომონიმიის ნიმუშად. სინამდვილეში მთვარის გამოხატველ ძირში ანდ.-დიდ. ენათა მონაცემები (მაგ., აბვ. ბოწო < \*ბოწოა...) ჭი სონანტს აღგადგენინებს. გარდა ამისა, ზოგან წას წინ უძღვის რ, რომლის გენეზისი გარკვევას საჭიროებს [იხ. გუდავა 1979, 154]. საბოლოოდ ძირეულ მორფემად \*(რ)წუ რეკონსტრუირდება.

<sup>312</sup> ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ვითარებაც [იხ. ჩიქობავა 1942; როგავა 1956; ხაიდაყოვი 1961, 183-192; გამყრელიძე, შაჰვარიაიანი 1965; ქრელაშვილი 1975; აბდულაევი 1981, 38-57; ბურჭულაძე 1983, 298-341; მელიქიშვილი 1999, 54-67].

ლი ც სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო, მაგ.:

1. „ენა“ : ხუნძ. მ-ა-წა, ანდ., ბოთლ., ახვ. მ-ი-წა-ი, ლოდ. მ-ი-ცა-ი, ჰამ., ბაგვ. მ-ი-წა, კარ. მ-ა-წა-ი, საკ. დიდ., ჰინ. მ-ე-ც, ხვარ., ბეჟ. მ-ი-ც.<sup>313</sup>

სტრუქტურა: მ-V- (< \*ბ-V-) — კლასის ექსპონენტი, წა — ძირეული მორფემა, რომელიც კანონზომიერად დიდ. და ზოგ ანდ. (ლოდ. ტინდ.) ენებში ფშვინვიერ სახეობას გვაძლევს (წა > ცა > ც).

ანდიურ ენათა ერთ წყებაში აუსლაუტური o შეიძლება გვიანდელი დანართი იყოს, ან დეტერმინანტის ნაშთი (შდრ. საკ. დიდ. მეც-რ-ე-ბი „ენები“). უფრო კი პირველია საგულევებელი [შდრ. ტრუბეცკოი 1987, 281].

2. „ერთი“ : ხუნძ. ცო, სო, შო (დიალ. ვარ.), ანდ. ც-ე-ბ, ს-ე-ბ-ი (დიალ. ვარ.), ბოთლ., ლოდ., ტინდ., ბაგვ., კარ. ც-ე-ბ, ჰამ. ს-ე-ბ, ახვ. ჩ-ე-ბ-ე, საკ. დიდ. სი-ს, ჰინ. ჰე-ს, ხვარ. ჰა-ს, ჰო-ს (დიალ. ვარ.), ბეჟ. ჰონ-ს, ჰეგ-ს (დიალ. ვარ.).

ანდ. (სებ-ი) და ახვ. (ჩებ-ე) ფორმათა ფინალური ხმოვნები გვიანდელი დანართებია [გულავეა 1980, 202; შდრ. ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994, 323-324].

ანდიურ ენებში თავჩენილი კლასის ექსპონენტი აშკარად ინოვაციაა. ამას ადასტურებს ხუნძ. ცა-დაჰ („ერთად“) ფორმის შესატყვისად სანდუ („id.“) ფორმის არსებობა, რომელშიც ს ძირია, ან- კი — დეტერმინანტივი. ამის მიხედვით, ხუნძ. ცადაჰ < \*ცანდაჰ [გულავეა 1980, 202] ფუძეში რომ ნ იყო, ამას დიდოურ ენათა მონაცემების ჩვენეული ინტერპრეტაცია ცხადყოფს. კერძოდ, ყველა დიდოურ ენაში „ერთის“ გამომხატველი ფუძე გაორმაგებული ჩანს, რაც საკ. დიდოურში ახლაც რეალურად დასტურდება: სი-ს < \*სი-სი.<sup>314</sup> ნს რეკონსტრუქციისათვის საყურადღებოა ბეჟიტურის ჩვენება, რომელშიც ანლაუტის სს რედუქციისა და ფშვინვიერი შემართვის განვითარების შემდეგ, ნ დაუსტებულა და წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაცია გამოუწვევია [შდრ. გულავეა 1980, 203]. ეს რომ ასეა, ფუძისეული ხმოვნის შესატყვისობაც (საკ. დიდ. o : ჰინ. e . ხვარ. ა/ო : ბეჟ. ო/ა) ნათელყოფს. ამ რიგის შესატყვისობას კი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში ამოსავლად \*ა მოეპოვება [ლომთაძე 1994, 251]. ა-ს პირველადობას უჭერენ მხარს დანარჩენი დაღესტნური ენებიც [დუშინი 1971, 231].

3. „თხა“ : ხუნძ. წა-ე (< \*წა-ან, შდრ. მრ. რ. წა-ან-ი), ანდ. წა-ი-და (< \*წა-ინ-ალ'ა), ბოთლ. წა-ინ-ალ'ჟ, ლოდ. ცა-ინ-ალ'ჟ, ჰამ. წა-ინ-ალ', ტინდ. ცა-ენ-ალ', ბაგვ. წა-ენ-ელ'ა, კარ. წა-ენ-ალ'ო, ახვ. წა-ონ-ოლ'ი, დიდ.

<sup>313</sup> საფიქრებელია, რომ თავიკიდური მ იყოს ბს (III კლ.) ბგერინაცვალი, რადგან „ენა“ ერთიანდება ამ კლასში: ხვარ. ბ- > მ- (შდრ. უზბ. ბ-ჟა, ლაქ. მ-აზ „id.“) [ჩიქობავა 1974, 51].

<sup>314</sup> სახელის ძირთა რედუბლიკაცია მათი ერთი საერთო მახვილის ქვეშ მოხვედრას და უმახვილოდ დარჩენილი კომპონენტის ხმოვნის დაკარგვას იწვევს, რაც ნიშანდობლივია სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისთვისაც [ლომთაძე 1976, 249].

ც-ან-ილუ („წალი“), ჰინ., ხვარ., ბეჟ. ც-ან.

სპეციალურ ლიტერატურაში [ცერცვაძე 1958, 370] წაან-სამართ-  
ლიანად არის ფუძელ მიჩნეული, ძირეულ მორფემად კი ოდენ წა (> ც > ც)  
გამოიყოფა [გულაევა 1979, 158].

4. „წყალი“ : ხუნდ. ლ'ა-იმ < ლ'ა-ინ<sup>315</sup> ანდ., ტინდ. ლ'ა-ენ, ბოთლ.  
ლ'ა-ენ(ი), ლოდ., კარ., ახვ. ლ'ა-ენ-ი, ჰამ. ლ'ა-ინ, ბაგვ. ლ'ა-ენ, საკ. დიდ.  
ლ'ი, ჰინ. ლ'ჟ, ხვარ. ლ'ან, ბეჟ. ლ'ან-გ<sup>316</sup>.

5. „მარილი“ : ხუნდ. წა-ამ (< წა-ან), ანდ. წა-ონ, ლოდ. ცა<sup>ან</sup>მი,  
ბაგვ., კარ., ახვ. წა-ან-ი, ჰამ. წა-ან, საკ. დიდ. ც-ი-მო, ჰინ. ჩ-ი-მო, ხვარ.  
ცი<sup>ან</sup>-მო, ბეჟ. ც-ან.

ძირეული თანხმოვანი წა კანონზომიერ ტრანსფორმაციას განიცდის:  
წა > ცა > ც > ჩ. ჰინუბურში პროცესი შორს მიდის: ც > ჩ [იმნაიშვი-  
ლი 1963, 39]. დეტერმინანტის ხმოვნითი ელემენტი ხუნძურ-ანდიურ ენებ-  
ში კანონზომიერ შესატყვისობით არის წარმოდგენილი, თუმცა დიდოურ  
ენებში, პოზიციური ფონეტიკური პროცესების შედეგად, რამდენიმე  
სახესხვაობით დასტურდება. ხვარშიულსა და ბეჟიტურში დეტერმინანტის  
წ, ზოგი ანდიური ენის (ბოთლ., ლოდ., ტინდ...) ანალოგიურად, მანაზა-  
ლიზებული ელემენტის სახითდა შემოგვრჩენია. ბოლომდე ნათელი არ  
არის დიდოურ ენათა ერთ წყებაში (საკ. დიდ., ჰინ., ხვარ.) ფინალური  
ხმოვნის ისტორიული ფუნქცია.

ანალოგიური სტრუქტურის ძირი მოეპოვება ზოგ ზემოდასახელებ-  
ულ სახელს („ძვალი“, „ზღვა“, „წელიწადი“, „მთა“...).

ბ. სახელის ძირის ერთ-ერთი კანონიკური მოდელი, ზოგადად, იბე-  
რიულ-კავკასიურ ენებში, კერძოდ, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძენაში  
უნდა ყოფილიყო CS სტრუქტურისა. ამ ტიპის ძირეულ მორფემაში სო-  
ნანტი (S) ძირ-ფუძეთა ჩამოყალიბებისას მოკლებული უნდა ყოფილიყო  
მთავარ გრამატიკულ ფუნქციას, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, მას ფონოლო-  
გიური ღირებულება მაინც უნდა ჰქონოდა. ფუნქციურად, ძირის აგებუ-  
ლების თვალსაზრისით, ე. წ. ლაბიალიზებული კომპლექსი C+W (reps. CS)  
მოიაზრება ჰომოგენურ ერთეულად [გამყრელიძე, მაჭავარიანი 1966, 306],  
რომელიც, ზოგი მკვლევრის აზრით, ცალ თანხმოვანს უტოლდება [ცერ-  
ცვაძე 1972, 217].

ძირთა CS სტრუქტურულ ტიპში, რომელიც პროდუქტიულობით  
გამოირჩევა, მოექცევა მარტივი აგებულების ის სახელები, რომლებიც  
ფორმობრივად ძირითადად ემთხვევა CS მოდელს, თუმცა ზოგი მათგანი  
ძირთაქმნადობის პროცესში გავრცობილია სადეტერმინაციო აფიქსებით,  
ანდა კომპოზიციის, კერძოდ, ფუძის ნაწილობრივი ან სრული რედუპლი-  
კაციის კანონებს არის დაქვემდებარებული. CS სტრუქტურულ ტიპს უნ-

<sup>315</sup> შდრ. გულაევა 1979, 93.

<sup>316</sup> შდრ. სტაროსტინი 1995, 44.

და განეკუთვნოს შემდეგი სახელები:

1. „გული“ : ხუნდ. რ-ა-კ (< \*რ-ა-კჷ-ა), ანდ. რ-ო-კჷ-ო||რ-ო-კ-ო, ბოთლ., ღოდ., ტინდ., ბაგვ., კარ., ახვ. რ-ა-კჷ-ა, ჭამ. მა-კჷ-ა (< \*რ-ა-კჷ-ა), საკ. დიდ. რ-ო-კჷ (< \*რ-ო-კჷ-ი), შინ. რ-ო-კჷ-ე, ზვარ. ლ-ო-კჷ-ა (< \*რ-ო-კჷ-ა), ბეჟ. მა-კ-ო (< \*რ-ა-კ-ო).

ბ. უსლარიდან მოკიდებული „გულის“ გამომხატველი ლექსემა ბევრჯერ ქცეულა განხილვის საგნად, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთიანობის მაუწყებელი ოდენობა [ჩიქობავა 1942, 41; 1974, 49-51; გულავე 1956, 229; 1979, 75...].

ამ სიტყვის ძირეული მორფემა, როგორც ჩანს, თავდაპირველად CS სტრუქტურისა იყო, რომლის მეორე კომპონენტი სხვადასხვაგვარ ფონეტიკურ ტრანსფორმაციას განიცდიდა [გულავე 1956, 216; არდოტელი 1997, 48-49]. არქეტიპად აღდგება \*რ-ა-კჷ-არ ფორმა [გულავე 1956, 229].

2. „ორი“ : ხუნდ. კ-ი-გო, ანდ. ჭ-ე-გუ, ბოთლ., ღოდ. კ-ე-და, ჭამ. ე-ჰ-ი-და, ტინდ. ჯ-ე-მა, ბაგვ. კ-ე-რა, კარ. კ-ე-და, ახვ. კ-ე-და-ბე, საკ. დიდ. ყ'-ა-ნო||ყ'-ე-ნო, შინ. ყ-ო-ნო, ზვარ. ყ'-ჷ-ე-ნე, ბეჟ. ყ-ო-ნა.

დიდოურ ენათა სინამდვილეში სპორადულად თავჩენილი უ (ინხ. ყ'უნე, საკ. დიდ. ყ'უ- < \*ყ'უ- : ყ'უილ'ულა ეტიმ. „ხერთვისი“, ყ'უილ'უ „ორტოტა ფიწალი“ და მისთ.) მიგვანიშნებს, რომ ძირეულ თანხმოვანს უ სონანტი ერთვოდა და მასთან ერთად ძირეულ მორფემას ქმნიდა.

ჩვენი შეხედულებით, „ორის“ გამომხატველ ძირეულ ოდენობად ხუნდურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ქრონოლოგიის დონეზე \*კჷ აღდგება [გულავე 1980, 204]. საგულისხმოა, რომ ამ რიცხვითი სახელის ფუძეს პარალელები სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში ეძებნება [ჯავახიშვილი 1937, 400; ლომთათიძე 1976, 246; გულავე 1980, 204; შდრ. სტაროსტინი 1995, 42].

3. „ვარსკვლავი“ : ხუნდ. წჷ-ა, ანდ. წა (< \*წჷ-ა), ბოთლ. წა-ადი (< \*წჷ-არ-ი), ღოდ. ცა-ა-დი (< \*ცაჷ-არ-ი), ჭამ. წა-ა (< \*წჷ-არ-ა), ტინდ. ცა-არ-ა (< \*წჷ-არ-ა), ბაგვ. წჷ-არ-ა, კარ. წჷ-ა-დ (< \*წჷ-არ-ი), ახვ. წა-არ-ი (< \*წჷ-არ-ი), საკ. დიდ., შინ. ცა (< \*ცაჷ-ად), ზვარ. ცა<sup>5</sup> (< \*ცაჷ-ან), ბეჟ. ცა<sup>5</sup> (< \*ცაჷ-ან).

არქეტიპი შემოუნახავს ბაგვ. ენას წაჷარ-ას სახით. ყურადღებას იპყრობს ზვარ. და ბეჟ. ენებში დადასტურებული ა<sup>5</sup> ხმოვანი, რომელიც ნ-ს აღგვადგენინებს, რაც მეორეული ჩანს. ისტორიულად რ ვიბრანტის წინამორბედი დ-ს არსებობას დეტერმინატივის თანხმოვნით ელემენტად ცხადს ხდის დიდოური ენის ჩვენება: ცა-დ-არ-ა-ბ-ი (შდრ. ხუნდ.: ნათ. წაჷ-ად-ულ „id.“) „ვარსკვლავები“.

4. „ხარი“ : ხუნდ. ოც (< \*ნი-ცჷ-ა), ანდ. უნ-სო (< \*ნი-სჷ-ა),

ბოთლ., ლოდ., კარ. უნ-სა (<\*ზ-ის-სა), ჭამ., ტინდ., ბაგვ. მუ-სა<sup>317</sup> (<\*შ-ის-სა), ახვ. უნ-ჩა (<\*უნ-ჩა), საკ. დიდ. ის, ოს (<\*ის-სა, შდრ. მრ. რ. ის-სა|ის-სა-ბი), ჰინ. უ-შ (<\*ი-შ), ხვარ. ენ-ს (<\*ენ-ს), ინ-ს (<\*ინ-ს) (დიალ. ვარ.), ბეჟ. ონ-ს (<\*ენ-სა-ს).

5. „კაცო“, „ქმარი“ : ანდ. ჰე-კა, ბოთლ., ლოდ., ჭამ., ტინდ., ბაგვ., კარ. ჰე-კუა, ახვ. ე-კუა, ი-კუა, ი-კო (დიალ. ვარ.), საკ. დიდ. ე-ე-კ-უ||< ე-ე-კ-უი, ჰინ. რ-ე-კ-უე, ხვარ. ე-ი-კ-უა, ე-ი-კ-უო, შ-ი-კ-ო (დიალ. ვარ.), ბეჟ. ს-უ-კ-ო.

ძირეულ მორფემად რეკონსტრუირდება კჷ. მართალია, ბოლოკიდური ხმოვანი კანონზომიერ ცვლილებას განიცდის (ს.-ანდ. \*ა : ს.-დიდ. \*ა), მაგრამ იგი, საფიქრებელია, ფუძეებიდან მომდინარე ფუძის ფორმანტისეულ ხმოვნით ელემენტს წარმოადგენდეს. ანლაუტის თანხმომონის საკითხი გაურკვეველია [გულავე 1979, 76].

ანალოგიური ლაბიალიზებული კომპლექსის შემცველი ფუძეები მრავლად დასტურდება საკვლევ ენებში, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია : „მზე“, „სანთელი“,<sup>318</sup> „თავი“, „წისკვილი“ და მრ. სხვ.

გ. გარდა ზემოთქმულისა, საკვლევი ენების სახელთა ძირეული მორფემის კანონიკური ტიპი CSC ფორმულით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, რომელშიც კონსონანტით აღნიშნული სიმბოლოს (C) ადგილას სონანტიც უნდა გვექონოდა. მაშასადამე, იგი განისაზღვრებოდა CVS, SVC, SVS მოდელური სახესხვაობებით. მასთან, CVC მოდელური ტიპის წინა და ბოლო კონსონანტები შეიძლება წარმოადგენილი ყოფილიყო უ ლაბიალური ელემენტით. საილუსტრაციო მაგალითები:

1. „მფავე“ : ხუნდ. წუჟა-აბ (წუჟა-უ „მეაუნა“), ანდ., ბოთლ. წოჟა-უ, ლოდ. ცოჟა-უ, ჭამ.: ბაგვ. წოჟა-უბ, ტინდ. ცოჟა-უბ, კარ. წოჟა-ობ, ახვ. ჭოჟა-უდაბე, საკ. დიდ. ცეჟ-ი-მუ, ჰინ. ცეჟ-ყ-უ (<\*ცეჟ-ი-მუ), ხვარ. ცაჟჷ (<\*ცაჟ-უ <\*ცაჟ-ი-მუ).

ხუნძურ-ანდიურ ენებში კ ხან ინტენსიური სახით არის წარმოდგენილი, ხან — არაინტენსიური სახით, რაც მის ნაირგვარ ფიქსაციასთან ჩანს დაკავშირებული. გარდა ამისა, ხვარშიულ ენაში ყ > ჳ გაორმაგებით უნდა იყოს შეპირობებული [შდრ. გულავე 1979, 160].<sup>319</sup>

2. „არწივი“ : ხუნდ. წუჟმ < წუჟნ (დიალ. ვარ.), ანდ. წუჟნ, ბოთლ., ლოდ., ბაგვ., კარ. წუჟნ-ი, ჭამ. წაჷმ, ტინდ. ცუჷ-მუ, ახვ. წაჷ, საკ. დიდ.

<sup>317</sup> ტ. გულავე ტინდ. მუნ-სა („ხარი“) ფორმის საფუძველზე ბუს-ან არქეტოპს აღადგენს [გულავე 1956, 233, შდრ. მისივე 1979, 112], რაც სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, ვინაიდან სპექ. ლიტერატურასა და ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში უ ნაზალური ხმოვნის შემცველი ფორმა არ შეინიშნება. ხმოვნის ნაზალური ელემენტი პრეფიქსის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომლის დაკავშირება მ (< ბ) სონორთან სავსებით შესაძლებელია.

<sup>318</sup> თუ იგი ნასესხები არ არის ქართულიდან კჷარი (შდრ. ბოთლ. ქუანი „id“).

<sup>319</sup> ჰინუხურში ჳ-ს შემცველი ფორმა არ დასტურდება [შდრ. გულავე 1979, 160].

ცემ, ცე (დიალ. ვარ.), ჰინ. ცომ, ხვარ. ცე<sup>30</sup>, ბეფ. ცუ<sup>31</sup>ჰა.

ხუნძ. ენა აუსლაუტში ხან ნს გვიჩვენებს, ხანაც — მს. ეს ტაპონიმებშიც დაჩნდება: წუნ-ტა (ზედმიწ. „არწივზე“), წუშა-და (ზედმიწ. „არწივზე ზევით“).<sup>320</sup> ალტერნირებული ვარიანტიებიდან საერთო ამოსავალია \*წუნ [არდოტელი 2002<sup>31</sup>, 171].

3. „ქაღლი“ : ხუნძ. ჰჷე, ჰომ, ჰე (დიალ. ვარ.), ანდ. ხომ, ხტომ, ხემ (დიალ. ვარ.), ბოთლ., ლოდ., ჰამ., ტინდ., კარ., ახვ. ხჷე, საკ. დიდ. ლ'ჷამ, ლ'ჷე (დიალ. ვარ.), ჰინ., ხვარ. ლ'ჷე, ბეფ. უო (< \*ლჷო).

ხუნძურანდიურ ენებში რეკონსტრუირდება \*ხჷამ<sup>321</sup> [გუდავა 1979, 103], რომლის ა ხმოვანი ანდიურში კანონზომიერად იცვლება: ა > ო [ცერცვაძე 1958, 251].<sup>322</sup>

რაც შეეხება საკ. დიდოური ენის მონაცემებს, (ლ'ჷამ, ლ'ჷე) ფონეტიკურ ცვლილებათა ჩაკეი ასე წარმოიდგინება: \*ლ'ჷამ > ლ'ჷა > ლ'ჷე. ამეჟმად სამივე ფორმა რეალურად დასტურდება ა > ე პროცესი გამოწვეული ჩანს ლ'ჷ ფარინგალიზებული ბუნებით [ინჰაიშვილი 1963, 30].<sup>323</sup>

ზემოგანხილულ სახელთა მსგავს სტრუქტურულ მოდელებს შეიცავენ: „რწყილი“, „ტილი“, „კალოზა“, „შელა“ და სხვ. მისთ.

ზოგ შემთხვევაში ძირის კუთვნილებად გამოცხადებული ესა თუ ის ფონემა ისტორიულად საესებით შესაძლებელია ფუძის კუთვნილება ყოფილიყო, თუმცა დროთა განმავლობაში მტკიცედ შეხორცება ძირს და მისი ცალკე გამოყოფა შედარებითი რეკონსტრუქციის მეთოდის გამოყენებითაც კი ჰირს, მაგ.: ხუნძ. ლ'აბ-გო, ანდ. ლ'ობ-გუ, საკ. დიდ. ლ'ონ-ნო „სამი“.

როგორც ცნობილია, -გო, -გუ, -ნო ნაწილაკებს წარმოადგენენ, ხოლო ხუნძ. ლ'აბ- და მისი ბადალი ოდენობანი კანონზომიერად შეესატყვივებიან ერთმანეთს: დიდოური ენათა სახელობითში ბ რედუცირებულია, თუმცა ირიბ ბრუნვათა ფუძეში დაჩნდება რ, რომელიც მის დეტერმინანტისეულობას გავაარაულებინებს. მაშასადამე, დიდოური ენებისათვის ფუძედ რეკონსტრუირდება \*ლ'-არ- [შდრ. გუდავა 1980, 205].

ხუნძ. წჷე < \*წჷან (შდრ. ახვ. წჷონ-ოლი „id.“), ჰამ. წჷონ-ალ', ტინდ. ცენ-ალ', ჰინ., ხვარ., ბეფ. ცან<sup>324</sup> „თხა“.

<sup>320</sup> ორივე დალესტნის შთიანი რაიონის სახელია.

<sup>321</sup> საერთო-დალესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე აღადგენენ ხუარ|ხუარ' ფუძეს [თალიბოვი 1988, 154; შდრ. დეშვილ 1971, 159].

<sup>322</sup> შდრ. დეშვილ 1971, 159; თალიბოვი 1988, 155.

<sup>323</sup> შდრ. გუდავა 1979, 103.

<sup>324</sup> საკ. დიდ. ჩანჷამა || ჩანანა („თხა“) ფორმას ტ. გუდავა ერთგვარი დაეკვეებით ხუნძ. ჩან („ნადირი“) ლექსემას უკავშირებს [1979, 158]. საკ. დიდ. ში მართლაც დასტურდება ჩან ზემომოყვანილი სემანტიკით, თუმცა ჩანჷამა რომ ცან- ფუძის შემცველ სახელს უკავშირდება გენეზისურად, ეს სიტყვაწარმოებაში დაჩნდება, კერძოდ, ცან-ი-ლუ („წალი“) წარმოადგენს -ლუ მაადიექტივებელი სუფიქსით ნაწარმოებ ფორმას. ე. ლომ-თაძე ც-ს შემცველ ფორმას ასახელებს [ლომაძე 1984, 312].



საანალიზო ფუძეში სხვა ენების მონაცემებთან შედარებისას ნ აუცილებელი გარდუვალობით აღდგება (შდრ. ხუნდ. მრ. რ. წან-ი < \*წან-ილ) (ეცრცაძე 1958, 254; გულაია 1979, 157], მაგრამ მისი მიჩნევა ძირის ოდინდელ კუთვნილებად ექვს ბადებს, ვინაიდან იგი ზოგ ენაში საერთოდ არ შეიმჩნევა, ხოლო ზოგ ენაში (ხინ., უდ.) ლ სონორით არის წარმოდგენილი [შდრ. დეშილ 1971, 152].<sup>325</sup>

სპორადულად გვხვდება VC სტრუქტურის ძირები, რომელთაც ანლაუტი დაზიანებული უჩანთ, მაგალითად:

ხუნდ. ახ, ანდ. ოხ-ი, ბოთლ., ღოდ., კარ. ახ-ი, ჭამ. ახ, ახვ. ავ'-ი, საკ. დიდ. ახ, ხვარ. ოჰ, ბეფ. აჰ „ბალი“.

ხუნდ. იჰ-გო, ანდ. ჰოჰ-ო-გუ, ახვ. ობჰ-ადა, საკ. დიდ. ოჰ-ინო, ხვარ. უჰ-ინ, ბეფ. უჰ-ინ „ცხრა“.

ამ რიგის მაგალითებში თავკიდურად ივარაუდება ბV- კლასის ნიშნის არსებობა [დეშილ 1971, 237], რასაც ადასტურებს ახვ. აბჰ-ადა (< \*ბ-ა-ჰ-ადა), ხვარ. უჰ-ინ (< \*ნუ-ჰ-ინ < \*მუ-ჰ-ინ < \*ბუ-ჰ-ინ), თუმცა ბევრ ენაში (მაგ., ხუნდ. იჰ-გო < \*ბ-ი-ჰ-გო) მისი არსებობის კვალი მთლიანად გამჟრალა.

III. ოდენდეტერმინანტიანი (ძირნაკლი) ფუძეები. გარდა ზემო-განხილული სახელთა ფუძის ორი ტიპისა, გამოყოფენ [მიქაილოვი 1964, 33] აგრეთვე გამარტივებულ ფუძეებს, რომელთაც ძირეული მორფემა დაკარგული აქვთ და მის ფუნქციას ასრულებს დეტერმინანტი, მაგ.: ანდალ. ი (შდრ. ხუნდახ. ტი "id.") „ალაო“, ანდალ. ინო (შდრ. ხუნდახ. ტინო "id.") „ძირი“, „ფსკერი“.

თუ ავიღებთ მეორე სახელს და გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ძირეულ მორფემას ტ(<\*ტ') წარმოადგენს. იგი კანონზომიერი შესატყვისობით დასტურდება საკვლევ ენებში და ყველგან ოდენტანზმონიანი ძირი (ტ' > ტ, ტ\*, ლ, ე) აქვს: ხუნდ. ტ-ინო, ანდ. ჰინ-ტ'-უ, ღოდ., ტინდ. ჰინ-ლ-უ, ბაგვ., ჭამ. ჰი-ლ-უ, ახვ. მი-ტ'-ო, საკ. დიდ. მი-ტ-ა-უ, ჰინ. ი-ტ-ა, ხვარ. ი'-ტ-ა-უ, ბეფ. ო'-ტ-ა-ო, ჰუნზ. გ'-ტ-ა-უ „ძირი“.

არქეტიპთან მიახლოებული ფორმა ხუნდური ენის ჰიდურ კილოკავ-ში შემონახულა, თუმცა ერთგვარი სახეცვლილება აქაც მომხდარა. კერძოდ, აუსლაუტში ო საეცრობი დაურთავს (შდრ. ლაკ. ჰ-ან, არჩ., თაბ., წახ. კ-ან, აღ. კ-ენ, რუთ. ყ-ან "id."). გარდა ამისა, რეალიზებულია მარცვლის (ამ შემთხვევაში, დეტერმინანტული სუფიქსის) მეტათეზისი (ანდ. ჰინტ'უ < \*ინტ'უ < \*ტ'ინ) და ბოლოს ახვარ ენაში დეტერმინანტ-სუფიქსი მ (< ნ) წინ გადასულა [შდრ. გულაია 1979, 148].

ისმის კითხვა: რა უძღოდა ფუძისეულ მორფემას?

დადესტურ ენათა მონაცემებით საანალიზო ფუძის წინ რაიმე მორფოლოგიური მნიშვნელობის ელემენტი არ შეიმჩნევა, თუ არ ჩავთვლით

<sup>325</sup> ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება და მათ საგანგებო კვლევა-ძიება სჭირდება.

ანლაუტის მ, ჰ თანხმოვნებს, რომლებიც ფონეტიკურ ნიადაგზე (ფშინვი-ერი შემართვა) ჩანს განვითარებული. მიუხედავად ამისა, ისტორიულად ანლაუტში გრამატიკული მნიშვნელობის მარკერის არსებობა გამოსარიცხი არ არის.

ზუნძური ენის ანდალალურ კილოკავში ხუნძახ. ტ-ორ („თავთავი“) სიტყვის ეკვივალენტად ორ („id.“) დასტურდება. ახლომონათესავე ენათა სათანადო მონაცემებთან (ანდ. ტ'-ორ-ა, ბოთლ. ე-არ-ა, ჰამ. ა (sic!), ბაგვ. არ-ა, ახვ. ტ'-არ-ა, საკ. დიდ. ტა-არ-ა, ჰინ. ტა-ერ-ა, ხვარ. ტა-ალ-ა, ბეჟ. ტა-ო<sup>ჲ</sup>ჟა "id.“) შედარება ცხადყოფს, რომ ძირეულ მორფემას \*ტ'(>ტ, ე, ლ, ტა) ქმნის, რომელსაც ჩვეულებრივ დაერთვის დეტერმინანტ-სუფიქსი -ორ (<\*არ). რაც შეეხება ბოლოკიდურ ხმოვანს, იგი მარცვალთლიაობის ტენდენციით ჩანს შეპირობებული.

ყურადღებას განსაკუთრებით ჰამ. ა იქცევს, რომელიც დეტერმინანტისეული რ-ს დაკარგვის შემდეგ ორი ერთგვარი ხმოვნის (ა + ა) შე-რწყობით არის მიღებული. დეტერმინანტს აკისრია ფუძის ფუნქცია, რაც შემდგომი რეინტერპრეტაციის შედეგია. ანალოგიური ვითარებაა ბაგვა-ლურ ენაში, რომელშიც ფუძის მარკერს ძირის სემანტიკაც შეუთავსებია: ბაგვ. არ-ა (< კვან. კ-არ-ა).

ზემომოყვანილი და სხვა მათი მსგავსი მაგალითები იმის მაუწყებელია, რომ დეტერმინანტული სუფიქსი ძირს მტკიცედ არის შეხორცებული, ცალკე ოდენობად აღარ აღიქმება და ფუძის ცვეთისას იოლად კისრულობს მის ფუნქციას.

ანალოგიურად რეკონსტრუირდება ზმნურ ძირ-ფუძეთა სტრუქტურული ტიპები იმ განსხვავებით, რომ მონოკონსონანტური მოდელი (C) მეტი პროდუქტიულობით სწორედ ზმნათა სტრუქტურაში დაჩნდება [იხ. ცერცვაძე 1954, 22; 1965, 212-268; გულავე 1959; 1978, 214-234; დეშილ 1971, 239-269; საიდოვა 1980, 4-11; ლომთაძე 2000<sup>2</sup>, 44-50...].

აღსანიშნავია, რომ სინქრონიულად ზმნათა მეტ ნაწილს კლასის ცვალებადი ნიშნები არ მოეპოვება, მაგრამ მათი ისტორიული არსებობის რელიქტური კვალი დატოვებულია ამა თუ იმ ენასა და დიალექტში. მასთან, საკვლევ ენათა მიხედვით, გამჭვირვალედ მოჩანს კლასიფიკატორთა თანდათანობითი მოშლისა და გაქრობის სურათი, რასაც, კლას-ნიშანთა რღვევის ზოგადი ტენდენციის გარდა, იწვევდა სხვადასხვა სახის (ფონეტიკური, მორფონოლოგიური...) კონკრეტული მოვლენები.

მაშასადამე, უნდა გაირჩეს ზმნის ორი ტიპი: 1. კლასნიშნიანი და 2. უკლასნიშნო.

ზმნის სტრუქტურა სახელურისაგან ოდენ თემატური ნიშნებით განსხვავდება, ამიტომ ზმნური სტრუქტურის ძირითადი მოდელი ასეთია: კლასიფიკატორი + ძირი + სადეტერმინაციო სუფიქსი (resp. ფუძის ფორმანტი) + თემატური ნიშანი + ფლექსიური და დერივაციული

### მორფემები.<sup>326</sup>

ამგვარი ამოსავალი კანონიკური მოდელი სხვადასხვაგვარად არის მოდიფიცირებული (იკარგება კლასიფიკატორი, ძირი ფუძეს ემთხვევა, არ გვაქვს თემატური ნიშანი...), რაც საანალიზო ფორმათა და საკვლევ ენათა მიხედვით თვალსაზირო განსხვავებას გვიჩვენებს.

**I. კლასიფიკატორთა სისტემა.** გრამატიკული კლასის ნიშნები ზმნათა სტრუქტურაში წარმოდგენილია პრეფიქსადაც (ძირითადად) და ინფიქსადაც (იშვიათად). ინფიქსური კლასიფიკატორები წესისამებრ წარმომავლობით პრეფიქსულია. ენებისდა მიხედვით, ოდინდელი კლას-ნიშანი შეიძლება ენათა ერთ წყებაში წარმოდგენილი იყოს, ხოლო მეორე წყებაში — გაუჩინარებული, მაგ.: ხუნძ. ბ-ა-ჯ-იზ-ე ~ ანდ. ბ-უ-ბ-ი ~ ბოთლ. ბ-უ-ბ-ი ~ ჭამ. ბ-უ-ბ ~ ბაგვ. ბ-უ-ჰ-უ ~ ახვ. ბ-ე-ჯ-ერი ~ საკ. დიდ. ბ-ო-ლა ~ ჰინ. ბ-ჟ-ლა ~ ხვარ. ბ-ე-ლა ~ ბეჟ. ბ-ა-ჰ-ა „წართმევა“ („წაართვა“), „ამოღება“.

ზემომოყვანილ ზმნაში თითოეულ ელემენტს თავისი ფუნქცია აქვს. სახელდობრ: ხუნძ. ბ-ა-ჯ-იზ-ე: ბ- კლასის ნიშანია, -ა- ანლაუტში ბჯ თანხმოვანთა სუბერაციის მარკერი, რომელსაც ზოგჯერ ფუძის ფორმანტის ფუნქციასაც მიაკუთვნებენ [მიქაილოვი 1964, 33]. -ჯ- ძირეული მორფემაა, ხოლო მისი მომდევნო -იზ- ელემენტის ხმოვანი თემატურ ნიშნად არის გაგებული [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 249], თუმცა უფრო მართებული ჩანს -იზ- (<\*ილ-) მთლიანი ელემენტის თემატურ ნიშნად მიჩნევა [დაწვრილები იხ. გულავა 1959, 38-39]. ბოლოკიდური -ე ინფინიტივის ფორმანტია (დეტალურად სხვა დროს).

ხუნძ. ხჟ-ეზ-ე ~ საკ. დიდ. ე-ხჟ-ა ~ ჰინ. ~ ხვარ. ი-ჰ-ა ~ ბეჟ. ა-უ-ლალ „მოკვდომა“, „გაფუჭება“.

კლასიფიკატორი უკანამავალი ხმოვნითურთ ხუნძურში გამჭკარალია, საკ. დიდურში, ჰინურსა და ხვარშიულში ხმოვნური ელემენტი შემორჩენია, ხოლო ბეჟურში იგი ჯერ კიდევ მოქმედია.

კლასიფიკატორთა მოშლის გრადაცია კარგად არის წარმოდგენილი შემდეგ ზმნაში: ხუნძ. რაჰ-ანა ~ ანდ. არხ-ონ (<\*რა-ხ-ონ) ~ ბოთლ. ხჟ-აბ-დუ ~ ჭამ. ა-ხ-ა<sup>6</sup> ~ ტინდ. ბ-ა-ხ(ჟ)-ო<sup>6</sup> ~ კარ. რუ<sup>6</sup> ჰ-ა ~ ახვ. ა-ხ-არი ~ საკ. დიდ. ბ-ა-ლა ~ ხვარ. ა-ა<sup>5</sup>-ლა ~ ბეჟ. ა-ე<sup>5</sup>-ჰ-ალ „გაღება“.

მართალია, ზემომოყვანილ ზმნაში კლასის ნიშანი ხუნძურ-ანდიურ ენებში დაკარგულა, თუმცა ხმოვნური ელემენტი ჭამალურსა და ახვახურში დაცულია. დიდურში ენები ამ მხრივ სიძველეს ინახავენ — ყველა ენაში კლასიფიკატორი ცვალებადია.

**II. ძირეული მორფემა.** ხუნძურ-ანდიურ-დიდურ ენათა ზნური ძირების გამოყოფა და მათი ერთმანეთთან შედარება არკვევს, რომ ძირითადი კანონიკური მოდელი, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, მონოკონსონანტურია [ჩიქობავა 1942, 262; გულავა 1959, 47...]. არცთუ მცი-

<sup>326</sup> დაახლოებით ანალოგიურ ფონემატურ სტრუქტურას ადასტურებენ ჩინურ ენაში [ფარეულიძე 2008, 21].

რეა ზმნის ლაბიალურელემენტთან (კუ, კუ, ყუ...) ფუძეთა რიცხვი, რომელთა შემადგენელი ელემენტები ბიკონსონანტურ მოდელს ქმნიან.

დასტურდება C, S, CC, CS, CVC, CVS, SVC სტრუქტურის მოდელები, თუმცა ამ აგებულების ძირები მეტწილად ნაწარმოებია სხვადასხვა წარმოშობის ფორმანტთა ძირთან შერწყმა-შეხორცებითა და მათი გენეზისის დადგენა საგანგებო ეტიმოლოგიურ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ძირი, როგორც განყენებული ცნება, სემანტიკურად ერთგვარი აბსტრაქციაა და იგი მხოლოდ სხვა გრამატიკულ ოდენობებთან მიმართებით ფუძის შემადგენლობაში იძენს ლექსიკურ მნიშვნელობას. ამიტომ ფუძის ფონემატური სტრუქტურის ანალიზი ძირის აგებულების ანალიზსაც ნიშნავს, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

**III. ფუძის ფონემატური სტრუქტურა.** ჩვენი განმარტებით, ფუძეს წარმოადგენს ზმნის მდგრადი სემენტი, რომელიც საყრდენია ფორმათა მთელი სისტემისთვის, აქვს ლექსიკური მნიშვნელობა და გრამატიკული ფუნქციები. სხვაგვარად: ზმნის იმ მყარ მონაკვეთს (ღერძს), რომელსაც ჩამომორებული აქვს კლასის (და რიცხვის), დროის, კილოსა და თემის ნიშნები ფუძე ეწოდება [შდრ. გულავა 1959, 50].

საკვლევ ენებში ფუძეთქმნადობის პრინციპი ძირითადად სწორხაზოვანია [ფუძეთა წარმოებისათვის იხ. ჯორბენაძე 1980, 124], მაგ., ხუნძ. „ხენა“: ბე-ტა-იზე (ინფინ.), ბე-ტა-ანა (ნამყ.), ბე-ტა-არ-აბ (ნამყ. მიმღ.); საკ. დიდ. „ხენა“ : რი-ლ'-ა (ინფინ.), რი-ლ'-ის (ნამყ.), რა-ლ'-ირუ (ნამყ. მიმღ.) და სხვ.

ისმის კითხვა: კლასიფიკატორი ფუძის კუთვნილებაა, თუ დამოუკიდებელი მარკერი?

ჩვენი აზრით, კლასიფიკატორი ზმნებში კლასიფიკატორი თანმხლები ხმოვნითურთ ფუძის სტრუქტურიდან უნდა გამოიყოს, როგორც ფლექსიური მორფემა. მეტადრე ეს ითქმის თანხმოვნით ელემენტზე, რომელიც ფუძეთქმნადობასა და მის ჩამოყალიბებაში არ მონაწილეობს. რაც შეეხება ხმოვნით ელემენტს, იგი კლასიფიკატორთან ერთად ძირის (resp. ფუძის) კუთვნილება არც ამჟამად არის და, მითუფრო, არც ისტორიულად უნდა ყოფილიყო [შდრ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 247-248; გულავა 1959, 50].<sup>327</sup> მართალია, ხელშესახებია ზემოხსენებული ელემენტების ალტერნაციით სემანტიკურად ცვლილი ფორმები, რომლებიც სინქრონიულად ამ ხმოვნითლა განარჩევენ მნიშვნელობებს (ხუნძ. მ-ა-წა „ენა“ — მ-ლ-წა „მთვარე“, „თვე“, რ-ა-ტა „მიწა“ — რ-უ-ტა „ხელის მტევანი“, „მხარი“...), მაგრამ ისტორიულად ვითარება სხვაგვარად უნდა ყოფილიყო, მაგ., მოწა (<\*მორაწა <\*ბორაწა, შდრ. კარ. ბორაწა "id."), ხოლო მაწა (<\*მაწა "id.).

შეიძლება, ამგვარ შემთხვევებში შესაძლო ომონიმიის თავიდან ასა-

<sup>327</sup> ტ. გულავას მოკვიანებით საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული, რომელშიც CV- მარცვლოვანი მოდელის კლასიფიკატორის კავშირს ძირთან უარყოფს [გულავა 1971, 53].

ცილებლად მომხდარიყო კიდევ საანალიზო ხმოვანთა სუბსტიტუცია, მაგრამ ძნელი დასაჩერებელია რომელიმე არასასურველი მოვლენის სუბერაციისათვის ეს წინასწარ განხორციელებულიყო. უფრო მახვილგონივრულია დავუშვათ კლასიფიკატორისეული ხმოვნების ფონეტიკური ცვლილება, რამაც სემანტიკურ გადაწყვეას შეუწყო ხელი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში გამოიყოფა ზმნური ფუძის სამი ძირითადი სახეობა:

I. გაუვრცობილი (ფუძე უდრის ძირს);

II. გავრცობილი (ფუძეს ერთვის დეტერმინანტი, თემატური ნიშანი).

III. ძირნაკლი (ძირისეული მორფემა დაკარგულია და მის მოვალეობას აფიქსი ასრულებს).

საილუსტრაციოდ მოგვყავს თითო-თითო მაგალითი, ვინაიდან შესაბამის სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი ნიმუშები უხვად არის დამოწმებული [იხ. გულავე 1959; ცერცვაძე 1965; მაჰომედბეგოვა 1967; ლომთაძე 2000...].

I. გაუვრცობელი ფუძე: ხუნძ. ჭაანა ~ ანდ. ბი-ჭაი ~ ლოდ. ში-ჩაი ~ ქამ. ში-წაი „გაჩერა“ ~ საკ. დიდ. ~ შინ. ბი-ჩა ~ ხვარ. ე-ჩა ~ ბეე. მ-ჩალ „გაჩერება“, „დარჩენა“.

II. გავრცობილი ფუძე: ხუნძ. ბი-ც-ანა ~ ანდ. ბო-ს-ან ~ ბოთლ. ბა-ს-ა ~ ქამ. ბა-ს-ან ~ ბაგვ. კარ. ბა-ს-ან ~ ახვ. მა-ჩ-ანი ~ საკ. დიდ. ე-ს-ის ~ ხვარ. ი-ს-ი ~ ბეე. ნი-ს-ო-ო „თქვა“, „მოყვა“.

III. ძირნაკლი „ფუძე“: ხუნძ. ინ-ე „წასვლა“ (ა! „წაი!“).

რაც შეეხება ფორმანტთა ამოსავალი ტიპის სტრუქტურას ანლაუტში, იგი ძირითადად CV-, SV- ფორმულებით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.<sup>328</sup> სიტყვას თავში ჩვეულებრივ კლასის მარკერი ერთვოდა დამაკავშირებელი (resp. მხლებელი) ხმოვნითურთ, რომელიც ზოგჯერ თავად რედუცირდებოდა, ხოლო უკანამავალი ხმოვანი კი უცვლელი რჩებოდა, მაგ., ხუნძ. ჭა-ცა, „ძმა“, მა-ცა „და“ დილოურში კლას-ნიშნის დაკარგვის შემდეგ ფორმობრივად ერთმანეთს გაუთანაბრდა ე-ს-იჟ „ძმა“, „და“. მართალია, პრეფიქსული კლასის ნიშანი დაიკარგა, მაგრამ მისი მომდევნო ხმოვანი შემოგვენახა, რომელიც საკვლევ ენებში კანონზომიერ შესატყვისობას გვიჩვენებს.

აუსლაუტში ფორმანტთა სტრუქტურა ამჟამად -CV-, -SV-, -VC-, -VS ფორმულებით არის წარმოდგენილი, რომელთაგან -VC-, -VS სტრუქტურის აფიქსები ანდიურ-დილოურ ენებში შედარებით შეზღუდული ჩანს, ხოლო ხუნძურში მათი გამოყენება უფრო პროდუქტიულია. ხელშესახებია ხუნძური სიტყვების ბოლოკიდურ მორფემათა გამარტივების ძლიერი ტენდენცია, რასაც წესისამებრ ფუძეთა აუსლაუტში აქვს ადგილი.

ისტორიული თვალსაზრისით, როგორც ძირეულ მორფემებს, ისე

<sup>328</sup> სახელის ანლაუტში ფორმანტი რომ CV-, SV- სტრუქტურისა იყო, ამას უდავოს ხდის ყოველი ხმოვნით დაწყებული ფუძის წინ მაგარი შემართვა [გულავე 1970, 183].

მათ დერივატებს, როგორც ჩანს, მეტწილად ერთვოდა -VC, -VS აგებულების აფიქსები. ზუნძურში მრავლობითობის -ალ (რაცა-ალ „ძმები“...), -ულ (ულბ-ულ „დედები“...) სუფიქსთა დიდი ნაწილი -VS, -VC სტრუქტურისაა, თუმცა ზოგი მათგანი (-ბი: ღუტ „ხე“ — ღუტ-ბი „ხეები“) -CV სახითაც დასტურდება. მიუხედავად ამისა, -ბი რიგის სუფიქსთა ისტორიული ინტერპრეტაციისას სხვაგვარი სურათი დაიხატება: ბი < \*-ბ-ილ (ღუტ-ბ-ი < \*ღუტ-ბ-ილ). საკ. დიდ. ცა „ვარსკვლავი“ — მრ. რ. ცაღ-არ-აბ-ი < \*ცაღ-არ-აბ-ილ. ამგვარი სეგმენტაცია ისტორიის გათვალისწინებით ზდება, თორემ წმინდა აღწერითი მეთოდის გამოყენებით ასე დაიყოფა: ცაღ-არ-აბ-ი (შდრ. გულუ „ცხენი“ — გულუ-ბი „ცხენები“).

ადიექტიური სახელები ბოლოკიდურად ჩვეულებრივ -VC, -VS სტრუქტურის ფორმანტებს ირთავენ, თუმცა ბრუნვათა ფლექსიები არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებენ: ერთი მხრივ, -CV, -SV (ზუნძ.: ერგ., მიც.), მეორე მხრივ, -VC, -VS (ნათ.).

გასაზიარებელია თვალსაზრისი, რომ ისტორიულად ბრუნვათა ნიშნების ამოსავალი სტრუქტურა -VC, -C მოდელებით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული [თოფურია 1995, 64-65].

საგულისხმოა, რომ სახელის ძირ-ფუძეთა და აფიქსთა ანალოგიურ სტრუქტურულ მოდელებს აღადგენენ ლაკურსა და ზოგ სხვა დადესტნურ ენაში [ხაიდაყოვი 1961, 183-192; ბურკულაძე 1983, 298-316], რაც ცხადყოფს ამ ენათა გენეზისურ ერთიანობას როგორც ძირეულ მორფემათა აგებულების მხრივ, ისე დერივაციულ-ფლექსიურ მორფემათა სტრუქტურის თვალსაზრისით.

## ძირითადი დასკვნები

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენების ხმოვანთა სისტემისათვის ნიშანდობლივია როგორც ბგერათშესატყვისობანი, ისე ბგერათიგივეობანი. ბგერათიგივეობის (ა:ა) დროს ა-ს უცვლელობა ინტენსიური დინამიკური მახვილის მქონებლობით უნდა იყოს შეპირობებული.

2. ხუნძ.-ანდ. ა (საკ. ანდიურის გამოკლებით) ~ დიდ. ო (საკ. ბეეიტურის გამოკლებით) და ხუნძ.-ანდ ა (საკ. ანდიურის გამოკლებით) ~ საკ. დიდ. ო : ჰინ. ე : ხვარ. ა/ო : ბეე. ა/ზ ხმოვანთა შესატყვისობისათვის საერთო ამოსავალია ა.

3. ო:ე შესატყვისობისათვის ძირეულ ხმოვანს ო წარმოადგენს. არქეტიპები დაცულია ბეეიტურში, ხვარშიულსა და, ნაწილობრივ, ხუნძ.-ანდ. ენებში.

4. ე:ო შესატყვისობაში პოსტულირებული ე რეგულარულად დაცულია დიდოურ ენათა წყებაში (ბეე., ხვარ.), ხოლო არასისტემური სახით — ხუნძ.-ანდ. ენებში.

5. ლაბიალური ხმოვნები (ო, უ) ფუძეენისეული არ ჩანს. ისინი წარმოქმნილია საკვლევ ენათა დიფერენციაციის შემდეგ, სხვადასხვაგვარი და არაერთდროული კომბინაციური ფონეტიკური პროცესების შედეგად.

6. პალატალიზებულ, ნაზალიზებულ, პალატალიზებულ-ნაზალიზებულ და გრძელ ხმოვან-ფონემათა სერიები აშკარად ახალი ფორმაციისაა, რაც არსებული მონაცემების საფუძველზე საკმაოდ დამაჯერებლად მტკიცდება.

7. გამოიყოფა დიფთონგთა ორი სახეობა: ა) ისტორიული და ბ) პოზიციური. გაირჩევა აღმავალი და დაშვებული დიფთონგები, რომლებიც მონოფთონგიზაციის ტენდენციას ამჟღავნებენ.

8. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებს ამჟამად მეტწილად სუსტი დინამიკური მახვილი მოეპოვება, თუმცა ისტორიულად მათ უნდა ჰქონოდა ძლიერი დინამიკური მახვილი. ამას ცხადყოფს ფუძისეულ ხმოვანთა რედუქციის ხელშესახები ფაქტები და ა:ა ბგერათიგივეობა.

თავდაპირველად არაფიქსირებული მახვილი უნდა გქონოდა, თუმცა ამჟამად მისი დამკვიდრება თავმარცვალსა და მის მომდევნო მარცვალზე ხუნძურში ძირითადად დასრულებულია. ამგვარსავე მიდრეკილებას ამჟღავნებენ ანდიურ-დიდოური ენებიც.

9. ხშულ-შსკდომთა წყვილბაგისმიერი (ბ, ფ, პ) და კბილისმიერი (დ, თ, ტ) ლოკალური რიგები სამეულბრივ სისტემებს ქმნიან, ხოლო წინაველარული რიგი (გ, ქ, ჭ, კ, კჲ) — ხუთეულბრივის. ყველა დასახელებული თანხმოვანი, წინაველარული ყრუ ინტენსიური კორელატების გარდა, ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი. ჭ განიცდის სპირანტიზაციას (ჭ > ხ > ხ), კჲ კი — დეზაბრუპტივიზაციას (კჲ > ჭ > ქ) და ა. შ.

10. აფრიკატთა ლოკალური რიგები ოთხი წევრით არიან წარმოდგენილი. მქლერი აფრიკატები ჯერ კიდევ ფუძეენის დაშლამდე გარდაიქ-

მნენ მაგარ აბრუპტივებად (\*ძ > წა, \*ჯ > ჭა, \*ღ > ტა, \*ფ > ყა), რომლებმაც, ამოსავალ ფონემებთან თანხედენის შემდეგ, მათი ბედი გაიზიარეს და სათანადო შესატყვისობის ერთიანი ფორმულის წევრებად იქცნენ. \*ფ მჟღერი აფრიკატი ზოგ ენაში შეიძლება ღ სპირანტადაც გარდაქმნილიყო.

11. რაც შეეხება სხვა აფრიკატებს, მათგან ამოსავალმა ხშულმა აფრიკატებმა უმთავრესად სპირანტიზაცია (\*ც > ს, \*ცა > სა > ს, \*ჩ > შ, \*ჩა > შა > შ, \*ლ' > ლ', ლ' > ლ'ა > ლ', \*ვ' > ხ, \*ვა > ხა > ხ) განიცადეს. არაინტენსიურ აბრუპტიულ სიბილანტებს არსებითი ცვლილება (ახვ. \*წ > ჳ) არ მოსვლია, ხოლო ლატერალი მაგარ სახეობად იქცა (\*ტ' > ტა), ან სხვა რიგის ცვლილებას (\*ტ' > ლ, ც...) დაემორჩილა. ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატები გაფშინიერდნენ: \*წა > ცა > ც, \*ჭა > ჩა > ჩ, \*ტა > ლ', \*ყა > ვა > ვ. ჰამ.-სა და ახვ.-ში \*ჭა > წა.

12. სპირანტა წყვების სიბილანტების ლოკალური რიგები აერთიანებდა სამეულბრივ სისტემებს, რომელთაგან ინტენსიურ კორელატებს, ინტენსივობის კორელაციის მოშლის გარდა, სხვა არსებითი ხასიათის ცვლილება არ მოსვლია. მჟღერმა სიბილანტებმა და არაინტენსიურმა კორელატებმა სხვადასხვაგვარი ტრანსფორმაცია განიცადეს: \*ზ > ს, ჟ; \*ჟ > ზ; \*ს > შ, ზ; \*შ > ს, ჟ...

13. ლატერალურ სპირანტებს მჟღერი წვერი აკლია. მასთან, ყრუ არაინტენსიური ლატერალი დელატერალიზაციას (\*ლ' > ლ) განიცდის, ხოლო მაგარი ლატერალური სპირანტი — დეინტენსივიზაციას (\*ლ'ა > ლ').

14. ცვლილებისადმი დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებს და, შესაბამისად, მრავალგვაროვან რეფლექსებს გამოავლენს სპირანტი ჯ (\*ჯ > ხ, შ, ჰ, ზ, ჟ, ჩ).

15. უკანაველარული რიგის მჟღერი სპირანტი ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი. ყრუ ინტენსიური კორელატი ხა დიდ. ენებში ნეიტრალური ხ-ს სახით გვხვდება. საკ. დიდ.-ში ხ > ჯ > ჰა. რაც შეეხება არაინტენსიურ ყრუ კორელატს, იგი სხვადასხვაგვარად იცვლება: \*ხა > ჰ, \*ხა > ლ > ჰ.

16. ფარინგალურ სპირანტთა (შ, ჰა) რეკონსტრუქცია დიდ დაბრკოლებებს აწყდება. გარკვეული ალბათობით აღდგება ლარინგალური სპირანტი ჰ, რომელიც სავარაუდო მაგალითებში ბგერათიგივეობას გვიჩვენებს.

17. ნაზალური სონორები, თუ არ გავითვალისწინებთ ნ:შ მონაცვლეობას, ნულოვანი რეფლექსაციით არიან წარმოდგენილი. რაც შეეხება ლიკვიდებს, მათი რეკონსტრუქცია ხუნძურ-ნდიურ ენათა სინამდვილეში, ზუსტი დისტრიბუციის უქონლობის გამო, გაძნელებულია. ამ მხრივ, ფასეულია დიდოურ ენათა ჩვენება: თუ ამოსავალია რ, მაშინ ბეიტურშიც



რ გვექნება, თუ ამოსავალია ლ, რომლის დისტრიბუცია ინლაუტითა და აუსლაუტით შემოიფარგლება, მაშინ ბეჟიტურშიც ლ წარმოჩნდება.

18. სონანტები **ღ** და **წ** დამატებით დისტრიბუციაში იმყოფებიან სათანადო ხმოვნებთან (**ო**, **უ**) და ბგერათიგივეობას გვიჩვენებენ. წყვილბაგისმიერი **წ** გრამატიკული ფუნქციითაც გვხვდება და ლაბიალიზებული კომპლექსის ელემენტაც.

19. ისტორიულად დადასტურებულ ენათა ფონოლოგიურ სისტემაში თავჩენილი თანხმოვანთა სპეციფიკური სერიები (ლაბიალიზებული, პალატალიზებული, ფარინგალიზებული) აშკარად მეორეული წარმომავლობისაა, რადგანაც მათში გაერთიანებულ ფონემებს არ მოეპოვებათ საკუთარი ბგერათშესატყვისობანი. სავარაუდოა აგრეთვე ინტენსიურ და ლატერალურ თანხმოვანთა მეორეულობა, თუმცა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძენაში მათი არსებობა ეჭვს არ იწვევს.

20. მკაფიოდ არის გამოხატული თანხმოვანთა შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები: ა) სპირანტთა გამჟღერება; ბ) სისინა სიბილანტთა გაშიშინება და შიშინათა გასისინება; გ) დეფარინგალიზაცია; დ) აფრიკატიზაცია; ე) სპირანტიზაცია; ვ) დეზაბრუპტივიზაცია; ზ) დეინტენსივიზაცია; თ) ფარინგალიზაცია.

21. ფონეტიკური პროცესების რელატიური ქრონოლოგია ასე წარმოიდგინება: I საფეხური: არამაგარ სპირანტთა გამჟღერება; II საფეხური: ხშულთა სპირანტიზაცია; სისინა და შიშინა სიბილანტთა მონაცვლეობა; III საფეხური: ინტენსიურ და ხშულ-მსკდომ აბრუპტივთა დეზაბრუპტივიზაცია; IV საფეხური: ინტენსივობის კორელაციის მოშლა; V საფეხური: ფარინგალიზაცია დიდოურ ენებში.

22. ისტორიულად სახელს უნდა ჰქონოდა შემდეგნაირი მორფოლოგიური სტრუქტურა: **კლასიფიკატორი დამაკავშირებელი ხმოვნითურთ + სახელის (resp. ზმნის) ძირი + სადეტერმინაცია სუფიქსი + დერივაციული და რელაციური მორფემები**. ანალოგიური ფონემატური სტრუქტურა რეკონსტრუირდება ზმნისთვისაც იმ განსხვავებით, რომ მას დამატებით მოეპოვება თემატური ნიშნები. სახელურ და ზმნურ ძირთა სტრუქტურის ძირითადი კანონიკური მოდელები უნდა ყოფილიყო: **C, CS, CVC (CVS, SVC, SVS)**. ფორმანტთა ამოსავალი ტიპი ანლაუტში ძირითადად **CV-, SV-** ფორმულებით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, ხოლო აუსლაუტში — **-VC, -VS** სტრუქტურის აფიქსებით.

## შემოკლებათა განმარტება

### I. ენობრივი ერთეულები

- ანდ. — ანდიური ენა  
ანდ.-დიდ. — ანდიურ-დიდოურ ენათა ქვეჯგუფი  
ანდალ. — ხუნძური ენის ანდალალური კილოკავი  
ანდალ.-ყარაბ. — ხუნძური ენის ანდალალურ-ყარაბული დიალექტი  
ანწ. — ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი  
არაბ. — არაბული ენა  
არჩ. — არჩიბული ენა  
აქნ.-ანდ. — ტინდიური ენის (resp. დიალექტის) აქნადური და ანდი-  
დური თქმები  
აღ./აღლულ. — აღულური ენა  
ახვ. — ახვახური ენა  
ბაგვ. — ბაგვალური ენა  
ბათლ. — ხუნძური ენის ბათლუხური კილოკავი  
ბაცბ. — ბაცბური ენა  
ბეე. — ბეეიტური (resp. ბეეიტურ-ჰუნზიბური) ენა  
ბერძ. — ბერძნული ენა  
ბოთლ. — ბოთლიხური ენა  
ბუდ. — ბუდლუხური ენა  
დიდ. — დიდოური ენები (ენა)  
ვიწ. — საკუთრივ დიდოური ენის ვიწითალური მეტყველება  
ზაქ. — ხუნძური ენის ზაქათალური თქმა  
თაბ. — თაბასარანული ენა  
თლის. — ბაგვალური ენის თლისური თქმა  
თლონდ. — ბაგვალური ენის თლონდოლური თქმა  
თურქ. — თურქული ენა  
ინგ. — ინგუშური ენა  
ინხვ. — ხვარშიული ენის ინხოყვარული დიალექტი  
კარ. — კარატაული ენა  
კრიწ. — კრიწული ენა  
ლაკ. — ლაკური ენა  
ლეზგ. — ლეზგიური ენა  
მოყ. — საკუთრივ დიდოური ენის მოყოყური მეტყველება  
რატლ. — ხუნძური ენის რატლუბური თქმა  
რუთ. — რუთულური ენა  
რუს. — რუსული ენა  
ს.-ანდ. — საერთო-ანდიური ენა  
ს.-დიდ. — საერთო-დიდოური ენა  
საკ. ბეე. — საკუთრივ ბეეიტური დიალექტი

- საკ. დიდ. — საკუთრივ დიდოური ენა  
 საკ. ხვარ. — საკუთრივ ხვარშიული დიალექტი  
 საკ. ტინდ. — საკუთრივ ტინდიური თქმა  
 სანტლ. — ხვარშიული ენის სანტლადური მეტყველება  
 საჰ. — საკუთრივ დიდოური ენის საჰადური დიალექტი  
 სვან. — სვანური ენა  
 სომხ. — სომხური ენა  
 ტინდ. — ტინდიური ენა (resp. დიალექტი)  
 ტოქ. — კარატაული ენის ტოქტიური დიალექტი  
 ტოხ. — ანწუხური დიალექტის ტოხური თქმა  
 უდ. — უდიური ენა  
 ქართ. — ქართული ენა  
 ქიდ. — საკუთრივ დიდოური ენის ქიდროული თქმა  
 ქიდ.-ასხ. — საკუთრივ დიდოური ენის ქიდროულ-ასხური კილოკავი  
 ღად. — ანდიური ენის ღადათლური თქმა  
 ღოდ. — ღოდობერიული ენა (resp. დიალექტი)  
 ყუმუხ. — ყუმუხური ენა  
 შაფ. — საკუთრივ დიდოური ენის შაფიხური თქმა  
 ჩეჩნ. — ჩეჩნური ენა  
 წეგ. — ახვანური ენის წეგობური თქმა  
 ჰადაქ. — ანწუხური დიალექტის ჰადაქოლოური თქმა  
 ჰამ. — ჰამალური ენა  
 ჰარ. — ხუნძური ენის ჰარული დიალექტი  
 ხვან. — ხვარშიული ენის ხვანური მეტყველება  
 ხვარ. — ხვარშიული ენა  
 ხინ. — ხინალლური ენა  
 ხუნძ. — ხუნძური ენა  
 ხუნძ.-ანდ. — ხუნძურ-ანდიურ ენათა ქვეჯგუფი  
 ხუნძახ. — ხუნძური ენის ხუნძახური დიალექტი  
 ხუტრ. — საკუთრივ დიდოური ენის ხუტრახული მეტყველება  
 შაქვ. — ჰამალური ენის შაქვარული დიალექტი  
 შინ. — შინუხური ენა  
 შიშ. — ჰამალური ენის შიშათლური დიალექტი  
 შლან. — ახვანური ენის შლანუხური თქმა  
 შუნზ. — ბეეიტური ენის შუნზიბური დიალექტი

## II. გრამატიკული ტერმინები

- მხ. რ. — მხოლოებითი რიცხვი  
 მრ. რ. — მრავლობითი რიცხვი  
 სახ. — სახელობითი ბრუნვა  
 ერგ. — ერგატიული ბრუნვა  
 ნათ. — ნათესაობითი ბრუნვა

მიც. — მიცემითი ბრუნვა  
 არაინტენს. — არაინტენსიური თანხმოვანი  
 ინტენს. — ინტენსიური თანხმოვანი  
 აწმყ. — აწმყო დრო  
 ნამყ. — ნამყო დრო  
 მყოფ. — მყოფადი დრო

### III. პირობითი სიმბოლოები

C — კონსონანტი  
 S — სონანტი  
 W — ბილაბიალური სონანტი (ჟ)  
 V — ვოკალი

### IV. ჟურნალებისა და კრებულების სახელწოდებანი

დე — დაღესტნური ენები (Дагестанские языки. М., 2000)  
 დედლ — დაღესტნურ ენათა დარგობრივი ლექსიკა (Отраслевая лексика дагестанских языков. Махачкала, 1984; 1988)  
 დედლზ — დაღესტნურ ენათა დარგობრივი ლექსიკის პრობლემები (Проблемы отраслевой лексики дагестанских языков. Махачкала, 1985; 1986; 1989)  
 დეშილ — დაღესტნურ ენათა შედარებით-ისტორიული ლექსიკა (Сравнительно-историческая лексика дагестанских языков. М., 1971)  
 ენიშკი-ს მოამბე — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (1936-1941 წ.წ.) მოამბე  
 ეშს — ენათმეცნიერების შესავლის საკითხები. თბ., 1972  
 თსუ შრომები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები  
 იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება  
 იკეწ — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული  
 ლელ — ლინგვისტური ენათმეცნიერული ლექსიკონი (Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990)  
 მაცნე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო 1971 წლამდე; 1971 წლიდან — „ენისა და ლიტერატურის სერია“  
 რხე — რუსეთის ხალხთა ენები (Языки народов России. Языки Дагестана. Махачкала — М., 2000)  
 სამამ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე  
 სკსრხე — საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების ხალხთა ენები (Языки народов СССР, IV. Иберийско-кавказские языки. М., 1967)

## პირთა ხაძიებელი

- აბაშია რ. 121, 165  
 აბდულაევი ზ. 14  
 აბდულაევი ა. 14, 181  
 აგლაროვი მ.ხ. 25  
 აზმაიფარაშვილი 10  
 ათაევი ბ. 14, 21, 57, 124  
 აკიევი ა. 50, 52, 56, 59, 61, 79  
 ალექსეევი მ. 14, 17, 22, 24, 25, 49, 108, 186, 187  
 ანდლოლაძე ნ.  
 არდოტელი ნ. 18, 19, 47, 59, 62, 73, 99, 115, 120, 129, 138, 146, 161, 162, 170, 174, 175, 178  
 ახვლედიანი გ. 64, 75, 150, 162, 167  
 ბარნოვი ნ. 14, 170  
 ბენვენისტი ე. 188  
 ბლუმფილდი ლ. 181, 182  
 ბოკარევი ა. 15  
 ბოკარევი ე. 11, 15, 21, 33, 37, 40, 42, 44, 48, 52, 55, 57, 58, 59, 61, 62, 81, 87, 96, 98, 103, 107, 119, 155, 167, 177  
 ბურჭულაძე გ. 14, 18, 46, 50, 51, 58, 62, 69, 79, 98, 99, 122, 124, 167, 181, 188, 199  
 გამყრელიძე თ. 17, 58, 181, 188, 190  
 გაფრინდაშვილი შ. 15, 171  
 გიგინეიშვილი ბ. 13, 25, 58, 81, 88, 91, 95, 96, 98, 99, 103, 108, 119, 124, 170  
 გოგოლაშვილი გ. 14  
 გონიაშვილი თ. 58, 87, 119  
 გულავა ტ. 12, 14, 15, 17, 18, 32, 33, 36, 38, 44, 46, 48, 50, 53, 55, 58, 62, 63, 70, 81, 87, 93, 95, 96, 98, 100, 108, 113, 129, 133, 136, 150, 155, 160, 163, 164, 170, 175, 177, 191, 192, 195  
 დეეტერსი გ. 170  
 დიაკონოვი ი. 22  
 დირი ა. 14, 15, 21  
 დიუმეზილი გ. 50  
 ებელინგი ს. 62  
 ერკერტი რ. 15  
 ვან დენ ბერგი ჰ. 15, 42  
 ვან-გინეკენი ჯ. 150  
 ზვიადაური ნ. 58, 73, 106, 122, 160  
 ზინდერი ლ. 75  
 თალიბოვი ბ. 88, 99, 103, 138, 171, 175  
 თაყაიშვილი ა. 136  
 თოფურია ვ. 65, 181  
 თოფურია გ. 14  
 იბრაჰიმოვი გ. 59, 175  
 ივანოვი ვ. 58, 181  
 იმნაიშვილი დ. 13, 14, 22, 40, 41, 47, 48, 51, 52, 54, 55, 58, 59, 81, 130, 136, 175  
 ინგლისიანი ვ. 170  
 ისაყოვი ი. 14, 42, 64, 76, 77  
 იუშმანოვი ი. 146, 170  
 კაზიევი გ. 15  
 კახაძე ო. 13, 87, 88, 150  
 კიბრიკი ა. 14, 23, 75  
 კიენაძე ზ. 13, 62  
 კლიმოვი გ. 14, 58  
 კოძასოვი ს. 14, 23, 75, 174  
 ლაფონი რ. 13, 151  
 ლევი ე. 15  
 ლევიანა რ. 13, 171  
 ლომთათიძე ქ. 17, 18, 21, 171, 181, 186, 191  
 ლომთაძე ე. 13, 14, 17, 19, 21, 33, 40, 41, 42, 43, 44, 46, 47, 49, 50, 53, 54, 58, 62, 81, 87, 88, 96, 136, 150, 175, 195  
 მადიევა გ. 15, 34, 76, 125, 155, 160  
 მარი ნ. 13, 58, 136  
 მარტინე ა. 80, 81  
 მაკავარიანი გ. 16, 17, 18, 65, 66,

- 188, 190  
 მაჰომედბეკოვა ზ. 13, 14, 15, 22, 39, 53, 55, 58, 62, 70, 81, 86, 99, 108, 115, 119  
 მაჰომედოვა ფ. 15, 37, 75, 76, 170  
 მაჰომედოვი მ. 14  
 მაჰომედხანოვი მ. 15  
 მაჰომეტოვი ა. 15, 171, 174  
 მეგრელიძე ი. 13, 40, 87  
 მეიე ა. 186, 188  
 მელიქიშვილი ი. 186, 188  
 მიქაილოვი შ. 13, 22, 29, 34, 35, 62, 72, 73, 81, 87, 108, 109, 120, 129, 155  
 მიქაილოვი ყ. 13, 63  
 მიქაილოვი ე. 13  
 მიქაილოვა რ. 13  
 მუსაევა მ. 25  
 ნეზიერიძე გ. 159  
 ნიკოლაევი ს. 14, 56, 186  
 ნიკოლსკაია ზ. 25  
 ეირკოვი ლ. 15, 21, 110, 138, 168  
 უდენტი ს. 65, 75, 171  
 რამაზანოვი ი. 159  
